

დავის ალტერნატიული  
გადაწყვეტა



ALTERNATIVE DISPUTE  
RESOLUTION

წელიწადეული  
Yearbook

2013

**წ ე ლ ი წ ღ ე უ ლ ი**

**2013**

**IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**  
**NATIONAL CENTER FOR ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION**

# **Alternative Dispute Resolution**

**Yearbook**

**2013**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი

## დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელწიეულ

2013



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**მთავარი რედაქტორი**

ირაკლი ბურდული (პროფ., თსუ)

**Chief Editor**

Irakli Burduli (Prof., TSU)

**სარედაქციოკოლეგია:**

ქეთრინ გ. ბარნეტი (პროფ. სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა)

ჯეიმს ჯ. ალფინი (პროფ. სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა)

ელიზაბეთ ა. დენისი (პროფ. სამხრეთ ტეხასის სამართლის სკოლა)

გიორგი ცერცვაძე (ასოც. პროფ., თსუ)

ნათია ჩიტაშვილი (ასისტ. პროფ., თსუ)

ლევან ჯანაშია (ასისტ. პროფ., თსუ)

**Editorial Board:**

Catherine G. Burnett  
(Prof. South Texas College of Law, USA)

James J. Alfini  
(Prof. South Texas College of Law, USA)

Elizabeth A. Dennis (Prof. South Texas College of Law, USA)

Giorgi Tsertsvadze (Assoc. Prof., TSU)

Natia Chitashvili (Assis. Prof., TSU)

Levan Janashia (Assis. Prof., TSU)

*ნელინდელის გამოცემა ამერიკელი ხალხის გულისხმიერების შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. ჟურნალში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ისა და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.*

**Publication of the yearbook is enabled by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID).**

**The contents are the responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of USAID or the United States Government.**



მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი



© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014

ISSN 1987-9199

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ნინო ელოშვილი <i>კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში</i> .....	7
NINO ELOSHVILI <i>THE IMPORTANCE OF CONFIDENTIALITY PRINCIPLE IN THE MEDIATION PROCESS</i> .....	41
პელაგია მახაური, ბეკა ხიტირი <i>ბანქორუტის მედიაცია</i> .....	70
PELAGIA MAKHAURI, BEKA KHITIRI <i>DIVORCE MEDIATION</i> .....	75
ნიკოლოზ ჩომახიძე <i>სარჩელის ურუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში</i> .....	79
NIKOLOZ CHOMAKHIDZE <i>PROVISIONAL MEASURES IN INTERNATIONAL ARBITRATION</i> .....	108
რუსუდან ჭიტაშვილი <i>მედიაციის უპირატესობანი არბიტრაჟთან შედარებით</i> .....	131
RUSUDAN CHITASHVILI <i>ADVANTAGES OF MEDIATION COMPARED TO ARBITRATION</i> .....	161
თამარ ხუჭუა <i>სასკოლო მედიაცია განათლების სისტემაში</i> .....	184
TAMAR KHUCHUA <i>PEER MEDIATION IN EDUCATION</i> .....	189
სალომე ჯაფარიძე <i>საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება</i> .....	193
SALOME JAPARIDZE <i>INTERRELATIONS BETWEEN THE UNNULMENT OF THE ARBITRAL AWARD AND THE REFUSAL OF RECOGNITION AND ENFORCEMENT OF THE ARBITRAL AWARD</i> .....	229



## კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში

### I. შესავალი

მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების ერთ-ერთი სახეა.<sup>1</sup> მედიაციის დროს მხარეები ცდილობენ გადაწყვიტონ დავა მესამე ნეიტრალური პირის დახმარებით.<sup>2</sup> შედეგად, ისინი აღწევენ მათთვის სასურველ შეთანხმებას და მოსამართლის გადაწყვეტილებით არ არიან შეზღუდულნი.<sup>3</sup> მედიაციით იხილება სამეზობლო, სისხლის, საოჯახო, სამენარმეო და საერთაშორისო სამართლიდან წარმოშობილი დავები.<sup>4</sup> საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო სასამართლო მედიაციის განსახილველი დავები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (შემდგომში „სსსკ“) არის განსაზღვრული, მაგრამ, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია სასამართლო მედიაციამ ნებისმიერი კერძოსამართლებრივი დავა განიხილოს.<sup>5</sup>

მედიაცია სარგებლობს რიგი უპირატესობებით, როგორც არის, მაგალითად, სასამართლოში საქმის წარმოებასთან შედარებით ნაკლები ხარჯი და ნაკლებ სტრესული,<sup>6</sup> არაფორმალური გარემო<sup>7</sup> და სხვა. მედიატორები პროცესის ფუნდამენტურ წარმატებად კონფიდენციალურობის პრინციპს მიიჩნევენ,<sup>8</sup> კანონმდებლები და სასამართლოებიც იზიარებენ ამ პოზიცი-

<sup>1</sup> Butler V.F., *Mediation Essentials and Expectations*, USA, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 2.

<sup>2</sup> Spencer D., Brogan M., *Mediation Law and Practice*, China, Cambridge University Press, 2006, 3.

<sup>3</sup> Butler V.F., *Mediation Essentials and Expectations*, USA, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 1.

<sup>4</sup> Field R., Wood N., *Marketing Mediation Ethically: The Case of Confidentiality*, Queensland University of Technology Law & Justice Journal, Vol. 5, No. 2, 2005, 143, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/qutlj5&div=14&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/qutlj5&div=14&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ სსსკ, 187<sup>3</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეზღუდულია სასამართლო მედიაციის კომპეტენცია და განსაზღვრულია, რომ სასამართლო მედიაციის ფარგლებში შესაძლებელია განხილულ იქნეს საოჯახო სამართლიდან წარმოშობილი დავები, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა. ასევე, სასამართლო მედიაცია უფლებამოსილია განიხილოს სამეზობლო და სამემკვიდრეო სამართლიდან წარმოშობილი დავა და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა დავა. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (შემდგომში „სსმ“), 1106-ის, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011]; სსსკ, 187<sup>3</sup> მუხლი, სსმ, 1106-ის, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011]; კანონმდებელი ითვალისწინებს სხვა სახის მედიაციასაც, როგორც არის სანოტარო, სამედიცინო, საგადასახადო და სხვა. განსახილველი დავის საგნები თითოეულ შემთხვევაში კანონმდებლობით ცალკეულად არის განსაზღვრული. სანოტარო მედიაციით განსახილველი დავები დადგენილია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ამ შემთხვევაში სანოტარო მედიაცია უფრო შეზღუდულია და ამ მედიაციით არ განიხილება ის დავა, რომელზეც კანონმდებლობით მედიაციის სპეციალური წესი არის დადგენილი. სსმ, 04.12.2009, 2283-III [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5851-ის, 16.03.2012]; სამედიცინო მედიაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 80 დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტით განისაზღვრება სამედიცინო მედიაციით განსახილველი დავა. სსმ, 29.02.2012; საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსის 48<sup>1</sup> ითვალისწინებს კოლექტიური დავის განხილვას მედიაციის გზით, სსმ, 4113-რს, 17.12.2010, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 729-III, 12.06.2013]; საგადასახადო მედიაცია განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დამტკიცების თაობაზე უფროსის ბრძანებით 2742, მუხლი 12<sup>1</sup>, 02.06.2011, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 21623, 20.05.2013].

<sup>6</sup> Butler V.F., *Mediation Essentials and Expectations*, USA, Dorrance Publishing Co., Inc., 2004, 2.

<sup>7</sup> Kuester E. L., *Confidentiality in Mediation: A Trial of Broken Promises*, Vol. 16, No. 2, Hamline Journal of Public Law & Policy, 1994-1995, 575, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp16&div=23&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp16&div=23&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>8</sup> McCrory J.P., *Environmental Mediation – Another Piece for the Puzzle*, Vermont Law Review, Vol. 6, 1981, 49, 56, მითითებულია სტატიაში: Mehta A., *Resolving Environmental Disputes in Hush-hush World of Mediation: A Guideline of Confidentiality*, Georgetown Journal of Legal Ethics, Vol. 10, No 3, Spring, 1997,



ას.<sup>1</sup> თავის მხრივ, აღნიშნული პრინციპი ავსებს მედიაციის ინსტიტუტის მეორე მნიშვნელოვან ნეიტრალურობის პრინციპსაც. მედიაციის დასრულების შემდგომაც, კონფიდენციალურობის პრინციპის საფუძველზე, მედიატორი ვალდებულია დაიცვას, არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია,<sup>2</sup> რადგანაც, ასეთ შემთხვევაში მისი, როგორც დამოუკიდებელი მესამე პირის, ნეიტრალურობა შესაძლებელია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.<sup>3</sup>

„მედიაციაში კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობა აქსიომატურია“.<sup>4</sup> აღნიშნული პრინციპის არსებობა განაპირობებს მხარეების ნდობას პროცესის მიმართ. მხოლოდ მცირე რაოდენობის მედიაციის პროცესი იქნებოდა წარმატებული, თუ ერთმანეთის მიმართ მანიპულაციის შესაძლებლობა ექნებოდათ მხარეებს შემდგომში სასამართლოში დავისას.<sup>5</sup>

კონფიდენციალურობის პრინციპის რეგულაცია განსხვავდება სხვადასხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში.<sup>6</sup> მედიაციის ინსტიტუტი სიახლეა ქართულ სამართალში. დღეის მდგომარეობით საქართველოს საკანონმდებლო რეგულაცია არის „ეპიზოდური“,<sup>7</sup> სწორედ აქედან გამომდინარე, ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული კონფიდენციალური პრინციპის განხილვა აქტუალური და მნიშვნელოვანია. კვლევაში „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“ აღნიშნულია, რომ „მედიაციის რეგულირებასთან დისკუსია საქართველოში მხოლოდ ახლა იწყება“.<sup>8</sup>

წინამდებარე სტატიის მიზანია დადგინდეს კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობა, ცნება, ფარგლები, კონფიდენციალურობის ვალდებულებით შებოჭილი პირები და დაცვის მექანიზმები. რელევანტურია განისაზღვროს არის თუ არა აბსოლუტური აღნიშნული პრინციპი, რამდენად „სასურველი“ და „გამართლებულია“ კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სხვათა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების ხელყოფის თავიდან აცილების, ან სხვა მიზნით. აღნიშნული საკითხების შედარებითსამართლებრივი კუთხით<sup>9</sup> ანალიზისთვის მოყვანილი იქნება ევროკავშირის მიერ მიღებული დირექ-

---

522-523, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/geojlege10&div=25&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/geojlege10&div=25&collection=journals&set_as_cursor=clear)>; მედიატორები წარმატებულ მედიაციაში, კონფიდენციალურობას გადამწყვეტ ელემენტად მიიჩნევენ, აღნიშნულია ნაშრომში: *Sharp D.*, The Many Faces of Mediation Confidentiality, *Dispute Resolution Journal*, Vol. 53, Issue 4, November, 1998, 58, <<http://web.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=4&sid=07a682dd-06a2-404c-9708-9c135e7e9d30%40sessionmgr12&hid=11>>, [29.06.2013].

<sup>1</sup> *Mehta A.*, Resolving Environmental Disputes in Hush-hush World of Mediation: A Guideline of Confidentiality, *Georgetown Journal of Legal Ethics*, Vol. 10, No 3, Spring, 1997, 522-523, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/geojlege10&div=25&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/geojlege10&div=25&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>2</sup> *Deason E. E.*, Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, *Ohio State Journal on Dispute Resolution* 239, Vol. 17, 2002, 3, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=17+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+239&srctype=smi&srcid=3B15&key=10a08271aa18b1f383ab0d6e85ad564c>>.

<sup>3</sup> *Sherman E. F.*, Confidentiality in ADR, *Proceedings: Policy Issues Arising from the Texas Experience*, *South Texas Law Review* 541, (1997) ნიგნში: *Kovach K.K.*, *Mediation: Principles and Practice*, 3<sup>rd</sup> ed., USA, Thomson West, 2004, 267.

<sup>4</sup> *Deason E. E.*, Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, *Ohio State Journal on Dispute Resolution* 239, Vol. 17, 2002, 1, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=17+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+239&srctype=smi&srcid=3B15&key=10a08271aa18b1f383ab0d6e85ad564c>>.

<sup>5</sup> *Burnley R., Lascelles G.*, Mediator Confidentiality – Conduct and Communications, 1, <[http://www.cedr.com/library/articles/Mediator\\_confidentiality\\_SJBerwin.pdf](http://www.cedr.com/library/articles/Mediator_confidentiality_SJBerwin.pdf)>, [05.07.2013].

<sup>6</sup> *Deason E. E.*, Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, *Ohio State Journal on Dispute Resolution* 239, Vol. 17, 2002, 2, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=17+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+239&srctype=smi&srcid=3B15&key=10a08271aa18b1f383ab0d6e85ad564c>>.

<sup>7</sup> *ცერცვაძე გ. (რედ.)*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 18, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [05.07.2013].

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალთან, სასამართლო პრაქტიკასთან, ასევე ევროკავშირის დირექტივასთან მიმართებით.

ტივა და იმ ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციები, სადაც მედიაციის ინსტიტუტი ტრადიციულ ინსტიტუტად მიიჩნევა და მედიაციის კონფიდენციალურობის საკითხები არაერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად. შედეგად, შემუშავდება ის რეკომენდაციები, რაც სასურველი იქნება ასახული იყოს საქართველოს კანონმდებლობაში კონფიდენციალურობის მნიშვნელობიდან გამომდინარე.<sup>1</sup>

## II. კონფიდენციალურობის პრინციპის მიმოხილვა

პერსონალურ ურთიერთობებზე კონფიდენციალურობის კონცეფცია ანტიკური პერიოდიდან არსებობს. აღნიშნულის თაობაზე ჰიპოკრატეს ფიცშიც არის საუბარი ექიმისა და პაციენტის ურთიერთობების კონტექსტში, დაახლოებით ქრისტეს შობამდე 400 წელს.<sup>2</sup> „ისტორიულად, ადვოკატსა და კლიენტს, ცოლ-ქმარსა და ზოგიერთ იურისდიქციაში მღვდელსა და აღმსარებელს შორის ურთიერთობებს მოიხსენიებენ როგორც „საერთო სამართლის პრივილეგიებს“.<sup>3</sup> „ტერმინი „მედიაციის პრივილეგია“<sup>4</sup> ეხება მედიაციის პროცესში კომუნიკაციის დაცვას“.<sup>5</sup> უნდა აღინიშნოს, რომ კონფიდენციალურობა და პრივილეგიები არ არის აბსოლუტური. გამონაკლისები გათვალისწინებულია იმ მიზნით, რომ ამ ინფორმაციის ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონფიდენციალურობის დაცვა.<sup>6</sup>

კონფიდენციალურობა ეს არის ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვა და კონტროლი მის გამჟღავნებაზე. როგორც ეთიკური ცნება, ეს შეიძლება განიმარტოს მხარის ვალდებულებად გამოიყენოს ან გაავრცელოს ინფორმაცია მხოლოდ შესაბამის პირებთან შეთანხმებით და დაცვას ეს ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ არ არის ცნობილი. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვალდებულება გულისხმობს დაცულ იქნას სიმართლე და არა ყალბი ინფორმაცია, რამდენადაც არავითარი მიზანი არ ემსახურება არასწორი ინფორმაციის დაცვას.<sup>7</sup>

მედიაციის ფართოდ გამოყენებასთან ერთად, სამუხაროდ, თუმცა მაინც გარდაუვლად, იზრდება დავები კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, ასეთი დავები კანონმდებლებისა და სასამართლოებისთვის სტიმულს წარმოადგენენ დაიცვან კონფიდენციალურობა სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა შემთხვევაში.<sup>8</sup>

<sup>1</sup> Young P. M., Rejoice! Rejoice! Rejoice, Give Thanks, and Sing: 1 ABA, ACR, and AAA Adopt Revised Model Standards of Conduct for Mediators, *Appalachian Journal of Law* 195, Vol. 5, 2006, 11, <<https://litigationessentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=5+Appalachian+J.+L.+195&srctype=smi&srcid=3B15&key=eb8564da8c7bfc4928d90366e3672e70>>.

წარმოჩენილია თუ რა საკითხები უნდა განისაზღვრებოდეს მედიაციაში კონფიდენციალურობის პრინციპთან დაკავშირებით.

<sup>2</sup> Richards N. M., Solove D. J., Privacy's Other Path: Recovering the Law of Confidentiality, *Georgetown Law Journal*, Vol. 96, 2007, 133, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=969495](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=969495)>, [05.07.2013].

<sup>3</sup> Foster H. H. Jr., An Overview of Confidentiality and Privilege, *Journal Psychiatry & Law*, Vol. 4, Issue 1, Spring, 1976, 394, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jpsych4&div=39&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jpsych4&div=39&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>4</sup> *Mediation privilege*.

<sup>5</sup> Burr A. M., Confidentiality in Mediation: A Privilege Worth Protecting, *Dispute Resolution Journal*, February/April, 2002, 66, <<http://web.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=4&sid=07a682dd-06a2-404c-9708-9c135e7e9d30%40sessionmgr12&hid=11>>, [29.06.2013].

<sup>6</sup> Foster H. H. Jr., An Overview of Confidentiality and Privilege, *Journal Psychiatry & Law*, Vol. 4, Issue 1, Spring, 1976, 394, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jpsych4&div=39&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jpsych4&div=39&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

დისონის მოსაზრებით კონფიდენციალურობის პრინციპი არ არის და არც უნდა იყოს აბსოლუტური. Deason E. E., Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, *Ohio State Journal on Dispute Resolution* 239, Vol. 17, 2002, 1, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=17+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+239&srctype=smi&srcid=3B15&key=10a08271aa18b1f383ab0d6e85ad564c>>.

<sup>7</sup> Pattenden R., *The Law of Professional – Client Confidentiality, Regulating the Disclosure of Confidential Personal Information*, Oxford University Press, 2003, 12.

<sup>8</sup> Deason E. E., Uniform Mediation Act, Law Ensures Confidentiality, Neutrality of Process, *Dispute Resolution Magazine*, Vol. 8, No 4, Summer, 2002, 7, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/disput8&div=43&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/disput8&div=43&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

## 2.1. კონფიდენციალურობა სასამართლო პროცესში

სასამართლო არის საჯარო ინსტიტუტი და, შესაბამისად, პროცესებიც არის საჯარო. აღნიშნული წესის მიმართ დადგენილი გამონაკლისები იშვიათია.<sup>1</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ბელგიის საკანონმდებლო რეგულირება. აღნიშნულთან დაკავშირებით ლიტერატურაში არსებობს შემდეგი მოსაზრება: „როდესაც სასამართლოში ყველაფერი გამჭვირვალეა, თითქმის სანინააღმდეგო არის მედიაციაში“.<sup>2</sup>

სსსკ-ის მე-9 მუხლი არეგულირებს სამოქალაქო პროცესის საქვეყნოობის საკითხს. ამავე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ზოგად დანაწესსა და გამონაკლისებს ღია სხდომებთან დაკავშირებით. ხსენებული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს.<sup>3</sup> კანონმდებლობა ითვალისწინებს, ასევე, სხვა გამონაკლისებს და შესაძლებელს ხდის მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომა დახურულად გამოცხადდეს.<sup>4</sup>

სხდომის დახურულად გამოცხადების შემთხვევაშიც, საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებენ მხარეები და მათი წარმომადგენლები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მონაწილეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები.<sup>5</sup> რაც მხარეებისთვის ნაკლებად მისაღები შეიძლება იყოს.

სასამართლოში კონფიდენციალურობა მხოლოდ საქმის განხილვის პერიოდით არის შემოფარგლული და, საბოლოოდ, სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებით მთავრდება.<sup>6</sup> შედეგად, მხარეები საქმის განხილვის დახურულად გამოცხადებით ვერ აღწევენ მიზანს და სასამართლოში კონფიდენციალურობაც არის მხოლოდ დროებითი.

## 2.2. კონფიდენციალურობის პრინციპი მედიაციაში

### 2.2.1. მედიაციის დეფინიცია

მედიაციის ცნების ზუსტი დეფინიცია არ არის დადგენილი და „ზოგჯერ დოქტრინაში მედიაციის ცნებას გაურკვეველსა და ბუნდოვანსაც უწოდებენ“.<sup>7</sup> მედიაციის ტრადიციული განმარტების თანახმად, ეს არის კონსესუალური, კონფიდენციალური პრობლემების გადაწყვეტის პროცესი.<sup>8</sup> „შვეიცარიის დოქტრინასა და პრაქტიკაში მიღებულია მედიაციის საყოველთაოდ

<sup>1</sup> Kovach K. K., *Mediation in a Nutshell*, USA, Thomson West, 2003, 35.

<sup>2</sup> Palo G. D., Trevor M. B. (eds.), *EU Mediation Law and Practice*, Great Britain, Oxford University Press, 2012, 22.

<sup>3</sup> სსსკ, მე-9 მუხლი, 1-ლი ნაწილი, სსმ, 1106-ის, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 1956-III, 13.05.1999], ასევე საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტშიც აღნიშნულია სასამართლო სხდომების საჯაროობის თაობაზე, სსმ, 2257-III, 04.12.2009, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 580-III, 01.05.2013].

<sup>4</sup> სსსკ, მე-9 მუხლი, 1-ლი ნაწილი, სსმ, 1106-ის, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 1956-III, 13.05.1999], მაგალითად, სსსკ-ს 350-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შვილად აყვანის განცხადება შესაძლებელია განხილულ იქნეს დახურულ სასამართლო სხდომაზე სსმ, 1106-ის, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 1956-III, 13.05.1999].

<sup>5</sup> სსსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი, სსმ, 1106-ის, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5290-რს, 11.07.2007].

<sup>6</sup> საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მე-13 მუხლი მე-3 პუნქტი, სსმ, 2257-III, 04.12.2009, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 580-III, 01.05.2013]; გამონაკლისია ამ წესთან დაკავშირებით სსსკ-ის 351-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული შემთხვევა. სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის თაობაზე განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ ცხადდება, სსმ, 1106-ის, 14.11.1997.

<sup>7</sup> Ziswiler, Hans Ulrich, *Inhalt und Bedeutung von Regeln zur Mediation in der Schweizerischen Zivilprozessordnung*, in : Leupold/Michael/Ruestchi/David, Stauber/Damian/Vetter/Mainrad (Hrsg.) *Der Weg zum Recht. Festschrift für Alfred Bühler "Schultess"*, Zürich, Basel, Genf, 2008, s268, მითითებულია წიგნში: *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 34.

<sup>8</sup> Nolan-Haley J., *Mediation: The "New Arbitration"*, *Harvard Negotiation Law Review*, Vol. 17, Spring, 2012, 73, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg17&div=4&collection=journals&set\\_as\\_cursor=cle ar#69](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg17&div=4&collection=journals&set_as_cursor=cle ar#69)>.

ალიარებული ნიშნებისა და პრინციპების ჩამოთვლა: კონფიდენციალურობა, ნეიტრალურობა თუმცა ცნებაში კონფიდენციალურობისა და მედიატორის ნეიტრალურობაზე მითითება საყოველთაოდ მიღებულად არ ითვლება. მაგალითად, ასე მოიქცნენ მედიაციის შესახებ ევროკავშირის დირექტივის ავტორები, როდესაც ეს ორი პრინციპი ცალკე იქნა გამოყოფილი და ცნებაში არ გაერთიანდა.<sup>1</sup> დავის ეფექტური გადაწყვეტის ცენტრის<sup>2</sup> მიერ მედიაციის ცნების განმარტებაში აქცენტის გაკეთება ხდება კონფიდენციალურობის ელემენტზე: „მედიაცია ეს არის მოქნილი პროცესი, რომელიც წარიმართება კონფიდენციალურად და სადაც ნეიტრალური პირი ეხმარება მხარეებს მიაღწიონ შეთანხმებას მათ შორის წარმოშობილ დავაზე, მაგრამ წარმართავს პროცესს მხარეთა კონტროლის ქვეშ დავის გადაწყვეტის საშუალებებსა და პირობებზე“.<sup>3</sup>

მედიაციის კონცეფციის განმარტებისას „ბევრი ავტორი ამ მეთოდს განიხილავს როგორც „მოლაპარაკების პროცესის გაგრძელებას“.<sup>4</sup>

როგორც ზემოხსენებულიდან ნათლად ჩანს, რიგ შემთხვევებში, მედიაციის ცნებაში კონფიდენციალურობის საკითხზე ხდება ყურადღების გამახვილება, რაც, თავის მხრივ, მედიაციაში ამ პრინციპის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

## 2.2.2. კონფიდენციალურობის პრინციპის არსი და მიზანი მედიაციაში

მედიაცია უზრუნველყოფილია უფრო მეტი კონფიდენციალურობით, ვიდრე დავის გადაწყვეტის ტრადიციული გზები.<sup>5</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ ალტერნატიული დავის გადაწყვეტის მეთოდებს კონფიდენციალურობა ახასიათებს, ყველაზე მეტად კი ეს მედიაციას ეხება.<sup>6</sup>

მედიატორები, კანონმდებლები და სასამართლოები მედიაციის პროცესის ფუნდამენტურ წარმატებად ამ პრინციპს ცნობენ.<sup>7</sup> სწორედ, ეს პრინციპი არის მედიაციაში მონაწილეობისთვის პოტენციური კლიენტის მოზიდვის ერთ-ერთი საშუალება.<sup>8</sup> აღნიშვნას საჭიროებს, რომ მედიაციაში კონფიდენციალურობის მნიშვნელობას აქსიომადაც მოიხსენიებენ<sup>9</sup> და თითქმის, საკრალურ წესადაც კი მიიჩნევენ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> *Kumpan, Christop, Bauer, Cathrin*, Mediation in der Schwiz, in: Hopt, Kalus, J. Steffek, Felix, Mediation, REchtstatstsachen, Rechtvergleich, Regelungen, “Mohr Siebeck,” Tübingen, 2008, s856, მითითებულია ნიგნში: *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 35.

<sup>2</sup> *Centre for Effective Dispute Resolution*.

<sup>3</sup> *ჯანჯალია ბ.*, მედიაცია – სასამართლოში კორპორაციული დავის განხილვის ალტერნატივა, ბიზნესი და კანონმდებლობა, 10, 2009, მე-2 აბზაცი <<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0---0---0prompt-10---4-----0-01--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=CL2.8&d=HASH01bcac37547c2abbf5f19714.8.1>>, [05.07.2013].

<sup>4</sup> *Topor R., Dragomir C. B.*, Mediation as an Alternative to Conflict Settlement, *Contemporary Readings in Law and Social Justice*, Vol. 4(1), 2012, 393, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conreadslj4&div=39&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conreadslj4&div=39&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>5</sup> *Mehta A.*, Resolving Environmental Disputes in Hush-hush World of Mediation: A Guideline of Confidentiality, *Georgetown Journal of Legal Ethics*, Vol. 10, No 3, Spring, 1997, 522, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/geojlege10&div=25&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/geojlege10&div=25&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>6</sup> *Kovach K. K.*, Mediation: Principles and Practice, 3rd ed., USA, Thomson West, 2004, 262.

<sup>7</sup> *Mehta A.*, Resolving Environmental Disputes in Hush-hush World of Mediation: A Guideline of Confidentiality, *Georgetown Journal of Legal Ethics*, Vol. 10, No 3, Spring, 1997, 522-523, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/geojlege10&div=25&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/geojlege10&div=25&collection=journals&set_as_cursor=clear)>; *Sun J. C.*, University Officials as Administrators & Mediators: the Dual Role Conflict & Confidentiality Problems, *Brigham Young University Education and Law Journal*, 1999, third para, <<http://web.ebscohost.com/ehost/detail?sid=3666f0d0-46af-4f58-9ad2-4650c1e2ed4c%40sessionmgr4&vid=1&hid=10&bdata=JnNpdGU9ZWhvc3QtbnG1ZlZQ%3d%3d#db=aph&AN=1930617>>.

<sup>8</sup> *Kotler P., Keller K. L.*, Marketing Management, Pearson Prentice Hall, 12<sup>th</sup> ed., New Jersey, 2006, 19, Figure 1.4, მითითებულია სტატიაში: *Field R., Wood N.*, Marketing Mediation Ethically: The Case of Confidentiality, *Queensland University of Technology Law & Justice Journal*, Vol. 5, No. 2, 2005, 145, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/qutlj5&div=14&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/qutlj5&div=14&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>9</sup> *Deason E. E.*, Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, *Ohio State Journal on Dispute Resolution* 239, 2002, 1, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&>

მედიაციის კონფიდენციალურობა შესაძლებელია განსხვავებულად განმარტონ დავის მხარეებმა, პრაქტიკოსებმა და აკადემიკოსებმა.<sup>2</sup> მაგალითისთვის, კონფიდენციალურობას, ინტელექტუალური საკუთრების დავაზე მედიაციაში სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ზოგისთვის ეს შეიძლება იყოს მედიაციის პროცესი, როგორც კერძო პროცესი. შესაძლებელია, ასევე ნიშნავდეს მედიაციის პროცესის დროს გაჟღერებული და განხორციელებული ქმედებების პრივილეგიას ან მხარის საკუთრებაში არსებული ინფორმაციის გამჟღავნებას განსაზღვრულ პირთათვის კონკრეტულ შემთხვევებში.<sup>3</sup>

მედიაციას ყოველთვის ახლავს მოლაპარაკება, როგორც არაფორმალური კოორდინაცია, რომელიც დავის გადაწყვეტისას ამცირებს ბარიერებს და მოლაპარაკების პროცესის მნიშვნელობას ზრდის. მედიატორები თავად კი არ წყვეტენ კონფლიქტს და არ იღებენ გადაწყვეტილებას. არამედ, მათი ეფექტურობა მომდინარეობს შესაძლებლობიდან შეხედნენ მხარეებს ინდივიდუალურად, შეისწავლონ დავის არსი, მოახდინონ თითოეული მხარის კომპრომისების იდენტიფიცირება და წაახალისონ მხარეები შეთანხმების მისაღწევად კომპრომისზე წასვლით.<sup>4</sup> კონფიდენციალურობის მოლოდინი ხელს უწყობს მხარეთა შორის გულახდილ და ღია დიალოგს, რაც აუცილებელია მედიაციის წარმატებით დასრულებისთვის,<sup>5</sup> ეხმარება მხარეებს იყვნენ პირდაპირები და გულწრფელები, ისაუბრონ თავისუფლად.<sup>6</sup> ეს პრინციპი, მედიაციის პროცესში, მხარეებს უქმნის ისეთ ატმოსფეროს, სადაც მხარეები შეუზღუდავად საუბრობენ მათ შორის არსებულ დავაზე. მედიაციის მხარეები მოლაპარაკებებს ახორციელებენ და უზიარებენ ინფორმაციას, იმ ცოდნით, რომ ეს შემდგომში საჯაროდ მათ წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული.<sup>7</sup> აუცილებელია აღინიშნოს, რომ მედიატორები კლიენტებს ამ სიტყვებით მიმართავენ – „გვენდეთ ჩვენ“. რადგანაც, მედიაციის პროცესი ეს არის ადგილი, სადაც კონფიდენციალურობას პატივს სცემენ და იცავენ.<sup>8</sup>

კონფიდენციალურობა მედიაციაში მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:<sup>9</sup>

### ეფექტური მედიაცია საჭიროებს თავისუფლებას;

მედიატორი, რომელსაც არ გააჩნია სავალდებულო ხასიათის ძალაუფლება, ეხმარება მხარეებს კონფლიქტის მიზეზების დადგენაში, შეთანხმებისათვის საფუძვლების გამონახვაში და მხარეებს მოუწოდებს ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით შეთანხმების მიღწე-

---

crawlid=1&doctype=cite&docid=17+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+239&srctype=smi&srcid=3B15&key=10a08271aa18b1f383ab0d6e85ad564c>.

<sup>1</sup> *Nolan-Haley J.*, Mediation: The "New Arbitration", *Harvard Negotiation Law Review*, Vol. 17, Spring, 2012, 69, [http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg17&div=4&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear#69](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg17&div=4&collection=journals&set_as_cursor=clear#69)>.

<sup>2</sup> *Irvine M.*, Serving Two Masters: the Obligation Under the Rules of Professional Conduct to Report Attorney Misconduct in a Confidential Mediation, *Rutgers Law Journal*, Vol.26, No. 1, Autumn, 1994, 164, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/rutlj26&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/rutlj26&div=3&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>3</sup> *Golann D.*, Mediating Legal Disputes: Effective Strategies for Neutrals and Advocates, *American Bar Association*, Printed in the United States of America, 2009, 309.

<sup>4</sup> *Topor R., Dragomir C. B.*, Mediation as an Alternative to Conflict Settlement, *Contemporary Readings in Law and Social Justice*, Vol. 4(1), 2012, 393, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conreadlsj4&div=39&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conreadlsj4&div=39&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>5</sup> *Rausch M.*, The Uniform Mediation Act, *Ohio State Journal Dispute Resolution*, Vol. 18:2, 2003, 603, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr18&div=26&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr18&div=26&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>6</sup> *Sherman E., F.*, Confidentiality in ADR, *Proceedings: Policy Issues Arising from the Texas Experience*, *South Texas Law Review* 541, (1997), მითითებულია ნიგნში: *Kovach K. K.*, *Mediation: Principles and Practice*, 3<sup>rd</sup> ed., USA, 2004, 267.

<sup>7</sup> *Macturk H. C.*, Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exceptions, *American Journal of Trial Advocacy*, Vol. 19, Issue 2, Fall, 1995, 412, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear#431](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&collection=journals&set_as_cursor=clear#431)>.

<sup>8</sup> *Waldman E.*, *Mediation Ethics: Cases and Commentaries*, Jossey-Bass, 2011, 227.

<sup>9</sup> *Freedman L.R., Prigoff M. L.*, Confidentiality in Mediation: The Need for Protection, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 2, No. 1, Fall, 1986, 37, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr2&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr2&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

ვაში. სწორედ, მედიატორმა უნდა დაანახოს მხარეებს პოზიციები და ინტერესები. ამის მიღწევა შეუძლებელია თუ მხარეები საკითხებს მუდმივად მათი გადმოსახედიდან შეაფასებენ.<sup>1</sup> ასეთ დროს, ხშირად ხდება სენსიტიური დეტალების წამოჭრა.<sup>2</sup> კერძოდ, კომპრომისული მოლაპარაკებები ხშირად მოითხოვს დავის მხარეების მხრიდან აღნიშვნას ისეთ საკითხებზე, რასაც სხვა შემთხვევაში არ დათანხმდებოდნენ. კონფიდენციალურობა უზრუნველყოფს, რომ მხარეები ნებაყოფლობით ჩაერთვებიან პროცესში და შემდგომში ეფექტურად, წარმატებულად მიიღებენ მონაწილეობას მედიატორში.<sup>3</sup>

### **დავის მხარეების გულწრფელობა მოითხოვს კონფიდენციალურობას;**

მედიაციის დროს, განსხვავებით ტრადიციული მართლმსაჯულებისგან, მხარეები კომუნიკაციას ახორციელებენ იმ მოლოდინით, რომ მომავალში ამით შეზღუდულები, შებოჭილები იქნებიან. შემდგომში, თუ ერთ-ერთი მხარე უფრო კმაყოფილი იქნება მიღწეული შედეგით, შესაძლებელია, რომ ამ პროცესებში შეტყობილი ინფორმაციით ზიანი მიაყენოს მეორე მხარეს. შესაბამისად, მედიაციის დროს მიღებული ინფორმაცია, გულუბრყვილო ადამიანების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული თუ არ მოხდება სასამართლოში მტკიცებულების დაუშვებლად გამოცხადება.<sup>4</sup>

### **მედიატორი უნდა იყოს ნეიტრალური ფაქტებსა და მათ აღქმასთან დაკავშირებით;**

სასამართლოში, მედიატორის მიცემული ჩვენება გარდაუვლად დაკვალიფიცირდება, როგორც ერთ-ერთი მხარისთვის სასარგებლო ჩვენება. არ აქვს მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, მედიატორი რამდენად ფრთხილი იქნება. შესაბამისად, სასამართლოში ჩვენების მიცემა მედიატორის, როგორც მიუკერძოებელი შუამავლის, ეფექტურობას გაანადგურებს.<sup>5</sup>

### **კონფიდენციალურობა არის ბევრისთვის მიზეზი დავის გადასაწყვეტად მედიაციის არჩევისთვის;**

დავის საგანი იქნება სავაჭრო საიდუმლო თუ „ბინძური სამრეცხაოს სუნი“, მხარეებისთვის მთავარი მოტივაცია ამ მეთოდით დავის გადაწყვეტისას არის ის, რომ მათ შეუძლიათ დავა მოაგვარონ უფრო მშვიდად და არაფორმალურ გარემოში.<sup>6</sup>

### **მედიატორებისა და მედიაციის პროგრამების დაცვა.**

მედიაციის სათანადო შეფასებისთვის, ადეკვატური ჩანაწერების გაკეთება აუცილებელია. რამდენადაც, მედიაციის პროგრამების განმხორციელებელი პირები არ არიან დარწმუნებულები იმოქმედებს თუ არა, ჩანაწერებთან დაკავშირებით, კონფიდენციალურობის დაცვა საკანონმდებლო დაცვის არარსებობის დროს, სწორედ ამიტომ, ამ პრინციპის დაცვის მიზნით, ანადგურებენ ამ ჩანაწერებს, დოკუმენტებს.<sup>7</sup>

<sup>1</sup> *Freedman L.R. , Prigoff M. L., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 2, No. 1, Fall, 1986, 38, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr2&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr2&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>2</sup> *Freedman L. R. , Prigoff M. L., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 2, No.1, Fall, 1986, 38, < [http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr2&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr2&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>; Henke E. M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 3.*

<sup>3</sup> *Freedman L. R. , Prigoff M. L., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 2, No.1, Fall, 1986, 38, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr2&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr2&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

ამგვარად, ბევრი მიზეზი არსებობს იმის სასარგებლოდ თუ რატომ არის კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანი მედიაციისთვის.<sup>1</sup>

„გარკვეული გარანტიების გარეშე, არც ჭკვიანი მხარე და არც ადვოკატი დათანხმდება მედიაციის პროცესის დროს ინფორმაციის გამჟღავნებას თუ ეს შემდგომში სასამართლოში, მათ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული“.<sup>2</sup> ამასთანავე, დავის გადაწყვეტის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები დაიკარგებოდა.<sup>3</sup> იმისათვის, რომ მედიაცია ნარმატიული იყოს ორივე მხარისთვის, აუცილებელია მოლაპარაკების ნარმოება. მედიაცია ამ უკანასკნელის გარეშე არ არსებობს.<sup>4</sup> უმთავრესი საკითხია, რომ მხარეებმა სრულად მიანოდონ ის მიზეზები და განმარტებები მათ შემოთავაზებებზე, ვარაუდებზე, მოლოდინებზე. პირადი, ქონებრივი ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლა, შესაძლოა აუცილებელი გახდეს დავის ნარმატიებით გადაწყვეტის მიზნით.<sup>5</sup> კომუნიკაციის სრულად განხორციელების მიზნით, ამ პრინციპის არსებობა მნიშვნელოვანია.<sup>6</sup> სწორედ ამიტომ აღნიშნავენ, რომ კონფიდენციალურობას მედიაციის ნარმატიებაში ცენტრალური ადგილი უკავია.<sup>7</sup>

კონფიდენციალურობა მედიაციაში იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ შტატების გაერთიანებული კანონმდებლობის შესახებ კომისიონერების ნაციონალურმა კონფერენციამ<sup>8</sup> განსაზღვრა, რომ საერთო ან/და მოდელური აქტის<sup>9</sup> შედგენისას, კონფიდენციალურობის რეგულაცია იქნებოდა მთავარი საკითხი.<sup>10</sup>

მედიაციაში კონფიდენციალურობის პრინციპის რეგულაცია განსხვავდება სხვადასხვა იურისდიქციაში.<sup>11</sup> მაგალითად, ფინეთში სასამართლოსთან არსებული მედიაციის სამსახურის პროცესი არის საჯარო, განსხვავებით სასამართლოს გარეთ არსებული მედიაციის პროცესისა.<sup>12</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაციის განმავლობაში მხარეთა შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს კონფიდენციალურად და მოლაპარაკებების შედეგს, ასევე, სავალდებულო ძალა არ აქვს. გამოცდილება აჩვენებს, რომ მედიაცია კონფიდენციალურობის გამო, უფრო მეტად ეფექტურია.<sup>13</sup>

<sup>1</sup> *Freedman L. R., Prigoff M. L., Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 2, No.1, Fall, 1986, 38-39, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdr2&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdr2&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear).*

<sup>2</sup> *Peterson A. L. H., Substantive Law Clash: An Inquiry into the Impact of in re Marriage of Kieturakis on California's Confidentiality Law, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol. 8, No.1, 2007, 199, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds8&div=12&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds8&div=12&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> *Roberts, Marian Mediation in Family Disputes, Principles and Practice, 3<sup>rd</sup> ed., "Ashagte", Padstwo, 2008, 8, მითითებულია წიგნში: ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 43-44.*

<sup>5</sup> *Callahan R., Mediation Confidentiality: For California Litigants, Why Should Mediation Confidentiality be a Function of the Court in Which the Litigation is Pending, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol. 12, No. 1, 2012, 65, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds12&div=5&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds12&div=5&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>6</sup> *Deason E. E., Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, Ohio State Journal on Dispute Resolution 239, Vol. 17, 2002, 3, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=17+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+239&srctype=smi&srcid=3B15&key=10a08271aa18b1f383ab0d6e85ad564c>>.*

<sup>7</sup> *Macturk H. C., Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exceptions, American Journal of Trial Advocacy, Vol. 19, Issue 2, Fall, 1995, 412, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear#431](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&collection=journals&set_as_cursor=clear#431)>.*

<sup>8</sup> *National Conference of Commissioners on Uniform State Laws.*

<sup>9</sup> *Uniform or/and Model Mediaton Act.*

<sup>10</sup> *Kovach K. K., Mediation: Principles and Practice, Third edition, Printed in the United States of America, Thomson West, 2004, 262.*

<sup>11</sup> *Deason E. E., Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, Ohio State Journal on Dispute Resolution 239, Vol. 17, 2002, 2, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=17+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+239&srctype=smi&srcid=3B15&key=10a08271aa18b1f383ab0d6e85ad564c>>.*

<sup>12</sup> *Palo G.D., Trevor M.B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Printed in Great Britain, Oxford University Press, 2012, 99.*

<sup>13</sup> *The Law Society of NSW, Fast Answers - What is Mediation, <<http://www.lawsociety.com.au>>, August, 2005, მითითებულია სტატიაში: Field R., Wood N., Marketing Mediation Ethically: The Case of Confidentiality, Queensland University of Technology Law & Justice Journal, Vol. 5, No. 2, 2005, 146, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/qutlj5&div=14&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/qutlj5&div=14&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

### 2.2.3. კონფიდენციალურობის პრინციპის დადებითი და უარყოფითი მხარეები

კონფიდენციალურობა არის მედიაციის პირველი წესი.<sup>1</sup> ამის მიუხედავად, შესაძლებელია იყოს მისი შეზღუდვის საჭიროება, იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, როდესაც მხარეებს სურთ ბოროტად გამოიყენონ პროცესი.<sup>2</sup> შესაძლებელია, მხარის მიზანი იყოს სასამართლო პროცესის გაჭიანურება, მედიაციის პროცესში მონაწილეობა მიიღონ და შემდგომში მოალაპარაკებაზე უარი თქვან.<sup>3</sup> იმ იმედით, რომ მედიაცია კონფიდენციალურია, შესაძლებელია, მხარემ არასწორი ფაქტები წარადგინოს. არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მეორე მხარე ზარალდება და, ამავდროულად, მხარის არაკეთილსინდისიერების ფაქტის დამტკიცება რთულია. ეს შემდგომში გულისხმობს, რომ „ერთხელ დაზარალებული მხარე, კი სავარაუდოდ, აღარ აირჩევს მედიაციას დავის გადაწყვეტისათვის“. თავის მხრივ, „ეს მედიაციის განვითარებას დააბრკოლებს“. <sup>4</sup> შესაძლებელია, ამით ზიანი მიადგეს როგორც მხარეებს, ასევე მესამე პირებს,<sup>5</sup> რომლებზეც გავლენას ახდენს მედიაციის შედეგები.<sup>6</sup>

დაზარალებულ მხარეს, ფაქტობრივად, დაცვის გარანტიები არ ექნება მედიაციის პროცესში მეორე მხარის მხრიდან არაკეთილსინდისიერებისას, თუ სახეზე იქნება აბსოლუტური კონფიდენციალურობა. ამავ დროს, დადებითი მხარეა, როდესაც მედიაცია არ არის ჩაკეტილი და საზოგადოება ინფორმირებულია ამ ინსტიტუტის თაობაზე, რაც ხელს უწყობს მედიაციის მიმართ ნდობას.<sup>7</sup> მეორე მხრივ, ფართოდ მიღებულია კომუნიკაციებისა და მასალების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, მედიაციაში პრივილეგიების ან სხვა სახის გარანტიების არსებობა, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ყავს ამ პოზიციას თავისი კრიტიკოსები. ბევრ მეცნიერს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი საკითხების<sup>8</sup> გადაწყვეტის უფლებას მოკლებულია სასამართლო და, თავის მხრივ, საზოგადოებაც მოკლებულია სასამართლო პრეცედენტს.<sup>9</sup> შესაძლებელია, აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგებოდეს გამჭვირვალობის დემოკრატიულ პრინციპსა და საზოგადოების პროცესებში ჩართულობას.<sup>10</sup>

თუმცა, აღნიშნული პრივილეგიები საზოგადოებრივ პრობლემებს<sup>11</sup> არ ქმნიან. დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებში, მხარეები უფრო მეტად არიან ჩართულები. თუ გარ-

<sup>1</sup> Richbell D., *Mediation of Construction Disputes*, Printed in Singapore, Blackwell Publishing, 2008, 75.

<sup>2</sup> *ცერცვაძე გ. (რედ.)*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 31, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [05.07.2013].

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> Kovach K. K., *Mediation: Principles and Practice*, 3<sup>rd</sup> ed., USA, Thomson West, 2004, 273, მითითებულია კვლევაში: *ცერცვაძე გ. (პასუხისმგებელი რედაქტორი)*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 31-32, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [05.07.2013].

<sup>5</sup> *Third parties.*

<sup>6</sup> Hardy S., Rundle O., *Mediation for Lawyers*, Australia, CCH Australia Limited, 2010, 170.

<sup>7</sup> *ცერცვაძე გ. (რედ.)*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 32, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>, [24.12.2012].

<sup>8</sup> *Public matters.*

<sup>9</sup> Owen R. M., *In re Uncertainty: A Uniform and Confidential Treatment of Evidentiary and Advocatory Materials Used in Mediation*, Ohio State Journal on Dispute Resolution 911, Vol. 20, 2005, 3, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=20+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+911&srctype=smi&srcid=3B15&key=3dc000a820890358d54088642b9b845f>>.

<sup>10</sup> Deason E. E., *Symposium: Deason E. E., Symposium: Secrecy and Transparency in Dispute Resolution: The Need for Trust as a Justification for Confidentiality in Mediation: A Cross-Disciplinary Approach*, Kansas Law Review 1387, Vol. 54, June, 2006, 1, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=54+Kan.+L.+Rev.+1387&srctype=smi&srcid=3B15&key=512f3bacd52d582393a1235f2a59d>>.

<sup>11</sup> *Public hardship.*



კვეული პრეცედენტი ან ინფორმაცია, კონფიდენციალურობის დაცვიდან გამომდინარე, არ მულავნდება, გადანონილია მედიაციის მონაწილე მხარეთა ბენეფიტებით. მედიაციის პრივილეგიები მცირე ზიანს აყენებს საზოგადოებას. მაშინ როდესაც, ერთმანეთის საპირისპიროდ არის მცირე ზიანი და არსებითი ბენეფიტები,<sup>1</sup> რასაკვირველია, საკითხი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.<sup>2</sup>

აქედან გამომდინარე, მედიაციაში კონფიდენციალურობის მნიშვნელობა უდავოა. თუმცა, აბსოლუტურ კონფიდენციალურობას შესაძლოა ჰქონდეს ასევე, სხვა უარყოფითი შედეგები. სწორედ, ამიტომ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს გარკვეული შეზღუდვები და დაიცვას კეთილსინდისიერი მხარის ინტერესები.

### 2.3. კონფიდენციალურ ინფორმაციად დაკვალიფიცირების ფარგლები

მედიაციის მონაწილე მხარეებს, კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით, ოთხი სახის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვთ:

- 1) არაფერია კონფიდენციალური;
  - 2) ყველაფერი არის კონფიდენციალური;
  - 3) არაფერი არის კონფიდენციალური, გარდა იმისა, რასაც პირდაპირ აღნიშნავენ;
  - 4) ყველაფერი არის კონფიდენციალური გარდა იმისა, რაზეც მხარეები შეთანხმდებიან.<sup>3</sup>
- კონფიდენციალურობა შესაძლებელია ორ კატეგორიად დაიყოს:

ა) „პროცესის“ საკითხები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული დავის გადანყვეტის თვალსაზრისით, და ბ) „საჯარო ხელმისაწვდომობა“ – ალტერნატიული გადანყვეტა, რომელიც დაკავშირებულია პროცესის დავის პერიოდში განხორციელებული კომუნიკაციის ხელმისაწვდომობასთან.<sup>4</sup>

თუმცა, კონფიდენციალურობის ფარგლები ალტერნატიული დავის გადანყვეტის პროცესებში განგრძობითი პრობლემური საკითხია.<sup>5</sup> აუცილებელია განისაზღვროს რა მომენტიდან იწყება და წყდება აღნიშნული პრინციპის მოქმედება.

სსსკ-ს 187<sup>8</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლო მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია.<sup>6</sup> თუმცა კანონმდებელი არ განმარტავს, როდის იწყება და მთავრდება მედიაციის პროცესი. 2002 წლის საერთაშორისო კომერციული მედიაციის შესახებ *UNCITRAL*-ის მოდელური კანონის<sup>7</sup> მიხედვით ყველა რელევანტური ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულ იქნა მხარის მიერ მედიატორისთვის წარმოადგენს კონფიდენციალურს, აღნიშნული მოიცავს ასევე მედიაციის<sup>8</sup> დაწყებამდე არსებულ ინფორმაციასაც.<sup>9</sup> მაგალითად, ასეთი ინფორმაცია და

<sup>1</sup> *Substantial benefits.*

<sup>2</sup> *Owen R. M., In re Uncertainty: A Uniform and Confidential Treatment of Evidentiary and Advocatory Materials Used in Mediation, Ohio State Journal on Dispute Resolution 911, Vol. 20, 2005, 3, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=20+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+911&srctype=smi&srcid=3B15&key=3dc000a820890358d54088642b9b845f>>.*

<sup>3</sup> *Abramson H. I., Mediation Representation, Advocating as a Problem-solver in any Country or Culture, National Institute for Trial Advocacy, 2010, 329.*

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> *Sherman E., F., Confidentiality in ADR, Proceedings: Policy Issues Arising from the Texas Experience, South Texas Law Review 541, (1997) ნიგნში: Kovach K. K., Mediation: Principles and Practice, 3<sup>rd</sup> ed., U S A, Thomson West, 2004, 267.*

<sup>6</sup> სსსკ, მე-9 მუხლი, 1-ლი ნაწილი, სსმ, 1106-ლს, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 1956-III, 13.05.1999].

<sup>7</sup> *UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation of 2002.*

<sup>8</sup> 2002 წლის საერთაშორისო კომერციული მედიაციის შესახებ *UNCITRAL*-ის მოდელური კანონის მიზნებისთვის *Conciliation* და მედიაცია ნიშნავს ერთსა და იმავეს. წინამდებარე სტატიის მიზნებისთვის ყველგან შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც მედიაცია.

<sup>9</sup> *Henke E.M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 38.*

საკითხები შეიძლება იყოს შეხვედრები და დისკუსია, რომელიც ეხება ხელშეკრულების პირობებს, მედიატორების შერჩევას და სურვილს დავა გადაწყდეს მედიაციით.<sup>1</sup>

UMA-ით დაცულია კომუნიკაცია, რომელიც განხორციელდა მედიატორთან ერთად მედიაციის დანეგბამდე, პერიოდში ან გაგრძელებისას.<sup>2</sup> UMA-ს თანახმად, მედიატორს შეუძლია განაცხადოს ინფორმაცია მედიაციის პროცესის ჩატარების, მხარეთა დასწრებისა და შეთანხმების მიღწევის ფაქტების შესახებ.<sup>3</sup> ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის ცალკეული ასპექტების თაობაზე 2008/52/EC დირექტივის<sup>4</sup> მე-7 და მე-8 მუხლების ფორმულირება ცხადყოფს, რომ მედიაციის დანეგბა და დასასრული არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.<sup>5</sup> ამ დირექტივის მე-7 და მე-8 მუხლების მიზნების თანაფარდობის გათვალისწინებით, წევრ ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ გადანეგბეტილება და დაარეგულირონ სხვაგვარად.<sup>6</sup>

როგორც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, UMA-სთან შედარებით 2002 წლის საერთაშორისო კომერციული მედიაციის შესახებ UNCITRAL-ის მოდელური კანონის რეგულაცია კონფიდენციალურობით უფრო დაცვას სთავაზობს მხარეებს. ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის ცალკეული ასპექტების თაობაზე 2008/52/EC დირექტივა წევრ ქვეყნებს აძლევს საშუალებას დაადგინონ უფრო მკაცრი წესები კონფიდენციალურობასთან მიმართებით ვიდრე ეს გათვალისწინებულია დირექტივით.<sup>7</sup> მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონფიდენციალურ ურთიერთობებში იყო გაცემული ინფორმაცია არ გულისხმობს, რომ სასამართლო მას განიხილავს როგორც პრივილეგიას.<sup>8</sup> კომუნიკაციების კონფიდენციალურად განხილვის შეფასებისთვის აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება – „ვიგმორის“<sup>9</sup> ოთხელემენტისანი ტესტი“:

- კომუნიკაცია განხორციელდა იმ შეხვედრებით, რომ ეს ინფორმაცია არ გამჟღავნდებოდა;
- ურთიერთობების წარმატებისთვის ინფორმაციის საიდუმლოდ შენარჩუნება აუცილებელია;
- ისეთი ურთიერთობაა, რომელიც საზოგადოებამ უნდა დაიცვას და ხელი შეუწყოს;
- ინფორმაციის გავრცელებიდან მიღებული ზიანი უნდა აღემატებოდეს საზოგადოების სარგებელს, ინფორმაციის გაუმჟღავნებლობისას.<sup>10</sup>

<sup>1</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation with Guide to Enactment and Use, 2002, 41, <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953\\_Ebook.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953_Ebook.pdf)>, [07.07.2013].

<sup>2</sup> *Deleissegues C.*, Mediation Confidentiality: Has it Gone too Far? , University of La Verne Law Review, Vol. 33, Issue 1, November, 2011, 129, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> *Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters.*

<sup>5</sup> *Henke E.M.*, Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 30.

<sup>6</sup> იქვე, 31.

<sup>7</sup> *Directive 2008/52/EC European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, Article 7 para., 2*, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ.L:2008:136:0003:0008:En:PDF>>, [07.07.2013].

<sup>8</sup> *Gray O.V.*, Protecting the Confidentiality of Communications in Mediation, *Osgoode Hall Law Journal*, Vol. 36, No. 4, 1998, 679-680, <[http://www.ohlj.ca/archive/articles/36\\_4\\_gray.pdf](http://www.ohlj.ca/archive/articles/36_4_gray.pdf)>, [29.06.2013].

<sup>9</sup> *Wigmore four-prong test.*

<sup>10</sup> *Rosenberg J. P.*, Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 10, No.1, 1994, 157, 161-162, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp10&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults&terms=Keeping%5Bthe%5BLid%5Bon%5BConfidentiality&type=matchall#201](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp10&div=3&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults&terms=Keeping%5Bthe%5BLid%5Bon%5BConfidentiality&type=matchall#201)>, მიითითებულია სტატიაში: *Deleissegues C.*, Mediation Confidentiality: Has it Gone too Far?, University of La Verne Law Review, Vol.33, Issue 1, November, 2011,124-125,<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

ტესტი აბალანსებს კონფიდენციალურობის დაცვას ინფორმაციის გავრცელების პოტენციურ ზიანთან მიმართებით და გამოიყენება იმ შტატებში, სადაც საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული აღნიშნული საკითხი.<sup>1</sup>

ბულგარეთის კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ყველა სახის დისკუსია, რაც უკავშირდება მედიაციის პროცესს არის კონფიდენციალური.<sup>2</sup> რაც შეეხება იტალიის კანონმდებლობას, აქ კონფიდენციალურობა მედიაციის პროცესზე ვრცელდება, მაგრამ პროცესის ფარგლები არ არის განმარტებული. აქედან გამომდინარე, დაუდგენელია: მოიცავს მხოლოდ მედიაციის სესიას თუ ევროპული დირექტივის მოთხოვნის თანახმად ვრცელდება მთლიანად პროცესზე, ერთი მხარის მიერ მედიაციის გამოყენებაზე განცხადების წარდგენის მომენტიდან, რომელიც გრძელდება მანამ სანამ არ მოხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.<sup>3</sup>

ლუქსემბურგის კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ყველა დოკუმენტი, კომუნიკაცია, განცხადება, რაც განხორციელდა, შედგენილ იქნა მედიაციის დროს ან არის მასთან დაკავშირებული კონფიდენციალური.<sup>4</sup>

კალიფორნიის შტატის კანონმდებლობა ფართოდ ასახავს კონფიდენციალური ინფორმაციის ფარგლებს და სამედიაციო კონსულტაციაზე<sup>5</sup> ავრცელებს ამ პრინციპს.<sup>6</sup> თავის მხრივ, სამედიაციო კონსულტაცია განიმარტება მედიატორსა და პირს შორის კომუნიკაციად. მაგრამ, კომუნიკაცია არ მოიცავს ნებისმიერ საკითხს და შეზღუდულია შემდეგი თემატიკით: მედიაციის ინიცირებით, განხილვით ან ხელახლა მონვევით, ან მედიატორის შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკითხებით.<sup>7</sup> რაც შეეხება, ორეგონის შტატის კანონმდებლობას, არ არის სრულყოფილი და განსაზღვრული ვრცელდება თუ არა პრივილეგია იმ გადაცემულ მასალებზე, რომელიც მედიაციის ოფიციალურ დაწყებამდე გადაეცემა.<sup>8</sup>

ზოგიერთი კანონი კონფიდენციალურად მიიჩნევს მხოლოდ იმ საკითხებს, რაც მხარეთა დავის საგანს წარმოადგენს და არა ყველა სახის გამოთქმულ ინფორმაციას.<sup>9</sup>

მედიაციის პროცესის ფარგლების განსაზღვრა არის უმნიშვნელოვანესი საკითხი კონფიდენციალურობის პრინციპის განხილვისას, რადგანაც, თავის მხრივ, პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველი არის კონფიდენციალურობის პრინციპის ფარგლები.

<sup>1</sup> Rosenberg J. P., Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 10, No.1, 1994, 161, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp10&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults&terms=KeepingtheLidonConfidentiality&type=matchall#201](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp10&div=3&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults&terms=Keeping%5Bthe%5BLid%5Bon%5BConfidentiality&type=matchall#201)>, მითითებულია სტატიაში: *Deleissegues C.*, Mediation Confidentiality: Has it Gone too Far?, University of La Verne Law Review, Vol. 33, Issue 1, November, 2011, 125, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuvl33&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuvl33&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>2</sup> Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Printed in Great Britain, Oxford University Press, 2012, 35.

<sup>3</sup> იქვე, 91.

<sup>4</sup> იქვე, 240.

<sup>5</sup> *Mediation consultation.*

<sup>6</sup> Callahan R., Mediation Confidentiality: For California Litigants, Why Should Mediation Confidentiality be a Function of the Court in Which the Litigation is Pending, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol. 12, No. 1, 2012, 66, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds12&div=5&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds12&div=5&collection=journals&set_as_cursor=clear)>; Sharp D., The Many Faces of Mediation Confidentiality, Dispute Resolution Journal, Vol. 53, Issue 4, November, 1998, 58, <<http://web.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?vid=4&sid=07a682dd-06a2-404c-9708-9c135e7e9d30%40sessionmgr12&hid=11>>, [29.06.2013].

<sup>7</sup> Callahan R., Mediation Confidentiality: For California Litigants, Why Should Mediation Confidentiality be a Function of the Court in Which the Litigation is Pending, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol. 12, No. 1, 2012, 66, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds12&div=5&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds12&div=5&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>8</sup> Owen R. M., In re Uncertainty: A Uniform and Confidential Treatment of Evidentiary and Advocatory Materials Used in Mediation, Ohio State Journal on Dispute Resolution 911, Vol. 20, 2005, 4-5, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=20+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+911&srctype=smi&srcid=3B15&key=3dc000a820890358d54088642b9b845f>>.

<sup>9</sup> Macturk H. C., Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exceptions, American Journal of Trial Advocacy, Vol.19, Issue 2, Fall, 1995,423,<[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrd19&div=25&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear#431](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrd19&div=25&collection=journals&set_as_cursor=clear#431)>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყანასა თუ შტატს განსხვავებული მიდგომა აქვს კონფიდენციალურობის ფარგლებთან დაკავშირებით.

### 2.3.1. კომუნიკაცია მედიაციის პროცესში

კონფიდენციალურობის დაცვის ფარგლები აუცილებელია გავრცელდეს ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაზე.

არავერბალურ კომუნიკაციას არსებითი ადგილი უკავია კომუნიკაციაში. როგორც მეცნიერებმა დაადგინეს ინფორმაციის დაახლოებით 55%-ს ადამიანები იგებენ არავერბალური ქმედებებით, 38%-ს მოსაუბრის ხმის ტონითა და ტემპრით და მხოლოდ 7%-ს გამოთქმული ინფორმაციიდან.<sup>1</sup>

რაც შეეხება კომუნიკაციის დეფინიციას, *UMA*-ს დეფინიციების მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ მედიაციის კომუნიკაცია გულისხმობს განცხადებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ზეპირი, ჩანაწერის, ვერბალური ან არავერბალური სახით მედიაციის პროცესის განმავლობაში ან იმ მიზნით, რომ განიხილოს, იხელმძღვანელოს, მონაწილეობა მიიღოს, ინიცირება გააკეთოს, გააგრძელოს, ხელახლა მოიწვიოს მედიაცია ან შეინარჩუნოს მედიატორი.<sup>2</sup> აშშ-ში ბევრი შტატი მედიაციის კომუნიკაციის ბუნდოვან და გაურკვეველ განმარტებას ითვალისწინებს.<sup>3</sup>

საერთო სამართალოში კომპრომისული მოლაპარაკებების ეტაპზე აღნიშნული ფაქტები შესაძლებელია შემდგომში სასამართლოში იქნეს გამოყენებული, მაშინ როდესაც დაუშვებელია სასამართლო პროცესზე აღინიშნოს შეთავაზებები მოლაპარაკებაზე.<sup>4</sup> ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად კი, პროცესის მხარეები შებოჭილი არიან ნებისმიერი შემთხვევის, დოკუმენტის, მათ შორის, ფაქტის კონფიდენციალურობით, რომელიც გამოყენებულია პროცესში.<sup>5</sup>

მედიაციის კომუნიკაციის ცნების არარსებობა კოლორადოს შტატის საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან ხარვეზად არის მიჩნეული. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მედიაციაში კომუნიკაციების კონფიდენციალური ბუნების კუთხით მედიაციის ყველა ეტაპზე, თუმცა არ დაუდგენია ტესტი იმის განსაზღვრად, თუ რა არის მიჩნეული პრივილეგირებულად.<sup>6</sup> ოჰაიოს შემთხვევაში განმარტება დადგენილია, თუმცა ბუნდოვანად: კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს მედიაციის ფარგლებში და უნდა ეხებოდეს მედიაციით განსახილველ საკითხს. პენსილვანიის კანონმდებლობა მედიაციის პრივილეგიებთან და მედიაციის მასალების დაცვასთან დაკავშირებით, სხვა შტატების კანონმდებლობასთან შედარებით, უფრო სრულყოფილია. ნათლად განსაზღვრულია, რომ მედიაციის დროს განხორციელებული კომუნიკაცია კონფიდენციალურია. ასევე, აფართოებს დაცვის ფარგლებს და კანონმდებელი აღნიშნავს, რომ მედიატორთან განხორციელებული კომუნიკაცია კონფიდენციალურია ფორმალური სესიის გარეშე.<sup>7</sup> ალაბამას სამოქალაქო სასამართლოს მედიაციის წესების<sup>1</sup> მე-11 მუხლში, და-

<sup>1</sup> *Alfini J.J., Press S.B., Sternlight J. R., Stulberg J. B., Mediation Theory and Practice, 2<sup>nd</sup> ed., Lexisnexis, 2006, 124.*

<sup>2</sup> *Uniform Mediation Act, <<http://apps.leg.wa.gov/rcw/default.aspx?cite=7.07.010>>, [07.07.2013];* იხ. ორიგინალი: “Mediation communication” means a statement, whether oral or in a record or verbal or nonverbal, that occurs during a mediation or is made for purposes of considering, conducting, participating in, initiating, continuing, or reconvening a mediation or retaining a mediator.

<sup>3</sup> *Owen R. M., In re Uncertainty: A Uniform and Confidential Treatment of Evidentiary and Advocatory Materials Used in Mediation, Ohio State Journal on Dispute Resolution 911, Vol. 20, 2005, 4, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=20+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+911&srctype=smi&srcid=3B15&key=3dc000a820890358d54088642b9b845f>>.*

<sup>4</sup> *Thompson P. N., Confidentiality, Competency and Confusion: The Uncertain Promise of the Mediation Privilege in Minnesota, Hamline Journal of Public Law & Policy, Vol. 18, No. 2, Spring, 1997, 331-332, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp18&div=4&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp18&div=4&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>5</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 35.*

<sup>6</sup> *Owen R. M., In re Uncertainty: A Uniform and Confidential Treatment of Evidentiary and Advocatory Materials Used in Mediation, Ohio State Journal on Dispute Resolution 911, Vol. 20, 2005, 5, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=20+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+911&srctype=smi&srcid=3B15&key=3dc000a820890358d54088642b9b845f>>.*

<sup>7</sup> იქვე.

მატებით აღნიშნულია, რომ ელექტრონული ფორმით გაცემული ინფორმაცია ექვემდებარება დაცვას.<sup>2</sup>

### 2.3.2. მედიაციის პროცესში შედგენილი და წარდგენილი დოკუმენტები

შედგენილი დოკუმენტები, რომლებიც მედიაციისთვის არის მომზადებული, და წარდგენილია მედიატორის ან/და მოწინააღმდეგე მხარისთვის, საჭიროებს ისეთივე დაცვას, როგორც კომუნიკაცია.<sup>3</sup> ნებისმიერი დოკუმენტაცია, რომელიც მედიაციის პროცესის მიზნისთვის არის შედგენილი იქნება კონფიდენციალური.<sup>4</sup>

ორი სახის მასალები უნდა იქნეს დაცული კონფიდენციალურობით: პირველი, წერილობითი მასალები, რომელიც შეიძლება ან არ შეიძლება განხილულ იქნეს კომუნიკაციად. ეს დამოკიდებულია შესაბამისი კანონის განმარტებაზე. მეორე, მტკიცებულება, რომელიც მედიაციის გამოიყენება და აფასებს ერთი მხარის პოზიციას და მომზადებულია მხოლოდ ამ მიზნით.<sup>5</sup>

პირველ კატეგორიაში შედის მედიაციის ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ გამოყენებული წერილობითი დოკუმენტები. ასეთი მასალები მოიცავს მედიაციის პროცესის ოქმს, მოხსენებებს, წერილებს, მემორანდუმს, რომლებიც უნდა იქნეს მხარეთა შორის დადებული ან წარდგენილი მხარის მიერ მედიატორისთვის მედიაციასთან დაკავშირებით ან ამყარებდეს და იცავდეს ერთ-ერთი მხარის პოზიციას მედიაციისში.<sup>6</sup>

მეორე კატეგორია მოიცავს შეფასებითი მტკიცებულებას,<sup>7</sup> რომელიც ერთი მხარის პოზიციებს ამყარებს და ინფორმაციულია სხვა მხარეებისა და მედიატორისთვის.<sup>8</sup> ამ ტიპის დოკუმენტები მოიცავს მხარეთა შორის წარდგენილ მტკიცებულებებსა და მედიატორისთვის მიწოდებულ მასალებს. ამასთანავე, აუცილებელია მხარე მოქმედებდეს იმ მოლოდინით, რომ დაცული იქნება კონფიდენციალურობა წარდგენილ დოკუმენტებთან დაკავშირებით.<sup>9</sup>

კორესპონდენცია არის კონფიდენციალური, თუმცა, ერთ შემთხვევაში, სასამართლომ არ აღნიშნა განიხილებოდა თუ არა წერილი დასაშვებ მტკიცებულებად, როდესაც დასადგენი იქნებოდა მხარის კეთილსინდისიერება მედიაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით.<sup>10</sup> ჩანაწერები, რომლებიც კეთდება მედიაციის პროცესის განმავლობაში ასევე, წარმოადგენს კონფიდენციალურს დაუშვებელ მტკიცებულებად განხილვის წესის<sup>11</sup> თანახმად.<sup>12</sup> ასევე,

---

<sup>1</sup> *Alabama Civil Court Mediation Rules.*

<sup>2</sup> *Potter H. R., Confidentiality in Mediation and the Duty to Report Child Abuse, The Journal of the Legal Profession, Vol. 29, No. 1, Spring, 2005, 274, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jlegpro29&div=18&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear#275](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jlegpro29&div=18&collection=journals&set_as_cursor=clear#275)>.*

<sup>3</sup> *Owen R. M., In re Uncertainty: A Uniform and Confidential Treatment of Evidentiary and Advocatory Materials Used in Mediation, Ohio State Journal on Dispute Resolution 911, Vol. 20, 2005, 3, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=20+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+911&srctype=smi&srcid=3B15&key=3dc000a820890358d54088642b9b845f>>.*

<sup>4</sup> *Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, Australia, CCH Australia Limited, 2010, 189.*

<sup>5</sup> *Owen R. M., In re Uncertainty: A Uniform and Confidential Treatment of Evidentiary and Advocatory Materials Used in Mediation, Ohio State Journal on Dispute Resolution 911, Vol. 20, 2005, 3, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=20+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+911&srctype=smi&srcid=3B15&key=3dc000a820890358d54088642b9b845f>>.*

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> *Evaluative evidence.*

<sup>8</sup> *Owen R. M., In re Uncertainty: A Uniform and Confidential Treatment of Evidentiary and Advocatory Materials Used in Mediation, Ohio State Journal on Dispute Resolution 911, Vol. 20, 2005, 4, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=20+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+911&srctype=smi&srcid=3B15&key=3dc000a820890358d54088642b9b845f>>.*

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> *Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, Australia, CCH Australia Limited, 2010, 190.*

<sup>11</sup> *Without prejudice privilege.*

<sup>12</sup> *Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, Australia, CCH Australia Limited, 2010, 185.*

მედიაციის მიზნებისთვის შედგენილი დოკუმენტები, მათ შორის, ექსპერტის დასკვნა, იქნება კონფიდენციალურად განხილული.<sup>1</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კალიფორნიის შტატში წერილობითი დოკუმენტი ფართოდ განიმარტება და მოიცავს ხელნაწერებს, ბეჭდური სახის დოკუმენტებს, ფოტოსურათებსა და ჩანაწერებს. ამგვარი განმარტება კალიფორნიის კოდექსის ხარვეზად მიიჩნევა, რამდენადაც სწორ დეფინიციად არ განიხილავენ.<sup>2</sup> კალიფორნიის სასამართლოებმა უარი განაცხადეს გაეცრელებინათ პრივილეგია იმ მტკიცებულებებზე, რომლებიდანაც მხარის მოსაზრება პროცესთან დაკავშირებით არ დგინდებოდა.

### III კონფიდენციალურობის პრინციპით შებოჭილი პირები

#### 3.1. მედიაციის მხარეები

საერთო სამართლის თანახმად, მედიაციის მონაწილე მხარეებს შორის მიწოდებულ ინფორმაციაზე ვრცელდება დაუშვებელ მტკიცებულებად განხილვის წესი, იმ შემთხვევაშიც კი თუ მხარეთა შორის შეთანხმება არ მიიღწევა.<sup>4</sup> სააპელაციო სასამართლომ საქმეში *Carter Holt Harvey Forests Ltd v Sunnex Logging Ltd* იურისტის ვალდებულებები კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით გააფართოვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ მედიაციის თაობაზე შეთანხმებაში იურისტების პასუხისმგებლობა კონფიდენციალურობასთან მიმართებით არ არის გათვალისწინებული, მედიაციის ბუნებიდან გამომდინარე, მათზე მაინც გავრცელდება კონფიდენციალურობის ვალდებულება.<sup>5</sup> ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის ცალკეული ასპექტების თაობაზე 2008/52/EC დირექტივის თანახმად, მხარეები არ არიან ვალდებულნი კონფიდენციალურობის დაცვაზე. უმეტეს შემთხვევებში, მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მაგრამ თუ მხარეებს შორის არ არის ასეთი შეთანხმება და რომელიმე მხარე დაარღვევს კონფიდენციალურობას, სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული საკითხი.<sup>6</sup> იგივე მიდგომა არსებობს რამდენიმე ქვეყანაში, კერძოდ მხარეებს არ აქვთ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ავსტრიასა<sup>7</sup> და ჩეხეთში.<sup>8</sup> რაც შეეხება საქართველოს რეგულაციას, სსსკ-ს 187<sup>8</sup>-ე მუხლი სასამართლო მედიაციის მხარეებს უწესებს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას, თუ თავად მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.<sup>9</sup> საქართველოს მთავრობის 2012 წლის 29 თებერვლის დადგენილება 80 სამედიცინო მედიაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ, მხარეთა ვალდებულებას კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით არ იცნობს.<sup>10</sup>

<sup>1</sup> *Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, Australia, CCH Australia Limited, 2010, 189.*

<sup>2</sup> *Owen R. M., In re Uncertainty: A Uniform and Confidential Treatment of Evidentiary and Advocatory Materials Used in Mediation, Ohio State Journal on Dispute Resolution 911, Vol. 20, 2005, 5, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=20+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+911&srctype=smi&srcid=3B15&key=3dc000a820890358d54088642b9b845f>>.*

<sup>3</sup> იქვე, 6.

<sup>4</sup> *Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, Australia, CCH Australia Limited, 2010, 178.*

<sup>5</sup> *Carden M. D., Confidentiality in Mediation, 2005, 17, <[<sup>6</sup> \*Henke E.M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 33.\*](https://docs.google.com/viewer?a=v&q=cache:6yDduSBkE3kJ:www.aminz.org.nz/Folder%3FAction%3DDownload%26Folder_id%3D79%26File%3Dpast%2520conf%2520Carden%2520paper%2520Conf%2520in%2520Mediation%2520_3_.pdf&hl=ka&gl=ge&pid=bl&srcid=ADGEEShRcdBaZqKTEJHZshLLTQDMg30q0S056mjl6NRDVHYTWGUorkqyPEwTEkdlR5RwmnD1FodD6AS_vPYvO63ZOdFvKrbAyNWv3GX-_UU30UqCPIOxcG5KRSKVVvOtpWmrEHjP-1N&sig=AHIEtbTLjV2pOLlej2WQcclSiveGXDexog>, [30.06.2013].</a></i></p></div><div data-bbox=)*

<sup>7</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 13.*

<sup>8</sup> იქვე, 63.

<sup>9</sup> სსსკ, 187<sup>8</sup> მუხლი, სსმ, 1106-ლს, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011].

<sup>10</sup> სამედიცინო მედიაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 80 დადგენილება, სსმ, 29.02.2012.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ორგვარი მიდგომა არსებობს, ერთ შემთხვევაში მხარეებს აქვთ ვალდებულება დაიცვან კონფიდენციალურობა თუ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, ხოლო მეორე შემთხვევაში მათზე არ ვრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება თუ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

### 3.2. მედიატორი

მედიატორი არის უნიკალური პოზიცია მედიაციის პროცესში, რამდენადაც მას შეუძლია თავი მოუყაროს ორივე მხარისგან მიღებულ ინფორმაციას.<sup>1</sup> შედეგად, მედიატორი ინფორმირებული არის მხარეთა მხრიდან მიწოდებულ რიგ საკითხებზე როგორც კერძო შეხვედრების,<sup>2</sup> ასევე ზოგადად მედიაციის პროცესის დროს.

მედიატორებს, რომლებიც აკრედიტირებული არიან მედიატორის აკრედიტაციის ნაციონალური პრაქტიკული სტანდარტებით<sup>3</sup> ვალდებულნი არიან საიდუმლოდ დაიცვან მედიაციის დროს განხორციელებული ქმედებები, გამონათქვამები. ასევე, მედიატორებს შესაძლებელია დამატებით დაავალდებულონ ფიცის დადება ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის თაობაზე.<sup>4</sup> აშშ-ის სასამართლოების უმეტესობამ მედიატორის ეთიკის ერთ-ერთ სტანდარტად დაადგინა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება მხარეთათვის.<sup>5</sup>

მედიატორის ვალდებულებები კონფიდენციალურობის პრინციპთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობაში სხვადასხვა სამართლებრივი აქტით რეგულირდება. სსსკ-ს 187<sup>8</sup> სასამართლო მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობას ეხება და აქვე აღნიშნავს კანონმდებელი, რომ მედიატორს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.<sup>6</sup> 2012 წლის 29 თებერვალს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილება 80 სამედიცინო მედიაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ მე-5 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მედიატორს არ აქვს უფლება: *გაამჟღავნოს ან არასამსახურეობრივი მიზნებისათვის გამოიყენოს სამსახურეობრივი საიდუმლოების შემცველი ან სხვაგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საჯაროობაც შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით და რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამედიცინო მედიაციის განხორციელებისასთან დაკავშირებით.*<sup>7</sup>

მედიატორის ქცევის წესებს საქართველოში ჯერჯერობით ერთიანი ზოგადი სამართლებრივი აქტი არ არეგულირებს.

აშშ-ში 1992 წელს მედიატორის ქცევის წესების მისაღებად ერთობლივი კომიტეტი დაარსდა. კომიტეტმა 1994 წელს შეადგინა მედიატორის ქცევის წესებზე მოდელური სტანდარტები.<sup>8</sup> ამ აქტის ტექსტში აისახა მედიაციის კონფიდენციალურობის ძირითადი პრინციპები.<sup>9</sup> შექმნის მიზანი იყო მედიატორისთვის ქცევის სახელმძღვანელო წესების დადგენა. თავის მხრივ, აღნიშნული წესები არწმუნებს მხარეებს დავის გადასაწყვეტად მიმართონ მედიაციას.<sup>10</sup>

<sup>1</sup> Richbell D., *Mediation of Construction Disputes*, Singapore, Blackwell Publishing, 2008, 75.

<sup>2</sup> *Caucus*.

<sup>3</sup> *National Mediator Accreditation Standards*.

<sup>4</sup> *Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers*, Australia, CCH Australia Limited 2010, 178.

<sup>5</sup> *Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy*, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 27, No. 3, 2012, 633, 599 footnote, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>6</sup> სსსკ, 187<sup>8</sup> მუხლი, სსმ, 1106-ის, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011].

<sup>7</sup> სამედიცინო მედიაციის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 80 დადგენილების მე-2 მუხლის ე) პუნქტით განისაზღვრება სამედიცინო მედიაციით განსახილველი დავა, სსმ, 29.02.2012.

<sup>8</sup> *Young P. M., Rejoice! Rejoice! Give Thanks, and Sing: 1 ABA, ACR, and AAA Adopt Revised Model Standards of Conduct for Mediators*, *Appalachian Journal of Law* 195, Vol. 5, Spring, 2006, 3, <<https://litigationessentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=5+Appalachian+J.+L.+195&srctype=smi&scid=3B15&key=eb8564da8c7bfc4928d90366e3672e70>>.

<sup>9</sup> იქვე, 11.

<sup>10</sup> იქვე, 2.

2005 წლის მოდელური სტანდარტების თანახმად, მედიატორი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა მედიაციის პროცესის დროს მიღებული ინფორმაციის თაობაზე. მედიატორმა შესაძლებელია გაამჟღავნოს ინფორმაცია სასამართლოში საჭიროების შემთხვევაში, „იმის მიუხედავად მხარეები გამოცხადდნენ დაგეგმილ მედიაციაზე და მიაღწიეს თუ არა შეთანხმებას“.<sup>1</sup>

მედიატორმა ყურადღება უნდა მიაქციოს მხარეების მოლოდინს კონფიდენციალურობასთან მიმართებით.<sup>2</sup> მან უნდა განუმარტოს მედიაციაში მონაწილე პირებს წესები, რადგანაც ისინი უფლებამოსილი არიან თავად დაარეგულირონ კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული ვალდებულების ფარგლები. 2005 წლის მოდელური სტანდარტების მოთხოვნა იყო მედიატორს აემაღლებინა მხარეთა ცოდნა იმის შესახებ თუ რა როლი აქვთ მათ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვაში.<sup>3</sup>

ავსტრალიის არბიტრებისა და მედიატორების ინსტიტუტის (შემდგომში „IAMA“)<sup>4</sup> მედიატორის სახელმძღვანელო პრინციპების<sup>5</sup> მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ მედიატორმა უნდა დააკმაყოფილოს მედიაციის მონაწილე მხარეთა მოლოდინი კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით. ეს კი დამოკიდებულია როგორც მხარეთა შორის შეთანხმებაზე, ასევე მედიაციის გარემოებებზე.<sup>6</sup> საოჯახო საქმის კონტექსტში, მედიატორის ერთ-ერთი როლია „შეინარჩუნოს პროცესის კონფიდენციალურობა“.<sup>7</sup>

საფრანგეთში, 2011 წლის აქტის ამოქმედებამდე, კანონმდებლობით მედიატორებს არ ჰქონდათ სახელშეკრულებო მედიაციის<sup>8</sup> დროს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. ამის მიუხედავად, საფრანგეთის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მედიაციის დროს გამჟღავნებული ინფორმაცია კონფიდენციალურობის დარღვევაა.<sup>9</sup> პარიზის პირველი ინსტანციის ტრიბუნალში მოსამართლემ აღნიშნა, რომ რადგანაც მედიაციის პროცესს კონფიდენციალურობა ახასიათებს, თუნდაც რომ მხარეთა შორის არ იყოს ამის თაობაზე შეთანხმება, ეს პრინციპი მაინც ვრცელდება მათზე.<sup>10</sup>

### 3.3. მესამე პირები მედიაციაში

მედიაციაში, მესამე პირები შესაძლებელია ორ ჯგუფად დაიყოს: 1) პროცესის მონაწილე მესამე პირი<sup>11</sup> და 2) მესამე პირი, რომელსაც პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. UMA-ს თანახმად, პროცესის მონაწილე მესამე პირი მონაწილეობას იღებს მედიაციაში, მაგრამ ის არ არის არც მედიატორი და არც მედიაციის მხარე.<sup>12</sup> იტალიის კანონმდებლობის

<sup>1</sup> Young P. M., Rejoice! Rejoice! Rejoice, Give Thanks, and Sing: 1 ABA, ACR, and AAA Adopt Revised Model Standards of Conduct for Mediators, *Appalachian Journal of Law* 195, Vol. 5, Spring, 2006, 11, <<https://litigationessentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=5+Appalachian+J.+L.+195&srctype=smi&srcid=3B15&key=eb8564da8c7bfc4928d90366e3672e70>>.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> *The Institute of Arbitrators & Mediators Australia*.

<sup>5</sup> *Principles of Conduct for Mediators*.

<sup>6</sup> Institute of Arbitrators and Mediators Australia, *Principles of Conduct for Mediators*, 2003, 2, <<http://www.iama.org.au/sites/default/files/resources/rules-guidelines/principles%20of%20conduct%20for%20mediators.pdf>>, [24.12.2012].

<sup>7</sup> Relationships Australia, *Mediation*, <<http://www.relationships.com.au/services/mediation>>, August, 2005 ციტირებულია სტატიაში: *Field R., Wood N., Marketing Mediation Ethically: The Case of Confidentiality*, *Queensland University of Technology Law & Justice Journal*, Vol. 5, No. 2, 2005, 146, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/qutlj5&div=14&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/qutlj5&div=14&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>8</sup> *Conventional Mediation*.

<sup>9</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice*, Great Britain, Oxford University Press, 2012, 118.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> *Non-party participant*.

<sup>12</sup> *Tomeo D. G., Be Careful What You Say: One Court's Look at Confidentiality Under the Uniform Mediation Act*, *Seton Hall Legislative Journal*, Vol. 31:1, 2006, 67, <<http://www.lowenstein.com/files/Publication/>



თანახმად, პირები, რომლებიც მუშაობენ სამედიაციო ორგანოში<sup>1</sup> ან მედიაციის პროცესში არიან ჩართულები ვრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.<sup>2</sup> საქართველოს კანონმდებლობა მესამე პირებთან დაკავშირებულ საკითხებს არ არეგულირებს. მესამე პირებზე, როგორებიც არიან მონმეები და დამკვირვებლები, რომლებიც ესწრებიან მედიაციას, ავტომატურად არ ვრცელდება კონფიდენციალურობის ვალდებულება (*Esso and BHP v Plivman (Minister) and Gas & Fuel Corporation of Victoria*). თუმცა მესამე პირებზე ვალდებულება კონფიდენციალურობის დაცვაზე ხშირად განმტკიცებულია სტატუტით ან მესამე მხარესთან გაფორმებული კონფიდენციალურობის ხელშეკრულებით. როდესაც მესამე პირი, რომელიც არ ესწრება მედიაციის პროცესს, და შეიტყობს მედიაციის პროცესში გამოთქმული ინფორმაციის თაობაზე, სასამართლოს მიმართვის<sup>3</sup> საფუძველზე უნდა განხორციელდეს პრევენცია ინფორმაციის გასაჯაროებისა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში (*Jeffrey v Correction Victoria and the Herald & Weekly Times Limited (2004) VCAT 1211*) ჟურნალისტმა გამოიკვლია სასამართლოში არსებული ფაილები და ნაიკითხა მედიაციის მხარეთა შორის დადებული კონფიდენციალურობის შეთანხმება, რომელიც შემთხვევით იყო დარჩენილი საქმის მასალებში. ჟურნალისტმა შეატყობინა სასამართლოს რეგისტრატორს, რომ სურდა მოპოვებული ხელშეკრულების პირობებზე ინფორმაციის გაზეთში გამოქვეყნება. ამ შემთხვევაში პრევენციის ღონისძიება ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდა სასამართლოს მხრიდან.<sup>4</sup> აღნიშნული საქმიდან ნათელია, თუ რა ღონისძიებების მიღება, რა ვალდებულებების დაკისრება არის შესაძლებელი მესამე პირთათვის, რათა განხორციელდეს კონფიდენციალურობის დაცვა.

ობერმანი აღნიშნავს, რომ მხარეებს მედიაციის თაობაზე შეთანხმებაში შეუძლიათ აღნიშნონ ის კონსულტანტები, რომლებსაც იღებენ ინფორმაციას, რჩევასა და დახმარებას. მას მერე, რაც ასეთი პირების თაობაზე მიუთითებენ ზემოაღნიშნულ შეთანხმებაში მედიაციის საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა ჩაითვლება კონტრაქტის დარღვევად.<sup>5</sup>

#### IV. კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვა

მედიაციაში კონფიდენციალურობის პრივილეგიების ფარგლების საკითხი ყოველთვის ღია იყო მნიშვნელოვანი დებატებისთვის.<sup>6</sup>

სრული კონფიდენციალურობა თეორიაში კარგია, თუმცა პრაქტიკაში ამგვარი გარანტია არ არსებობს.<sup>7</sup> კომენტატორები ყოველთვის დაობენ, რომ აღნიშნული პრინციპი არ უნდა

---

c81abe49-f222-4826-9493-0ee4c59fda33/Presentation/PublicationAttachment/ffed09f1-2b09-4102-88be-12112ed63708/Be%20Careful%20What%20You%20Say%20-%20SHLJ%20-%20DT%20-%20051407.pdf>.

<sup>1</sup> Mediation body.

<sup>2</sup> Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 190 -191.

<sup>3</sup> Injunction.

<sup>4</sup> Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, Australia, CCH Australia Limited, 2010, 179; შეად. Kuester E. L., Confidentiality in Mediation: A Trial of Broken Promises, Vol. 16, No. 2, Hamline Journal of Public Law & Policy, 1994-1995, 578, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp16&div=23&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp16&div=23&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>5</sup> Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 561, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdr27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdr27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>6</sup> Rosenberg J. P., Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 10, No.1, 1994, 161, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdr10&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults&terms=KeepingtheLidonConfidentiality&type=matchall#201](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdr10&div=3&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults&terms=KeepingtheLidonConfidentiality&type=matchall#201)>.

<sup>7</sup> Deleissegues C., Mediation Confidentiality: Has it Gone too Far? , University of La Verne Law Review, Vol. 33, Issue 1, November, 2011, 126, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

იყოს აბსოლუტური და უნდა არსებობდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს საჯარო პასუხისმგებლობა.<sup>1</sup> რაც მედიაციისთვის იქნება ნდობის მოპოვების საშუალება.<sup>2</sup> ვალიდური გამო-  
ნაკლისები შესაძლებელია იყოს, თუმცა ეს ყოველივე ნათლად და გარკვევით სასამართლო  
პრაქტიკით ან კანონმდებლობით უნდა იყოს დადგენილი.<sup>3</sup>

როგორც ყველა ზოგად წესს, კონფიდენციალურობის პრივილეგიასაც აქვს გამონაკლი-  
სები. ეს უკანასკნელი აუცილებელია მედიაციის გამოყენების ნახალისების მიზნით.<sup>4</sup> „ბლანკე-  
ტურ“ წესს გამონაკლისები რომ არ ჰქონდეს, არ იქნებოდა უსაფრთხო არც მედიატორისთვის  
და არც მხარეთათვის, ან თუნდაც უდანაშაულო მესამე პირებისთვის, როგორებიც არიან საო-  
ჯახო მედიაციის დროს ბავშვები.<sup>5</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფიდენციალურობის მასშტა-  
ბი არ უნდა გულისხმობდეს აბსოლუტურ დაცვას ან აბსოლუტურ საჯაროობას,<sup>6</sup> არამედ მნიშ-  
ვნელოვანია შეირჩეს ბალანსი დაცვასა და საჯაროობას შორის.<sup>7</sup>

UMA-სა და მოდელურ სტანდარტებში, მედიატორის ეთიკის წესების თაობაზე,<sup>8</sup> კვლავ  
ბევრ გაურკვეველობას აქვს ადგილი, არ არის ცხადი თუ რომელი კანონები, წესები, ან სტან-  
დარტები უნდა გამოიყენოს აშშ-ში მედიატორმა. შტატები სხვადასხვაგვარად არეგულირებენ  
აღნიშნულ საკითხებს. რაც უფრო აძნელებს განისაზღვროს კონფიდენციალურობის დაცვის  
გამონაკლისები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება რამოდენიმე შტატის სარჩე-  
ლებს.<sup>9</sup> მაშინაც კი, როდესაც ერთ კონკრეტულ შტატში აქვს ადგილი ასეთ შემთხვევას კონფი-  
დენციალურობის დაცვის გამონაკლისები არ არის ყოველთვის ნათელი და არ მოიცავს იმ სა-  
კითხებს, როგორც ეს მედიატორებს სურთ.<sup>10</sup> საქართველოს კანონმდებლობაში სრულად არის  
დასარეგულირებელი გამონაკლისების სათანადოდ განსაზღვრის საკითხი.

ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის სამოქალაქო და კომერცი-  
ულ საკითხებში მედიაციის ცალკეული ასპექტების თაობაზე 2008/52/EC დირექტივის მე-7,  
(2) მუხლი აწესებს კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვის გამონაკლის შემთხვევებს.  
აღნიშნული მუხლი წევრ ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს უფრო მკაცრი წესები მიიღონ, რი-  
თაც კონფიდენციალურობა მეტად დაცული იქნება.<sup>11</sup>

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს,  
რომ გამონაკლისები, შეზღუდვები შედარებით უცხოა კონტინენტური ევროპის სამართლის  
ოჯახის ქვეყნებისთვის მაშინ, როდესაც ნაცნობია ინგლისისთვის.<sup>12</sup> კონფიდენციალურობის

<sup>1</sup> *Public accountability.*

<sup>2</sup> *Rosenberg J. P., Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 10, No.1, 1994, 161, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdr10&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchrresults&terms=KeepingtheLidonConfidentiality&type=matchall#201](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdr10&div=3&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchrresults&terms=KeepingtheLidonConfidentiality&type=matchall#201)>.*

<sup>3</sup> *Giesler C., Lee J. A., Confidentiality in Mediation, Harvard Negotiation Law Review, Vol. 3, Spring, 1998, 295, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg3&div=12&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg3&div=12&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>4</sup> *Macturk H. C., Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exceptions, American Journal of Trial Advocacy, Vol. 19, Issue 2, Fall, 1995, 426, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear#431](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&collection=journals&set_as_cursor=clear#431)>.*

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> *Absolute disclosure.*

<sup>7</sup> *Deason E. E., Symposium: Secrecy and Transparency in Dispute Resolution: The Need for Trust as a Justification for Confidentiality in Mediation: A Cross-Disciplinary Approach, Kansas Law Review 1387, Vol. 54, June, 2006, 2, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=54+Kan.+L.+Rev.+1387&srctype=smi&srcid=3B15&key=512f3bacdd52d582393a1235f2a59d>>.*

<sup>8</sup> *Model Standards of Conduct for Mediators.*

<sup>9</sup> *Multi-state lawsuits.*

<sup>10</sup> *Deleissegues C., Mediation Confidentiality: Has it Gone too Far?, University of La Verne Law Review, Vol. 33, Issue 1, 2011, 123, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>11</sup> *Henke E. M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 32.*

<sup>12</sup> იქვე, 34.

შესახებ, ბევრ სტატუტში გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რომ სასამართლომ გადაფაროს აღნიშნული პრინციპი.<sup>1</sup>

ტეხასში სტატუტით ფართოდ არის დაცული კონფიდენციალურობა და მხოლოდ ვინ-როდ არის გამონაკლისები დადგენილი.<sup>2</sup>

#### 4.1. მედიაციის მხარეთა შეთანხმება და მხარის თანხმობა კონფიდენციალურობის დაცვაზე უარის თქმასთან დაკავშირებით

მედიაციაში მხარეები სარგებლობენ კონფიდენციალურობის<sup>3</sup> უფლებით, ისინი თავად აკეთებენ არჩევანს ინფორმაციის გავრცელებასა და კონფიდენციალურად შენახვის სარგებელსა და რისკებზე.<sup>4</sup>

თითქმის ყველა საქმეში, მხარეებს შეუძლიათ კონფიდენციალურობის დაცვაზე შეთანხმდნენ ან უარი განაცხადონ მასზე. თუმცა, ეს საკითხები არ არის ნათელი და შესაძლოა რიგი შეკითხვები წარმოიშვას ვის უნდა განეცხადებინა თანხმობა, თანხმობა უნდა იყოს ნათლად გამოხატული თუ შესაძლოა იყოს ნაგულისხმევიც.

კონფიდენციალურობაზე უარის თქმის თაობაზე შეთანხმება წერილობითი ფორმით დგება და მხარეები ხელმონერით ადასტურებენ, რომ მედიაციის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული. აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონფიდენციალურობის გამორიცხვა შესაძლებელია ერთ კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებით გვექნდეს სახეზე და არ ვრცელდებოდეს ყველა შემთხვევაზე (*Liberty Funding Pty Ltd v Phoenix Capital Ltd (2005) 218 ALR 238*).<sup>5</sup>

მედიატორის აკრედიტაციის ნაციონალური პრაქტიკული სტანდარტების<sup>6</sup> მე-6, (1), (ბ) მუხლის თანახმად, მედიატორმა ნებაყოფლობით არ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია არცერთ პირთან, რომელიც მედიაციის მხარე არ არის გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მედიაციის პროცესის მონაწილეთა თანხმობა.<sup>7</sup>

ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის ცალკეული ასპექტების თაობაზე 2008/52/EC დირექტივის მე-7, (1) მუხლი მხარეებს შესაძლებლობას აძლევს შეამცირონ და გამორიცხონ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. მათ შეუძლიათ, ასევე, მედიატორის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების ლიბერალიზაცია განახორციელონ და განაცხადონ მედიაციის პროცესში შედგენილი დოკუმენტები, როგორც არაკონფიდენციალური. თუმცა ამ შემთხვევაშიც საინტერესოა, რომ მხოლოდ ასეთი ზოგადი ხელშეკრულების დადება და მედიატორისთვის უფლების მინიჭება იყოს მონმე არ აძლევს მას უფლებას გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მხარემ გამოთქვა კერძო შეხვედრების დროს. ეს უკანასკნელი გამომდინარეობს კერძო შეხვედრების ბუნებიდან. ამიტომ, მხარეებმა ხელშეკრულებაში პირდაპირ უნდა აღნიშნონ, რომ მედიატორს ანიჭებენ უფლებას ასევე გაამჟღავნოს კერძო შეხვედრების თაობაზე ინ-

<sup>1</sup> *Oberman S.*, Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 27, No. 3, 2012, 573, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>2</sup> *Peterson A. L. H.*, Substantive Law Clash: An Inquiry into the Impact of in re Marriage of Kieturakis on California's Confidentiality Law, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol. 8, No.1, 2007, 210, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds8&div=12&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pepds8&div=12&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>3</sup> *Privacy*.

<sup>4</sup> *Oberman S.*, Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, *Ohio State Journal on Dispute Resolution*, Vol. 27, No. 3, 2012, 566, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>5</sup> *Hardy S., Rundle O.*, *Mediation for Lawyers*, Australia, CCH Australia Limited, 2010, 192.

<sup>6</sup> *National Mediator Accreditation Practice Standards*.

<sup>7</sup> *Hardy S., Rundle O.*, *Mediation for Lawyers*, Australia, CCH Australia Limited, 2010, 192.

ფორმაცია.<sup>1</sup> ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, დირექტივა არ ზღუდავს მხარეთა თავისუფლებასა და მოქმედებას სამოქალაქო და კომერციულ სამართალში. აღნიშნული პრინციპები მოქმედებს ასევე ევროპულ კონტექსტში.<sup>2</sup>

ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის ცალკეული ასპექტების თაობაზე 2008/52/EC დირექტივის მე-7, (2) მუხლი ნევრ ქვეყნებს უფლებას აძლევს, კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით, უფრო მკაცრი წესები შემოიღონ. საინტერესოა ამ კუთხით ავსტრიის კანონმდებლობა. ავსტრიის კანონმდებლობა მხარეებს არ აძლევს უფლებას გამორიცხონ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, რამდენადაც მიჩნეულია, როგორც აბსოლუტური პრინციპი. აღნიშნული შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც მხარეთა ნების ავტონომიის შეზღუდვა და ლიტერატურში მიიჩნევენ, რომ ცვლილების განხორციელება აუცილებელია.<sup>3</sup> რაც შეეხება აშშ-ს – ზოგიერთი შტატი ითვალისწინებს მხარეთა უფლებას თანხმობის შემთხვევაში კონფიდენციალურობაზე უარი თქვან, მაშინ როდესაც რიგი შტატები (მაგ: ალასკა, არკანზასი, ჯორჯია, ჰავაი, კენტუკი, მერილენდი, მასაჩუსეტსი, მისური, მონტანა, ნიუ ჰემპშირი, ნიუ-იორკი, ჩრდილოეთ კაროლინა, ოკლაჰომა, პენსილვანია, როდიაილენდი, ტენესი, ვისკონსი.) არ ითვალისწინებენ მსგავს დებულებას.<sup>4</sup> შტატები, რომლებიც არ ითვალისწინებენ კონფიდენციალურობაზე მხარეთა მხრიდან უარის თქმის უფლებას, ავალდებულებენ მხარეებს არ გაამჟღავნონ მომავალში სასამართლოში ერთმანეთისთვის მინოდებული ინფორმაცია და, შესაბამისად, ისინი არ არიან ნახალისებულები მიმართონ სასამართლოს.<sup>5</sup>

მაგრამ, საკანონმდებლო აქტები სხვადასხვაგვარად განიხილავენ ვის გააჩნია პრივილეგიის უფლება: მედიატორს, მხარეებს თუ თვითონ პროცესს. თუ არ დადგინდება ვის გააჩნია პრივილეგია, რთულია განისაზღვროს ვის შეუძლია მასზე უარის თქმა. ამგვარად, კვლავ გაურკვეველია რამდენად შეუძლია მედიატორს დაეყრდნოს პრივილეგიას, როდესაც მხარეებმა უარი თქვეს კონფიდენციალურობის დაცვაზე.<sup>6</sup> საინტერესოა, ამ კუთხით აშშ-ში განხორციელებული სიმპოზიუმის შეჯამებები და რეკომენდაციები კონფიდენციალურობის რეგულირებასთან დაკავშირებით. თუნდაც ნერილობითი ფორმით გაცემული მხარეთა თანხმობა, არ აძ-

<sup>1</sup> Henke E. M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 31-32; ავსტრია სხვაგვარად არეგულირებს აღნიშნულ საკითხს იხ. Henke E. M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 34; ავსტრიის კანონმდებლობით კონფიდენციალურობა მედიატორის აბსოლუტურ ვალდებულებად არის დადგენილი. მითითებულია: Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 12.

<sup>2</sup> იქვე, 32.

<sup>3</sup> Henke E. M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 34; ავსტრიის კანონმდებლობით კონფიდენციალურობა მედიატორის აბსოლუტურ ვალდებულებად არის დადგენილი. მითითებულია: Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 12.

<sup>4</sup> Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 549, 47 footnote, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>5</sup> იქვე, 548-549.

<sup>6</sup> Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 591, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>; ფლორიდის შემთხვევაში კანონმდებლობაში ნათლად არის აღნიშნული, რომ მხარეები ფლობენ პრივილეგიას, რაც გულისხმობს რომ შეუძლიათ უარი თქვან ან აუკრძალონ სხვას განაცხადოს მედიაციის კომუნიკაციის შესახებ სასამართლო პროცესზე. მითითებულია: Tetunic F. L., Act Deux: Confidentiality after the Florida Mediation Confidentiality and Privilege Act, Nova Law Review, Vol. 36, Fall, 2011, 81, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ovalr36&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear#1](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ovalr36&div=3&collection=journals&set_as_cursor=clear#1)>.

ლევს უფლებამოსილებას მედიატორს ან სამედიატორო პროგრამას<sup>1</sup> გაამჟღავნოს ინფორმაცია. ამგვარად, მედიატორს და სამედიატორო პროგრამას უფლება აქვთ უარი განაცხადონ ინფორმაციის გამჟღავნებაზე თუნდაც მხარეთა მიერ უფლებამოსილნი იყვნენ, თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდნენ. სიმპოზიუმის ზოგიერთი მონაწილე ყურადღებას ამახვილებდა, რომ მედიატორს მხარეების მიმართ არის გამიზნული, შესაბამისად, კონფიდენციალურობის პრივილეგია მათ ინტერესებს ემსახურება. ამავ დროს, ეს ურთიერთობა იურისტსა და კლიენტს შორის არსებული ურთიერთობის მსგავსია, და ასეთ შემთხვევებში თუ კლიენტი განაცხადებს თანხმობას იურისტს უფლება აქვს განაცხადოს კონფიდენციალური ინფორმაციის თაობაზე.<sup>2</sup> სიმპოზიუმის საბოლოო პოზიციით სრულად არ აიკრძალა მედიატორის ან სამედიატორო პროგრამის მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება. თუ თავად მედიატორი ან სამედიატორო პროგრამის წარმომადგენელი განაცხადებდნენ თანხმობას იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მხარეთა თანხმობაც, დაშვებულ იქნა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება.<sup>3</sup> თუმცა, სიმპოზიუმის სხვა მონაწილეებმა გაამახვილეს ყურადღება მედიატორის ნეიტრალურობის პრინციპზე, რომლის შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაშიც, არ განაცხადონ კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ.<sup>4</sup>

სსსკ-187<sup>8</sup> პირველი და მეორე პუნქტები ითვალისწინებენ მხარეთა შესაძლებლობას შეცვალონ კონფიდენციალურობის საკითხი და შეხედულებისამებრ დაარეგულირონ.<sup>5</sup> ესტონეთის კანონმდებლობაც იცნობს მსგავს რეგულირებას, კერძოდ მედიატორი უფლებამოსილია ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე თუ სახეზეა მხარეების ან მხარეთა წარმომადგენლების მხრიდან წარდგენილი წერილობითი თანხმობა.<sup>6</sup>

UMA-ს რეგულირებაში ბუნდოვანია თუ რა როლი აკისრია პროცესის მონაწილე მესამე პირს კონფიდენციალურობის პრივილეგიაზე უარის თქმაში. აქტის თანახმად, პრივილეგიაზე უარის განაცხადება უნდა განხორციელდეს მედიატორის ყველა მხარის მიერ. ნათლად არ გამომდინარეობს, იგულისხმება თუ არა ამ შემთხვევაში პროცესის მონაწილე მესამე პირი. *ტომესის* მოსაზრებით ლოგიკურად არ უნდა არსებობდეს ასეთი უფლება ამ პირებისთვის.<sup>7</sup>

## 4.2. საჯარო წესრიგი, როგორც კონფიდენციალურობის დაცვის გამონაკლისი

საჯარო წესრიგი<sup>8</sup> ნიშნავს მხარეთა ავტონომიას დაარეგულირონ მათ შორის ურთიერთობები ხელშეკრულებით, მაგრამ, ამავ დროს, უნდა დაეყრდნონ საჯარო სამართალს და შეინარჩუნონ კონფიდენციალურობა სხვა პირთა ინტერესების გათვალისწინების შედეგად.<sup>9</sup>

საჯარო წესრიგის ცნება ბუნდოვანია და შესაძლებელია მედიატორში კონფიდენციალურობის პრინციპს საფრთხე შეუქმნას.<sup>1</sup> მაგალითად, საჯარო წესრიგს ადგილი აქვს როდესაც

<sup>1</sup> *Mediation program.*

<sup>2</sup> *Hyman J. M., The Model Mediator Confidentiality Rule: A Commentary, Seton Hall Legislation Journal, Vol. 12, No. 1, 1988, 34, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sethlegj12&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sethlegj12&div=3&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>3</sup> იქვე, 35.

<sup>4</sup> იქვე, 34-35.

<sup>5</sup> სსსკ, 187<sup>8</sup>, 1-ლი და მე-2 ნაწილები, სსმ, 1106-ლს, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011].

<sup>6</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 88.*

<sup>7</sup> *Tomeo D. G., Be Careful What You Say: One Court's Look at Confidentiality Under the Uniform Mediation Act, Seton Hall Legislative Journal, Vol. 31:1, 2006, 75, <<http://www.lowenstein.com/files/Publication/c81abe49-f222-4826-9493-0ee4c59fda33/Presentation/PublicationAttachment/ffed09f1-2b09-4102-88be-12112ed63708/Be%20Careful%20What%20You%20Say%20-%20SHLJ%20-%20DT%20-%20051407.pdf>>.*

<sup>8</sup> *Public policy.*

<sup>9</sup> *Deason E. E., Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, Ohio State Journal on Dispute Resolution 239, Vol. 17, 2002, 5, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=17+Ohio+St.+J.+on+Disp.+Resol.+239&srctype=smi&srcid=3B15&key=10a08271aa18b1f383ab0d6e85ad564c>>.*

არასრულწლოვნის<sup>2</sup> ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას საფრთხე ექმნება.<sup>3</sup> კორნსს მოჰყავს მაგალითი, რომ როდესაც სახეზეა საშიშროება სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ, გარემოს დაბინძურება ამ დროს სახეზე გვაქვს საჯარო წესრიგის მიზნით შეზღუდვის საფუძველი.<sup>4</sup>

დოქტრინა *parens patriae*<sup>5</sup> აძლევს სახელმწიფოს უფლებას გადაწყვიტოს რა არის უმჯობესი ბავშვებისთვის, როდესაც პეტიცია წარდგენილია მეურვეობის ან მზრუნველობის<sup>6</sup> ან ორივეს თაობაზე.<sup>7</sup> ლიტვის მედიაციის კანონის მე-7 მუხლის თანახმად საჯარო ინტერესი ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელიც მოიცავს ბავშვის ინტერესებს და ფიზიკური პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ ზიანის პრევენციას.<sup>8</sup> რუმინეთის კანონმდებლობით მედიატორის მიმართ კანონით გათვალისწინებული ვალდებულება აღარ მოქმედებს თუ მედიაციის რომელიმე მხარის მხრიდან საფრთხე ექმნება ბავშვის განვითარებას ან განათლების საკითხს.<sup>9</sup> მალტას მედიაციის აქტის 27, (1), (ბ) მუხლში ბავშვის ინტერესებთან ერთად ასევე მითითებულია საფრთხე, რომელიც ემოქრება ადამიანის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ერთიანობას.<sup>10</sup>

თავის მხრივ, ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ერთადერთი შემთხვევა როდესაც ცხადია, რომ გამონაკლისი უნდა ჰქონდეს კონფიდენციალურობის დაცვას არის დანაშაულის საფრთხე,<sup>11</sup> რომლის მაგალითებია განცხადებები დანაშაულის თაობაზე, და საზოგადოებრივი კეთილდღეობის წინააღმდეგ, ან თუ მედიატორი ფლობს ინფორმაციას დანაშაულის მიმდინარეობის ან მომავალში მისი ჩადენის თაობაზე.<sup>12</sup>

UMA-ს თანახმად, კომუნიკაციის კონფიდენციალურობა იზღუდება თუ გამიზნულია დანაშაულის მოსამზადებლად, დანაშაულის ჩადენის მცდელობისთვის, ან დანაშაულის ან კრიმინალური მოქმედებების დაფარვისთვის, რომელიც მიმდინარეობს ამ ეტაპზე.<sup>13</sup> „დანაშაულებრივი მიზნით თუ ხდება მედიაციის გამოყენება, მედიატორმა უნდა მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები, რომელიც მოიცავს აუცილებლობის შემთხვევაში, გადავადებას, გამოსვლას ან მედიაციის შეწყვეტას“.<sup>14</sup>

<sup>1</sup> Palo G.D., Trevor M.B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 24.

<sup>2</sup> Minor – A person who has not reached full legal age; a child or juvenile. განმარტებულია: Garner B. A. (Editor in Chief), Black's Law Dictionary, 3<sup>rd</sup> Pocket ed., USA, Thomson West, 2006, 457.

<sup>3</sup> Henke E.M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 31. იქვე, 31.

<sup>4</sup> *Parens patriae* – 2. the state regarded as a sovereign; the state in its capacity as provider of protection to those unable to care for themselves, Garner B. A., (Editor in Chief), Black's Law Dictionary, 9<sup>th</sup> ed., Thomson West, USA, 2009, 1221.

<sup>5</sup> *Visitation*.

<sup>6</sup> Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 562, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>7</sup> Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 224.

<sup>8</sup> იქვე, 294.

<sup>9</sup> იქვე, 247.

<sup>10</sup> *Imminent harm*.

<sup>11</sup> Rosenberg J.P., Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 10, No. 1, 1994, 161, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr10&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults&terms=KeepingtheLid|on|Confidentiality&type=matchall#201](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr10&div=3&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults&terms=KeepingtheLid|on|Confidentiality&type=matchall#201)>.

<sup>12</sup> Deleissegues C., Mediation Confidentiality: Has it Gone too Far? , University of La Verne Law Review, Vol. 33, Issue 1, November, 2011, 130, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuvl33&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuvl33&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>13</sup> იქვე, 133, იხ. ორიგინალში: “If a mediation is being used to further criminal conduct, a mediator should take appropriate steps including, if necessary postponing, withdrawing from or terminating the mediation”.

ესპანეთის კანონმდებლობაში შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველია სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს დასაბუთებული ბრძანება.<sup>1</sup> ესტონეთის კანონმდებლობაშიც ვხვდებით მსგავს ნორმას და მედიატორი უფლებამოსილია გაუმჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოებს თუ სასამართლოს ბრძანება აქვს მიღებული აღნიშნულის თაობაზე.<sup>2</sup>

აშშ-ში, მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა ხშირად ითვალისწინებს მკაცრ შეზღუდვებს, კერძოდ მედიატორმა სასამართლოს არ უნდა მიმართოს მედიაციის პროცესთან დაკავშირებით. თუმცა, მედიატორის პრივილეგია არ იქნება გათვალისწინებული თუ სახეზეა, მაგალითად, აშშ-ის პატრიოტიული აქტის<sup>3</sup> კომპეტენციის საკითხი.<sup>4</sup> კოლორადოს შტატის კანონმდებლობის თანხმად, კომუნიკაცია დაცულია, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც 18 წლამდე ასაკს მიღწეული ბავშვის უსაფრთხოებას ემუქრება საფრთხე.<sup>5</sup>

### 4.3. სამედიაციო შეთანხმების ბათილობა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა ფორმით უნდა შედგეს მხარეთა შორის სამედიაციო შეთანხმება მედიაციის პროცესის დასრულების შემდგომ.

საქმეში *Brown v Rice and Patel (and ADR Group)* მედიაციით დავის განხილვაზე შეთანხმებაში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ ხელშეკრულებას არ ექნებოდა მავალდებულებელი ძალა თუ არ იქნებოდა გაფორმებული წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი მხარეთა ან მათი უფლებამოსილი პირების მიერ. მხარეები სატელეფონო საუბრისას მოლაპარაკდნენ და არ გაუფორმებიათ ხელშეკრულება შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. სასამართლომ ჩათვალა, რომ უნდა დაედგინა იყო თუ არა მხარეთა შორის ხელშეკრულება.<sup>6</sup> *დისონი* აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების ნამდვილობის დადგენა ვერ მოხდება მედიაციის პროცესის დეტალურად განხილვის გარეშე.<sup>7</sup> შედეგად, როდესაც საკითხი წამოიჭრება ხელშეკრულების ნამდვილობის თაობაზე კანონმდებლობით უნდა იყოს განსაზღვრული სასამართლოს შესაძლებლობა შეაფასოს არის თუ არა კონკრეტული ხელშეკრულება ბათილი.

### 4.4. სამედიაციო შეთანხმების აღსრულება

მედიაციის პროცესის შედეგად მიღებული შეთანხმების აღსრულებაზე რა წესები გამოიყენება არის მედიაციაში არსებული კონფიდენციალურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.<sup>8</sup>

ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 21 მაისის სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში მედიაციის ცალკეული ასპექტების თაობაზე 2008/52/EC დირექტივა ითვალისწინებს კონფიდენციალურობის შეზღუდვას თუ აღნიშნული გამიზნულია მედიაციის შეთანხმების აღსრულებისთვის და იმპლემენტაციისთვის.<sup>9</sup> თუმცა, ესტონეთის კანონმდებლობა, განსხვავებით

<sup>1</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 330.*

<sup>2</sup> იქვე, 88.

<sup>3</sup> *USA Patriot Act.*

<sup>4</sup> *Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 575-576, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>5</sup> *Potter H. R., Confidentiality in Mediation and the Duty to Report Child Abuse, The Journal of the Legal Profession, Vol. 29, No. 1, Spring, 2005, 276, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jlegpro29&div=18&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear#275](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jlegpro29&div=18&collection=journals&set_as_cursor=clear#275)>.*

<sup>6</sup> *Deason, E. E., Enforcing Mediated Settlement Agreements: Contract Law Collides with Confidentiality, University of California at Davis Law Review, Vol. 35, Fall, 2001, 32, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=270349](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=270349)>, [05.07.2013].*

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> *Robinson P., Centuries of Contract Common Law Can't Be All Wrong: Why the UMA's Exception to Mediation Confidentiality in Enforcement Proceedings Should be Embraced and Broadened, Journal of Dispute Resolution, Vol. 2003, No. 1, 2003, 136.*

<sup>9</sup> *Henke E. M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, A comparison of solutions offered in the Mediation Directive and the Model Law on Conciliation with examination of the actual situation in selected Civil and Common Law Countries, Master's Thesis, GRIN Verlag, 2011, 31.*

სხვა წევრი ქვეყნების კანონმდებლობისგან, მედიატორს არ ავალდებულებს გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია ხელშეკრულების იმპლემენტაციისა ან აღსრულებისთვის.<sup>1</sup>

საქართველოს კანონმდებლობაში ეს უმნიშვნელოვანესი საკითხიც არ არის დარეგულირებული.

#### 4.5. მედიატორის და იურისტის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედება

მედიატორში კონფიდენციალურობის პრინციპი მხარეებს უძნელებს დაამტკიცოს მედიატორის ან იურისტის უკანონო ქმედება.<sup>2</sup> თუმცა, სასამართლოები მტკიცებულებად იღებენ ამგვარ ინფორმაციას, თუ სახეზეა სერიოზული დარღვევა.<sup>3</sup> უსამართლო იქნებოდა სარჩელი აღიძრას მედიატორის ან სამედიატორო პროგრამის წინააღმდეგ და შემდგომ პრივილეგიიდან გამომდინარე დაფარული იქნება რელევანტური ინფორმაცია.<sup>4</sup>

#### 4.6. მედიაციის ინსტიტუტის კვლევა

კონფიდენციალურობის ზოგადმა განაწესმა შესაძლებელია ხელი შეუშალოს კვლევის განხორციელებას. აღნიშნულისთვის აუცილებელია მედიაციის პროცესებზე დასწრება მხარეთა ხასიათის, მედიატორების, პროცესის მეთოდების და შედეგების განსაზღვრის თაობაზე.<sup>5</sup>

სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები აწესებენ კონფიდენციალურობის შეზღუდვას კვლევის მიზნებისთვის, სტატისტიკის შექმნის მიზნით, იმ დათქმით, რომ არ გავრცელდეს პერსონალური ინფორმაცია. მედიატორის აკრედიტაციის ნაციონალური პრაქტიკული სტანდარტების მე-6, (1), (ა) მუხლი ითვალისწინებს, რომ მედიატორმა ნებაყოფლობით არ უნდა მიანოდოს ინფორმაცია პირს, რომელიც მედიაციის მხარე არ არის, გარდა არამაიდენტიფიცირებელი ინფორმაციისა, რომელიც აუცილებელია კვლევის ან საგანმანათლებლო მიზნებისთვის.<sup>6</sup>

#### 4.7. უცხოური კანონმდებლობით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დაცვის სხვა გამონაკლისები

ზემოაღნიშნული გამონაკლისების გარდა, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა კონფიდენციალურობის შეზღუდვის სხვადასხვა საფუძვლებს ითვალისწინებს.

ესტონეთის კანონმდებლობაში გამონაკლისის სახით აღნიშნულია, რომ სასამართლოს შეუძლია მედიატორი გაათავისუფლოს სხვა კარგი მიზეზების<sup>7</sup> გამო. ასეთი ზოგადი ცნება სასამართლოს მხრიდან შეფასებას საჭიროებს და სასამართლოს დისკრეციაა. მაგრამ, რადგანაც სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით ჯერ არ არსებობს თუ რა შემთხვევები მოიაზრება ამ ცნების ქვეშ რთულია განიმარტოს და შეფასდეს.<sup>8</sup>

მედიატორის ქცევის მოდელური სტანდარტები ითვალისწინებენ, რომ კონფიდენციალურობის დაცვა შეზღუდულია შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: მედიატორი უფლებამოსილია განაცხადოს მხარეებმა მიიღეს თუ არა მონაწილეობა და მიაღწიეს თუ არა გადაწყვეტი-

<sup>1</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, Great Britain, 2012, 88.*

<sup>2</sup> *Miscounduct.*

<sup>3</sup> *Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, Australia, CCH Australia Limited, 2010, 193.*

<sup>4</sup> *Hyman J. M., The Model Mediator Confidentiality Rule: A Commentary, Seton Hall Legislation Journal, Vol. 12, No. 1, 1988, 37, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sethlegj12&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/sethlegj12&div=3&collection=journals&set_as_cursor=clear)>.*

<sup>5</sup> იქვე, 53.

<sup>6</sup> *Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers, Australia, CCH Australia Limited, 2010, 199-200.*

<sup>7</sup> *Other good reasons.*

<sup>8</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 88.*



ლებას.<sup>1</sup> ასევე, ამავე ქცევის წესებით განსაზღვრულია, რომ მედიატორმა სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და დაიცვას მხარეთა გონივრული მოლოდინი კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.<sup>2</sup>

## V. კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის გარანტიები

კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრაზე დღემდე არ არსებობს ერთიანი პოზიცია.<sup>3</sup>

საფრანგეთის კანონმდებლობა სხვადასხვა სახის მექანიზმებით უზრუნველყოფს, რომ ფუნდამენტური მოთხოვნები დააკმაყოფილოს კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით.<sup>4</sup> ასევე, აშშ-ში სასამართლოებმა მედიაციაში პრივილეგიები ინფორმაციის გავრცელებისგან დასაცავად შექმნეს.<sup>5</sup> ფაქტობრივად, შტატებს საშუალება აქვთ არჩევანი გააკეთონ აბსოლუტურ, კვალიფიციურ და შეზღუდულ პრივილეგიებზე.<sup>6</sup> სასამართლოები უპირატესობას ანიჭებენ კვალიფიციურ პრივილეგიას, რომელიც გამორიცხავს მტკიცებულებად გამოყენებას მხოლოდ მაშინ, როცა პრივილეგიიდან გამომდინარე სარგებელი აღემატება მტკიცებულების საჭიროებას კონკრეტულ საქმეში.<sup>7</sup>

კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე სწორი ფორმულირებები იყოს დადგენილი. ბევრ საკანონმდებლო აქტში ასახული არ არის მედიაციის პროცესის დეფინიცია, და გამოიყენება შემდეგი ცნებები: „მედიაცია“, „გადაწყვეტის პროცესი“, ან იზღუდება ინფორმაციის ფარგლები და მითითებულია „განმავლობაში“ ან მედიაციის „მიზნებისთვის“ ან როდესაც ასეთ პროცესში მონაწილეობას ესწრებოდა მედიატორი.<sup>8</sup>

ზოგიერთ შტატში მედიაციის დროს განხორციელებული კომუნიკაცია არ არის დაცული სრულად და მხოლოდ ვერბალურ თუ წერილობით ფორმით კომუნიკაციას მოიცავს, ან კონფიდენციალურობა ვრცელდება მხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებით და არა პროცესში გაცვლილ ყველა ინფორმაციაზე. მსგავსი რეგულირებები არის არასათანადო დაცვის მაგალითები.<sup>9</sup>

კონფიდენციალურობის პრინციპთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით *გოლანის* მოსაზრებით უნდა განხორციელდეს:

1. წესების ნათლად განსაზღვრა, მითითებულ იქნას კონფიდენციალურობის დაცვის ფარგლები, გამონაკლისები. აღნიშნული წესები წერილობითი ფორმით უნდა გაფორმდეს და ხელმოწერილ იქნეს მხარეთა ან მათი იურისტების მიერ;

<sup>1</sup> *Deleissegues C.*, Mediation Confidentiality: Has it Gone too Far?, University of La Verne Law Review, Vol. 33, Issue 1, November, 2011, 132, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>

<sup>2</sup> იქვე, 132.

<sup>3</sup> *Deason E. E.*, Symposium: Secrecy and Transparency in Dispute Resolution: The Need for Trust as a Justification for Confidentiality in Mediation: A Cross-Disciplinary Approach, Kansas Law Review 1387, Vol. 54, June, 2006, 2, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=54+Kan.+L.+Rev.+1387&srctype=smi&srcid=3B15&key=512f3bacdcd52d582393a1235f2a59d>>.

<sup>4</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.)*, EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, Great Britain, 2012, 118.

<sup>5</sup> *Rosenberg J. P.*, Keeping the Lid on Confidentiality: Mediation Privilege and Conflict of Laws, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 10, No.1, 1994, 158, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr10&div=3&collection=journals&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults&terms=KeepingtheLidonConfidentiality&type=matchall#201](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr10&div=3&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults&terms=KeepingtheLidonConfidentiality&type=matchall#201)>.

<sup>6</sup> იქვე, 158-159.

<sup>7</sup> იქვე, 159.

<sup>8</sup> *Alfini J. J., Press S. B., Sternlight J. R., Stulberg J. B.*, Mediation Theory and Practice, 2<sup>nd</sup> ed., Lexisnexis, 2006, 222.

<sup>9</sup> *Kuester E. L.*, Confidentiality in Mediation: A Trial of Broken Promises, Vol. 16, No. 2, Hamline Journal of Public Law & Policy, 1994-1995, 579, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp16&div=23&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp16&div=23&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

2. არ უნდა მოხდეს დაცვის ფარგლების ფართოდ განმარტება, ასევე, ხელშეკრულებაში ზოგადი წესები არ უნდა იქნეს ასახული;

3. გათვალისწინებულ იქნეს, რომ არსებობს ორი სახის კონფიდენციალურობა. პირველი მოიცავს თუ რას გამჟღავნებენ მხარეები მედიაციის პროცესის გარეთ, ხოლო მეორე – ინფორმაციის გამჟღავნებას კერძო შეხვედრების დროს.<sup>1</sup>

დილარდი ტეხასის დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ აქტთან<sup>2</sup> დაკავშირებით აღნიშნავს, რომ პრაქტიკოსებმა და კომენტატორებმა არ უნდა განაგრძონ „დაველოდოთ და ვნახავთ“ მიდგომა კონფიდენციალურობის მუხლში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.<sup>3</sup>

## 5.1. დაუშვებელი მტკიცებულებების ინსტიტუტი, როგორც კონფიდენციალურობის დაცვის გარანტია

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის მიზნით შესაბამისი გარანტიების შექმნა. მაშინ, როდესაც მედიაცია წარმატებით ვერ დასრულდება და მხარეები ვერ შეთანხმდებიან, აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილ იქნას, რომ ყველა დოკუმენტი, ინფორმაცია (მათ შორის, არავერბალური ქმედებებიდან შეტყობილი) არის კონფიდენციალური და დაუშვებელ მტკიცებულებად იქნება განხილული მომავალში სასამართლო პროცესზე, არბიტრაჟსა თუ დავის გადაწყვეტის სხვა მეთოდებში.

საერთო სამართალში დაუშვებელ მტკიცებულებად განხილვის წესი გულისხმობს, რომ სასამართლოში დავის დროს ვერ წარადგენენ მტკიცებულების სახით მედიაციაში გამოთქმულ ინფორმაციას (*Field v Commissioner for Railways (NSW) 199 CIR 285*). სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო აქტები ითვალისწინებს კონფიდენციალურობის დაცვის მუხლებს, რომლებიც ეხება მედიაციის პროცესში გამოთქმულ განცხადებებსა და განხორციელებულ ქმედებებს.<sup>4</sup>

ესტონეთის კანონმდებლობაში კონფიდენციალურობა დაცულია საპროცესო ღონისძიებებით და მედიატორს ვერ დააკისრებენ ვალდებულებას მისცეს ჩვენება მედიაციასთან დაკავშირებით.<sup>5</sup> ლუქსემბურგის კანონმდებლობის თანახმად, მედიატორი ვერ იქნება მოწმედ მონვეული სასამართლოში იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მან მედიაციის პროცესში შეიტყო.<sup>6</sup> მსგავს რეგულირებას იცნობს საქართველოს კანონმდებლობაც.<sup>7</sup> სსსკ-ს 141-ე მუხლის დ) ქვეპუნქტის თანახმად, მედიატორი არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას.<sup>8</sup>

რაც შეეხება სასამართლო მედიაციას. სსსკ-ს 104-ე მუხლის 1<sup>1</sup> თანახმად, მტკიცებულებად არ მიიღებს სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვაგვარად არ არის დადგენილი.<sup>9</sup> აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს სხვა ტიპის მედიაციაში<sup>1</sup> გამოყენებულ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას.

<sup>1</sup> Golann D., *Mediating Legal Disputes: Effective Strategies for Neutrals and Advocates*, American Bar Association, USA, 2009, 217.

<sup>2</sup> *Texas ADR Act*.

<sup>3</sup> Dillard G., *The Future of Mediation Confidentiality in Texas: Shedding Light on a Murky Situation*, *The Review of Litigation* 137, Vol. 21, 2002, 3, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=21+Rev.+Litig.+137&srctype=smi&srcid=3B15&key=35f0af83a0bb a11f91b3de3e1a7c6324>>.

<sup>4</sup> Hardy S., Rundle O., *Mediation for Lawyers*, Australia, CCH Australia Limited, 2010, 183.

<sup>5</sup> Palo G. D., Trevor M. B. (eds.), *EU Mediation Law and Practice*, Great Britain, Oxford University Press, 2012, 87.

<sup>6</sup> იქვე, 240.

<sup>7</sup> სსსკ-ის 141-ე მუხლი, დ) ქვეპუნქტი, სსმ, 1106-ლს, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011].

<sup>8</sup> სსსკ-ის 141-ე მუხლი, დ) ქვეპუნქტი, სსმ, 1106-ლს, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011].

<sup>9</sup> იქვე.

ამავე დროს, კანონმდებელი დამატებით აღნიშნავს თუ რა შემთხვევებში არ გამოიყენება ზემოხსენებული წესი:

- თუ ინფორმაცია და დოკუმენტი წარდგენილია იმ მხარის მიერ, რომელმაც გაამჟღავნა;
- თუ ეს ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მეორე მხარეს ჰქონდა ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით მიიღო და წარადგინა სასამართლოში.<sup>2</sup>

კონფიდენციალურობის დარღვევის რისკი მედიატორს ასევე უკრძალავს მონაწილეობა მიიღოს შემდგომში იმავე საქმეზე სასამართლო პროცესებში. მაგალითად, საქმეში *The Duke Group Ltd (in lip) v Imaain Investment Ltd & Ors [2003] SASC 272*, მოსამართლე მონაწილეობას ღებულობდა როგორც მედიატორი დავის სასამართლოში განხილვამდე 9 წლით ადრე და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე თვითაც იღებდა<sup>3</sup> განახორციელა ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით.<sup>4</sup> ესტონეთის კანონმდებლობით აკრძალულია მედიატორი იყოს რომელიმე მხარის წარმომადგენელი იმავე დავაში სასამართლო პროცესზე.<sup>5</sup> საქართველოს კანონმდებლობით კერძოდ, სსსკ-ს 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ე) ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის აცილების ერთ-ერთ საფუძვლად დადგენილია განსახილველ საქმეში მედიატორად მონაწილეობა.<sup>6</sup> საქართველოს კანონმდებლობა ამ კუთხით ძირითადი რისკებისგან დაცვის მიმართ ღონისძიებებს ითვალისწინებს. სასამართლო პროცესზე რომელიმე მხარის წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მედიატორად მონაწილეობდა აღნიშნულ საქმეში.<sup>7</sup>

პოლონეთის კანონმდებლობით, კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183<sup>4</sup>-ე (3) მუხლის მიხედვით არა მხოლოდ სასამართლოში არ აქვს ძალა, არამედ საარბიტრაჟო ტრიბუნალშიც. ამგვარი დანაწესი გულისხმობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული ასეთი მტკიცებულება.<sup>8</sup> დიდ ბრიტანეთშიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია პროცესში გაკეთებული განცხადებების კონფიდენციალურობის დაცვის ზოგადი დანაწესი.<sup>9</sup>

აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიის შემთხვევაში სათანადოდ რეგისტრირებულ მედიატორს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება სისხლის სამართლის საქმეზე.<sup>10</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს ნოტარიუსი ან საჯარო მოსამსახურე თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყაროსა და შინაარსზე.<sup>11</sup> შედეგად სამედიცინო, სანოტარო და საგადასახადო მედიაციის დროს დავის მხარეებს გარკვეული გარანტია აქვთ, რომ მათი მიწოდებული ინფორმაცია არ იქნეს გამჟღავნებული. ასევე, კანონმდებელი დამატებით სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას გაათავისუფლოს მონაწილეობისგან თუ პირი სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმ-

<sup>1</sup> მაგალითად, სანოტარო, სამედიცინო, საგადასახადო მედიაციაში მხარეთა მიერ წარდგენილ, გამოყენებულ ინფორმაციაზე კანონმდებელი მსგავს დაცვას არ ადგენს.

<sup>2</sup> სსსკ-ის 104-ე მუხლი, <sup>12</sup> ნაწილი, სსმ, 1106-ლს, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011].

<sup>3</sup> *Disqualify*.

<sup>4</sup> *Hardy S., Rundle O., Mediation for Lawyers*, Printed in Australia, CCH Australia Limited, 2010, 178.

<sup>5</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice*, Great Britain, Oxford University Press, 2012, 88.

<sup>6</sup> სსსკ-ის 31-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი, დ) ქვეპუნქტი, სსმ, 1106-ლს, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011].

<sup>7</sup> სსსკ-ის 94-ე მუხლი, <sup>11</sup> ნაწილი, სსმ, 1106-ლს, 14.11.1997, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 5550-რს, 20.12.2011].

<sup>8</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice*, Great Britain, Oxford University Press, 2012, 259.

<sup>9</sup> *Burnley R., Lascelles G., Mediator Confidentiality – Conduct and Communications*, 1, <[http://www.cedr.com/library/articles/Mediatorconfidentiality\\_SJBerwin.pdf](http://www.cedr.com/library/articles/Mediatorconfidentiality_SJBerwin.pdf)>, [05.07.2013].

<sup>10</sup> იქვე, 13.

<sup>11</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 50-ე მუხლი, სსმ, 1772-ლს, 09.10.2009, [ცვლილების რედაქცია: სსმ, 3616-რს, 24.09.2010].

ლოებას.<sup>1</sup> თუმცა, ეს უკანასკნელი რამდენად ფართოდ განიმარტება არის პრაქტიკის საგანი და გავრცელება თუ არა აღნიშნული დებულებები მედიატორებზე.

## 5.2. მედიაციაზე შეთანხმება და კონფიდენციალურობის მუხლი

მედიაციის დროს განხორციელებული კომუნიკაციების კონფიდენციალურად დაცვის-თვის ყველაზე ხელსაყრელი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი მხარეთა და მედიატორს შორს. ასეთი შეთანხმებით მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ კონკრეტულად ყველა შემოთავაზება, დაპირება, ქმედება, განცხადება, წერილობითი თუ ზეპირი, რომ არ იქნეს გამოყენებული შემდგომში მტკიცებულებად მათ შორის დავის არსებობის შემთხვევაში.<sup>2</sup> თუმცა ამ შეთანხმებით მესამე პირები არ არიან პასუხისმგებლები კონფიდენციალურობის დაცვაზე. შესაბამისად, შეთანხმებით კონფიდენციალურობის პრინციპის არაადეკვატური დაცვა ხორციელდება.<sup>3</sup> სწორედ აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს და ხელმოწერილ იქნას შეთანხმების აქტში მედიაციის მესამე პირთა მხრიდან მათი ვალდებულებების შესახებ თუ კანონმდებლობით მსგავსი რეგულირება არ არსებობს.

შეთანხმებით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს კონფიდენციალურობის მუხლის დამრღვევის პასუხისმგებლობა, მიეთითოს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა. ასევე სხვა ხარჯები, რომელიც აღსრულებას უკავშირდება.<sup>4</sup>

## 5.3. მედიატორის როლი კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვაში

ეთიკის წესები კონფიდენციალურობის დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა.<sup>5</sup>

მედიატორის ქცევაზე კალიფორნიის წესების თანახმად მედიატორმა ყოველთვის უნდა დაიცვას კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობა.<sup>6</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მედიატორებმა უნდა იცოდნენ და შეატყობინონ მხარეებს კონფიდენციალურობის რეგულირების საკითხები.<sup>7</sup> მედიატორი ვალდებულია იცოდეს ზუსტად რა საკითხზეა ვალდებული და რა საკითხებზეა უფლებამოსილი აცნობოს შესაბამის ორგანოს კონფიდენციალური ინფორმაციის თაობაზე.<sup>8</sup>

კონფიდენციალურობის დაცვის კუთხით პირველი ნაბიჯი რაც შეიძლება გადაიდგას არის, რომ მხარეებმა იცოდნენ რას ნიშნავს და რას მოიცავს,<sup>9</sup> როგორია მედიაციის კონფიდენციალური ბუნება.<sup>10</sup> აშშ-ის სასამართლოების უმეტესობამ მედიატორის ერთ-ერთ ეთიკურ

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> *Kuester E. L.*, Confidentiality in Mediation: A Trial of Broken Promises, Vol. 16, No. 2, Hamline Journal of Public Law & Policy, 1994-1995, 576-577, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp16&div=23&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hplp16&div=23&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>3</sup> იქვე, 578.

<sup>4</sup> *Dollak P.*, Myth and Reality of Party Confidentiality in Ontario's Mandatory Mediation Program, The Advocates' Quarterly, Vol.29, 2005, 148, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/aqtr29&div=4&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/aqtr29&div=4&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>5</sup> იქვე, 134.

<sup>6</sup> *Deleissegues C.*, Mediation Confidentiality: Has it Gone too Far?, University of La Verne Law Review, Vol. 33, Issue 1, November, 2011, 133, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>7</sup> *Oberman S.*, Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 547, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdp27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>8</sup> იქვე, 611.

<sup>9</sup> *Deleissegues C.*, Mediation Confidentiality: Has it Gone too Far?, University of La Verne Law Review, Vol. 33, Issue 1, November, 2011, 126, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/jjuv133&div=9&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>10</sup> *Dollak P.*, Myth and Reality of Party Confidentiality in Ontario's Mandatory Mediation Program, The Advocates' Quarterly, Vol.29, 2005, 135, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/aqtr29&div=4&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/aqtr29&div=4&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

ვალდებულებად მიიჩნის მხარეთა ინფორმირება კონფიდენციალურობაზე.<sup>1</sup> სავალდებულო მედიაციის დროს მედიატორი ონტარიოს კანონმდებლობის მიხედვით ვალდებულია უზრუნველყოს გარკვეული პირობების ასახვა შეთანხმებაში. კერძოდ, ერთ-ერთი პირობაა მიეთითოს, რომ მედიაციის დროს კომუნიკაცია კონფიდენციალურია.<sup>2</sup>

მედიაციის შეთავაზების დროს სასამართლოს სერტიფიცირებული მედიატორები<sup>3</sup> ვალდებული არიან, მედიაციის ბუნებიდან გამომდინარე, აუხსნან მხარეებს კონფიდენციალურობის დაცვისა და მასზე უარის თქმის გაცხადების არჩევანის თაობაზე, მხარეთა ინტერესების განსაზღვრისა და კეთილსინდისიერების თაობაზე, და უზრუნველყონ კეთილსინდისიერება.<sup>4</sup> კონფიდენციალურობის ახსნასთან დაკავშირებით მედიატორი 1) მხარეებს აწვდის სამართლებრივი რეგულირების თაობაზე ინფორმაციას, 2) უზრუნველყოფს მხარეთა ინფორმირებულობას, 3) ვალდებულია განსაზღვროს, რომ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონმათთვის საუკეთესო ინტერესებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.<sup>5</sup> მედიატორი, ონტარიოს კანონმდებლობის თანახმად, მედიაციის დაწყებამდე ვალდებულია დარწმუნდეს, რომ მხარეებმა გაიგეს მედიაციის პროცესის ბუნების შესახებ.<sup>6</sup>

მალტას მედიაციის აქტის მე-5, (კ) მუხლი მედიატორს აკისრებს ვალდებულებას შეინარჩუნოს მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობა. მედიატორის ქცევის კოდექსი კი ასევე ითვალისწინებს მედიატორის პასუხისმგებლობას: უზრუნველყოს მხარეებმა გააფორმონ ნერილობითი ფორმით ხელშეკრულება, სადაც ასახული იქნება ნება არ განაცხადონ მომავალში აღნიშნული ინფორმაციის თაობაზე სასამართლოში. მედიატორი პასუხისმგებელია, რომ აღნიშნული აკრძალვა მხარეებმა გაიგონ.<sup>7</sup>

რუმინეთის კანონმდებლობითაც მედიატორი პასუხისმგებელია შეატყობინოს მხარეებს კონფიდენციალურობასთან და არსებულ გამონაკლისებთან დაკავშირებით ინფორმაცია, მანამ, სანამ მედიაციით დავის განხილვაზე შეთანხმებას გააფორმებენ. აღნიშნულია მედიატორის ეთიკური და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულება დეტალურად აუხსნას მხარეებს, რომ სწორად გაიგონ შეზღუდვების თაობაზე.<sup>8</sup>

პოლონეთის კანონმდებლობით მხარის კონფიდენციალურობის ვალდებულებასთან ერთად აღნიშნულია, რომ ეს ინფორმაცია მედიატორმა არ უნდა გამოიყენოს თავისი საკუთარი მიზნებისთვის, თუ რასაკვირველია მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.<sup>9</sup>

უნგრეთის მედიაციის აქტის 26-ე (1), (2) მუხლის თანახმად მედიატორი ვალდებულია შეინახოს ყველა ინფორმაცია მედიაციასთან დაკავშირებით. დამატებით აღნიშნულია, რომ ეს ვალდებულება მედიატორს მედიაციის დამთავრების შემდგომაც აქვს.<sup>10</sup>

<sup>1</sup> Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 633, 599 footnote, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>2</sup> Dollak P., Myth and Reality of Party Confidentiality in Ontario's Mandatory Mediation Program, The Advocates' Quarterly, Vol.29, 2005, 126, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/aqrt29&div=4&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/aqrt29&div=4&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>3</sup> Court-certified mediators.

<sup>4</sup> Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 547, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>5</sup> იქვე, 548.

<sup>6</sup> Dollak P., Myth and Reality of Party Confidentiality in Ontario's Mandatory Mediation Program, The Advocates' Quarterly, Vol.29, 2005, 135, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/aqrt29&div=4&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/aqrt29&div=4&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>7</sup> Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Oxford University Press, Great Britain, 2012, 247.

<sup>8</sup> იქვე, 294.

<sup>9</sup> იქვე, 259.

<sup>10</sup> იქვე, 165.

## 5.4. პასუხისმგებლობა კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევისათვის

კონფიდენციალურობის დასაცავად აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილ იქნეს პასუხისმგებლობა მხარეთათვის, მედიატორისთვის ან მედიაციის ნებისმიერი მესამე პირისთვის.

კონგრესმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც ინფორმაციის გამჟღავნების კრიმინალიზაციას ახორციელებს როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობით. ის, ვინც დაარღვევს საზოგადოების ნდობას და სახელმწიფოსთვის სტატისტიკის მიზნით მიწოდებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას გაამჟღავნებს.<sup>1</sup>

პორტუგალიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევასთან (როგორც მედიაციის დროს, ასევე მედიაციის შემდეგ) დაკავშირებულ სანქციებს.<sup>2</sup>

*Paranzino*-ს საქმეში ოფერტის პირობები გამჟღავნდა და სწორედ ეს გახდა სანქციის საფუძველი.<sup>3</sup>

ტეხასის დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ აქტთან ხარვეზად მიჩნეულია კონფიდენციალურობის დებულების დარღვევისთვის სათანადო სანქციების გაუთვალისწინებლობა.<sup>4</sup> რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, ეს საკითხებიც არის დაურეგულირებელი.

### 5.4.1. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დარღვევა მედიაციის მხარის მიერ

ბულგარეთის კანონმდებლობით, კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული სპეციალური სანქციები. ამის ნაცვლად მხარეები და იურისტები, ასევე, მედიატორები ხელს აწერენ მედიაციის თაობაზე შეთანხმებას, სადაც გათვალისწინებულია კონფიდენციალურობის მუხლი. შეთანხმების დარღვევის შედეგად დგება სახელმეკრულებო პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მხოლოდ ზოგადი წესების თანახმად მოუწევს მხარეს მტკიცება მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.<sup>5</sup> კონფიდენციალურობის მუხლის დარღვევა წარმოშობს მხარის უფლებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით.<sup>6</sup>

საინტერესოა, რომ დანიის კანონმდებლობის თანახმად, მხარეებს არ აქვთ ვალდებულება თქვან სიმართლე მედიაციის დროს და არავის არ აქვს უფლება დასაჯოს მხარე ამისთვის.<sup>7</sup>

*Paranzino v. Barnett Bank*, 690 So. 2d 725 (Fla. Dist. Ct. App. 1997) და *Bernard v. Galen Group*, 901 F. Supp. 778 (S.D.N.Y.1995) საქმეებში მხარეები სასამართლო მედიაციის ფარგლებში კონფიდენციალურობის დარღვევასთან დაკავშირებით მკაცრად დააჯარიმეს.<sup>8</sup> *Bernard-ის* საქმეში

<sup>1</sup> *Oberman S.*, Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol. 27, No. 3, 2012, 606, [http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/ohjdpr27&div=22&collection=journals&set_as_cursor=clear).

<sup>2</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.)*, EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 277.

<sup>3</sup> *Giesler C., Lee J. A.*, Confidentiality in Mediation, Harvard Negotiation Law Review, Vol. 3, 1998, 291, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg3&div=12&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg3&div=12&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>4</sup> *Dillard G.*, The Future of Mediation Confidentiality in Texas: Shedding Light on a Murky Situation, The Review of Litigation 137, Vol. 21, 2002, 3, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=21+Rev.+Litig.+137&srctype=smi&srcid=3B15&key=35f0af83a0bb a11f91b3de3e1a7c6324>>.

<sup>5</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.)*, EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 36.

<sup>6</sup> *Demeyere L.*, Dispute Resolution Journal. Vol. 61 Issue 4, November 2006 - January 2007, 90, <<http://web.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?sid=986960f3-f927-42f3-8996-32e8a2c1d10a%40sessionmgr11&vid=1&hid=10>>.

<sup>7</sup> *Palo G. D., Trevor M.B. (eds.)*, EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 77.

<sup>8</sup> *Giesler C., Lee J. A.*, Confidentiality in Mediation, Harvard Negotiation Law Review, Vol. 3, 1998, 295, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg3&div=12&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg3&div=12&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

კონფიდენციალური ინფორმაცია მიენოდა საქმის განმხილველ მოსამართლეს, თუმცა არ მომხდარა მისი სხვაგვარად საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა.<sup>1</sup>

#### 5.4.2. კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევა მედიატორის მიერ

მედიატორის მხრიდან კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოთა მიდგომა განსხვავდება.

მედიატორის მხრიდან კონფიდენციალურობის დარღვევა ჩეხეთის რესპუბლიკაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად<sup>2</sup> არის მიჩნეული.<sup>3</sup> უფრო მკაცრი რეგულაცია აქვს შემუშავებული ავსტრიას. მედიატორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება თუ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დარღვევს.<sup>4</sup> საქართველოს კანონმდებლობა რაიმე სპეციალურ რეგულაციას არ ითვალისწინებს.

### VI. დასკვნა

სტატიაში განხორციელებული კვლევის შედეგები შესაძლებელია შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

- საკანონმდებლო დონეზე უნდა დადგინეს მედიაციის პროცესის ფართო დეფინიცია. კერძოდ, იგი უნდა მოიცავდეს პერიოდს, რომელიც იწყება მხარეთა შორის მედიაციით დავის განხილვაზე წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან და სრულდება მედიაციით განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო კომუნიკაციით მხარესთან ან მედიატორთან. მედიაციის პროცესის დეფინიცია, თითოეულ შემთხვევაში, შესაბამის მარეგულირებელ აქტში უნდა იქნეს ასახული;

- ასევე, უნდა განისაზღვროს მედიაციის პროცესში განხორციელებული კომუნიკაციის ცნება. როგორც მხარესთან, ასევე მედიატორთან განხორციელებული კომუნიკაცია (იქნება ეს ვერბალური თუ არავერბალური) უნდა იყოს კონფიდენციალურობის დაცვის საგანი. უმჯობესია მიეთითოს დაკონკრეტების მიზნით, რომ ეს კომუნიკაცია არ არის შემოფარგლული ფორმალური სესიით და ნებისმიერ ვითარებაში მიწოდებულ ინფორმაციას მოიცავს;

- მედიაციის პროცესში შედგენილ და წარდგენილ დოკუმენტებიც, იმის მიუხედავად არის თუ არა დავის საგანთან კავშირში, კონფიდენციალურად უნდა იქნეს განხილული. მედიაციის მიმართ არსებული ნდობის საფუძველზე მხარემ შესაძლებელია დამატებით წარადგინოს ის დოკუმენტი, რაც დავის საგანს არ ეხება. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერი მონაწილის ინტერესები მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული და მას კანონმდებელმა შესაბამისი დაცვა უნდა შესთავაზოს. პრაქტიკაში არაეთვაროვნად განმარტების თავიდან არიდების მიზნით აუცილებელია აღნიშნული დათქმის არსებობა, კერძოდ ნებისმიერ დოკუმენტზე დაცვის გავრცელება, ნათლად უნდა იყოს ასახული საკანონმდებლო აქტში;

- საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მედიატორის ქცევის წესებს, რაც კონფიდენციალურობის დაცვის ერთ-ერთ ხარვეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული. აუცილებელია, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისი სახელმძღვანელო – ქცევის კოდექსი იქნეს შემუშავებული. სასურველია, ქცევის კოდექსში ასახულ იქნეს მედიატორის ვალდებულება მიაწოდოს სრული ინფორმაცია მედიაციაში კონფიდენციალურობასთან, მის შეზღუდვებსა და გარანტიებთან დაკავშირებით მედიაციის დაწყებამდე და აღნიშ-

<sup>1</sup> Giesler C., Lee J. A., Confidentiality in Mediation, Harvard Negotiation Law Review, Vol. 3, 1998, 290, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg3&div=12&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/haneg3&div=12&collection=journals&set_as_cursor=clear)>.

<sup>2</sup> Administrative offence.

<sup>3</sup> Palo G. D., Trevor M. B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 63.

<sup>4</sup> იქვე, 12.

ნული ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტის შედგენაც იყოს გათვალისწინებული. შედეგად, მხარეებს ექმნებათ წარმოდგენა კონფიდენციალურობასთან და მის შეზღუდვებთან დაკავშირებით;

- მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე დადგინდეს მედიაციის მესამე პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ეს პირები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: მედიაციის პროცესის მონაწილე მესამე პირები ან მესამე პირები, რომლებიც პროცესში მონაწილეობას არ იღებდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობით მათზე არ ვრცელდება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება სასურველი იქნება თუ მედიაციის მხარეები ამ ურთიერთობებს დაარეგულირებენ ცალკე შეთანხმებით. თუმცა, მხარეთა უცოდინრობის ან მედიატორის პრაქტიკული გამოუცდელობის გამო შეიძლება არ იქნეს გაფორმებული ხელშეკრულება კონფიდენციალურობის დაცვაზე მედიაციის პროცესის მონაწილე პირებთან. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო დონეზე მათი ვალდებულება მედიაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვაზე უნდა იქნეს ასახული, რათა მედიაციის მონაწილეებს უფრო მეტი გარანტია შესთავაზოს კანონმდებელმა. რაც შეეხება მესამე პირებს, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობდნენ მედიაციაში. თუ მათთვის რაიმე შემთხვევითობის შედეგად ხელმისაწვდომი გახდება მედიაციის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, აუცილებელია მათთვისაც დადგინდეს ვალდებულება არ გადასცენ სხვა პირს და აღნიშნული ინფორმაცია, დოკუმენტი, მასალა, მინარეონ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს. თავის მხრივ, კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს უფლებამოსილი ორგანო. დამატებით ასევე უმჯობესი იქნება, რომ შესაბამის კომპეტენტურ უწყებას ან ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდეს გარკვეული უფლებამოსილება მიმართოს მესამე პირს კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის თაობაზე, მანამ სანამ მხარეებს შეატყობინენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;

- კონფიდენციალურობის გამონაკლისების დადგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხია, რომელიც დღეის მდგომარეობით ღიად არის დატოვებული. როგორც *მატურკი* აღნიშნავს, გამონაკლისები მედიაციის გამოყენებას ხელს უწყობს,<sup>1</sup> ხოლო *დისონის* მოსაზრებით, აუცილებელია შერჩეულ იქნეს ბალანსი კონფიდენციალურობის დაცვასა და საჯაროობას შორის.<sup>2</sup> მხარეთა შეთანხმება ან მხარის თანხმობა კონფიდენციალურობის შეზღუდვის ერთ-ერთი გამონაკლისია, რაც დღეის მდგომარეობით ასახულია საქართველოს კანონმდებლობაში. ამასთანავე, აუცილებელია ფორმალურად სახე განისაზღვროს კანონმდებლობით ამ შეთანხმებასთან და თანხმობის შედგენასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდებიან ან მხარე თანხმდება კერძო შეხვედრების დროს მიწოდებულ ინფორმაციაზე არ გავრცელდეს კონფიდენციალურობა, აუცილებელია შესაბამის შეთანხმებაში სპეციალურად იქნეს აღნიშნული და გათვალისწინებული. თავად კერძო შეხვედრების კონფიდენციალური ბუნებიდან გამომდინარე, უმჯობესია, თუ საკანონმდებლო დონეზე შესაბამის შეთანხმებასა და თანხმობაში სავალდებულო მისათითებელ ელემენტად იქნება დადგენილი ამგვარი აღნიშვნის გაკეთება. ბელგიის კანონმდებლობაში შეზღუდვის ერთ-ერთი სახეა საჯარო წესრიგი, თუმცა ლიტერატურაში აღინიშნება, რომ ეს ბუნდოვანი ტერმინი კონფიდენციალურობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.<sup>3</sup> აქედან გამომდინარე, უმჯობესია დანაშაულებრივი ნიშნის შემცველი საქმეების გამოძიების სასარგებლოდ მიმართ განახორციელონ კონფიდენციალურობის შეზღუდვა, ვიდრე შემოღებულ იქნეს ბუნდოვანი ტერმინოლოგია და ფართო

<sup>1</sup> *Macturk H. C.*, Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exceptions, *American Journal of Trial Advocacy*, Vol. 19, Issue 2, 1995, 426, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtradv19&div=25&collection=journals&set\\_as\\_cursor=clear#431](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtradv19&div=25&collection=journals&set_as_cursor=clear#431)>.

<sup>2</sup> *Deason E. E.*, Symposium: Secrecy and Transparency in Dispute Resolution: The Need for Trust as a Justification for Confidentiality in Mediation: A Cross-Disciplinary Approach, *Kansas Law Review* 1387, Vol. 54, 2006, 2, <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=54+Kan.+L.+Rev.+1387&srctype=smi&srcid=3B15&key=512f3bacdcd52d582393a1235f2a59d>>.

<sup>3</sup> *Palo G. D., Trevor M. B. (eds.)*, *EU Mediation Law and Practice*, Great Britain, Oxford University Press, 2012, 24.



განმარტების საშუალებას იძლეოდა მოსამართლის მხრიდან. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების გამონაკლისი უნდა იყოს მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმების ნამდვილობის დადგენა, რამდენადაც შესაძლებელია არ წარმოშობდეს პირის ვალდებულებებს. შემდეგი გამონაკლისი, რომლის ასახვაც აუცილებელია, არის მედიაციის პროცესის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებისა და იმპლემენტაციის მიზნები. მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების აღსრულების მიზნებისთვის შესაძლოა გარკვეული ინფორმაციის საჭიროება იყოს. შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე უნდა იქნას გათვალისწინებული ეს გამონაკლისიც. რაც შეეხება მედიაციის ინსტიტუტის კვლევას, გამომდინარე იქიდან, რომ მედიაცია სიახლეა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, შესაბამისად, აუცილებელია განხორციელდეს სასამართლო მედიაციის ამოქმედებისთანავე კვლევა ამ ინსტიტუტის საქმიანობის, პროცესების თაობაზე. სწორედ ამიტომ აღნიშნული შეზღუდვაც საჭიროა, რომ დადგინდეს;

- კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის გარანტიებთან დაკავშირებით დღეს მოქმედი საქართველოს რეგულაციები უფრო სრულყოფილია, მედიაციის ზემოხსენებულ საკითხებთან შედარებით. თუმცა შემდეგი გარემოებები საჭიროებს გათვალისწინებას, კერძოდ შესაძლებელია დავა შემდგომში გაგრძელდეს დავის გადანაცვების სხვა მეთოდით, აქედან გამომდინარე, მხოლოდ სასამართლოში მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობით შესაძლებელია მხარის კონფიდენციალურობის მოლოდინი არ გამართლდეს. დაცვის ერთ-ერთი შესაძლებლობაა კონფიდენციალურობის ვალდებულებების დარღვევისთვის შესაბამისი სანქციების დანერგვა მედიატორისა და მესამე პირებისთვის. მედიატორის სანქციების დადგენასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომებია, ჩეხეთის შემთხვევაში მედიატორის კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა, მაშინ როდესაც ავსტრია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. საქართველოს კანონმდებლობის შემთხვევაშიც აუცილებელია დადგინდეს შესაბამისი სანქციები.

სწორედ მედიაციის ბუნებიდან გამომდინარე აუცილებელია კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიღებულ იქნეს შესაბამისი ცვლილებები.

## THE IMPORTANCE OF CONFIDENTIALITY PRINCIPLE IN THE MEDIATION PROCESS

### 1. Introduction

საოჯახო მედიატორზე ვრცელდება მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალურობის ვალდებულება<sup>8</sup>. ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მედიატორსა და მხარეს შორის უნდა იყოს კონფიდენციალური, ისევე როგორც ექიმსა და პაციენტს, ასევე ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა, რადგანაც განქორწინების საქმის განხილვისას მხარეები საუბრობენ ძალიან ინტიმურ თემებზე: საკუთარ თავზე, ერთმანეთზე, შვილებზე. კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს მხარეთა თავისუფლებასა და გულწრფელობას მედიაციის პროცესში. მოდელური სტანდარტები ითვალისწინებს გამონაკლისს კონფიდენციალურობის ვალდებულებიდან: მედიატორს შეუძლია უფლებამოსილ ორგანოებს გადასცეს ინფორმაცია თუ ცხადი ხდება, რომ პროცესის მონაწილე გეგმავს თვითმკვლელობას ან ძალადობის განხორციელებას სხვაზე – ასეთ შემთხვევაში საჯარო კეთილდღეობას ენიჭება უპირატესობა.

<sup>1</sup> Shaw L. A., Divorce Mediation Outcome Research: A Meta-Analysis, *Conflict Resolution Quarterly*, vol. 27, no. 4, 2010, 447, <<http://www.mediate.com/ccr/docs/Divorce%20Mediation%20Outcome%20Research%20A%20Meta-Analysis%20by%20L.A.%20Shaw.pdf>>.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Kruk E., *Mediation and Conflict Resolution in Social Work and Human Service*, Chicago, 1997, 39.

<sup>4</sup> Pearson J., *Divorce Mediation and Domestic Violence*, Madison, 1997, 2.

<sup>5</sup> იქვე 5.

<sup>6</sup> The Symposium on Standards of Practice (ABA House of Delegates), *Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation*, 2001, <<http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/family/reports/mediation.authcheckdam.pdf>>.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> Burnley R., *Lascalles G., Mediator Confidentiality - Conduct and Communications*, 2004, 13, <[http://www.cedr.com/library/articles/Mediator\\_confidentiality\\_SJBerwin.pdf](http://www.cedr.com/library/articles/Mediator_confidentiality_SJBerwin.pdf)>.



კონფიდენციალურობის პირობიდან იდენტურ გამონაკლისს ითვალისწინებს აშშ-ში მიღებული მედიაციის მოდელური კანონი *Uniform Mediation Act (UMA)*.<sup>1</sup>

#### 4. ბავშვები განქორწინების მედიაციის პროცესში

განქორწინებისას მხარეებს, უპირველეს ყოვლისა, უჩნდებათ კითხვა თუ ვისთან დარჩება ბავშვი. სასამართლო პროცესისაგან განსხვავებით, მედიაციის პროცესში არ ხდება გარკვევა, თუ რომელ მშობელთან უნდა იცხოვროს ბავშვმა, ვისთან უნდა გაატაროს არდადეგები, ვის უნდა დაეკისროს ბავშვის ფინანსური უზრუნველყოფა. მედიაციის პროცესში ხდება მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ მეუღლეები შეთანხმდნენ და თავად ჩამოაყალიბონ ე.წ. *“parenting plan”*. ამ შეთანხმებით ისინი თავად განსაზღვრავენ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს. შეთანხმება, ზოგადად, შეიცავს სამართლებრივი მზრუნველობისა (*Legal custody*) და ფიზიკური მზრუნველობის (*Physical custody*) პირობებს. სამართლებრივი მზრუნველობა ნიშნავს, რომ ორივე მშობელს აქვს თანაბარი უფლება ბავშვის აღზრდაზე, უფრო კონკრეტულად, აქვთ უფლება იზრუნონ ბავშვის განათლებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ფიზიკური მზრუნველობა კი განსაზღვრავს მშობლების მიერ ბავშვის კონტროლის უფლებამოსილებას. *“Parenting plan”*-ის მეშვეობით მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ მიღწეული შეთანხმების პირობების დარღვევისას ჯერ თავად შეეცდებიან უთანხმოების მოგვარებას და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავენ ისევ მედიაციას. მხარეები ასევე შესაძლებელია შეთანხმდნენ, რომ ბავშვზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ ის მშობელი, რომელთანაც იმყოფება ბავშვი მოცემულ მომენტში (*on-duty parenting*).<sup>2</sup>

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს უნდა მონაწილეობდნენ თუ არა თავად ბავშვები განქორწინების მედიაციის პროცესში. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ბავშვებს აქვთ უფლება იცოდნენ რა ხდება, რადგან მშობლების დაშორება მათ გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებს, მედიაციის პროცესში მონაწილეობით კი შესაძლებლობა უჩნდებათ, გაეცნონ ცვლილებების მიზეზებს. ბავშვების მედიაციის პროცესში მონაწილეობის მომხრეები მიუთითებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით „ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“, ბავშვს აქვს უფლება დააფიქსიროს საკუთარი აზრი<sup>3</sup>. განქორწინების მედიაციის პროცესში ბავშვის აქტიურ მონაწილეობას ზოგი ლოგიკურად მიიჩნევს იქიდან გამომდინარე, რომ პროცესის შედეგები საბოლოოდ სწორედ მასზე ახდენს გავლენას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვები მედიაციის პროცესში რომელიმე მშობლის სასარგებლო პოზიციას იკავებენ. ბავშვების მონაწილეობით მედიატორსა და მხარეებს უადვილდებათ მშობელთა მზრუნველობის უფლება-მოვალეობების გადანაწილება, ვინაიდან ბავშვებს შეუძლიათ ჩაერთონ მედიაციის შეთანხმების პირობების ჩამოყალიბებაში - მედიაციის პროცესი სწორედ ბავშვების ინტერესების პრიორიტეტულობას აღიარებს. მიუხედავად ამისა, ავტორთა ნაწილი ბავშვების მედიაციის პროცესში ჩართვას არ მიიჩნევს მიზანშეწონილად, ვინაიდან განქორწინების მედიაცია ემოციური პროცესია და ბავშვებმა შესაძლოა გარკვეული ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღონ. გარდა ამისა, მიუთითებენ, რომ ბავშვის მედიაციის პროცესში მონაწილეობისას ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ მისი გადაბირება მოხდება რომელიმე მშობლის მიერ.<sup>4</sup>

<sup>1</sup> The Symposium on Standards of Practice (ABA House of Delegates), Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, 2001, <<http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/family/reports/mediation.authcheckdam.pdf>>.

<sup>2</sup> Folberg J., Milne L. A., Salem P., Divorce and Family Mediation: Models, Techniques, and Applications, New York, London, 2004, 144.

<sup>3</sup> Birnbaum R., The Voice of the Child in Separation/Divorce Mediation and Other Alternative Dispute Resolution Processes: A Literature Review, 2009, 9, <<http://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/fl-lf/divorce/vcsdm-pvem/pdf/vcsdm-pvem.pdf>>.

<sup>4</sup> იქვე, 13.

ბავშვის მედიაციის პროცესში მონაწილეობის საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად წყდება. იმისათვის, რომ ბავშვმა მონაწილეობა მიიღოს მედიაციის პროცესში აუცილებელია იგი ფსიქოლოგიურად მზად იყოს ამისათვის. ამავე დროს, უნდა იყოს ისეთ ასაკში, რომ შეძლოს, რაციონალურად გამოხატოს საკუთარი აზრი.<sup>1</sup>

ბავშვების მედიაციის პროცესში ჩართვა შესაძლოა სხვადასხვა გზით განხორციელდეს: ა) მედიატორი გაესაუბრება ბავშვს პროცესის ადრეულ ეტაპზე, რათა მიიღოს ინფორმაცია მისი შეხედულებების, დამოკიდებულების, გრძნობების შესახებ. ბ) ბავშვის მედიაციის პროცესში ჩართვა შესაძლოა განხორციელდეს პერიოდულად, სხვადასხვა ეტაპზე. გ) ბავშვი შესაძლებელია მონაწილეობას იღებდეს მთელ პროცესში, როგორც დამოუკიდებელი მხარე. დ) ბავშვს შესაძლოა მიმართონ პროცესის ბოლოს, როდესაც შეთანხმება მიღწეულია, თუმცა პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული. ე) ბავშვი შეიძლება პროცესში შეიყვანონ პროცესის ბოლოს, რათა გააცნონ შექმნილი სიტუაცია.<sup>2</sup>

როდესაც მედიატორი მიიჩნევს, რომ საჭიროა ბავშვის მონაწილეობა მედიაციის პროცესში, მან აღნიშნული საკითხი ორივე მშობელთან უნდა შეათანხმოს.

## 5. განქორწინების მედიაცია ოჯახური ძალადობის შემთხვევაში

იმისათვის, რომ მედიაცია წარმატებული იყოს, აუცილებელია მასში ორი თანასწორი, დამოუკიდებელი მხარე მონაწილეობდეს. ეს ძალიან რთულდება მაშინ, როდესაც ხდება განქორწინების მედიაცია საქმეში, სადაც ოჯახურ ძალადობას ჰქონდა ადგილი.

ოჯახური ძალადობა ხშირად განიმარტება, როგორც ერთი მეუღლის მიერ მეორის კონტროლი ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის მეშვეობით.<sup>3</sup> შესაბამისად, პირს, რომელიც პარტნიორის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა (თანაც დიდი ხნის განმავლობაში), შესამჩნევად გაუჭირდება, მასთან თანაბარ პირობებში მოლაპარაკების წარმოება.<sup>4</sup> მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ურთიერთობის შეწყვეტა ხშირად არ იწვევს ძალადობის დასრულებას – იგი ზოგჯერ განქორწინების შემდეგაც მიმდინარეობს.<sup>5</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ მედიაციის პროცესის წარმოება მაშინ, როდესაც ძალადობა შესაძლოა შეწყვეტილი არ იყოს, დამატებით შანსს ქმნის მისი ხელახლა განხორციელებისა, რადგანაც აძლევს მოძალადეს ზუსტ ინფორმაციას მსხვერპლის ადგილმდებარეობისა და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ.<sup>6</sup>

გარდა ზემოთმოცემულისა, არაერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ოჯახური ძალადობის შემდეგ განქორწინების მედიაციის გამოყენება ხსენებული ძალადობის ფაქტობრივ დეკრიმინალიზაციას წარმოადგენს და მსხვერპლს სთხოვს, შეურიგდეს მის შეურაცხმყოფელს.<sup>7</sup> ეს კი, ბუნებრივია, მიუღებელია და, შესაბამისად, შეიძლება მედიაციაზე უარის თქმის საფუძველიც გახდეს.

საბოლოოდ კი აღსანიშნავია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მიიჩნევა, რომ მედიაციის სპეციალისტებმა შეიძლება ვერ შეძლონ სათანადოდ ამოიცნონ ძალადობის ნიშნები ამა თუ იმ საქმეში. შესაბამისად, არის შანსი, რომ მედიაციის პროცესში ისინი ვერ შეძლებენ ადეკვატურად მოეპყრონ ძალადობის მსხვერპლსა და განმახორციელებელს.<sup>8</sup>

<sup>1</sup> Folberg J., Milne L. A., Salem P., Divorce and Family Mediation: Models, Techniques, and Applications, New York, London, 2004, 161.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Lowe E. A., Abrams D. N., Should We Mediate Cases Involving Domestic Violence? – Oakland County Bar Association Journal, 2011, 9, <<https://www.mediate.com/mediator/attachments/28913/DV%20Mediate-Abrams%-20Lowe.pdf>>.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Harris-Short S., Miles J., Family Law-Text, Cases, and Materials, New York, 2011, 209.

<sup>6</sup> Barrett M. J., Bates M. C., The Role of Mediation in Divorce and Child Custody Disputes in which Domestic Violence is Present: A research Pathfinder, 2004, 3, <<http://pegasus.rutgers.edu/~rcrlj/articlespdf/Barrett-Bates.pdf>>.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> Pearson J., Mediating When Domestic Violence is a Factor: Policies and Practices in Court Based Mediation Programs, Wiley Periodicals, 1995, 320.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მრავალი სპეციალისტი თვლის, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემები გვხვდება არა მხოლოდ მედიაციის, არამედ განქორწინებასთან დაკავშირებული საქმის სასამართლოში წარმოებისასაც. ისინი მიიჩნევენ, რომ მედიაცია სასურველი მეთოდია ასეთ შემთხვევაშიც, რადგანაც სასამართლო წარმოების, შეჯიბრებითი პროცესის დროს ადვილად შესაძლებელია ძალადობის კიდევ მეტად ესკალაცია, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხულია მედიაციის დროს და, შესაბამისად, სწორედ მედიაცია გვთავაზობს ყველაზე უსაფრთხო მეთოდს.<sup>1</sup>

## 6. დასკვნა

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად მისი მრავალი დადებითი მხარისა, განქორწინების მედიაცია საზღვარგარეთის პრაქტიკაშიც კი შორსაა იდეალისაგან. შედეგად ჩანს, რომ ამ მექანიზმის ქართულ კანონმდებლობაში წარმატებით იმპლემენტაციისათვის აუცილებელია მისი ზედმინვენით რეგულაცია ყველა შესაძლო ხარვეზის გათვალისწინებით. მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების სრულად გათვალისწინებით გახდება შესაძლებელი განქორწინების მედიაციის ქართულ კანონმდებლობაში სათანადოდ მონესრიგება, რაც საოჯახო სამართლებრივი დავების ბევრად უკეთ გადაწყვეტამდე და, შესაბამისად, ქართული სამართლებრივი სივრცის გაჯანსაღებამდე მიგვიყვანს.

---

<sup>1</sup> Newmark L., Domestic Violence and Empowerment in Custody and Visitation Cases, Madison, 1995, 321.

## DIVORCE MEDIATION

### 1. Divorce Mediation in Georgia

Amendments made to Georgian legislation in 2011 resulted in the creation of legislative base for effective mediation. Nevertheless, divorce mediation is not at all mentioned in Georgian legislation; instead, it stipulates the resolution of “domestic disputes” via a mediator, thus allocating it to the field of domestic mediation. As far as domestic mediation encompasses the issues arising from divorce suits,<sup>1</sup> it means that divorce mediation is definitely furnished with a legislative base through Georgian legislation even without the direct reference to it. Unfortunately, so far, Georgian legislation does not contain laws regulating divorce mediation other than the above-mentioned measure. The clauses regulating judicial mediation do not indicate who shall play a role of divorce mediator and what professional qualifications should one meet to ensure the protection of divorcing parties and their children’s rights to the maximum extent possible.

Considering the rapid growth of divorce rate in Georgia that has substantially increased during the last decade,<sup>2</sup> it becomes obvious that there exists a large free space for implementing divorce mediation procedures, and, therefore the field of divorce mediation maintains the high quality of relevance. Moreover, it shows the necessity of improved legal regulation of divorce mediation tool. In order to adopt the most effective regulation, it is necessary to take into account the international practice. Most important is to focus on the problems outlined by international practice, such as: the role of a mediator in divorce mediation; children in the mediation process; divorce mediation in domestic violence cases.

### 2. Divorce Mediation in International Practice

Divorce mediation does not represent a tool to maintain family relations. It exists to ease the process of separation of spouses, where a mediator helps the mediation parties to solve the issues such as: parental duties, property division, etc. The participants of divorce mediation process are a mediator and spouses. Such a process usually takes place before or after a divorce. The mediator is responsible for conducting a conciliatory process, whereas the decision is taken by the mediation parties themselves<sup>3</sup>.

According to the studies, the couples addressing the mediation services for their divorce cases have a higher satisfaction rate with the outcomes, than those suing divorce cases to court.<sup>4</sup> At the same time, the mediation process is rather cost-effective compared to the court charges<sup>5</sup>. It should also be mentioned that the spouses address the divorce mediator when they are severely affected by emotions. In such situations the negotiation process and the right strategy chosen by a mediator would be rather effective than the judicial assessment of spouses’ positions during the court trials.<sup>6</sup>

---

<sup>1</sup> *Casals M. M.*, Divorce Mediation in Europe, An Introductory Outline - Electronic Journal of Comparative Law, Vol. 9.2, 2, , Girona, 2005, 1-2.

<sup>2</sup> National Statistics Office of Georgia – Statistical Data on Divorce Rate (2001-2011) – according to these data, in 2001 there were 1087 divorce cases in Georgia, while in 2011 there were 5850 cases, <[http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=169&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=169&lang=geo)>.

<sup>3</sup> *Kruk E.*, Mediation and Conflict Resolution in Social Work and Human Service, Chicago, 1997, 37-38.

<sup>4</sup> *Shaw L. A.*, Divorce Mediation Outcome Research: A Meta-Analysis – Conflict Resolution Quarterly Vol. 27, no. 4, 2010, 447, <<http://www.mediate.com/ccr/docs/Divorce%20Mediation%20Outcome%20Research%20A%20Meta-Analysis%20by%20L.A.%20Shaw.pdf>>.

<sup>5</sup> *Ibid.*

<sup>6</sup> *Kruk E.* , Mediation and Conflict Resolution in Social Work and Human Service, Chicago, 1997, 39.

Nevertheless, the divorce mediation process could be irrelevant with domestic violence cases.<sup>1</sup> The mediators and women advocates agree that in certain cases involving violence it is irrelevant to employ mediation services. However, some of them believe that mediation is the best way to solve even such problems, if proper safety and security measures are taken.<sup>2</sup>

### 3. Mediator in the Process of Divorce Mediation

In 1984 the USA established Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation, defining the role of a mediator and the key principles of his/her duties. According to the mentioned standards, a mediator, dealing with divorce and, generally, with family cases should meet some important requirements, namely: s/he should have relevant knowledge in family law; hold enough information about children's development as well as about domestic violence and how the conflict between the parents affects a child; one should have attended relevant training courses on mediation related issues.<sup>3</sup>

Before starting the mediation process, the mediator should introduce the main points of mediation to the parties and assess the parties' conciliation opportunities at the same time. The children's interests should not be neglected, on the contrary, they prevail through the process.<sup>4</sup>

The family mediator carries a responsibility for impartiality and confidentiality<sup>5</sup>. Any type of communication between a party and the mediator should be treated confidentially in the same way as between a patient and a doctor, or between a client and a lawyer, as while discussing the divorce cases the parties have to talk about most private issues about themselves, about the spouses and children. Maintaining the principles of confidentiality ensures freedom and sincerity of the parties during the mediation process. Model standards consider exceptions regarding the confidentiality obligation in certain cases; namely, the mediator can inform the relevant authorities and bodies if he finds out that one of the process participants is planning an act of suicide or violence. In such cases the public well-being prevails. The same exception from the confidentiality duty is foreseen by the Uniform Mediation Act (UMA) adopted in the USA.<sup>6</sup>

### 4. Children in the Divorce Mediation Process

The first question asked by the parties in divorce cases is related to a child, and namely which parent the child will stay with. Apart from the court proceedings, the mediation process does not ascertain which parent the child will stay with and which parent the child will spend holidays with; which parent has to support the child financially, etc. During the mediation process, the parties negotiate to agree on the so-called "parenting plan". According to such an agreement, they themselves define how the above mentioned issues will be solved. The agreement generally includes legal custody and physical custody conditions.

Legal custody means that both parents have equal rights to bring up a child. More specifically, they both have rights to take care of the child's education and healthcare. Physical custody means the power of controlling a child. By means of a "parenting plan" the parties may agree that in case of violation of the reached agreement they will try to solve the dispute amicably and address mediation only after that. The parties can also agree that the responsibilities upon the child will be taken only by an on-duty parent.<sup>7</sup>

---

<sup>1</sup> *Pearson J.*, *Divorce Mediation and Domestic Violence*, Madison, 1997, 2.

<sup>2</sup> *Ibid*, 5.

<sup>3</sup> The Symposium on Standards of Practice (ABA House of Delegates), *Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation*, 2001, <<http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/family/reports/mediation.authcheckdam.pdf>>.

<sup>4</sup> *Ibid*.

<sup>5</sup> *Burnley R., Lascelles G.*, *Mediator Confidentiality, Conduct and Communications*, 2004, 13,, <[http://www.cedr.com/library/articles/Mediator\\_confidentiality\\_SJBerwin.pdf](http://www.cedr.com/library/articles/Mediator_confidentiality_SJBerwin.pdf)>.

<sup>6</sup> The Symposium on Standards of Practice (ABA House of Delegates), *Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation*, 2001, <<http://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/family/reports/mediation.authcheckdam.pdf>>.

<sup>7</sup> *Folberg J., Milne L. A., Salem P.*, *Divorce and Family Mediation: Models, Techniques and Applications*, New York, London, 2004, 144.

Diverse ideas are developed regarding the question whether the children should participate in the divorce mediation process or not. Some support the idea that children have the right to know what is going on, as the separation of the parents puts them into a very uncertain situation. Participation in the mediation process enables the children to get acquainted with the reasons of ongoing changes. Supporters of children's participation in the mediation process outline that according to the UN Convention about the "Protection of Children's Rights" a child has the right to state his/her own opinion<sup>1</sup>. The child's active participation during the divorce mediation process is foreseen as a logical step as the results of the process will be finally reflected upon the child. However, it does not necessarily mean that children play a supportive role in the process in favor of one of the parents. Involving children in the process simplifies the mediator's and parties' task to distribute parental duties and responsibilities between the spouses, as children can participate in setting forth the agreement conditions – the mediation process prioritizes the children's interests.

Despite the above arguments, a number of authors see the involvement of children in the divorce mediation process as a non-advisable act; as divorce mediation is an emotional process, children can get psychologically traumatized. Moreover, they indicate that children's participation in the mediation process always involves a risk of being won over by one of the parents.<sup>2</sup>

The issue of a child's participation in the mediation process is differently approached in each specific case. In order to get the child involved in the process, it is necessary to prepare him/her psychologically and, at the same time, he/she should be of the age to be able to express his/her own opinion in a rational way.<sup>3</sup>

Children can be differently involved in the mediation process, for example: a) a mediator talks to a child at an earlier stage of the process, to get information regarding his/her opinion, attitude or feelings. b) a child can be periodically involved in the mediation process; c) a child can participate in the entire process of mediation as an independent party; d) a child can be addressed at the end of the mediation process, when the agreement is achieved, but the process is not completed yet; e) a child can be involved at the end of the process in order to introduce the existing situation.<sup>4</sup>

When the mediator considers that the child's participation in the mediation process is important, s/he should agree upon the issue with both parents.

## 5. Divorce Mediation in Domestic Violation Cases

In order to conduct a successful mediation, two equal and independent parties should participate in it. This task is especially difficult when the case refers to the divorce mediation where domestic violation took place.

Domestic violence is often defined as an act of taking control of a spouse by another spouse by means of physical or psychological violence.<sup>5</sup> Therefore, a person being under the partner's control (especially when such control lasts for a long time) will definitely be unable to engage oneself in equal negotiations with him/her.<sup>6</sup> Provided that the termination of relationships does not often mean the termination of violence – sometimes the latter lasts after the divorce too.<sup>7</sup>

---

<sup>1</sup> *Birnbaum R.*, The Voice of the Child in Separation/Divorce Mediation and Other Alternative Dispute Resolution Processes: A Literature Review, 2009, 9, <<http://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/fl-lf/divorce/vcsdm-pvem/pdf/vcsdm-pvem.pdf>>.

<sup>2</sup> *Ibid.*, 13.

<sup>3</sup> *Folberg J., Milne L. A., Salem P.*, Divorce and Family Mediation: Models, Techniques, and Applications, New York, London, 2004, 161.

<sup>4</sup> *Ibid.*

<sup>5</sup> *Lowe E. A., Abrams D. N.*, Should We Mediate Cases Involving Domestic Violence? Oakland County Bar Association Journal, 2011, 9, <<https://www.mediate.com/mediator/attachments/28913/DV%20Mediate-Abrams%20Lowe.pdf>>.

<sup>6</sup> *Ibid.*

<sup>7</sup> *Harris-Short S., Miles J.*, Family Law, Text, Cases, and Materials, New York, 2011, 209.

It is also noteworthy that conducting the mediation process while the violation is still taking place, gives an additional opportunity to the oppressor to redo the violence, as s/he gets precise information about the victim's location and psychological condition.<sup>1</sup>

Apart from the above mentioned, a number of scientists believe that conducting divorce mediation after domestic violence means a factual decriminalization of an act of such violence and may force the victim to conciliate with the oppressor<sup>2</sup>. Of course, such attitude is unacceptable and can be understood as a reason for refusing the mediation.

Eventually, there should be mentioned an opinion according to which the mediators can be incapable to recognize properly the signs of violence in some of the cases. Therefore, most likely they will not be able to treat the victim and the oppressor adequately.<sup>3</sup>

Notwithstanding the above mentioned, many specialists believe that such problems are met not only in the mediation process, but also in court trials of divorce cases. They state that mediation is a useful process even in the above described cases, because during the court trials and contests, the violence could easily escalate. Such escalation is absolutely impossible during the mediation process, as -mediation offers the most secure methodology.<sup>4</sup>

## 6. Conclusion

Taking into consideration the above described topics, we can conclude that despite its multiple positive features, divorce mediation is rather far from its ideal state even in foreign practice. As a result, we can see that the successful implementation of this tool in Georgian legislation requires a precise regulation that would take into account all possible errors. Only a full consideration of foreign experience would enable a proper regulation of divorce mediation through Georgian legislation. Such regulation would lead to a better dispute resolution and, therefore, to the improvement of Georgian judiciary.

---

<sup>1</sup> *Barrett M. J., Bates M. C., The Role of Mediation in Divorce and Child Custody Disputes in which Domestic Violence is Present: A Research Pathfinder, 2004, 3,* <<http://pegasus.rutgers.edu/~rcrlj/articlespdf/Barrett-Bates.pdf>>.

<sup>2</sup> *Ibid.*

<sup>3</sup> *Pearson J., Mediating When Domestic Violence Is a Factor: Policies and Practices in Court Based Mediation Programs, 1995, Wiley Periodicals, 320.*

<sup>4</sup> *Newmark L., Domestic Violence and Empowerment in Custody and Visitation Cases, Madison, 1995, 321.*

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში

### I. შესავალი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ეკონომიკური საზღვრები ფართოვდება, ქვეყანაში შემოდის უცხოური ინვესტიცია, სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება უცხოური ელემენტი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, უფრო კომპლექსური ხდება ურთიერთობები და კანონმდებლობაშიც ჩნდება დაურეგულირებელი საკითხები. აქედან გამომდინარე, ამ ურთიერთობათა მონაწილე მხარეებს მიენიჭათ უფლება თავად, ავტონომიურად მოეხდინათ მათ შორის ურთიერთობის რეგულირება. „კომპლექსური ურთიერთობა, საკუთარ თავში უამრავ დეტალსა და რისკებს მოიცავს, რისგანაც დაზღვეული არავინ არის“ შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ამგვარი კომპლექსური ურთიერთობები, ინვესს აზრთა სხვადასხვაობას და არაერთი დავის წარმოშობის საფუძველიც ხდება<sup>1</sup>.

„კონფლიქტი ნებისმიერი სახის ბიზნესის ჩვეულებრივი თანმდევი პრობლემაა. ეს ისეთი რამაა, რისი თავიდან აცილებაც შეუძლებელია, თუმცა გამკლავება აუცილებელი. შედარებით ლოკალური ხასიათის ბიზნესები სახელმწიფო ორგანოებს, სასამართლოებს მიმართავენ დავის გადაწყვეტის მოთხოვნით. საერთაშორისო დონეზე კი უკვე თავის შეკავება ხდება პოლიტიკურად, სუვერენულად ერთ კონკრეტულ ქვეყანაზე მიჯაჭვული ორგანოსთვის უთანხმოების გადაწყვეტის მინდობისას. შესაბამისად, შედარებით არალოკალური ხასიათის ბიზნესებმა მათი პრობლემების გადასაჭრელად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს მიმართეს და საქმეში საერთაშორისო არბიტრაჟები ჩართეს. XX საუკუნეში საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქმიანობამ და, აგრეთვე, ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა უცხო ქვეყანაში აღსრულების შესაძლებლად ქცევამ ეს ინსტიტუტი კიდევ უფრო წარმატებული გახადა“<sup>2</sup>.

ამის დასტურად თუნდაც ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს სტატისტიკა შეგვიძლია მოვიშველიოთ. 2012 წელს 265-ჯერ იქნა მიმართული ზემოაღნიშნული არბიტრაჟისთვის დავის მოსაგვარებლად და, წინა წელთან შედარებით, 18,3%-იანი ზრდაც აღინიშნებოდა. ამ დავებს შორის 11.5%-ში სადავო თანხა 20 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა, ხოლო 29% კონკრეტული ქმედების შესრულების დავალებულებას ითხოვდა.<sup>3</sup> შესაბამისად, მსხვილი ბიზნესები საკმაოდ აქტიურად იყენებენ საკუთარი დავების გადასაწყვეტად ამ ინსტიტუტს. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება პარიზში არსებულ საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟში, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ინსტიტუტს წარმოადგენს. 2012 წელს მათ 759-მა მოსარჩელემ მიმართა (1999 წელს 529-მ და სულ 269 გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი)<sup>4</sup>.

საარბიტრაჟო შეთანხმების დადება და დავის არბიტრაჟისთვის გადაცემა სულაც არ ნიშნავს, რომ დავის მონაწილე მხარე კეთილსინდისიერად მოიქცევა. პირიქით, თუკი მხარე აცნობიერებს საკუთარი გამარჯვების შანსების სიმცირეს ის შეეცდება გააჭიანუროს პროცესი, ხელი შეუშალოს მეორე მხარეს მტკიცებულების მოპოვებაში და ა.შ. შესაბამისად, მოსარ-

<sup>1</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2009, 24.

<sup>2</sup> Thirgood R., International Arbitration: The Justice Business, Journal of International Arbitration, 21, 2004, 341.

<sup>3</sup> The London Court of International Arbitration (შემდგომში – LCIA) Rules, <<http://www.lcia.org/media/download.aspx?MediaId=261>>.

<sup>4</sup> International Chamber of Commerce (შემდგომში – ICC) Statistics, <<http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Arbitration-and-ADR/Arbitration/Introduction-to-ICC-Arbitration/Statistics>>.



ჩელე მხარე საჭიროებს გარკვეულ დახმარებას არბიტრაჟისგან, რათა იგი გაუმკლავდეს მეორე მხარის მიერ შექმნილ წინააღმდეგობებს. ამგვარ საშუალებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები წარმოადგენს, რაც არც სასამართლო სისტემისთვის არის უცნობი<sup>1</sup>.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი სწორედ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში გამოყენებად სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებებს ეხება.

თემის სტრუქტურა ორ ძირითად ნაწილად იყოფა. პირველი შეეხება თავად მოთხოვნის უზრუნველყოფათა საშუალებებს, მათ დეფინიციას, მიღება-დამტკიცების პროცედურებს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟების მიერ. ამ ნაწილში იქნება განხილული, თუ რა სახის უზრუნველყოფის ღონისძიებები არსებობს, რა წინაპირობები აქვს მათ მიღებას და რა მიზნებს ემსახურებიან, ასევე, გამოიკვეთება მათი მიღების პროცესში წარმოშობილი ცალკეული პრობლემები.

ვინაიდან ნაშრომი მოიცავს საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟებს, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როგორ ხდება მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულება უკვე იმ ქვეყანაში, სადაც რეალურად უნდა განხორციელდეს უზრუნველყოფის ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, თემის მეორე ნაწილი ეთმობა არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ცნობა-აღსრულების საკითხებს, საერთაშორისო კონვენციათა და ქართული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში ყურადღება არ არის გამახვილებული ერთ რომელიმე საარბიტრაჟო პალატაზე, არამედ ხდება ზოგადი მიმოხილვა სხვადასხვა საერთაშორისო არბიტრაჟებისა. თუმცა, თავისი მნიშვნელობიდან და შედარებით დეტალური რეგულირების ქონიდან გამომდინარე, უფრო დიდი ყურადღება ეთმობა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებულ 1985 წლის მოდელურ კანონს 2006 წლის ცვლილებების გათვალისწინებით.

ნაშრომის მიზანი არ არის ქართული სამართლის ანალიზი და მისი პრობლემების კვლევა, თუმცა, ვინაიდან თემა განკუთვნილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ცალკე თავად იქნა გამოყოფილი მოკლე მიმოხილვა საქართველოში არსებული მდგომარეობისა. კონკრეტულად კი განხილული იქნება, გამოსაყენებელი პროცესუალური სამართლის არჩევის შემთხვევაში, რა უფლებამოსილებები ექნება არბიტრაჟს და აგრეთვე უცხო ქვეყანაში მიღებული გადაწყვეტილებები, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებისა, როგორც უნდა აღსრულდეს საქართველოში.

## II. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება

### 1. უზრუნველყოფის ღონისძიებათა დეფინიცია და მნიშვნელობა

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის<sup>2</sup> მოდელური კანონი ამგვარად ახდენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა დეფინიციას: „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის ნებისმიერი დროებითი ზომა, რომელიც შეიძლება გამოცემულ იქნას გადაწყვეტილების ან სხვა სახით, და რომლის ფუნქციაა არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, მხარისათვის ან წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება, აქტივების და მტკიცებულებების შენარჩუნება სანამ ძირითადი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული“.<sup>3</sup>

შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიებები ისეთი დროებითი ზომებია, რომელთა მიზანიცაა ძირითადი გადაწყვეტილების გამოტანამდე არ მისცეს მოპასუხე მხარეს თავისი უპირატესი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უფლება და შექმნას ან შეინარჩუნოს იმგვარი მდგომარეობა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას გააჩნდეს მნიშვნელობა განმცხადებელი მხარისათვის.

<sup>1</sup> მაგ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 191-ე – 199-ე მუხლები.

<sup>2</sup> United Nations Commission on International Trade Law (შემდგომში – UNCITRAL).

<sup>3</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, Article 17, <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998\\_Ebook.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf)>.

ამჟამად, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თხოვნით დღითიდღე უფრო და უფრო მეტი მხარე მიმართავს და ამგვარი ტენდენცია გასაგებიცაა. თუკი მოპასუხე მხარე მოახერხებს და, მაგალითად, მტკიცებულებებს გაანადგურებს, იმ ქონებას გაასხვისებს, რომელზეც შემდეგ აღსრულება უნდა მოხდეს, ამ შემთხვევებში, ბუნებრივია, პროცესი მეორე მხარისათვის აზრს დაკარგავს, ვინაიდან ან იმდენად გართულდება მტკიცების პროცესი, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება დავის წარმატებით დასრულება, ან სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ვერ მოხდება აღსრულება. ამგვარი შედეგი არც მოდავე მხარეს და არც თავად არბიტრაჟს აწყობს, ვინაიდან ამ უკანასკნელმა ერთგვარი კონკურენცია უნდა გაუწიოს სასამართლოს, გაუწიოს რა მხარეებს უფრო ეფექტური „მომსახურება“, რაც წარმოუდგენელი იქნება, ხელს ვერ შეუწყობს მხარეებს ვერც საქმის ობიექტურ, ყოველმხრივ განხილვაში და შემდგომაც მის მიერ გამოტანილ „სამართლიან“ გადაწყვეტილებას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა საარბიტრაჟო რეგლამენტი, ქვეყნის კანონმდებლობა თუ საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ეხება დავის ამ ალტერნატიული მეთოდით განხილვას, ითვალისწინებს უზრუნველყოფის ღონისძიებებსაც.<sup>1</sup>

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი დრო დაუთმო მასზე მუშაობას გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიამ, ეს საკითხები რეფორმისთვის 1999 წლის სამუშაო ჯგუფმა მოამზადა და არსებული პრაქტიკის, პრობლემების შესწავლისა და მათი გადაჭრის გზების მრავალწლიანი განხილვის შემდეგ 2006 წელს შეიტანა ცვლილებები.<sup>2</sup>

## 2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეები

აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები მოიცავს, აგრეთვე, მტკიცებულების უზრუნველყოფასაც. მაგალითად UNCITRAL-ის მოდელური კანონი ღონისძიებათა სახეების ჩამონათვალში მტკიცებულებათა შენახვის ღონისძიებებსაც შეიცავს. ანალოგიური მუხლი პირდაპირაა გადმოტანილი საქართველოს კანონშიც „არბიტრაჟის შესახებ“ და იურიდიულ ლიტერატურაშიც, სადაც კი ღონისძიებათა ფუნქციებსა და სახეებს ეხება თემა, აერთიანებენ მტკიცებულებათა უზრუნველყოფასაც.<sup>3</sup>

სამართლებრივ თუ მატერიალურ წინაპირობათა განხილვის შემდეგ, მნიშვნელოვანია, ასევე, იმის განსაზღვრა თუ რისი მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს, განმცხადებელს, ანუ კონკრეტულად რა სახის უზრუნველყოფა შეუძლია მიიღოს არბიტრაჟისგან, რათა უფრო სწორად და ეფექტურად მოახდინოს მისთვის სასურველი ღონისძიების შერჩევა. შესაბამისად, ნაშრომის ეს თავი ეთმობა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა კლასიფიკაციას.

საარბიტრაჟო რეგლამენტები უზრუნველყოფის ღონისძიებათა კლასიფიკაციას დეტალურად არ ახდენს<sup>4</sup>. მაგალითად, ICC-ის საარბიტრაჟო წესები შეიცავს პირობას, რომ არბიტრაჟს შეუძლია გამოიყენოს „ნებისმიერი უზრუნველყოფის“ ღონისძიება, რომელსაც ის მიიჩ-

<sup>1</sup> Ferguson S.M., Interim Measures of Protection in International Commercial Arbitration: Problems, Proposed Solutions and Anticipated Results, International Trade Law Journal, 2003, 55.

<sup>2</sup> United Nations Commission on International Trade Law, Yearbook 2002, <[http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb\\_2002\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb_2002_e.pdf)>.

<sup>3</sup> განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისგან, რომლის მე-14 თავი „მტკიცებულებათა უზრუნველყოფას არეგულირებს“, ხოლო 23-ე კი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს მოიცავს, რომელთა ძირითადი არსი იმგვარი მდგომარეობის შექმნაა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი ანდა რთული არ გახდეს.

<sup>4</sup> ამგვარი მიდგომა მისაღებია სასამართლო სისტემისთვისაც. მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი აკეთებს ჩამონათვალს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისა, თუმცა შეიცავს ფრაზას „შეიძლება იყოს“ და აგრეთვე, მუხლის მე-3 ნაწილით მოსამართლეებს შეუძლიათ შეხედულებისამებრ სხვა ღონისძიებებიც გამოიყენონ, თუკი ამის აუცილებლობა არსებობს. შესაბამისად, არც საპროცესო კანონმდებლობისთვისაა დამახასიათებელი დეტალური და ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებებისა, რადგან ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს პროცესის ეფექტურობას.

ნევს საჭიროდ და ყველაზე ეფექტურად დასახული მიზნის მისაღწევად.<sup>1</sup> ანალოგიური დათქმვა გაკეთებული სტოკჰოლმის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის რეგლამენტშიც.<sup>2</sup>

ნებისმიერი საარბიტრაჟო რეგლამენტი, რომელიც ახდენს სახეების ჩამოთვლას ან ზოგად კლასიფიკაციას, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, შეიცავს დათქმას, რომ არბიტრაჟს შეუძლია გამოიყენოს ის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებული არ არის, თუმცა, ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზნის მისაღწევად გამოსადეგად მიიჩნევა. შესაბამისად, რეგლამენტები, ძირითადად, ფრთხილ მიდგომას ირჩევენ და ამ კლასიფიკაციას მაგალითის ჩვენების თვალსაზრისით აკეთებენ<sup>3</sup> და არა იმ მიზნით, რომ მხარეებს ლიმიტი დაუნესონ ხელშეკრულებით სხვა რამის არგათვალისწინების შემთხვევაში მხოლოდ ეს სახეები გამოიყენონ. არბიტრაჟს ამგვარი მიდგომით უფრო დიდი თავისუფლება ექნება დაეყრდნოს თავის შეხედულებას, მხარეთა ნებას და, ამასთანავე, ამგვარი რეგულირება გზას ტოვებს რეგლამენტების შესაბამისობაში იყოს, არ ეწინააღმდეგებოდეს UNCITRAL-ის მოდელურ კანონს.<sup>4</sup>

ერთგვაროვანი ჩამონათვალი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისა არ არსებობს. სხვადასხვა რეგლამენტები და კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ საკითხის სხვადასხვაგვარად ჩამოყალიბებას. თავად UNCITRAL 2006 წელს ცვლილებების განხორციელებამდე ღონისძიებებს ორ ძირითად კატეგორიად განიხილავდა. პირველი მათგანი მხარისათვის ანდა საარბიტრაჟო განხილვისათვის ზიანის მიყენებისგან თავის აცილების მიზანს ისახავს, ხოლო მეორე ემსახურება იმგვარი მდგომარეობის შექმნას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შემდგომ აღსრულებადი იყოს<sup>5</sup>. 2006 წელს, უკვე საბოლოო რეფორმების შედეგად, მოდელურ კანონში გაჩნდა და შემდეგნაირ კლასიფიკაციას გვთავაზობს<sup>6</sup>:

**ა) ღონისძიებები, რომელთა მიზანია საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა**

მაგალითისთვის, მოპასუხე მხარეს შესაძლოა უბრძანონ ცალკეულ ქმედებათა განხორციელება, როგორცაა ხელშეკრულების შეწყვეტა, სადავო ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენებისგან თავის შეკავება. ICC-ის არბიტრაჟს არაერთხელ გაუცია აგრეთვე ბრძანება მოპასუხე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გაგრძელების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე ამ ხელშეკრულებას გაუქმებულად მიიჩნევდა და შესრულება შეწყვეტილი ჰქონდა.<sup>7</sup>

**ბ) ღონისძიებები, რომელთა მიზანია მეორე მხარისათვის ანდა თვით საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება**

ამგვარ ღონისძიებებს შეიძლება მივაკუთვნოთ მალფუჭებადი პროდუქტების გაყიდვა, აგრეთვე, კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაზე დავალდებულება.

<sup>1</sup> ICC Arbitration Rules Article 28.1, <<http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Arbitration-and-ADR/-Arbitration/ICC-Rules-of-Arbitration/>>.

<sup>2</sup> Arbitration Rules of the Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce Article 32.1, <[http://www.sccinstitute.com/filearchive/3/35894/K4\\_Skiljedomsregler%20eng%20ARB%20TRYCK\\_1\\_100927.pdf](http://www.sccinstitute.com/filearchive/3/35894/K4_Skiljedomsregler%20eng%20ARB%20TRYCK_1_100927.pdf)>.

<sup>3</sup> UNCITRAL-ის მოდელური კანონი და საარბიტრაჟო წესებიც შეიცავს უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეების ჩამონათვალს, თუმცა ამ ჩამონათვალის გაკეთებამდე გვხვდება ფრაზა: “for example and without limitation to” (მაგალითად და შეზღუდვის გარეშე).

<sup>4</sup> Gusy M., Hosking J, Schwarz F., A Guide to the ICDR International Arbitration Rules, 2011, 204.

<sup>5</sup> United Nations Commission on International Trade Law, Yearbook 2002, <[http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb\\_2002\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb_2002_e.pdf)>.

<sup>6</sup> კატეგორიები მოცემულია UNCITRAL-ის მოდელურ კანონში (17.2), ისევე როგორც მისსავე საარბიტრაჟო წესებში (26.2).

<sup>7</sup> Wang W., International Arbitration: The Need for Uniform Interim Measures of Relief, Brook Journal of International Law, 28, 2003, 1059.

**გ) ღონისძიებები, რომელთა მიზანია იმ აქტივების შენარჩუნება, რომელთა მიერაც მოხდება შემდგომ საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება**

როდესაც მხარე არბიტრაჟში აყენებს მოთხოვნას ცალკეულ ნივთზე ანდა ფულად თანხაზე, მის ინტერესებშია, რომ ეს ნივთი მოპასუხე მხარის საკუთრებაში დარჩეს, რათა შემდგომ აღსრულების შეუძლებლობის საკითხი არ წამოიჭრას. მაგალითისთვის, შენობა-ნაგებობის პროცესის დასრულებამდე დაყადაღებით, შეიქმნება ის მდგომარეობა, რომ მოპასუხე ამ ქონების თავიდან მოშორებას ვერ შეძლებს და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადვილად მოახდენს თავის საკუთრებაში გადმოტანას.

**დ) ღონისძიებები, რომელთა მიზანია დავასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შენახვა და შენარჩუნება**

ამგვარ ღონისძიებათა მაგალითები შეიძლება მოიცავდეს:

შენობის, სამშენებლო ნაგებობის ნახვისა და დეტალური დათვალიერების ორგანიზებას, რათა მოხდეს ანგარიშის შედგენა ან ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტის მოწვევის ორგანიზება და მისი დასკვნის მომზადებისთვის უფლების მიცემა.

კლასიფიკაციების შექმნასა და სახეების ჩამოთვლას განსაკუთრებული პრაქტიკული დატვირთვა არ გააჩნია, მათი ერთადერთი მიზანია, მხარეებსა და არბიტრაჟს უბრალოდ შესთავაზოს ცალკეული მნიშვნელოვანი კატეგორიები. თავად მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ თვითონვე გააკეთონ ამომწურავი ჩამონათვალი ღონისძიებებისა, რომელთაც თვითონ მიიჩნევენ საჭიროდ და გამორიცხონ რომელიმე სახის ღონისძიებათა გამოყენება<sup>1</sup>.

### **3. უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების თაობაზე არბიტრაჟის უფლებამოსილების სამართლებრივი წყაროები**

არბიტრაჟი არ არის სასამართლო, სადაც საპროცესო კოდექსში დეტალურად იქნება გაწერილი, თუ როდის, რა შემთხვევაში და რა სახის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაა დასაშვები. არბიტრაჟს შესაძლოა არაერთი წყაროდან ჰქონდეს მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილება, როგორცაა სამართლებრივი აქტები და დავის მონაწილე მხარეთა შეთანხმებები. შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამდე უნდა იქნეს შესწავლილი და დადგენილი რამდენად აქვს ამ კონკრეტულ არბიტრაჟს, ამ ზომების მიღების უფლებამოსილება და რომელი წყაროდან.

#### **ა) მხარეთა შეთანხმება**

ნებისმიერი დავის განხილვისთვის სასამართლო წარმოადგენს კომპეტენტურ საშუალებას და, ზოგადად, თუკი მხარეთა შორის ნებისმიერი სახის დავა პირველ რიგში მოსაგვარებლად სწორედ მას მიმართავენ. ამგვარი უფლება ნებისმიერი პირისათვის გათვალისწინებულია როგორც საპროცესო კანონმდებლობით, ისე კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით.

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმება, რომ მათ შორის კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა განსახილველად გადაეცეს არა სასამართლოს, არამედ დავის განხილვის ერთ-ერთ ალტერნატიულ მექანიზმს, არბიტრაჟს, ამ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენცია თავისთავად გამოირიცხება და არბიტრაჟი გახდება დავის მოგვარების ძირითადი საშუალება.

საარბიტრაჟო შეთანხმებას გააჩნია არსებითი და დამატებითი პირობები. პირველის გათვალისწინებით, საარბიტრაჟო შეთანხმებას, არ გააჩნია სამართლებრივი ძალა, ხოლო მეორე, ძირითადად, ემსახურება დავის განხილვის იმგვარი პროცედურების ჩამოყალიბებას, როგორც მხარეებისთვის უფრო მისაღები და მოქნილია.

<sup>1</sup> Vor Segesser G., Vorsorgliche Massnahmen im Internationalen Schiedsprozess, Association Suisse de l'Arbitrage Bulletin, 25, 2007, 473.

საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლითაც მხარეები გადასცემენ დავას განსახილველად, უნდა შეიცავდეს დათქმას, რომელშიც ნათლად და გარკვევითაა მითითებული ის ინდივიდუალური ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც წარმოშობილი დავა გადაეცემა არბიტრაჟს და აგრეთვე, ბუნებრივია, ის კონკრეტული არბიტრაჟი, რომლის მეშვეობითაც მხარეებს სურთ დავის მოგვარება. შესაბამისად, აუცილებელია დავისა და არბიტრაჟის ინდივიდუალიზაცია და ეს წარმოადგენს არსებით პირობას შეთანხმებისა.<sup>1</sup>

თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არბიტრაჟი წარმოადგენს ალტერნატიულ დავის განხილვის მექანიზმს, მას გააჩნია ცალკეული თავისებურებები რაც უპირატესობას უქმნის მას სასამართლოსთან მიმართებით და ეს უპირატესობები იმაშიც გამოიხატება, რომ შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდეს ყველა ის წესი, მატერიალური, გამოსაყენებელი, სამართალზე მითითება იქნება თუ პროცედურული ნორმა, რომელსაც უნდა მიჰყვეს არბიტრაჟი და გამოიყენოს საქმის განხილვისას.

გარდა ზემოაღნიშნული არსებითი პირობებისა, საარბიტრაჟო შეთანხმება როგორც წესი, შეიცავს: „1. მითითებას საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე; 2. მითითებას არბიტრთა კვალიფიკაციის, ასევე მათი დანიშვნისა და აცილების პროცედურების შესახებ; 3. საარბიტრაჟო განხილვის პროცედურების განსაზღვრას 4. გამოსაყენებელ მატერიალურ სამართალზე მითითებას 5. საარბიტრაჟო გადანაცვლებების გამოტანისა და მისი კორექტირების პროცედურას“.<sup>2</sup>

ნებისმიერი საარბიტრაჟო წესები პირდაპირ მიუთითებს მხარეთა ნების პრიორიტეტულობაზე, როდესაც საქმე უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებას ეხება. მაგალითად, ICC აძლევს რა უფლებას არბიტრაჟს განცხადების შემთხვევაში გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება, შეიცავს ფრაზას „თუკი მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“<sup>3</sup> მსგავსი დათქმა გვხვდება აგრეთვე UNCITRAL-ის მოდელურ კანონში, რომლის მე-17 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „თუკი მხარეებმა შეთანხმებით სხვა რამ არ გაითვალისწინეს, არბიტრაჟს შეუძლია ერთ-ერთი მხარის განცხადებით გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება“<sup>4</sup> ნებისმიერი საარბიტრაჟო რეგლამენტი, თუ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, რომელმაც მოდელური კანონის მიღება მოახდინა, საკითხის ანალოგიურ მონესრიგებას შეიცავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მხარეები უფლებამოსილი არიან აღჭურვონ არბიტრები მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ცალკეული ზომების მისაღებად, ანდა საერთოდაც ჩამოართვან მათ მსგავსი უფლება. ასევე, შესაძლებელია, საარბიტრაჟო შეთანხმებით განისაზღვროს დეტალურად, თუ რა პროცედურაა საჭირო, რა მატერიალური წინაპირობებია იმისათვის, რომ არბიტრაჟმა დააკმაყოფილოს ზომების მიღებაზე მხარის მოთხოვნა და, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ზომების გამოყენება არის დასაშვები მათ შორის დავის განხილვის დროს.<sup>5</sup>

## ბ) საარბიტრაჟო წესები, რეგლამენტი

დღევანდელი მდგომარეობით, თითქმის ყველა საარბიტრაჟო რეგლამენტი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის დროს. ბუნებრივია, არბიტრაჟის კონსენსუალური ხასიათიდან გამომდინარე, უპირატესობა ამ საკითხში მხარეთა ნებას ენიჭება და არა რეგლამენტს. თუმცა თუკი მხარეებმა პირდაპირ არ გამორიცხეს, ანდა საერთოდ არაფერი მიუთითეს სარჩელის უზრუნველყოფის ზომებთან მიმართებით, არბიტრაჟს თავად მისი რეგლამენტი აღჭურვავს უფლებამოსილებით იმოქმედოს შესაბამისი განცხადების არსებობისას.<sup>6</sup>

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2009, 174.

<sup>2</sup> იქვე, 175.

<sup>3</sup> ICC Arbitration Rules 28.1.

<sup>4</sup> UNCITRAL Model Law Article 17.

<sup>5</sup> *Vor Segesser G.*, Vorsorgliche Massnahmen im Internationalen Schiedsprozess, Association Suisse de l'Arbitrage Bulletin, 25, 2007, 473.

<sup>6</sup> ზემოთ განხილულ იქნა შესაბამისი პირობები ICC-სა და UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებში, რომ მხარეთა შეთანხმებას უპირატესობა აქვს საარბიტრაჟო რეგლამენტებთან მიმართებით არბიტ-

დღევანდელი მდგომარეობით გავრცელებული საერთაშორისო არბიტრაჟები, თუნდაც ისეთები, როგორცაა ლონდონის, პარიზისა თუ სტოკჰოლმის. დეტალურ რეგულაციას არ შეიცავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, მხოლოდ იძლევა ზოგად დეფინიციას, ხაზს უსვამს რომ მხარეთა შეთანხმება გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ ღონისძიებათა გამოყენებისას, და ზოგად დახასიათებას გვთავაზობს იმ სახეების, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია.

შედარებით დეტალური მონესრიგება გვხვდება ამ საკითხის *UNCITRAL*-ის საარბიტრაჟო წესებში<sup>1</sup>.

საჭიროა, განვასხვაოთ *UNCITRAL*-ის მოდელური კანონი მისსავე საარბიტრაჟო წესებისგან. მართალია, ორივე ერთი კომისიის მიერაა შემუშავებული, გადასინჯვაც თითქმის ერთ პერიოდში მოხდა<sup>2</sup> და ორივე მათგანი საარბიტრაჟო დავების განხილვას ეხება, თუმცა სხვაობა მათ შორის საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით კი უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით. მოდელური კანონი გამიზნულია ქვეყნებისკენ, შეიცავს ნორმებს, რომელთა ქვეყნების კანონმდებლობაში ასახვის შემდეგაც მოხდება ჰარმონიზაცია და განსხვავებული იურისდიქციები ნაკლებ პრობლემას შეუქმნის დავის მხარეებს; საარბიტრაჟო წესები კი კომისიის მიერ შემუშავებული პროცედურებია, რომლებზეც მხარეების მიერ მითითების შემთხვევაში, მოხდება მათი ამოქმედება და დავის პროცედურებად გამოყენება, ანუ რეალურად წესებზე მითითებით მხარეები გამოთქვამენ სურვილს, ყველაფერი რაც გათვალისწინებულია ავტომატურად ჩაიდოს მათ საარბიტრაჟო შეთანხმებაში. შინაარსობრივი თვალსაზრისითაც სხვაობა არსებობს, მაგალითად: მოდელური კანონი აწესრიგებს მოპასუხე მხარის მონაწილეობის გარეშე (*“ex parte”*) მიღებულ გადაწყვეტილებებს ღონისძიებათა გამოყენების თაობაზე, საარბიტრაჟო წესები – არა, ანალოგიური მდგომარეობაა უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილებათა აღსრულების მონესრიგებაზეც.<sup>3</sup>

საარბიტრაჟო რეგლამენტი შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებას დაუკავშიროთ: თუკი მხარეები დამატებით პირობებს არ დებენ საარბიტრაჟო შეთანხმებაში და უბრალოდ მიუთითებენ, რომ სურთ რომელიმე კონკრეტულმა არბიტრაჟმა განიხილოს მათი დავა, ითვლება რომ ისინი იზიარებენ რეგლამენტით დადგენილ წესებს და გამოთქვამენ სურვილს მათ შორის წარმოშობილი დავა სწორედ ამ წესების თანახმად გადაწყდეს.

### 3.1. *“lex arbitri”* – არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელი სამართალი

მხარეებმა, შესაძლოა, დეტალურად მოაწესრიგონ მათ შორის დავის განხილვის პროცედურები ან საერთოდ არ გაითვალისწინონ მსგავსი საკითხი ისე მიანდონ დავა განსახილველად არბიტრაჟს, რომელსაც, თავის მხრივ, შესაძლოა გააჩნდეს იმგვარი რეგლამენტი, რომელშიც საერთოდ არ არის მონესრიგებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება-გამოყენების საკითხები. ამ შემთხვევაში, არბიტრაჟს უნდა გააჩნდეს დამატებითი წესები, რომელიც დაეხმარება მხარეებს დასახული პრობლემების გადაჭრაში. შესაბამისად, საჭიროა საქმეში ჩაერთოს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც პროცესუალურად უფრო დეტალურ რეგულაციებს შესთავაზებს მხარეებს. საერთაშორისო არბიტრაჟისთვის გამოსაყენებელი სამარ-

---

რაჟის მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებებით აღჭურვისას. ანალოგიური პირობებია მოცემული LCIA და ICDR წესებშიც.

<sup>1</sup> UNCITRAL Arbitration Rules – 1976 წელს შემუშავებული საარბიტრაჟო წესებია, რომელთა საბოლოო გადასინჯვა 2010 წლის აგვისტოში მოხდა, <[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/-arbitration/2010Arbitration\\_rules.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/-arbitration/2010Arbitration_rules.html)>.

<sup>2</sup> მოდელურ კანონში ცვლილებები შესულია 2006 წელს, ხოლო საარბიტრაჟო წესებში 2010 წელს.

<sup>3</sup> *Tucker A.L.*, Interim Measures under Revised UNCITRAL Arbitration Rules: Comparison to Model Law Reflects both Greater Flexibility and Remaining Uncertainty, Arbitration Brief, Vol. 1. Issue 2, 2011, <[http://digitalcommons.wcl.american.edu/ab/?utm\\_source=digitalcommons.wcl.american.edu%2Fab%2Fvol1%2Fiss2%2F6&utm\\_medium=PDF&utm\\_campaign=PDFCoverPages](http://digitalcommons.wcl.american.edu/ab/?utm_source=digitalcommons.wcl.american.edu%2Fab%2Fvol1%2Fiss2%2F6&utm_medium=PDF&utm_campaign=PDFCoverPages)>.

თალი შესაძლოა არეგულირებდეს არბიტრთა შემადგენლობის ფორმირებისა და საარბიტრაჟო პროცედურათა წარმართვის წესს (“*lex arbitri*”).<sup>1</sup>

ერთ-ერთმა მოსამართლემ “*lex arbitri*”-ს დეფინიცია შემდეგნაირად მოახდინა:

„რას წარმოადგენს საარბიტრაჟო დავის მარეგულირებელი სამართალი? როგორც მას ცალკეული ავტორები ახასიათებენ, ეს იმ ნორმათა კრებულია, რომელიც საარბიტრაჟო განხილვას არეგულირებს იმ საკითხების გარეთ, რაც მხარეთა შეთანხმებით და ნება-სურვილით არ არის გათვალისწინებული. საარბიტრაჟო განხილვის პროცედურათა მარეგულირებელი სამართალი მოიცავს ისეთ საკითხს, როგორცაა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება (მაგ: საქონლის შენახვის თაობაზე მხარის დავალდებულება), წესებს, რომლის საშუალებითაც სასამართლოს შეუძლია დახმარება გაუწიოს ცალკეულ შემთხვევაში არბიტრაჟს (მაგ: თუკი სხვა საშუალება არ არის სასამართლომ მოახდინოს არბიტრაჟის ფორმირებისას ცარიელი ადგილის შევსება) და წესებს, რომლის დროსაც მოსამართლეს შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს არბიტრაჟს (მაგ: დაითხოვოს იგი ცუდი ყოფაქცევის გამო (*misconduct*)).“<sup>2</sup>

„არბიტრაჟის გამოსაყენებელ საპროცესო სამართალთან მიმართებით, თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ე.წ. „ადგილმდებარეობის თეორიას“<sup>3</sup>, რომლის თანახმადაც არბიტრაჟი იყენებს იმ ქვეყნის სამართალს, რომელშიც მიმდინარეობს დავის განხილვა. შესაძლოა, პროცესუალური სამართალი განსხვავებული იყოს იმისგან, რაც დავის მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტებს არეგულირებს. საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათია შემთხვევები, როდესაც მხარეებმა, რომელიმე ქვეყნის საპროცესო სამართალზე მიუთითონ, შესაბამისად, ზემოაღნიშნული თეორია აქტიურად გამოიყენება“.<sup>4</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საარბიტრაჟო რეგლამენტები საკმაოდ მწირ რეგულაციას შეიცავს უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით და აგრეთვე დიდი შანსია არც მხარეებისგან მივიღოთ დეტალურად განერილი პროცედურები. აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული ამ საკითხთან მიმართებით ხშირად დაგვჭირდეს გამოსაყენებელი საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენება.

#### 4. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები არბიტრაჟს ანიჭებს უფლებამოსილებას ცალკეულ შემთხვევაში მიიღოს მხარის დასახმარებლად გარკვეული ზომები. თუმცა რას მოიცავს ეს „ცალკეული შემთხვევები“ ამას უკვე მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები წყვეტს. თუკი არბიტრაჟი მიიღებს უზრუნველყოფის ზომებს მხოლოდ განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, ეს სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებს მოპასუხე მხარის ინტერესებს და, შესაძლოა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანიც განაცდევინოს. ამის თავიდან ასაცილებლად, არსებობს მატერიალური წინაპირობები უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებისა, რაც არბიტრაჟმა უნდა შეამოწმოს რამდენად სახეზეა, სანამ რომელიმე ზომას გამოსაყენებლად მიმართავს.

##### 4.1. არბიტრაჟის უფლებამოსილება

ბუნებრივია, სტოკჰოლმის მუდმივმოქმედი საერთაშორისო არბიტრაჟი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუკი მხარეებს პარიზის არბიტრაჟი ექნებათ მითითებული. თუმცა დასაშვებობის ეს წინაპირობა, მხოლოდ ამ საკითხს არ ეხება. უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა,

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2009, 365.

<sup>2</sup> *Redfern A., Hunter M.*, Law and Practice of International Commercial Arbitration, 4<sup>th</sup> ed., London, 2004, 80.

<sup>3</sup> *Seat Theory*.

<sup>4</sup> *Wang W.*, International Arbitration: The Need for Uniform Interim Measures of Relief, Brook Journal of International Law, 28, 2003, 1059.

ხომ არ არსებობს საარბიტრაჟო შეთახნმების ბათილობის საფუძველი, გარდა ამისა, ზემოთ უკვე განხილულ იქნა შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟის ფორმირება ჯერ არ იყო მომხდარი, თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საჭიროება დგებოდა და ამის გამო მხარეები ცალკეული მექანიზმების ამოქმედების აუცილებლობის წინაშე იდგნენ, როგორცაა, მაგალითად, როდესაც საარბიტრაჟო სამდივნოს მხოლოდ ამ კონკრეტული უფლებამოსილებით აღჭურვილი არბიტრის დანიშვნა უწევდა. შესაბამისად, თითქოსდა უმნიშვნელო და უბრალო ფორმალური დატვირთვის მატარებელი წინაპირობა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ პრობლემურ საკითხს და შეფასების საგანს წარმოადგენს, რამდენად აქვს არბიტრაჟს უფლებამოსილება გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება და ამის გამო, უპირველეს ყოვლისა, ამ უფლებამოსილების შემონიშნა უნდა მოხდეს.<sup>1</sup>

## 4.2. მხარის განცხადება

როგორც მოდელური კანონი და *UNCITRAL*-ის საარბიტრაჟო წესები, ისე ნებისმიერი სხვა საარბიტრაჟო კანონმდებლობა თუ რეგლამენტი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ნებისმიერი მხარის“ მოთხოვნის შემთხვევაში, არბიტრაჟს შეუძლია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არბიტრაჟს თავის შეხედულები-სამებრ, თუნდაც არსებობდეს ამის რეალური საჭიროება, არ შეუძლია გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება. ბუნებრივია, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ქვაკუთხედს მხარეთა თანასწორობა წარმოადგენს, და უფრო მეტიც, მხარეთა ნება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ორივე ერთად ნყვეტს თუ რა უფლებები შეიძლება ჰქონდეს არბიტრაჟს, თუკი არცერთი მხარე არ გამოთქვამს სურვილს ღონისძიებათა მიღებისა და არბიტრი თავისით გადაწყვეტს „დახმარება გაუწიოს“ ერთ-ერთ მათგანს, ამგვარი სიტუაცია სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს.

საარბიტრაჟო რეგლამენტები აგრეთვე მიუთითებენ, რომ ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება მიმართოს არბიტრაჟს ღონისძიების გამოყენების თხოვნით და არა კონკრეტულად მოსარჩელეს. იმ შემთხვევაში თუკი მხარეს მოთხოვნა აქვს დაყენებული არბიტრაჟში, წარდგენილი აქვს სარჩელი, მაშინ ბუნებრივია იგი აღჭურვილია შესაძლებლობით მოახდინოს ამ მოთხოვნის უზრუნველყოფაც. თუმცა, შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში მოპასუხე მხარესაც მიეცეს ამგვარი განცხადების დაყენების უფლება, მაგალითად ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა მტკიცებულებათა შენახვის ანდა საგარანტიო თანხის სადებოზიტო ანგარიშზე განთავსების შესახებ განცხადება.

## 4.3. ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების „გონივრული შესაძლებლობა“<sup>2</sup>

ამგვარი მოთხოვნა პირდაპირაა განერილი *UNCITRAL*-ის მოდელური კანონის მე-17 მუხლში: „არსებობს გონივრული შესაძლებლობა, რომ გამცხადებელი მხარის ძირითადი მოთხოვნა წარმატებული იქნება. ამ შესაძლებლობის განსაზღვრა არ იმოქმედებს არბიტრაჟის დისკრეციასზე შემდგომ მიიღოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება“ ამგვარი წინაპირობა არც სასამართლოებისთვისაა უცნობი. უფრო მეტიც, სამუშაო ჯგუფმა ამგვარი დათქმა სწორედ სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო სისტემათა და შემდგომ უკვე საარბიტრაჟო პრაქტიკის მიმოხილვის შედეგად დაანესა.<sup>3</sup> ბუნებრივია, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაო-

<sup>1</sup> *Vor Segesser G., Vorsorgliche Massnahmen im Internationalen Schiedsprozess, Association Suisse de l'Arbitrage Bulletin 25, 2007, 473.*

<sup>2</sup> ხშირად, ეს პირობა იურიდიულ ლიტერატურაში ლათინური ტერმინით „*Fumus boni iuris*“ აღინიშნება, რაც პირდაპირ თარგმანში „საკმარის იურიდიულ საფუძველს“ ნიშნავს.

<sup>3</sup> *Wong J., The Issuance of Interim Measures in International Disputes: A Proposal Requiring a Reasonable Possibility of Success on the Underlying Merits, Georgia Journal of International and Comparative Law 33, 2004, 605.*



ბაზე მოთხოვნის წარდგენა ჯერ კიდევ პროცესის დასაწყისში ანდა მსვლელობის დროს ხდება, შესაბამისად, არბიტრაჟს შეფასებული არ აქვს რამდენად უნდა დაკმაყოფილდეს მხარის ძირითადი მოთხოვნა და ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ უნდა მოხდეს. სწორედ ამიტომ აწესებს ყველა კანონი და რეგლამენტი „გონივრულ შესაძლებლობას“ და პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ ბარიერის გადალახვა მხარის მიმართ არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილებაზე. საკმაოდ რთულია, იმის დადგენა თუ რას მოიცავს ეს წინაპირობა კონკრეტულად. ის სერიოზულ და მნიშვნელოვან ბარიერად არც უნდა იყოს განხილული, მთავარია, მხარის ძირითადი მოთხოვნა იმდენად აბსურდული და დაუსაბუთებელი არ იყოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ამოქმედების შემთხვევაში, ერთადერთი შედეგი მოწინააღმდეგე მხარისთვის ზიანის მიყენება აღმოჩნდეს საარბიტრაჟო განხილვის დასრულების შემდეგ.<sup>1</sup>

#### 4.4. მნიშვნელოვანი და არაკომპენსირებადი ზიანის თავიდან აცილება

მორიგი წინაპირობა, რაც უზრუნველყოფის ღონისძიებათა დაშვებისათვის გვხვდება არის მნიშვნელოვანი და არაკომპენსირებადი ზიანი. განმცხადებელმა დამაჯერებელი არგუმენტები უნდა წარადგინოს საიმისოდ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოუყენებლობის შემთხვევაში, მას იმგვარი ზიანი მიადგება რისი კომპენსაციაც, სრული რესტიტუციაც, ვერ მოხდება ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ. „პრაქტიკაში ეს წინაპირობა მოიცავს იმ საფრთხის გაანალიზებას, რის წინაშეც განმცხადებელი დგას და შედარებას იმ შედეგებთან, რის წინაშეც მოწინააღმდეგე მხარე დადგება.“<sup>2</sup>

#### 4.5. განმცხადებელი მხარის მიერ გარანტიის წარდგენა

არბიტრაჟის მიერ განმცხადებელი მხარისათვის გარანტიის წარდგენის მოთხოვნა შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში, ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდეს. „მაშინ როდესაც არბიტრაჟს ევალება უზრუნველყოფის ღონისძიებათა ეფექტურობისა და გამოსაღვარობის შეფასება, განმცხადებლის მიერ წარდგენილ საგარანტიო თანხას შეუძლია ერთგვარი რისკის მარეგულირებელი მექანიზმი შექმნას, არასწორად დაშვებული ღონისძიებისგან მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად“.<sup>3</sup> ამ საკითხზე *UNCITRAL*-ის რეფორმათა სამუშაო ჯგუფმა საკმაოდ ბევრი იმუშავა და განსაკუთრებით დიდი ბჭობა გამოიწვია იმ საკითხმა თუ რამდენად საჭიროა გარანტიის წარდგენას განმცხადებლისთვის სავალდებულო ხასიათი მინიჭებოდა, თუნდაც მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტილების (“*ex parte*”) მიღებისას. თუმცა, საბოლოოდ, იმ პოზიციაზე შეჯერდა, რომ გარანტიის წარდგენას არასავალდებულო ხასიათი ეტარებინა.<sup>4</sup>

ამჟამად *UNCITRAL*-ის მოდელური კანონის მე-17 მუხლი აკისრებს განმცხადებელ მხარეს ანაზღაუროს ყველა ის საფასური და ზიანი რაც სახეზე არ იქნებოდა, რომ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. არბიტრაჟს კანონი ანიჭებს უფლებამოსილებას განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მხარეს მოსთხოვოს ამ თანხის წარდგენა, თუმცა ამგვარი უფლებამოსილება უფრო შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მოპასუხე მხარის ინტერესთა დაცვის მექანიზმი, რაც ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება ამოქმედდეს და არა მაინცდამაინც უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით.

<sup>1</sup> *Wong J.*, The Issuance of Interim Measures in International Disputes: A Proposal Requiring a Reasonable Possibility of Success on the Underlying Merits, *Georgia Journal of International and Comparative Law* 33, 2004. 618-619.

<sup>2</sup> *Vor Segesser G.*, Vorsorgliche Massnahmen im Internationalen Schiedsprozess, *Association Suisse de l'Arbitrage Bulletin* 25, 2007, 473.

<sup>3</sup> *Donovan D.F.*, The Scope and Enforceability of Provisional Measures in International Commercial Arbitration: A Survey of Jurisdictions, The Work of UNCITRAL and Proposals for Moving Forward, *International Commercial Arbitration: Important Contemporary Questions*, Kluwer, Netherlands 2003, 130.

<sup>4</sup> იქვე, 131.

ნისძიებათა გამოყენების წინაპირობა, რომელიც, როგორც დადგენილი სტანდარტი, მოწმდება არბიტრის მიერ სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს.

#### 4.6. სხვადასხვა ანგარიშგასანევი ფაქტორები

ის საკითხი თუ კონკრეტულად რა უნდა შეამოწმოს არბიტრმა და რამდენად უფრო ღრმა ანალიზის მოხდენაა საჭირო, შესაძლოა თავად უზრუნველყოფის ღონისძიების ხასიათსა და მის სახეზე იყოს დამოკიდებული. მაგალითად, ღონისძიების სახე თუ იმდენად მძიმეა, როგორც საერთაშორისო დონეზე ქონების ყადაღა<sup>1</sup>, არბიტრს უფრო მეტი სიფრთხილის გამოჩენა მართებს მხარის განცხადების დაკმაყოფილებამდე. ამ საკითხზე საინტერესო მსჯელობა აქვს ინგლისის სასამართლოს საქმეში *Dadourian Group International Inc. & Ors v Simms & Ors*.<sup>2</sup> დავის დროს ჩამოყალიბებულ იქნა რვა გაიდლაინი, რომლითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მსგავსი გადაწყვეტილების გამოტანამდე. კონკრეტულად ამ გაიდლაინებს მიეკუთვნება:

1. „ნებართვა უნდა იყოს სამართლიანი და გამოსადეგი, რაც ნიშნავს, რომ ყადაღის ეფექტურობა გარანტირებული უნდა იყოს და არ ატარებდეს მჩაგვრელ ხასიათს;
2. განხილული უნდა იყოს ყოველგვარი გარემოება და ალტერნატივა, ადეკვატურობასთან ერთად, რათა გათვალისწინებულ იქნას როგორც განმცხადებლის, ისე მესამე პირთა ინტერესებიც, რომელთა უფლებებზეც შესაძლოა ყადაღამ ზეგავლენა მოახდინოს;
3. განმცხადებელი მხარის ინტერესების შედარება უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის ინტერესებთან და, აგრეთვე, ნებისმიერ იმ პირთანაც, რომელიც შესაძლოა მოგვიანებით იქნას დავაში ჩართული;
4. განმცხადებელი მოკლებული უნდა იყოს შესაძლებლობას, მიიღოს საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება უფრო ეფექტური გზით;
5. განმცხადებელმა უნდა მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია და მტკიცებულება გადაწყვეტილების მისაღებად, კონკრეტულად კი ეს ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს იმ ქვეყნის პრაქტიკას და მიდგომას, სადაც უნდა მოხდეს აღსრულება, აგრეთვე, ამომწურავ ინფორმაციას დასაყადაღებელი აქტივების, მათი მფლობელი პირების შესახებ;
6. განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ აქტივები ნამდვილად არსებობს და ის უცხო ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ ექცევა;
7. წარდგენილ უნდა იქნეს დასაბუთება, რომ მოპასუხე აპირებს დასაყადაღებელი აქტივების გასხვისებას;
8. განმცხადებელმა უნდა შეატყობინოს მოპასუხეს, განცხადების წარდგენის შესახებ. თუკი განცხადების დაკმაყოფილების გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს, შესაძლოა მოპასუხეს მოგვიანებით, თუმცა რაც შეიძლება სწრაფად შეატყობინონ განცხადების არსებობის შესახებ“.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტები დადგენილია არა არბიტრაჟის, არამედ სასამართლოს მიერ, რეალურად ის წარმოადგენს იმდენად სამართლიან და დეტალურ აღწერას თითოეული წინაპირობისა, რომ სასურველია არბიტრაჟების მეორაც იქნას გათვალისწინებული. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ აქ საქმე ეხება უზრუნველყოფის ღონისძიების ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ და რადიკალურ ზომას: საერთაშორისო ყადაღას. შესაბამისად, აქ განცხადების განმხილველ პირს დიდი გულისხმიერება მოეთხოვება, რათა არ დაირღვეს მოპასუხის ინ-

<sup>1</sup> *Worldwide Freezing Order*.

<sup>2</sup> *Falconer C., Bouchenaki A., Protective Measures in International Arbitration, Business Law International, 11, 2010, 183.*

<sup>3</sup> *Dadourian Group v. Simms*, <<http://archive.onlinedmc.co.uk/Dadourian%20Group%20v.%20Simms.htm>>, [01.07.2013].

ტერესები. მართალია, არბიტრაჟმა ზედმინვენიტ უნდა შეაფასოს არაერთი საკითხი, თუმცა ყველა ღონისძიების გამოყენებას ამდენი წინაპირობა თუ დავუნესეთ, შესაძლოა გადაწყვეტილების მიღებას იმდენი დრო დასჭირდეს, რომ „გადაუდებელი“ ღონისძიებები დაგვიანებით გატარდეს და ამით უკვე განმცხადებლის ინტერესებს შეექმნას საფრთხე.

## 5. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემური საკითხები

### 5.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საჭიროება არბიტრაჟის ფორმირებამდე

საარბიტრაჟო გზით დავის მოგვარებისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით გამოიკვეთება პრობლემა ცალკეულ საკითხთა დეტალური რეგულირების არარსებობის გამო. კერძოდ კი ამგვარ პრობლემას მიაკუთვნებენ იმ გაურკვევლობას თუ ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისა მაშინ, როდესაც არბიტრაჟის ფორმირება ჯერ კიდევ არ მომხდარა. ეს პროცედურა შესაძლოა თვეები გაინელოს, უზრუნველყოფის ღონისძიების მთელი არსი კი ის არის, რომ მხარემ სასწრაფოდ იმოქმედოს და დროებით შეინარჩუნოს ის მდგომარეობა, რომელიც შემდგომ ხელს შეუწყობს საბოლოო შედეგის მიღწევაში. თუკი განმცხადებელი რამდენიმე თვე დაელოდება არბიტრთა შერჩევის პროცესის დასრულებას, არაა გამორიცხული ლოდინს აზრი აღარ ჰქონდეს.<sup>1</sup>

აღნიშნულმა საკითხმა გამოხმაურება ჰპოვა არაერთ საარბიტრაჟო რეგლამენტში შესაბამისი მოწესრიგების შეთავაზების მხრივ.

მაგალითად ავიღოთ ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟისთვის მოქმედი ნესები<sup>2</sup>, მისი მე-9 მუხლი ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებში არბიტრაჟის დაჩქარებული ფორმირების პროცედურებს. თუმცა ამ მუხლის მიზანია შეამციროს დადგენილი ვადები და ამით უფრო ეფექტური ღონისძიებები გაატაროს დავის გადაწყვეტისთვის. უზრუნველყოფის ზომებთან დაკავშირებით მუხლი არაფერს ამბობს და, შესაბამისად, არ წარმოადგენს დასმული საკითხის სრულყოფილად გადაწყვეტის გზას. დაჩქარებულმა ვადებმა შესაძლოა დადებითი ზეგავლენა იქონიოს განმცხადებელზე, თუმცა ეს სულაც არ არის საკმარისი სწრაფი და ეფექტური ღონისძიების მისაღებად მაშინ, როდესაც მხარისთვის ის სასწრაფო და გადაუდებელია.<sup>3</sup>

1990 წლიდან ICC ასევე სთავაზობს „წინასაარბიტრაჟო პროცედურებს (*pre-arbitral referee Procedure*), რომელიც საშუალებას აძლევს არბიტრს სხვა საკითხებთან ერთად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე. კონკრეტულად კი არბიტრი უფლებამოსილია:

1. გამოიყენოს ნებისმიერი დამცავი ღონისძიება, რომელიც მხარეს თავიდან ააცილებს სასწრაფო ზიანსა და აუნაზღაურებელ დანაკარგებს;
2. დააკისროს მხარეს თანხის გადახდა;
3. უბრძანოს მხარეს შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, მოახდინოს ხელმოწერა ან მიწოდება რომელიმე კონკრეტული დოკუმენტისა ანდა უზრუნველყოს ამ მოქმედების განხორციელება სხვა პირის მიერ;
4. უბრძანოს მხარეს მტკიცებულებათა შენახვა“.<sup>4</sup>

იმისათვის, რომ მხარეებს ეს პროცედურა გამოიყენებინათ, მათ პირდაპირ უნდა ჰქონოდათ საამისო შეთანხმება: სპეციალური დათქმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში ანდა სხვა ნების-

<sup>1</sup> Ferguson M. S., Interim Measures of Protection in International Commercial Arbitration: Problems, Proposed Solutions and Anticipated Results, International Trade Law Journal, 2003, 55.

<sup>2</sup> LCIA Arbitration Rules.

<sup>3</sup> Collins E., Pre-Tribunal Emergency Relief in International Commercial Arbitration, 10 Loyola University Chicago International Law Review, 10, 2012, 105.

<sup>4</sup> ICC Rules for Pre-Arbitral Referee Procedure, Article 2.1

მიერი წერილობითი ფორმით ნების გამოვლენისას, რომ თანახმა იყვნენ „წინასაარბიტრაჟო პროცედურების“ ამოქმედებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრს, რომც გაეცა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე ბრძანება, მას არ ექნებოდა მხარეთათვის სავალდებულო ძალა. ნიუ-იორკის კონვენციის<sup>1</sup> თანახმად, იგი არ განიხილებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად და ვერ მოხდებოდა მისი სასურველ ქვეყანაში აღსრულება.

საერთაშორისო სავაჭრო პალატამ ეს საკითხი კიდევ უფრო დეტალურად და გამართულად დაარეგულირა 2012 წლიდან. დაამატა რა საარბიტრაჟო წესებს მე-5 დანართი ე.წ. „საარბიტრაჟო წესები გადაუდებელი საჭიროებისას“<sup>2</sup>. ამ უკანასკნელის ფუნქცია იგივეა რაც მისი წინამორბედის, თუმცა მისი ამოქმედებისთვის მთავარია რომ:

1. მხარეებს დადებული ჰქონდეთ საარბიტრაჟო შეთანხმება დავის ICC არბიტრაჟისთვის გადაცემისა და მათივე რეგლამენტის გამოყენებისთვის;
2. მხარეებს არ ჰქონდეთ პირდაპირ გამორიცხული მე-5 დანართის მოქმედება;
3. მხარეებს პირდაპირ არ ჰქონდეთ გათვალისწინებული, მონესრიგებული ამ საკითხებზე უფრო დეტალური და განსხვავებული წესები.<sup>3</sup>

შესაბამისად, პრობლემის მოგვარების გზები საერთაშორისო სავაჭრო პალატამ უკვე საარბიტრაჟო რეგლამენტშივე ჩადო და საკმარისია მხარეების მიერ ამ ინსტიტუტისთვის მიმართვა, რომ მათ მიიღონ არბიტრაჟის ფორმირებამდე, საჭიროების დადგომის შემთხვევაში, სწრაფი და ეფექტური გამოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ ინსტიტუტთაგან შემოთავაზებულია მცდელობა, არბიტრაჟის ფორმირებამდე იპოვონ უზრუნველყოფის ღონისძიების საჭიროებაში მყოფი მხარის დროულად დახმარებისა, შეიძლება ითქვას, ეს პრობლემა ბოლომდე მაინც არ არის გადაჭრილი. შესაბამისად, მხარეებმა თავად უნდა გამოიჩინონ წინდახედულება ამ შემთხვევაში და აირჩიონ შემდეგ ალტერნატივათაგან ერთ-ერთი: დეტალურად მოახდინონ ამ საკითხის რეგულირება და შესაბამისი ასახვა საარბიტრაჟო შეთანხმებაში ანდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართონ შესაბამის სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლება საბოლოო გადაწყვეტილების ლოდინმა საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე დაკარგოს ყოველგვარი აზრი.

## 5.2. მხარის მონაწილეობის გარეშე (“*ex parte*”) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების გამოცანა

იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა აქვს გამონვეული იმ საკითხს, უნდა ჰქონდეს თუ არა არბიტრაჟს უფლება მოთხოვნის უზრუნველყოფათა გამოყენებისა, თუკი ამ ღონისძიებათა შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ იქნა მოსმენილი იმ მხარის პოზიცია, რომლის წინააღმდეგაც გამოყენებულ იქნება ეს ღონისძიება.<sup>4</sup>

საკმაოდ კარგი არგუმენტები აქვთ ამ ინსტიტუტის გამოყენების მომხრე პრაქტიკოს იურისტებს, მათი თქმით ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც მისი მომთხოვნი მხარის ინტერესების დასაცავად სისწრაფის და მოულოდნელობის ეფექტი განსაკუთრებით შედეგის მომტანი იქნება. ხოლო რაც შეეხება მონინააღმდეგე მხარეს, მისი ინტერესები არ შეილახება თუკი განცმხადებელი მხარე შესაბამის გარანტიას წარადგენს. “*Ex parte*” ინსტიტუტის მომხრეები მონინააღმდეგე მხარის დაცვის გარანტიად ასევე იმ ფაქტს მიიჩნევენ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღე-

<sup>1</sup> 1958 – Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards - the "New York" Convention, < [http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/XXII\\_1\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/XXII_1_e.pdf)>.

<sup>2</sup> ICC Arbitration Rules Appendix V - Emergency Arbitration Rules.

<sup>3</sup> Emergency arbitrator, <<http://www.iccwbo.org/products-and-services/arbitration-and-adr/arbitration/emergency-arbitrator/>>.

<sup>4</sup> “*ex parte*” Interim Measures.

ბის შემდეგაც შეიძლება მოწვეულ იქნას დამატებითი სხდომები, რომელზეც განხილულ იქნება ღონისძიებათა შემცირება ან საერთოდ გაუქმება.<sup>1</sup>

თუმცა ე.წ. „*ex parte*” ინსტიტუტს საკმაოდ ბევრი მონინაალმდეგეც ჰყავს. მაგალითად, პროფესორ ჰანს ვან ჰუტის მთელი სტატია აქვს მიძღვნილი „*ex parte*” გადაწყვეტილებებისათვის, სადაც იგი მთელ რიგ მიზეზებს ასახელებს თუ რატომ არ არის მიზანშეწონილი ამ ინსტიტუტის გამოყენება. ერთ-ერთ ასე მიზეზად იგი ინსტიტუტის შეუსაბამობას ასახელებს არბიტრაჟის კონსენსუალურ ხასიათთან, ამბობს რა, რომ დავის ალტერნატიული განხილვის ეს მეთოდი მთლიანად მხარეთა ნებასა და მოლოდინებზეა აგებული და „*ex parte*”-ს არსებობა კი მხარეს ამ ინტერესებს ურღვევს. შესაბამისად, სტატიაშივე არის მოცემული რეკომენდაცია, მოდელური კანონი იმგვარად ჩამოყალიბებულიყო, რომ მხარეებს შეძლებოდათ თავად დაენესებინათ მხარის მონაწილეობის გარეშე ინსტიტუტის გამოყენების უფლება და არა პირიქით – მხარეებს დასჭირვებოდათ ამ ინსტიტუტის წინასწარ გამორიცხვა, რათა რომელიმე მათგანის წინააღმდეგ შემდგომ არ ყოფილიყო გამოყენებული.<sup>2</sup> ამავე სტატიაში ავტორი წერს, რომ მხარის „ზურგს უკან“ მიღებული გადაწყვეტილება ამ მხარისთვის მიუღებელი იქნება. შესაბამისად, მოდავე მხარე აუცილებლად შეეცდება ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრებას და ნებაყოფლობითი შესრულების შესაძლებლობა თავიდანვე შეგვიძლია გამოვრიცხოთ. განმცხადებელ მხარეს კი მოუწევს სასამართლოს მეშვეობით აღსრულების მექანიზმების გამოყენება და თუნდაც ამ გზით წარმატების მოპოვების შემთხვევაში იმდენ დროს დაკარგავს, რომ „*ex parte*”-ს მომხრეთა არგუმენტი „მოულოდნელობის ეფექტის“ გამოყენებით, აზრს კარგავს. რაც შეეხება თავად აღსრულების ინსტიტუტს, მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულება ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში საერთოდ მიუღებელია, ხოლო ზოგიერთში კი დაშვებულობის მიუხედავად მაინც არსებობს გარკვეული ანტიპათია და ეჭვი ამ ინსტიტუტის მიმართ. შესაბამისად, მხარე, რომელიც მონინაალმდეგის მონაწილეობის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებას სასამართლოში სააღსრულებო ფურცლის მოსაპოვებლად წარადგენს უნდა იყოს მზად იმისთვის, რომ მოსამართლე მკაცრად და ძირფესვიანად შეაფასებს, თუ რამდენად იყო დაცული თითოეული პროცესუალური ნორმა, რამდენად იყო საჭირო ამგვარი ფორმით გადაწყვეტილების მიღება და ხომ არ არის მეორე მხარის კანონიერ უფლებათა დარღვევა სახეზე, რამაც შეიძლება საკმაოდ დიდი დროც მოითხოვოს.<sup>3</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ რეგულაციას გვთავაზობს UNCITRAL-ის მოდელური კანონი (2006 წლის ცვლილებებით),<sup>4</sup> რომელიც ითვალისწინებს ე.წ. „წინასწარ ბრძანებას“<sup>5</sup>. ეს უკანასკნელი კი სწორედ „*ex parte*” ღონისძიების გამოყენებაა თავისი შინაარსით, ვინაიდან ხდება მხოლოდ განმცხადებლის არგუმენტაციის მოსმენა და ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილება მიიღება მეორე მხარის დაუსწრებლად. თუმცა, ამ „წინასწარი ბრძანების“ თავისებურება ისაა, რომ იგი პრობლემის დაუყოვნებლივ, თუმცა დროებით გადაჭრას ისახავს მიზნად. მას ვადა გასდის 20 დღის შემდეგ ან იმ დროს როდესაც მეორე მხარე საქმეში ჩაერთვება. ვადის გასვლის შემდგომ არბიტრაჟს შეუძლია უკვე გადაწყვეტილების სახით მიიღოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც „წინასწარ ბრძანებას“ ან ადასტურებს ანდა ცვლის/აუქმებს.<sup>6</sup> „წინასწარი ბრძანება“ არ გაიცემა გადაწყვეტილების სახით (*Such a preliminary order does not constitute an award*)<sup>7</sup>, შესაბამისად, ის მოქმედებს მხარეებს შორის და მისი სასამართლოს მეშვეობით იძულებითი აღსრულება არ მოხდება.

<sup>1</sup> Ferguson M. S., Interim Measures of Protection in International Commercial Arbitration: Problems, Proposed Solutions, and Anticipated Results, International Trade Law Journal, 2003, 55.

<sup>2</sup> Van Houtte H., Ten Reasons against a Proposal for “*ex parte*” Interim Measures of Protection in Arbitration, 20 Arbitration International, Vol. 20, Number I, 2004, 85.

<sup>3</sup> Van Houtte H., Ten Reasons against a Proposal for “*ex parte*” Interim Measures of Protection in Arbitration, 20 Arbitration International, Vol. 20, Number I, 2004, 85.

<sup>4</sup> UNCITRAL Model Law (Revised 2006) Article 17.

<sup>5</sup> Preliminary Order.

<sup>6</sup> Margaret L.M., The Principles and Practice of International Commercial Arbitration, Cambridge, 2008, 102.

<sup>7</sup> UNCITRAL Model Law Article 17C 5.

### 5.3 სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება

ზოგადი წესის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა გულისხმობს მხარეთა შორის იმ კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით სასამართლოსგან გამორიცხვას. ამგვარ დათქმას ითვალისწინებს თუნდაც მოდელური კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ავალდებულებს სასამართლოს, თუკი საარბიტრაჟო დათქმას არარად, ბათილად მიიჩნევს, გააგზავნოს მხარეები არბიტრაჟში, ხოლო მეორე ნაწილი კი არბიტრაჟს უფლებას აძლევს განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში წარდგენილია სარჩელი.<sup>1</sup>

სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად: „მოსამართლე სარჩელი ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს თუ: მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან მათ შორის არსებობს შეთანხმება, რომ მათ შორის წარმოშობილი დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს“.<sup>2</sup> შესაბამისად, თუკი მხარეები შეთანხმებული არიან არბიტრაჟის მიერ დავის განხილვაზე, სასამართლო დავის პროცესში არ ჩაერევა და 272-ე მუხლის საფუძველზე შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუკი ერთ-ერთი მხარე მაინც მიმართავს მას. ანალოგიურ დათქმას შეიცავს არაერთი უცხოური კანონმდებლობა. მაგალითად, გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1032-ე პარაგრაფის თანახმად სასამართლო დაუშვებლად ცნობს სარჩელს ისეთ დავაზე რომლის თაობაზეც არსებობს მოქმედი საარბიტრაჟო შეთანხმება<sup>3</sup>. ეს ორივე რეგულაცია სიტყვასიტყვით გადმოღებულია უცხოურ გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების შესახებ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის მეორე მუხლის მესამე ნაწილიდან, რომლის ყველა ხელშემკვრელი მხარე იზიარებს ამგვარ პირობას. აბსოლუტურად გასაზიარებელია ის პოზიცია, რომ ერთ-ერთმა მხარემ რომც გადაიფიქროს შემდეგ და სასამართლოსთვის მიმართვა გადაწყვიტოს მისთვის ეს დაუშვებელი უნდა იყოს, და ამით მისი კონსტიტუციური უფლებათა დარღვევა სულაც არ ხდება, შესაბამისად, „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“ და მხარემ უნდა მიმართოს მხოლოდ არბიტრაჟს.<sup>4</sup>

თუმცა, ამგვარი წესი ეხება მხოლოდ დავის ძირითად განხილვასა და გადაწყვეტას. ცალკეულ საკითხებში სასამართლოს აქვს კომპეტენცია „ჩაერიოს“ საარბიტრაჟო განხილვაში და ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილება თავისით მიიღოს. ერთ-ერთ ამგვარ საკითხს წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. *UNCITRAL*-ის მოდელური კანონის მე-17 მუხლის მე-5 სექცია ამგვარ რეგულაციას შეიცავს: „სასამართლოს აქვს იგივე უფლება გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, რაც საერთაშორისო არბიტრაჟთანაა კავშირში, განურჩევლად იმისა თუ სად იმართება საარბიტრაჟო განხილვა. თავისი უფლება სასამართლოს საკუთარი კანონმდებლობის მიხედვით შეუძლია გამოიყენოს, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის სპეციფიკის გათვალისწინებით“. ამგვარი პირობა გვხვდება როგორც *UNCITRAL*-ის საარბიტრაჟო წესებში<sup>5</sup>, ისე ლონდონის არბიტრაჟის რეგლამენტში<sup>6</sup> და *ICC*-ის საარბიტრაჟო რეგლამენტში<sup>7</sup>.

შესაბამისად დადგენილი წესია, რომ მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა, ისეთ საკითხზე როგორცაა მოთხოვნის უზრუნველყოფათა ღონისძიება დასაშვებია მხარის მიერ დასახმარებლად სასამართლოსთვის მიმართვა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარ რეგულაციაზე საკმაოდ დიდი ხანი გრძელდებოდა დავა. კონკრეტულად იურისტები, სამუშაო ჯგუფები იმ საკითხებზე ვერ თანხმდებოდნენ თუ რამდენად არის სასამართლოსთვის მიმართვა შესაბამისობაში საარბიტრაჟო შეთანხმებასთან, აგრეთვე,

<sup>1</sup> UNCITRAL Model Law Article 8.

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldms-search&view=docView&id=31702&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldms-search&view=docView&id=31702&lang=ge)>.

<sup>3</sup> Zivilprozessordnung (შემდგომში – ZPO) §1032 Schiedsvereinbarung und Klage vor Gericht, <<http://www.gesetze-im-internet.de/zpo>>.

<sup>4</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2009, 195.

<sup>5</sup> UNCITRAL arbitration rules Article 26.9.

<sup>6</sup> LCIA Rules Article 25.3.

<sup>7</sup> ICC Arbitration Rules Article 28, II.

ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის იმ მუხლთან, რომელიც სასამართლოს ავალდებულებდა არ მიეღო იმგვარი დავები განსახილველად რომელზეც არსებობდა საარბიტრაჟო შეთანხმება, აგრეთვე თუ რამდენად ნიშნავდა, მხარის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა, და ამ უკანასკნელისგან გადანყვეტილების მიღება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, საარბიტრაჟო შეთანხმებაზე უარს.<sup>1</sup> შესაბამისად, მოხდა წლების განმავლობაში საარბიტრაჟო რეგლამენტების, კონვენციების მოდიფიკაცია, სპეციალური მუხლების ჩამატება. თუმცა, იურისტები, საბოლოოდ, მაინც იმაზე შეთანხმდნენ, რომ სასამართლოსთვის მიმართვა არც თავიდანვე მოიაზრებოდა, როგორც მხარის უფლება, უზრუნველყოფის ღონისძიებათა კონტექსტში. 1961 წლის საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟთან დაკავშირებულ ევროპის კონვენციის მე-6 მუხლში<sup>2</sup>, პირდაპირ იყო მითითებული, რომ: „მხარის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების მოთხოვნით, ქვეყნის მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოსთვის მიმართვა არ ნიშნავს მისთვის ძირითადი დავის განსახილველად გადაცემას“.

შესაბამისად, მიუღებელია ის პრაქტიკა, როდესაც მხარე ცალკეულ საკითხზე გადანყვეტილების მისაღებად მიმართავდა სასამართლოს, რის გამოც ითვლებოდა, რომ ამ მხარემ უარი თქვა თავის საარბიტრაჟო შეთანხმებაზე და საქმე არა მხოლოდ ამ საკითხზე, არამედ მთლიან დავაზე გადასცა სასამართლოს.<sup>3</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ უპრობლემოდ მიმართონ სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების მოთხოვნით, ხოლო შემდეგ დავის განხილვა განაგრძონ მათთვის სასურველ საერთაშორისო არბიტრაჟში.

რაც შეეხება, იმ საკითხს, თუ კონკრეტულად რომელ სასამართლოს აქვს კომპეტენცია განიხილოს ეს საკითხი და გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიება, ეს უნდა გადანყვეტილების საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობით.<sup>4</sup>

სასამართლოსთვის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე მიმართვას, ის პრიორიტეტი აქვს, რომ მოსამართლე გამოიტანს განჩინებას, რომლის თაობაზეც სააღსრულებო ფურცლის მოპოვება სწრაფი პროცესია და დამატებით ცნობა-აღსრულებითი ღონისძიებები სხვადასხვა ქვეყნებში აღარაა საჭირო. მიუხედავად ამ გარემოებისა, არბიტრაჟი მაინც ითვლება უფრო ხელსაყრელ და პოპულარულ დანესებულებად, უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ არბიტრაჟს უკეთესად შეუძლია მხარის დასაბუთებულობის, დასაშვებობის წინაპირობების შეფასება და უზრუნველყოფის ღონისძიებათა მნიშვნელობის დადგენა საქმის არსობრივი განხილვისა და შედეგებისთვის. ამასთანავე, არბიტრაჟი უკეთ გაარკვევს, ნამდვილად სჭირდება მხარეს ეს ღონისძიებები, თუ ეს უბრალოდ პროცესის გაჭიანურების საფუძველია და მხარე ამას ბოროტად იყენებს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ცალკეულ უპირატესობათა მიუხედავად, საერთაშორისო არბიტრაჟები მაინც წარმოადგენენ იმ დანესებულებებს, რომელთაც მხარე დავის ძირითადი საკითხების განხილვა-გადაწყვეტასთან ერთად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების თაობაზეც მიმართავს თხოვნით.<sup>5</sup>

#### 5.4. უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება მესამე პირებზე

საარბიტრაჟო განხილვის დროს პრობლემა წარმოიშვება მაშინ, როდესაც ცალკეული გადანყვეტილება მიმართულია არა ხელშემკვრელ მხარეებზე, არამედ მესამე პირზე, რომელიც მონაწილეობას არ იღებს დავის განხილვაში. მაგალითად, თუკი რომელიმე კონკრეტული

<sup>1</sup> Gaillard E., Savage J., International Commercial Arbitration, Hague, 1999, 712-713.

<sup>2</sup> European Convention on International Commercial Arbitration of 1961 Done at Geneva, April 21, 1961 United Nations.

<sup>3</sup> Gaillard E., Savage J., International Commercial Arbitration, Hague, 1999, 716.

<sup>4</sup> მაგ., საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, 1998, <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=93712&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=93712&lang=ge)>.

<sup>5</sup> Bucy D.R., How to Best Protect Party Rights: The Future of Interim Measures in International Commercial Arbitration Under the Amended UNCITRAL Model Law, American University International Law Review, 25, 2010, 579.

მტკიცებულება არის არა მოპასუხის, არამედ მესამე პირის მფლობელობაში, რამდენად არის შესაძლებელი ამ პირზე უზრუნველყოფის ღონისძიების გავრცელება.<sup>1</sup>

UNCITRAL-ის მოდელური კანონის მე-17 მუხლი, უზრუნველყოფის ღონისძიების დეფინიცია, შეიცავს ტექსტს: „არბიტრაჟი უბრძანებს მხარეს“... მხარე, ამ შემთხვევაში, დავის განხილვის მონაწილე სუბიექტია. საქმე იმაშია, რომ საარბიტრაჟო წარმოების ქვაკუთხედი მისი კონსენსუალური მხარეა, არბიტრაჟზე დავა გადადის მხარეთა შეთანხმებით, ერთგვარი ხელშეკრულებით. ხელშეკრულება კი წარმოშობს რელატიურ უფლებას, რომლის გავრცელებაც შესაძლებელია შესაბამისი გარიგების დამდებ მხარეზე. აქედან გამომდინარე, არბიტრაჟს არ შეუძლია უბრძანოს კეთილსინდისიერ შემძენ მესამე პირს არ გაასხვისოს ქონება. აგრეთვე, ამგვარ შეზღუდვაზე ზეგავლენას საარბიტრაჟო წარმოების კონფიდენციალობაც ახდენს. მე-სამე პირები ყოველთვის გამოთიშული არიან დავის განხილვისგან და მათ პროცესზე დასწრების უფლებაც არ აქვთ, შესაბამისად, ვერ მოხდება მესამე პირების ასე მარტივად წარმოებაში ჩართვა.<sup>2</sup>

## 6. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიმართ მოქმედი დამცავი პირობები UNCITRAL-ის მოდელური კანონის თანახმად

უკვე არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ერთი მხარისთვის კი წარმოადგენს დაცვის მექანიზმს, თუმცა მოპასუხისთვის ის არის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საშიშროება, განსაკუთრებით თუ უზრუნველყოფის ღონისძიება ან საერთოდ უსამართლოდაა გამოყენებული ანდა გადამეტებული ოდენობით. ბუნებრივია, თუ კომპანიას მთელ საბანკო ანგარიშებს გავუყინავთ, ის ვერ შეძლებს შესაბამისად ოპერირებას და შედეგებიც სავალალო იქნება. სწორედ ამ მიზეზის გამო არსებობს არაერთი ფორმალური თუ მატერიალური წინაპირობა, რომელსაც არბიტრაჟი გვერდს ვერ აუქცევს სანამ სარჩელის უზრუნველყოფის ზომას მიიღებს. დაუშვებელია, გათვალისწინებულ იქნას მხოლოდ ერთი მხარის პოზიცია, თუკი არბიტრაჟი დავის განმხილველი პირია, მაშინ ის ვალდებულია განიხილოს ეს დავა თანასწორობის და მიუკერძოებლობის საწყისებზე და გაითვალისწინოს, აგრეთვე, მოპასუხე მხარის ინტერესებიც.

გარდა დასაშვებობის წინაპირობებისა, UNCITRAL-ის მოდელურ კანონში,<sup>3</sup> კერძოდ კი მე-17 მუხლის მე-3 სექციაში, გათვალისწინებულია ცალკეული მოთხოვნები, პირობები, რომლის მთავარი მიზანია დაცული იყოს იმ მხარის ინტერესები და უფლებები, ვის წინააღმდეგაც მიიღება უზრუნველყოფის ღონისძიებები. ეს მუხლები ერთგვარ მექანიზმს ქმნის, რათა უსაფუძვლოდ მიღებული ღონისძიებები დროულად იქნას გამოსწორებული ან მოხდეს მათგან მიყენებული ზიანის სწრაფი და ეფექტური კომპენსაცია.

აღსანიშნავია, რომ UNCITRAL-ის მოდელურ კანონში ცვლილებების შემუშავების პერიოდში სამუშაო ჯგუფმა გამოიყენა ამ სექციის შესაქმნელად საერთაშორისო სამართლის ასოციაციის<sup>4</sup> 1996 წლის ჰელსკინის კონფერენციაზე დანერგილი „წინასწარი და დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიმართ გამოსაყენებელი პრინციპები საერთაშორისო მართლმსაჯულებისას“,<sup>5</sup> ისევე როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის 2001 წლის კონფერენციაზე და ამერიკული სამართლის ინსტიტუტისა და კერძო სამართლის უნი-

<sup>1</sup> Wang W., International Arbitration: The Need for Uniform Interim Measures of Relief, Brook Journal of International Law, 28, 2003, 1059.

<sup>2</sup> Srinivasan B., Scope of Power to Grant Interim Measures against Third Parties under the Arbitration and Conciliation Act, 1996, <<http://ssrn.com/abstract=2141718>> [30.06.2013].

<sup>3</sup> ისევე, როგორც მათივე საარბიტრაჟო წესებში.

<sup>4</sup> International Law Association (ILA) 1873 წელს შექმნილი ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანი საერთაშორისო სამართლის შესწავლას, განმარტებასა და დახვეწას წარმოადგენს. ორ წელიწადში ერთხელ ორგანიზაცია მართავს საერთაშორისო კონფერენციებს, რომლებზეც ცალკეული საკითხების განხილვა-შემუშავება მიმდინარეობს.

<sup>5</sup> Principles of Provisional and Protective Measures in International Litigation.



ფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პრინციპები. მართალია, არცერთი მათგანი შესაძლოა პირდაპირ კავშირში არ იყოს საარბიტრაჟო წარმოებასთან, თუმცა გამომდინარე მათი რელევანტურობიდან მხარეთა დაცვის მიზნებთან UNCITRAL-მა საჭიროდ მიიჩნია მათი ნაწილობრივ ასახვა საკუთარ მოდელურ კანონში.<sup>1</sup>

კონკრეტულად კი მოდელურ კანონში მოცემულია შემდეგი პირობები:

ა) *„არბიტრაჟს უფლება აქვს შეცვალოს, შეაჩეროს ანდა გააუქმოს ის უზრუნველყოფის ღონისძიება მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ან თუკი, ეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულია, თავისი ინიციატივით“*<sup>2</sup>

მოდელური კანონი იძლევა საშუალებას არბიტრაჟის მიერ მიღებული ღონისძიება გაუქმდეს, შეიცვალოს ანდა დროებით შეჩერდეს. თავად კანონი არ აკონკრეტებს იმ წინაპირობებს რა დროსაც არბიტრაჟს შეუძლია მსგავსი მოქმედებების განხორციელება. „მხარის მოთხოვნა“ და „საკუთარი ინიციატივა“ ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საფუძველი მას არ სჭირდება და პირდაპირ შეუძლია გამოყენებულ ზომა თუნდაც დროებით შეაჩეროს. შესაბამისად, საჭიროა დადგინდეს ცალკეული გარემოებები, რის საფუძველზეც აღმოჩნდება, რომ უზრუნველყოფის ზომები ან არაადეკვატურია, შეიცვალა ანდა საერთოდ არც არსებულა ის წინაპირობა, რის გამოც იგი გამოყენებულ იქნა. თუ, მაგალითად, აღმოჩნდება, რომ განმცხადებელმა მხარემ უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად წარადგინა ყალბი მტკიცებულება, არბიტრაჟი, ამ შემთხვევაში, საერთოდ გააუქმებს ზომებს. იმ შემთხვევაში თუკი მხარის თავდაპირველი მოთხოვნა 500 000 აშშ დოლარს შეადგენდა და არბიტრაჟმა სწორედ ამ ოდენობის თანხას დაადო ყადაღა მოპასუხის ანგარიშზე, სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირების, მაგალითად 300 000-მდე ჩამოყვანის შემთხვევაში, არბიტრაჟს შეუძლია შეამციროს ყადაღის ოდენობა.

ბ) *„არბიტრაჟმა შეუძლია მოსთხოვოს ნებისმიერ მხარეს მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია იმ გარემოებათა ცვლილების შესახებ, რომელთა საფუძველზეც მოხდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება“*<sup>3</sup>

განმცხადებელ მხარეს მოეთხოვება არბიტრაჟს მიაწოდოს სრული ინფორმაცია თუკი სახეზე აღარ არის ის გარემოებანი, რის გამოც მოხდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ინსტიტუტის მიზანი განმცხადებელი მხარის უფლებათა დაცვა საჭიროების შემთხვევაში. თუკი ამგვარი საჭიროება სახეზე აღარ იქნება, გამოვა რომ ღონისძიებათა ერთადერთი შედეგიც და მიზანიც მოპასუხე მხარისათვის ზიანის მიყენება. შესაბამისად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება დააყენოს ზიანის ანაზღაურების საკითხი.<sup>4</sup>

გ) *„მხარეს, რომელიც განცხადებას აკეთებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, შესაძლოა დაევალოს ნებისმიერი ხარჯის ან ზიანის ანაზღაურება, თუკი დადგინდება რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა გამოყენებულყო. ამგვარი თანხა შეიძლება არბიტრაჟმა განმცხადებელს პროცესის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დააკისროს“*.

ზემოაღნიშნული დამცავი პირობა მოიცავს ორ საკითხს: ხარჯებს უზრუნველყოფის ღონისძიებათა ამოქმედებისა და ამ ღონისძიებათა მიერ შესაძლო, ან დამდგარი ზიანის ანაზღაურებას განმცხადებელი მხარისგან. ხარჯები წარმოიშევა ყოველ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიების ამოქმედება ხდება. ის შეიძლება მოიცავდეს ისეთი მომსახურების ანაზღაურებას, როგორცაა ტრანსპორტირება, ექპერტის მომსახურება ან თუნდაც სექსტრი.

<sup>1</sup> United Nations Commission on International Trade Law, Yearbook 2002, <[http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb\\_2002\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb_2002_e.pdf)>.

<sup>2</sup> UNCITRAL Model Law Article 17 D.

<sup>3</sup> UNCITRAL Model Law Article 17 F, <<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998-Ebook.pdf>>.

<sup>4</sup> იხილეთ შემდეგი პირობა.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, როგორც ამას იურიდიულ ლიტერატურაში განმარტავენ ის ყოველ შემთხვევაში მხარეს არ დაეკისრება, თუნდაც რეალურად სახეზე იყოს დამდგარი ზიანი, ანუ მთავარია მხარემ თავისი დაუდევარი თუ განზრახვი ქმედებებით ხელი არ შეუწყოს არამართლზომიერი ზომების გამოყენებას და ამით ზიანი მიაყენოს მოპასუხე მხარეს. შესაბამისად, როდესაც არბიტრი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას თუკი უზრუნველყოფის ღონისძიებაზე განმცხადებელი მხარის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება ცალკე იქნება განხილული მოპასუხე მხარისთვის მიყენებული ზიანი და მისი ანაზღაურების საკითხი.<sup>1</sup>

ცალკე განხილვის საგანია შემთხვევები, როდესაც არამართლზომიერი და ზიანის გამომწვევი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არა არბიტრის, არამედ სასამართლოს მიერ. ამ პრობლემაზე პრაქტიკა არაერთგვაროვანია. ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ უკანონოდ გამოყენებული ღონისძიებათა ზიანის ანაზღაურების საკითხი არბიტრთა მიერ არ დაკმაყოფილებულა და პირიქითაც.<sup>2</sup> ამ ორი პოზიციიდან უფრო სამართლიანი და მისაღები ისაა, რომლითაც მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება. თუ, ერთი მხრივ, გაზიარებულია ის არგუმენტი, რომ ზოგადად ღონისძიებებისგან მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს და ეს, შესაბამისად, კანონმდებლობებსა და რეგლამენტებშიც პირდაპირ არის ასახული, მაშინ მხარეებს არ უნდა დაუტოვონ გზა, რათა თავი დააღწიონ პასუხისმგებლობას უზრუნველყოფის ღონისძიებათა სასამართლოსგან გამომთხოვნის გზით.

### **III. უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულება**

#### **1. გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების საჭიროება**

სასამართლოს შემთხვევაში განჩინების თუ გადაწყვეტილების მიღების დროს ხდება, აგრეთვე, სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვნა და აღმასრულებელთან შესაბამისი განცხადების საფუძველზე დაინყება აღსრულება. თუმცა, ეს ვრცელდება სასამართლოს ლოკალურ დავებზე, სადაც თავად სასამართლო და სააღსრულებო ბიუროები ქმნიან ქვეყნის შიდა კანონმდებლობით შექმნილ სისტემას. განსხვავებული სურათია, თუნდაც საერთაშორისო არბიტრაჟის შემთხვევაში. მაგალითად, სტოკჰოლმში თუკი არბიტრი მხარის განცხადებას დააკმაყოფილებს, საკითხავია როგორ და რა გზით უნდა მოხდეს ამ გადაწყვეტილების აღსრულება.

ბუნებრივია, იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება, თავადაც შეუძლია შეასრულოს გადაწყვეტილება და მოსარჩელე არ გახდეს იძულებული იძულებითი აღსრულების მექანიზმების საქმეში ჩართვისა. ამისათვის მოპასუხეს არაერთი მიზეზი აქვს: შესაძლოა, მის რეპუტაციას საფრთხე შეექმნას ვინაიდან არ ემორჩილება კანონიერ გადაწყვეტილებას და ადრე თუ გვიან მის წინააღმდეგ მაინც მოხდება იძულებითი აღსრულება.<sup>3</sup> თუმცა ეს არ ნიშნავს რომ ყოველთვის ნებაყოფლობით სრულდება გადაწყვეტილებები, ხშირად მხარეს არ უნევს შესაბამის ქვეყანაში გადაწყვეტილებათა ცნობა აღსრულებისთვის მოქმედი პროცედურების ამოქმედება.

#### **2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება – ცნებათა განმარტება**

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების ცნობაც და აღსრულებაც მიმართულია იმისკენ არბიტრის ბრძანებას არ ჰქონდეს უბრალოდ ფუჭი სიტყვების ხასიათი და მოხდეს მის-

<sup>1</sup> Rubino-Sammartano M., International Arbitration: Law And Practice, 2<sup>nd</sup> ed., The Hague, 2001, 648.

<sup>2</sup> იქვე, 649.

<sup>3</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2009, 517.

თვის გარკვეული ეფექტის მინიჭება. თუმცა ამ ორ ცნებას როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე კონვენციებსა და შიდა კანონმდებლობებში ერთმანეთისგან მიჯნავენ.<sup>1</sup>

**ცნობა** – თავის თავში მოიცავს ცნობის განმარტებელი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში უკვე გამოტანილი გადაწყვეტილების ინტეგრაციას. ცნობა უფრო „დაცვითი“ ლონისძიებაა, ვინაიდან მას ახდენს მხარე, იმ მიზნით რომ შედეგის შენარჩუნება მოხდეს და გადაწყვეტილების წინააღმდეგ მონინააღმდეგე მხარემ არ მოახდინოს სამართლებრივი გზებით, ცალკეული ზემოქმედება. ვინაიდან ცნობით ხდება იმის ხაზგასმა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება კანონიერი და სავალდებულო ხასიათის მატარებელია მხარეების მიმართ.<sup>2</sup>

**აღსრულება** – ცნობისგან განსხვავებით აღსრულება უფრო „შემტევი“ ლონისძიებაა, რომელსაც ახასიათებენ, როგორც „გადაწყვეტილების ფულად გადაქცევისკენ სწრაფვას“. ის თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტილების კანონიერად აღიარებას, არამედ მისი შესრულების უზრუნველყოფასაც. იმისათვის რომ მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულება, ჯერ საჭიროა მოხდეს მისი ცნობა.<sup>3</sup>

### 3. ცნობა-აღსრულების სამართლებრივი წყაროები

ცნობა-აღსრულების სამართლებრივ წყაროებთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი როლი საერთაშორისო კონვენციებს ერგოთ. ეს ბუნებრივიცაა, ყველა ქვეყანას განსხვავებული პროცედურები და წესები რომ ჰქონდეთ აღსრულებასთან მიმართებით, სიტუაცია მნიშვნელოვნად გართულებოდა აღსრულების მაძიებელი პირისათვის. შესაბამისად, საერთაშორისო კონვენციებით დადგენილია ის ზოგადი სტანდარტები, რომელთა შედეგადაც ხელმომწერი ქვეყნის სამართლებრივ ფარგლებში მოხდება შესაბამისი რეაგირება მხარის განცხადებაზე.

სამართლებრივი წყაროებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციაა „უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების თაობაზე“. კონვენციის მიზანია რაც შეიძლება მარტივად და სწრაფად მოახდინოს ხელშემკვრელმა ქვეყანამ უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულება საკუთარ სამართლებრივ ჩარჩოებში.<sup>4</sup>

ნიუ-იორკის კონვენცია ყველაზე მასშტაბური ხასიათისაა, თუმცა ამ საკითხთან მიმართებით ის არ არის ერთადერთი. მაგალითად: მინსკის კონვენცია, აგრეთვე, შეიცავს დებულებებს რომელთა საშუალებითაც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის სამოქალაქო და საოჯახო დავებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების აღსრულება გამარტივებული პროცედურებით ხდება.<sup>5</sup>

წყაროებთან მიმართებით აგრეთვე საყურადღებოა, ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, რომლის მეშვეობითაც ხდება დეტალური რეგულირება თუ ვინ განიხილავს განცხადებას ცნობა-აღსრულების შესახებ, რა ვადებში უნდა იქნეს განხილული პირის განცხადება და აშ. შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით საყურადღებოა მოდელური კანონის როლი, რომლის უნიფიკაციაც არაერთი ქვეყნის მეშვეობით (მათ შორის საქართველოს) მოხდა და, აქედან გამომდინარე არაერთ ქვეყანაში გვხვდება იდენტური რეგულაცია, რაც საერთაშორისო კონვენციის ტოლფასადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული.

### 4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

არბიტრაჟს აქვს ნდობა სახელმწიფოებისგან მიიღოს გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში, ასევე, მხარდაჭერა აღსრულების ეტაპზეც. ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტი-

<sup>1</sup> Alfons C., Recognition and Enforcement of Anulled Foreign Arbitral Awards, Frankfurt am Main, 2010, 16.

<sup>2</sup> იქვე, 17.

<sup>3</sup> იქვე, 17.

<sup>4</sup> Alfons C., Recognition and Enforcement of Anulled Foreign Arbitral Awards, Frankfurt am Main, 2010, 25.

<sup>5</sup> Tsertsvadze G., Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards in Georgia, <[http://www.mpipriv.de/files/pdf3/2009\\_11\\_19\\_013.pdf](http://www.mpipriv.de/files/pdf3/2009_11_19_013.pdf)>.

ლების აღსრულება არ ხდება. ზემოთ უკვე ნახსენები იქნა ცალკეული პროცესუალური თუ მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებისა. ბუნებრივია, თუკი თუნდაც ამ კრიტერიუმების გარეშე პირი მოიპოვებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და მოახდენს მის აღსრულებას, შეიქმნება სრული ქაოსი. აქედან გამომდინარე, დაწესებულია ის ზოგადი კრიტერიუმები, რის სახეზე ყოფნის შემთხვევაშიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას სასამართლო ვერ მოახდენს და გადაწყვეტილება, მისი ხარვეზებიდან გამომდინარე, დარჩება ცარიელ სიტყვებად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, ვინაიდან მათი გამოყენებაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ხდება, მოქმედებს ნიუ იორკის მიერ დაწესებული ზოგადი კრიტერიუმები და აგრეთვე საინტერესოა მოდელური კანონის 2006 წლის ტექსტში არსებული ფორმულირებაც აღსრულების წინაპირობებთან მიმართებით<sup>1</sup>.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას შეიძლება უარი ეთქვას იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს მხარე უფლებამოსილ ორგანოს წარუდგენს იმის მტკიცებულებას, რომ:

*(ა) II მუხლში მითითებული შეთანხმების მხარეები, მათ მიმართ მოქმედი კანონის მიხედვით, ქმედუუნარონი იყვნენ, ან საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია იმ სამართლის მიხედვით, რომელსაც მხარეებმა ეს შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას, იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება<sup>2</sup>;*

საარბიტრაჟო შეთანხმებაც ორმხრივი გარიგებაა და, შესაბამისად, მის ეფექტურობასთან დაკავშირებითაც მოქმედებს ის დადგენილი წესები, რაც სხვა გარიგებებთან მიმართებით არსებობს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლი აწესებს გარიგების ბათილობის საფუძველს მისი მოტყუებით დადების შემთხვევაში. არბიტრაჟი დავის განხილვის ალტერნატიული და არა ძირითადი საშუალებაა. თუკი მხარეს სურს მისი გამოყენება ამისათვის მან შესაბამისი ფორმის დაცვით უნდა გამოავლინოს ფორმა და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება არბიტრს საკმარისი უფლებამოსილება ამ მხარეებს შორის დავის მოგვარებისა. თუკი ეს ნება ან საერთოდ არ იარსებებს ან არასწორად იქნება გამოვლენილი არბიტრაჟის გადაწყვეტილებაც, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქნება კანონიერი ძალის მქონე.

*(ბ) მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა მიზეზების გამო ვერ მოახერხა თავისი პოზიციის წარმოდგენა;*

საარბიტრაჟო განხილვა, ისევე, როგორც სასამართლო, აგებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე. დაუშვებელია არბიტრმა ისე გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომ სრულად, ობიექტურად არ მოახდინოს ორივე მხარისთვის მოსმენა,

ყველა გარემოების შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ მხარეს, რომლის მონაწილეობის გარეშეც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, შეუძლია არ დაემორჩილოს მისთვის ნაბრძანებს და მოსარჩელე მხარეს არავითარი მექანიზმი არ ექნება გადაწყვეტილების აღსასრულებლად. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ზემოთ განხილულ „ex parte“ მიღებულ გადაწყვეტილებათა პრობლემურობას, თუკი მხარე მაინც მოიპოვებს არბიტრისგან დადებით პასუხს ღონისძიებათა გამოყენების თაობაზე, ის მაინც ვერ შეძლებს ამ გადაწყვეტილებისთვის იურიდიული ძალის მინიჭებას.

*(გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, იმ პირობით, რომ თუ შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც დაექვემდებარა არბიტრაჟს შეიძლება ცალკე გამოიყოს იმ*

<sup>1</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration Article 17 - Grounds for Refusing Recognition or Enforcement, <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998\\_Ebook.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf)>.

<sup>2</sup> კონვენციის ტექსტი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/XXII\\_1\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/XXII_1_e.pdf)>.

საკითხებიდან, რომლებიც არ დაექვემდებარა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც შეიცავს დადგენილებებს საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე, შეიძლება დაექვემდებაროს ცნობასა და აღსრულებას;

როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული: იმისათვის, რომ არბიტრი უფლებამოსილი იყოს გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, მხარეებს მისთვის ამგვარი უფლებამოსილება არ უნდა ჰქონდეთ შეთანხმებით გამორიცხული. იმ შემთხვევაში თუკი მხარეები შეუზღუდავენ ანდა გამორიცხავენ არბიტრაჟის ამგვარ უფლებამოსილებას და ამ უკანასკნელის მიერ მანაც მოხდება გადაწყვეტილების მიღება, თავად გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში ვერ შევა და იქნება დამოკიდებული მეორე მხარეზე, სურს დაეთანხმოს მას თუ არა.

*(დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა;*

ეს კრიტერიუმი ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც დაღვეულია არბიტრაჟის ფორმირების ან მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის პროცედურული საკითხები. მაგალითად, არბიტრაჟი კი აღჭურვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ძალაუფლებით, მაგრამ მას განუსაზღვრეს შემომნების კრიტერიუმები, რომლითაც უნდა მიეღო გადაწყვეტილება და ეს კრიტერიუმები არ იქნა გათვალისწინებული.

ზემოთ განხილული იქნა ისეთი შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟის ფორმირება მხარეებს არ მოუხდენია, თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიების გადაუდებელი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებას იღებდა არბიტრაჟის სამდივნოს მიერ დანიშნული პირი. საკითხავია, რამდენად შეიძლება ასეთი პირის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმდეს ამ მუხლში ხსენებული მიზეზის გამო. ICC-ს რეგლამენტში ეს საკითხი პირდაპირაა დარეგულირებული და ასევე ჩანერილია, რომ იგი მოქმედებს თუკი მხარეებმა არ მოახდინეს მისი გამოცხვება. თუკი პირები ითვალისწინებენ, რომ მათ შორის წარმოშობილ დავას განიხილავს ICC არბიტრაჟი, შესაბამისად ითვლება რომ ისინი ეთანხმებიან შეთანხმების მომენტისათვის არბიტრაჟის რეგლამენტში გათვალისწინებულ ყველა პირობას და, აქედან გამომდინარე, ჩაითვლება, რომ ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროცედურები არ დარღვეულა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი არბიტრაჟმა როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

*(ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა გაუქმებულ ან შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, სადაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი ან რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი.*

გარდა ამისა ნიუ იორკის კონვენცია ითვალისწინებს კიდევ ორ პირობას, რომლის შემონახვაც სასამართლოს ევალება, სანამ მხარის მოთხოვნას, გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თაობაზე დააკმაყოფილებს. კონკრეტულად ამ პირობებს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც:

*(ა) ამ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;*

არბიტრაჟთან დაკავშირებული კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს, თუ რა საკითხებზე შეიძლება იყოს არბიტრი კომპეტენტური. ქართულ რეალობაში ესაა: „პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მონესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის“<sup>1</sup>. შესაბამისად, საქართველოში ვერ მოხდება ისეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ დავასთან და არბიტრაჟს რომ ჰქონდეს ადმინისტრაციული აქტის შეჩერება მოთხოვნილი, ბუნებრივია ვერ მოხდება ამის აღსრულება.

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 1, <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=89284&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=89284&lang=ge)>.

*(ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჯარო წესრიგს.*

საჯარო წესრიგის ცნება საკმაოდ აქტიუალურია საერთაშორისო კერძო სამართალშიც. აღსანიშნავია, რომ თავად წესრიგს არც „საჯაროობასთან“ და არც „საზოგადოებრივ წესრიგთან“ მიმართებით არავითარი კავშირი არ აქვს. „საჯარო წესრიგი“ მოიცავს იმ სამართლებრივ პრინციპებს, რომელზე დაფუძნებულიც არის ქვეყნის კანონმდებლობა. „გაბატონებული მოსაზრების თანახმად საჯარო წესრიგის კონტროლის საგანი არის არა იმის დადგენა ეწინააღმდეგებოდა თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სამართლის იმპერატიული ნორმები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, არამედ მარტოოდენ იმაში დარწმუნება, რომ ეს აქტი აკმაყოფილებს ქვეყანაში სამართლიანი პროცესისთვის არსებულ მინიმალურ სტანდარტებს“.<sup>1</sup> სასამართლომ რომ დაიწყოს იმის შემოწმება, თუ რამდენად წინააღმდეგობაშია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თითოეულ, თუნდაც მხოლოდ იმპერატიულ, ნორმასთან, ჩაითვლება რომ მართლმსაჯულების ეს ორგანო არა მხოლოდ ცნობა-აღსრულების არამედ ზედა ინსტანციის დანიშნულებით გამოიყენება, რაც არასწორია. სასამართლო ვალდებულია მხოლოდ ის შეამოწმოს, თუ რამდენად არის წინააღმდეგობაში არბიტრაჟის გადაწყვეტილება ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ძირითად პრინციპებთან და არა თითოეულ მარეგულირებელ ნორმასთან<sup>2</sup>. საჯარო წესრიგი შესაძლოა იყოს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალურ-სამართლებრივიც. ეს უკანასკნელი მოიცავს პროცესის წარმოების ელემენტარულ, ძირეულ პრინციპებს<sup>3</sup>, ისეთებს, როგორიცაა თანასწორობის პრინციპი. უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებითაც შეიძლება ითქვას, რომ მთავარია არ იყოს დარღვეული თანასწორობის პრინციპი, ანდა არ იყოს მოთხოვნილი იმდენად არათანაზომიერი ღონისძიება, რომ მისი ძირითადი ნაწილი უბრალოდ მოპასუხისთვის ზიანის მიყენებას ემსახურებოდეს და არა განმცხადებელი მხარის ინტერესების დაცვას. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული დარღვევები იმდენად მძიმე ხასიათისაა, რომ ქართული სამართლის ძირეულ პრინციპებს ეწინააღმდეგება, ამ შემთხვევაში უარს იტყვის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.

მოდელური კანონის 2006 წლის რედაქცია ასევე შეიცავს ცალკეულ პირობებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა მოხდეს უარის თქმა უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებაზე.

ძირითადი საფუძვლები მოდელურ კანონს პირდაპირ აქვს გადმოტანილი ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციიდან, მიუთითებს რა საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის, მხარისთვის პროცესის თაობაზე შეუტყობინებლობის და სხვა ზემოხსენებულ საფუძვლებზე. თუმცა, გარდა ამისა, მოდელური კანონი ამატებს აგრეთვე დამატებით საფუძვლებსაც ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმისა. კონკრეტულად კი:

1. *თუკი მოპასუხე მხარე სასამართლოს დაუმტკიცებს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განმცხადებელ მხარეს არ შეუსრულებია არბიტრაჟის დავალება შესაბამისი საგარანტიო თანხის წარდგენაზე.*

2. *როგორც ზემოთ უკვე იქნა განხილული, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამდე შესაძლოა არბიტრმა აამოქმედოს ცალკეული მექანიზმები მოპასუხე მხარის ინტერესების დასაცავად. ერთ-ერთი ამგვარი „მექანიზმი“ განმცხადებელი მხარის მიერ შესაბამისი გარანტიის წარდგენა იყო. თუკი არბიტრი მსგავს მოთხოვნას მხარეს წაუყენებს, მაშინ ამ უკანასკნელმა ის უნდა შეასრულოს დაუყოვნებლივ და მხოლოდ ამ დავალების შესრულების შემდეგ მიიღებს ის ღონისძიების გამოყენების საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც*

<sup>1</sup> *გოთუა ლ.*, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010, <[http://www.law.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf](http://www.law.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf)>.

<sup>2</sup> *Alfons C.*, Recognition and Enforcement of Anulled Foreign Arbitral Awards, Frankfurt am Main, 2010, 37.

<sup>3</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2009, 532.

ჩანს, სასამართლო არ გაუწევს განმცხადებელს არავითარ დახმარებას სასურველი შედეგის მისაღწევად.

მოდელური კანონი<sup>1</sup>, ასევე, ანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას მოპასუხის განცხადების შემთხვევაში თვითონ დააკისროს ღონისძიების მომთხოვნ მხარეს გარკვეული გარანტიის წარდგენა. მსგავსი შემთხვევები, სავარაუდოდ, შედარებით იშვიათობას უნდა მივაკუთვნოთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, არბიტრაჟის პრიორიტეტის სასამართლოსთან მიმართებით ღონისძიების გამოყენებისას, ის იყო რომ ეს უკანასკნელი საქმის არსებით გარემოებებს ძირფესვიანად არ იცნობს. თუკი არბიტრმა, რომელმაც თითოეული დეტალი იცის საქმის ვითარებისა, არ დააკისრა განმცხადებელს გარანტიის წარდგენა, მაშინ სასამართლოსაც არ ექნება არავითარი საფუძველი შესაბამისი ქმედებისა. ეს წესი უნდა მივაკუთვნოთ უფრო იმ შემთხვევას, როდესაც არბიტრის მიერ ეს საკითხი საერთოდ არ ყოფილა განხილული და ცნობა-აღსრულების ეტაპზე მოპასუხე მხარემ ჩათვალა, რომ მის ინტერესებს შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს ღონისძიებათა გამოყენებით.

*3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადანყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების არსებითად შეცვლის გარეშე მისი ფორმის იმ ფარგლებში შეცვლის შესახებ, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულებისათვის;*

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოსაყენებლად სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ღონისძიება კანონმდებლობით გათვალისწინებული, თუკი ქართული კანონმდებლობა არ გაითვალისწინებს მაგალითად, ყადაღის დადების საკითხს, არადა არბიტრაჟს სწორედ ამ ღონისძიების გამოყენების თაობაზე ექნება გადანყვეტილება მიღებული, ბუნებრივია, მოსამართლე იქნება ხელშეშობილი და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს ვერ გასცდება.

ამ ორი კონკრეტული საკითხის გარდა, რაც, ძირითადად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სპეციფიკიდან გამომდინარეობს, მოდელურ კანონსა და ნიუ-იორკის კონვენციას შორის განსხვავება უარის თქმის საფუძველების ნაწილში არ გვხვდება.

## **5. საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრის (ICSID) თავისებურებანი**

ICSID ავტონომიურ საერთაშორისო ინსტიტუტს, დაწესებულებას წარმოადგენს, რომელიც რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკის) მიერაა დაფუძნებული 1966 წელს შესაბამისი კონვენციით.<sup>2</sup> ICSID-ის მთავარი მიზანი, კონვენციის თანახმად<sup>3</sup>, ხელმომწერი სახელმწიფოსა და უცხო ქვეყნის ინდივიდებს (ინვესტორებს) შორის დავების განხილვაა.

როგორც წესი, საერთაშორისო არბიტრაჟების ორ კერძოსამართლებრივ სუბიექტს შორის წარმოშობილ დავებს განიხილავენ. მაგალითად, ქართველ და გერმანელ მენარმეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას. შესაბამისად, სახელმწიფო, რომელსაც გადაეცემა არბიტრაჟის გადანყვეტილება, აღჭურვილია შესაბამისი მექანიზმებით და ხელს უწყობს გადანყვეტილების აღსრულებას. ICSID-ის შემთხვევაში კი სახელმწიფო თვითონ არის დავის მონაწილე მხარე. შესაბამისად, ვერ იარსებებს ვერანაირი იძულებითი მექანიზმი,

<sup>1</sup> UNCITRAL Model Law, Article 17H, 3, [http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998\\_-Ebook.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_-Ebook.pdf).

<sup>2</sup> International Centre for Settlement of Investment Disputes (შემდგომში – ICSID) <<https://icsid.worldbank.org/ICSID/Index.jsp>>.

<sup>3</sup> Convention on the Settlement of Investment Disputes Between States and Nationals of other States, <[https://icsid.worldbank.org/ICSID/StaticFiles/basicdoc/CRR\\_English-final.pdf](https://icsid.worldbank.org/ICSID/StaticFiles/basicdoc/CRR_English-final.pdf)>.

რომლითაც მოხდება მისთვის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების დავალდებულება.

შესაბამისად, კონვენციის ტექსტი სიტყვა „სავალდებულო“ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით არ ითვალისწინებს, გვხვდება მხოლოდ „რეკომენდაცია“.<sup>1</sup>

თავის დროზე საკმაოდ დიდი დავა მიმდინარეობდა კონვენციის შემუშავებისას ამ საკითხზე: თუ რა ფორმულირება უნდა გამოეყენებინათ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, ანუ ყოფილიყო იგი სავალდებულო თუ სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელი. ჩინეთის დელეგატი აპროტესტებდა სავალდებულო ხასიათის გამოყენებას, მიიჩნევდა რა, რომ ხელშემკვრელ მხარეს შეიძლება პრობლემები შექმნოდა ღონისძიების აღსრულებასთან ქვეყნის საშინაო პოლიტიკასთან წინააღმდეგობის გამო. როგორც ჩანს, დელეგატმა საკუთარი პოზიციის გატანა მაინც მოახერხა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ფორმულირების არბიტრთა გადაწყვეტილება სავალდებულო ხასიათის მატარებელი მაინც არის<sup>2</sup> და ეს პრაქტიკაში არაერთხელ იქნა აღნიშნული, მაგალითად, საქმეში მაფეცინი ესპანეთის წინააღმდეგ<sup>3</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში გვხვდება ამგვარი მსჯელობა:

„მაშინ, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა სიტყვა „რეკომენდირებას“, როგორც ეს გამოყენებულია 39-ე მუხლში და სიტყვა „ბრძანებას“ შორის, რომელიც გამოყენებულია ყველა დანარჩენ მუხლში, რომელშიც არბიტრაჟის უფლებამოსილებაა ხაზგასმული მხარის დავალდებულებაზე შეასრულოს ცალკეული ქმედებები, სხვაობა ამ ორ სიტყვას შორის მაინც უფრო მოჩვენებითია ვიდრე რეალური. აქვე აღსანიშნავია, რომ კონვენციის ესპანურენოვანი ვერსია იყენებს სიტყვა „dictamen“-ს (დადგენა, დაკანონება). არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს არ უგულისხმიათ ამ სიტყვების გამოყენებისას, რომ მათ შორის არსებობდა რაიმე სახის არსებითი სხვაობა. არბიტრაჟის უფლებამოსილება გამოიტანოს უზრუნველყოფის ზომებზე გადაწყვეტილება არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ნაკლებად დამავალდებულებელს ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილება საქმის არსებით პირობებზე. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების მიზნებისთვის, არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ სიტყვა „რეკომენდაცია“ იგივე ძალის მატარებელია რაც სიტყვა „ბრძანება“<sup>4</sup>.

თუმცა ბრძანება-რეკომენდაცია უბრალოდ უფუნქციო სიტყვებით თამაში იქნება, თუკი არბიტრაჟი გამოიტანს გადაწყვეტილებას ხოლო მხარე უარს იტყვის მის შესრულებაზე და არ იარსებებს არავითარი მექანიზმი მხარის იძულებისა. ამგვარი მექანიზმი, ICSID-ს მართალია არ გააჩნია, თუმცა თავად ქვეყნის ინტერესებშივე შედის არ დატოვოს უყურადღებოდ არბიტრაჟის გადაწყვეტილება და მოახდინოს მასზე ეფექტური რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი უარყოფითად აისახება თავად ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის ურთიერთობებზე. მითუმეტეს თუ ეს ქვეყანა მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტებით მოსარგებლეა.<sup>5</sup>

შესაბამისად, მოპასუხე ქვეყნის ურჩობამ და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საარბიტრაჟო ინსტიტუტის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს თავად ქვეყნის პრესტიჟზე, რაც ცუდად აისახება შემდგომ მის ეკონომიკურ ურთიერთობებზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნები არ აქცევენ ყურადღებას აღსრულების მექანიზმი არსებობს თუ არა და თავად, ნებაყოფლობით ასრულებენ არბიტრაჟის მითითებებს. თუმცა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის ასე არაა. მაგალითად, საქმეში *AGID*

<sup>1</sup> Article 47: “Except as the parties otherwise agree, the Tribunal may, if it considers that the circumstances so require, recommend any provisional measures which should be taken to preserve the respective rights of either party.”

<sup>2</sup> Schreuer C., Malintoppi L., Reinisch A., Sinclair A., *The ICSID Convention: A Commentary*, 2<sup>nd</sup> ed., Cambridge, 2009, 764.

<sup>3</sup> *Emilio Agustín Maffezini v. Kingdom of Spain, ICSID Case No. ARB/97/7*, <[https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC564\\_En&caseId=C163](https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC564_En&caseId=C163)>.

<sup>4</sup> *ICSID Case No. ARB/97/7*, <[https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC564\\_En&caseId=C163](https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC564_En&caseId=C163)>.

<sup>5</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2009, 450.



კონგოს წინააღმდეგ<sup>1</sup>, მოდავე მხარეს მოთხოვნილი ჰქონდა გარკვეულ დოკუმენტებთან მისი დაშვება, რათა მომხდარიყო ამ დოკუმენტების შესწავლა-დამუშავება და მათ მტკიცებულებად გამოყენება. არბიტრაჟმა დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა, თუმცა ქვეყნის მიერ მაინც არ იქნა გადანყვეტილება შესრულებული.

ICSID-ის მორიგი თავისებურება მის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეებში გამოიხატება. ამ არბიტრაჟს აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს თავად სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანოებზე და დაავალდებულოს ისინი ცალკეული ადმინისტრაციული აქტების განხორციელება-განუხორციელებლობაში. მაგალითად, საქმეში *კასადო ჩილეს წინააღმდეგ*<sup>2</sup>, არბიტრაჟმა მოსთხოვა სახელმწიფოს არ შესულიყო ძალაში ჩილეს მინისტრის ერთ-ერთი ბრძანება, ვინაიდან მიიჩნია რომ ეს საარბიტრაჟო განხილვასა და მის სავარაუდო შედეგებზე უარყოფითად აისახებოდა.

#### **IV. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა რეგულირება ქართული კანონმდებლობით**

##### **1. არბიტრაჟის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება**

საკითხავია, რა უფლებამოსილებებით აღჭურავს ქართული კანონმდებლობა არბიტრაჟს და, შესაბამისად, რა პროცედურები იარსებებს იმ შემთხვევაში თუ მხარეები ქართულ სამართალს მიუთითებენ, როგორც დავის განხილვისთვის გამოსაყენებელ პროცესუალურს („*lex arbitri*“).

2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადანყვეტილების, აგრეთვე, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.<sup>3</sup>

განსხვავებით მისი წინამორბედისგან<sup>4</sup>, ახალი კანონი უფრო დეტალურად არეგულირებს როგორც ქართულ, ლოკალურ, ისე საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის კი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

კანონის მე-17 – 23-ე მუხლები არეგულირებს არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასა და ცნობა აღსრულების პროცედურებს. ნაშრომის ამ თავში განხილული იქნება მიღების პროცედურები და მისი შესაბამისობა დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით კი 2006 წლის მოდელურ კანონთან.

კანონის მე-17 მუხლი არბიტრაჟს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებით აღჭურვავს და ამ წესთან მიმართებით უპირატესობას მხარეთა შეთანხმებას ანიჭებს. შესაბამისად, თუკი მხარეებმა არ გამორიცხეს არბიტრის უფლებამოსილება ერთ-ერთ მათგანს შეუძლია განცხადებით მიმართოს მას. რაც შეეხება უზრუნველყოფის ღონისძიების სახეებს მე-17 მუხლის მეორე ნაწილი ანალოგიურ ჩამონათვალს აკეთებს, როგორსაც მოდელური კანონი.<sup>5</sup> კონკრეტულად კი შესაბამისი შუამდგომლობის არსებობის შემთხვევაში არბიტრაჟმა შეიძლება მოპასუხე მხარეს მოსთხოვოს:

ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადანყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა;

ბ) ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან თვით საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;

<sup>1</sup> *AGID v. Congo, ICSID case N. ARB /77/1.*

<sup>2</sup> *Casado P. v. Chile, ICSID case N. ARB 98/2.*

<sup>3</sup> საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 1.1.

<sup>4</sup> საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც მოქმედებდა 1997-2010 წლებში, <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=29830&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=29830&lang=ge)>.

<sup>5</sup> უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეების ჩამონათვალი იხილეთ ზევით.

გ) ღონისძიებების განხორციელება იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებიდანაც აღსრულება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

დ) მტკიცებულებების შენახვა და შენარჩუნება, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავასა და მის გადაწყვეტას.

ამგვარი მიდგომა მისასალმებელია, ვინაიდან მოდელური კანონის მიერ შემოთავაზებული უზრუნველყოფის ღონისძიებები იმდენად ზოგადი და მრავლისმომცველია, რომ რომელიმე კონკრეტული ზომის მიღების შემთხვევაში საქართველოში აღსრულების დროს არ შეიქმნება პრობლემა იქიდან გამომდინარე, რომ ქართული კანონმდებლობა ამგვარ ღონისძიების გამოყენებას არბიტრაჟის მიერ არ ითვალისწინებს.

ანალოგიური სიტუაციაა, მოპასუხე მხარის დამცავ პირობებთან და უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების წინაპირობებთან მიმართებითაც. ქართული კანონი პირდაპირი თარგმანია იმ მუხლების, რომლებიც *UNCITRAL*-ის მოდელურ კანონში შესაბამის საკითხებთან მიმართებით გვხვდება. ისეთი საკითხები, როგორცაა ზიანის ანაზღაურებაზე დავალებულება, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებათა შეცვლა, გაუქმება, გადავადება და ა.შ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2006 წლის მდგომარეობით არსებული მოდელური კანონი ყველაზე ეფექტურ რეგულირებას წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, რომლის შესაქმნელადაც სპეციალური ჯგუფი არაერთი წლის განმავლობაში მუშაობდა, იკვლევდა რა არსებულ პრაქტიკას, პრობლემებს და ცდილობდა მათი გამოსწორების გზების შემუშავებას. აქედან გამომდინარე, მისასალმებელია, რომ ქართული კანონმდებლობა დღევანდელი მდგომარეობით არსებულ ყველაზე ეფექტური რეგულირების ანალოგს მიეკუთვნება.

კონკურენტული იურისდიქცია სასამართლოს ქართულ რეალობაშიც არსებობს და მოდავე მხარეს, შეუძლია თავად გადაწყვიტოს მიმართოს სასამართლოს ღონისძიების გამოყენების თხოვნით თუ მიანდოს ეს საკითხი არბიტრაჟს. პირველი გზა არც საქართველოში იქნება განხილული, როგორც საარბიტრაჟო შეთანხმებაზე უარის თქმა და დავის ძირითად ასპექტებზე კვლავ არბიტრაჟი იმსჯელებს. სასამართლო, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, იმსჯელებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით, კონკრეტულად კი *XXIII* თავით გათვალისწინებული (სარჩელის უზრუნველყოფა) წესებით.<sup>1</sup>

მიუხედავად მოდელურ კანონთან შესაბამისობისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონის პრობლემას წარმოადგენს მოპასუხე მხარის მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და, აგრეთვე, არბიტრაჟის ფორმირებამდე უზრუნველყოფის ღონისძიებების საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა და პროცედურები. ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ეს საკითხები პრობლემას წარმოადგენს საარბიტრაჟო წარმოებაში, ვინაიდან მხარეებს ავინყდებათ მისი გათვალისწინება შეთანხმებაში. შესაბამისად, სასურველია კანონმდებლობით მისი გათვალისწინება და ისეთივე რეგულირების ქართულ სამართალში გადმოღება, როგორც მოდელურ კანონში გვხვდება „წინასწარ ბრძანებებთან“ მიმართებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი გაუთვალისწინებელი პრობლემები.

<sup>1</sup> არბიტრაჟის ხასიათიდან გამომდინარე, გარდა სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული ორი შემთხვევისა:

ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;

ი) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

## 2. უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების პროცედურები საქართველოში

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კონკრეტულად კი მისი 44-ე, 45-ე და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით კი 22-ე და 23-ე მუხლები არეგულირებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების წინაპირობებს.

ზემოხსენებული მუხლები პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს UNCITRAL-ის მოდელური კანონისა. შესაბამისად, საქართველოში ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული წინაპირობების თვალსაზრისით არავითარ სიახლეს არ შევხვდებით.

ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციის<sup>1</sup> თანახმად, მხარე, რომელსაც სურს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, ვალდებულია წარადგინოს თავად დოკუმენტის დედანი ანდა სათანადოდ დამონმებული ასლი. ვინაიდან საქართველოში სამართალწარმოების ენაა ქართული<sup>2</sup>, განმცხადებელი ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს შესაბამისი დამონმებული თარგმანიც.

რაც შეეხება თავად სასამართლოს, საქართველოში უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა, და მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით არსებულ გადაწყვეტილებათა, ცნობა-აღსრულებას ახდენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა. რომელიც, ძირითადად, სამკაცციანი შემადგენლობით განიხილავს. ჯერჯერობით, პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ დიდ პალატას განეხილოს ცნობა-აღსრულების საქმე, თუმცა ამის თეორიული შესაძლებლობა არსებობს იმ შემთხვევაში თუ საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სირთულის იქნება, მაგალითად, საჯარო წესრიგთან მიმართებით.<sup>3</sup> თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, ამგვარი საჭიროება საერთოდ დადგეს. მითუმეტეს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით, რომელიც მოდელური კანონის დახმარებით იმ დონეზეა ჰარმონიზებული, რომ ქვეყნების იურისდიქციებს შორის არ წარმოშობს მნიშვნელოვან პრობლემებს.

უზენაეს სასამართლოს მიერ ამ საკითხების განხილვას სხვა პრიორიტეტებიც გააჩნია. მაგალითად, უფრო დიდი გამოცდილება საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავების განხილვისა, იურიდიული ბიბლიოთეკა, ტექნიკური აღჭურვილობა, ვიდრე უფრო დაბალი ინსტანციების სასამართლოებს.<sup>4</sup> გასათვალისწინებელია, აგრეთვე, სასამართლოების გადატვირთულობის ხარისხიც, 2011 წლის სტატისტიკური მაჩვენებლებით პირველ ინსტანციაში სასარჩელო წარმოებით 22018 პირმა მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს, მაშინ როდესაც საკასაციო საჩივრით 1500-მდე პირსაც არ მიუმართავს უზენაესი სასამართლოსთვის.<sup>5</sup> ბუნებრივია, ამგვარი გადატვირთულობის ხარისხით პირველი ინსტანციის მოსამართლეები ვერ შეძლებენ საერთაშორისო არბიტრაჟებიდან გამოგზავნილი გადაწყვეტილებების სწრაფად და ეფექტურად შეფასებას. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიერ ამ საკითხების განსჯადობა უფრო მისაღებია.

<sup>1</sup> Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, Article IV.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი, <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=30346&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&lang=ge)>.

<sup>3</sup> გოთუა ლ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010. 48, <[http://www.law.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf](http://www.law.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf)>.

<sup>4</sup> იქვე, 44.

<sup>5</sup> სტატისტიკური მონაცემები იხილეთ უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე, <<http://statistic.supremecourt.ge/module/>>.

## V. დასკვნა

თემის ფარგლებში განხილულ იქნა როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების საკითხი თავად საერთაშორისო არბიტრაჟების მიერ, ასევე მის შესაბამის ქვეყანაში აღსრულების პროცედურები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა რამდენიმე ისეთი სპეციფიკური საკითხი, რომლის გათვალისწინებაც რეკომენდებულია მხარეთა მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას.

უპირველეს ყოვლისა, მხარეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელ პროცესუალურ სამართალზე (*“lex arbitri”*). ამ უკანასკნელის შერჩევას, თუკი ამგვარი რამ სახეზე იქნა და მხარეებმა გეოგრაფიული ადგილმდებარეობით არ დაუქვემდებარეს არბიტრი სამართალს, რამდენად ითვალისწინებს კანონმდებლობა არბიტრაჟის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, და თუ არ კრძალავს ქვეყნის იმპერატიული ნორმები ამ უკანასკნელს.

ასევე, მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ არბიტრაჟის ფორმირებამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიღების პროცედურები. ზემოთ განხილულ იქნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის რეგლამენტში არსებული მონესრიგება ამ საკითხისა, თუმცა თუკი მხარეებმა დავა სხვა არბიტრაჟს დაუქვემდებარეს, შესაძლოა დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. თუკი განმცხადებელს სურვილი ექნება აამოქმედოს უზრუნველყოფის ზომები და არავინ არ იქნება სახეზე, რომ მისი განცხადება განიხილოს და იურიდიული ძალის მქონე გადანყვეტილება მიიღოს, ბუნებრივია, მოპასუხე მხარე არ გაუწევს მას არავითარ დახმარებას და ვერც ვერავინ დაავალდებულებს მას, ვინაიდან წინასწარ არ ჰქონდა გამოვლენილი ამის თაობაზე ნება. შესაბამისად, მხარეებმა წინასწარ საარბიტრაჟო შეთანხმებაშივე უნდა დაარეგულირონ ამგვარი სიტუაცია, თუ არ სურთ, რომ შემდეგ აღმოჩნდნენ გამოუვალ მდგომარეობაში.

საყურადღებოა, აგრეთვე აღსრულების საკითხიც. მართალია, ნიუ იორკის კონვენციამ მხარეებს გაუმარტივა პროცედურები და მთელ რიგ ქვეყნებში ეს პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ კონვენცია ყველა ქვეყანას არ აქვს მიღებული და ცალკეულ ქვეყნებშიც დათქმებია გაკეთებული მიღებისას.

ასევე, გასათვალისწინებელია, თუ სად ურჩევნია მხარეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადების გაკეთება: სასამართლოში თუ თავად არბიტრაჟში. სასამართლოში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს და მოითხოვოს მოპასუხის წინააღმდეგ ზომების მიღება. თუკი სასამართლო მოპასუხის ქვეყანაშია მაშინ აღსრულების პროცედურების დაწყება უპრობლემოდ მოხდება მაშინვე, როგორც კი გადანყვეტილება იქნება მიღებული და არავითარი დამატებითი ცნობა-აღსრულება არ იქნება საჭირო. თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია არბიტრაჟის კომპეტენტურობა სასამართლოსთან შედარებით. არბიტრები საქმის არსებით გარემოებებს უკეთ იცნობენ და აგრეთვე მათ გააჩნიათ არაერთი სხვა პრივილეგიაც, ის რის გამოც მხარეები ზოგადად ირჩევენ ამ ინსტიტუტს (კონფიდენციალობა, ცალკეულ დარგებში უფრო დიდი კომპეტენცია). ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეუძლებელია ზოგადი რეკომენდაციის გაკეთება თუ რომელ ინსტიტუტს უნდა მიმართოს მხარემ საჭიროების შემთხვევაში. ეს უნდა მოხდეს მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების შემდეგ, ყველა გარემოების დეტალური ანალიზის და პრიორიტეტების (მაგალითად, დროის) დალაგების შედეგად.

## PROVISIONAL MEASURES IN INTERNATIONAL ARBITRATION

### 1. Introduction

In modern globalization conditions, when the economic borders are expanding and even disappearing and the country attracts the foreign investments, foreign elements are more frequently observed in private legal relations and the relations become more complex, therefore, the unregulated issues appear in the legislation. Consequently, the parties of the mentioned relations have been entitled to regulate their relations autonomously, on their own. “As for the complex relations, it entails various details and risks that cannot be fully secured”, therefore, logically, such complex relations entail dissensions that cause a number of disputes.<sup>1</sup>

“Conflicts are regular problems accompanying any type of business relations. As such it is something that cannot be avoided, but should be dealt with. The businesses with comparatively local characters address the governmental organizations or courts to seek their dispute resolution. At the international level the disputes are pended politically, sovereignly, entrusting the dispute resolution to the institution attached to the specific country. Therefore, the businesses with rather non-local nature have entrusted their dispute resolution to the alternative dispute resolution means and engaged the arbitrations in the process. In the 20<sup>th</sup> century, the activities by the International Chamber of Commerce, as well as the validation of enforcement of foreign arbitral awards by NY Convention of 1958 made the mentioned institute even more successful.”<sup>2</sup>

In order to prove the above mentioned, it would be enough to provide an example of statistics of London Court of International Arbitration which shows that the institute was addressed 265 times in 2012 for dispute resolution and the given figure indicates the growth by 18.3% in comparison with the same data from the previous year. The disputed amount of 11.5% among those disputes exceeded 20 million USD, while 29% required the obligation of accomplishment of specific activities.<sup>3</sup> Consequently, larger businesses very actively use the institute of arbitration for their dispute resolution. A similar trend is observed in the Arbitration of the International Chamber of Commerce in Paris, which is one of the most popular institutes. In 2012 it was addressed by 759 claimants, (in 1999 by 529, in total 269 awards had been issued).<sup>4</sup>

Making arbitral agreement or transferring the dispute to arbitration does not necessarily mean that the disputing party will behave fairly. On a contrary, if the party realizes the lack of its chances to win, it will try to prolong the process, to impede the other party in obtaining the evidences, etc. Therefore, the claimant party needs a certain assistance from arbitration in order to deal with the obstacles created by the other party. Such assistance is possible through the provisional measures, which are similarly acceptable to the forensic system as well.<sup>5</sup> The present paper refers to the provisional measures applicable to international commercial arbitration.

The theme is divided into two main parts. Its first part refers to the means of claim settlement, their definitions, and procedures of acceptance and approval by international commercial arbitration. In this part we will discuss the types of provisional measures, as well as the preconditions goals they have. Besides, we will outline the separate problems arising from the process of adopting the provisional measures.

---

<sup>1</sup> *Tsertsvadze, G.*, International Arbitration, Tb., 2009, 24.

<sup>2</sup> *Thirgood R.*, International Arbitration: The Justice Business, Journal of International Arbitration, 21, 2004, 341.

<sup>3</sup> The London Court of International Arbitration (hereinafter “LCIA”) Rules, <<http://www.lcia.org//media/download.aspx?MediaId=261>>.

<sup>4</sup> International Chamber of Commerce (hereinafter ICC) Statistics, <<http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Arbitration-and-ADR/Arbitration/Introduction-to-ICC-Arbitration/Statistics/>>.

<sup>5</sup> For example, provisional measures are considered by Clauses 191– 199<sup>1</sup> of GCPC.

As the present paper refers to international commercial arbitration, it is important to evaluate how their decisions are enforced in other countries where the provisional measures shall actually take place. Consequently, the second part of the paper refers to the issues of recognition – enforcement of the provisional measures adopted by the arbitration based on the analysis of international conventions and the Georgian legislation in force.

The paper does not focus on any specific arbitral tribunal, but generally reviews various international arbitrations. However, based on its importance and its rather detailed regulations, more attention will be paid to the UNCITRAL model law of 1985 with the amendments therein of 2006.

The present paper does not aim to analyze the Georgian legislation or investigate its problems; however, as it is dedicated to Tbilisi State University, we will review the Georgian situation in a separate subtitle. In particular, we will review what authority will the arbitration have in Georgian reality and will have a look at the already rendered awards regarding the application of provisional measures and find out how those awards have to be enforced.

## 2. Adoption of Provisional Measures

### 2.1 Definition and Meaning of Provisional Measures

The Model Law of the United Nations Commission on International Trade Law<sup>1</sup> defines the provisional measures as follows: “An interim measure is any temporary measure, whether in the form of an award or in another form, by which, at any time prior to the issuance of the award by which the dispute is finally decided, the arbitral tribunal orders a party to: maintain or restore the status quo pending the determination of the dispute; take action that would prevent, or refrain from taking action that is likely to cause, current or imminent harm or prejudice to the arbitral process itself; provide a means of preserving assets out of which a subsequent award may be satisfied; or preserve the evidence that may be relevant and material to the resolution of the dispute”.<sup>2</sup>

Consequently, the temporary measures of provisional (interim) measures that aim not to give the defendant party an opportunity to misuse its prevalent condition prior to the issuance of the final award and create or maintain the condition out of which a subsequent award may satisfy the claimant’s application.

Currently, more and more applications requesting the provisional measures are observed. This trend is realistic. For example, if the defendant party manages to destroy the evidences or transfer the disputable property to the third party, the process will lose its actuality for the claimant party because it will complicate the allegation process to such an extent when it becomes impossible to achieve a successful dispute resolution or enforcement of the final award. Such result would not satisfy either the claimant party or the arbitration itself as the latter has to compete with the court by means of “more effective” services rendered to the parties. In the described circumstances it would be impossible to render the effective service and assist the parties in objective and wholistic examination of the case and, eventually, the issued “fair” award will be meaningless. Therefore, almost all arbitration regulations, national legislations or international conventions related to alternative dispute resolution consider the provisions regarding the interim measures.<sup>3</sup>

Because of the importance of the topic, UNCITRAL has spent significant time on studying the issue, and in 1999 the working group prepared the topics for reformation; and only in 2006, after long discussions about the existing practice, problems and the ways of their resolution, the amendments were made to the law.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> United Nations Commission on International Trade Law (hereinafter, UNCITRAL).

<sup>2</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, Article 17, [http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998\\_Ebook.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf).

<sup>3</sup> *M. Ferguson S.*, Interim Measures of Protection in International Commercial Arbitration: Problems, Proposed Solutions and Anticipated Results, *International Trade Law Journal*, 2003, 55.

<sup>4</sup> United Nations Commission on International Trade Law, Yearbook 2002, United Nations Commission on International Trade Law, Yearbook 2002, [http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb\\_2002\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb_2002_e.pdf).

## 2.2 Types of Interim Measures

It should be noted that the interim measures of arbitration encompass provision of evidences as well. For example, the list of types of measures of UNCITRAL Model Law includes the measure of preserving the evidence. The similar clause is directly copied to the Georgian law about arbitration and to the juridical literature, where the functions and types of the measures are discussed together with the provision of evidences.<sup>1</sup>

After revising the legal or material preconditions, it is important to determine what expectations the claimant party might have, or, in particular, what type of interim measure can s/he get from the arbitration in order to make a correct and effective choice. Consequently, this chapter will refer to the classification of the interim measures.

The arbitration regulations do not provide a detailed classification of interim measures.<sup>2</sup> For example, the arbitration rules of ICC include a provision that the arbitration can use “any interim measure”, that it considers most effective for achieving the set goal.<sup>3</sup> Similar provision is provided by the arbitration rules of the Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce<sup>4</sup>.

Any arbitration rule that provides the listing or a general classification of the types of interim measures includes a provision that the arbitration can use the interim measure that is not included in the list, however, depending on separate circumstances is deemed to be effective for achieving the final goal. Consequently, the rules mainly take a careful approach and avoid classifying interim measures and providing examples,<sup>5</sup> thus not setting the limits to the parties to use only the listed types of measures unless it is otherwise set by the contract. By such an approach the arbitration gets more freedom to refer to its own opinion and to the parties’ desire and to take a measure that does not contravene with the arbitration rules and UNCITRAL Model Law.<sup>6</sup>

There is no uniform list of interim measures. Different rules and legislations consider a different set of these issues. The UNCITRAL considered two main categories of the measures before its revision in 2006. The first category aimed to avoid the harm to the party and/or the arbitral proceedings, and the other created the conditions enabling enforceability of the arbitral award<sup>7</sup>. In 2006, as a result of the reforms, the following classification was set forth in the Model Law<sup>8</sup>:

a) *To maintain or restore the status quo pending determination of the dispute.*

For example, the defendant party may be ordered to take certain actions such as: terminating the contract or refraining from using the disputable intellectual property. ICC Arbitration has issued orders re-

---

<sup>1</sup> Unlike GCPC, Clause 14 which regulates the “provision of evidences” and Clause 23 covers the interim measures that aim to create the conditions that would prevent from the impossibility or complication of enforcement.

<sup>2</sup> Such approach is acceptable to the forensic system as well. Although, Clause 198 of GCPC provides a list of interim measures, however includes a phrase “it can be” and the 3<sup>rd</sup> paragraph of the same clause provides that whenever necessary, the judges can use other measures on their own accord. Consequently, the procedural law does not provide a detailed listing of the measures as such detailed listing may impede the effectiveness of the process.

<sup>3</sup> ICC Arbitration Rules Article 28.1, <<http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Arbitration-and-ADR-/Arbitration/ICC-Rules-of-Arbitration/>>.

<sup>4</sup> Arbitration Rules of the Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce Article 32.1, <[http://www.sccinstitute.com/filearchive/3/35894/K4\\_Skiljedomsregler%20eng%20ARB%20TRYCK\\_1\\_100927.pdf](http://www.sccinstitute.com/filearchive/3/35894/K4_Skiljedomsregler%20eng%20ARB%20TRYCK_1_100927.pdf)>.

<sup>5</sup> UNCITRAL Model Law and the arbitration rules include the list of types of the interim measures but prior to the list give an introductory sentence: “for example and without limitation to”.

<sup>6</sup> *Gusy M., Hosking J, Schwarz F.*, A Guide to the ICDR International Arbitration Rules, 2011, 204.

<sup>7</sup> United Nations Commission on International Trade Law, Yearbook 2002, <[http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb\\_2002\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/yearbooks/yb-2002-e/yb_2002_e.pdf)>.

<sup>8</sup> The categories are provided in the UNCITRAL Model Law (17.2) and the arbitration rules therein (26.2).

garding the continuation of the liabilities assumed by the defendant party through the contract despite the fact that the defendant party deemed it as a terminated one and had cancelled the implementation.<sup>1</sup>

*b) To take action that would prevent, or refrain from taking action that is likely to cause, current or imminent harm or prejudice to the arbitral process itself.*

Such measures could include the sales of the products with a short shelf-life, as well as obliging not to disclose the confidential information.

*c) To provide a means of preserving assets out of which a subsequent award may be satisfied;*

When the arbitrating party requires an item or a sum being under his/her interest and possessed by the defendant party, in order to avoid impossibility of enforcement in the future. For example, sequester of the premises until the end of the process will prevent from unlawful sales of that property by the defendant and if the claim is settled the claimant party will easily return it.

*d) To preserve the evidence that may be relevant and material to the resolution of the dispute.*

The examples of such measures might include: organizing the inspection of a building, or a construction site, in order to develop a report; or inviting an expert and giving him an opportunity to provide his findings.

Drawing up the classifications and listing their types do not imply a special practical meaning; the only reason for creating them is to offer the parties and the arbitration the options of certain important categories. The parties are free to make up a precise list of the measures that they foresee important or exclude any measure they consider as unimportant.<sup>2</sup>

## **2.3 Legal Sources of the Arbitration Authority with Regard to the Interim Measures**

Arbitration is not the court litigation where all admissible provisional measures are prescribed in detail by the Procedural Code. The arbitration may be entitled with a relevant authority by several sources, such as legislative norms and the agreements by the disputing parties. Consequently, before applying the interim measure, it should be determined whether the specific arbitration has the authority to apply such interim measures and what the source of that authority is.

### **2.3.1 Agreement of the Parties**

The court is a competent body for any dispute resolution and the parties usually, first of all, address the court when they seek their dispute resolution. Such right is guaranteed to any person by the procedural law, by constitution and by the international convention.

However, if the parties agree so, the dispute between them arising from specific legal relations can be transferred, instead of the court, to one of the alternative dispute resolution institutions, such as – arbitration. In such a case the court's competence is automatically excluded and arbitration becomes the main instrument of dispute resolution.

The arbitration agreement has its essential and additional conditions. Without the former the arbitral agreement would lack its legal power, while the latter mainly supports the development of such procedures that would be more flexible and acceptable for the parties.

The arbitration agreement by virtue of which the parties transfer their dispute for examination to the arbitration shall include the provision clearly indicating the individual relation on the grounds of which the dispute transferred to arbitration arose, and also, the specific arbitration by means of which the parties wish to settle their dispute. Therefore, it is important to individualize the arbitration and the dispute; this is an essential condition of the agreement.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Wang W., *International Arbitration: The Need for Uniform Interim Measures of Relief*, Brook Journal of International Law, 28, 2003, 1059.

<sup>2</sup> Vor Segesser G., *Vorsorgliche Massnahmen im Internationalen Schiedsprozess*, Association Suisse de l'Arbitrage Bulletin, 25, 2007, 473.

<sup>3</sup> Tsertsvadze, G., *International Arbitration*, Tb., 2009, 174.



However, following that the arbitration is an alternative dispute resolution tool, it entails certain peculiarities constituting its advantage compared to the court. These advantages are reflected, for example, in the opportunity that the parties can draw up all the rules in their agreement either referring to the material law or the procedural norm that should be followed by arbitration when examining the case.

Besides the above mentioned essential conditions, the arbitration agreement usually contains the following too: “1. indication of the location of the arbitral tribunal; 2. indication of qualification of the arbiters as well as the procedures of their designation or rejection; 3. determination of the procedures of arbitral proceedings; 4. reference to the applicable material law; 5. procedure of issuing and correction of an arbitral award.”<sup>1</sup>

All arbitration rules directly point out the prevalence of the parties’ desire, when the subject refers to the application of the interim measures. For example, ICC entitles the arbitration to apply the interim measure against the sufficient application “unless the parties have agreed otherwise”.<sup>2</sup> Similar provision is found in UNCITRAL Model Law Clause 17, which directly indicates that “unless the parties have agreed otherwise, the arbitration may use the interim measure against the application submitted by one of the parties.”<sup>3</sup> Any arbitration rule or the national legislation of a country that has adopted the Model Law, considers a similar regulation of the issue. Therefore, we can assume that the parties are entitled to grant the right to the arbiters to take certain measures based on the submitted request, or, the parties may deprive the arbiters of such right. It is also possible that the arbitration agreement describes in detail what procedures are needed or what material preconditions are present that enable the arbitration to satisfy the party’s request upon the application of interim measures and, also, what kind of interim measures are acceptable during the dispute resolution process.<sup>4</sup>

### 2.3.2 Arbitration Rules

To date, almost all arbitral rules consider a possibility of application of interim measures during international arbitration processes. Consequent to the consensual nature of the arbitration, the preference is given to the parties’ desire rather than to the arbitration rules. However, if the parties have not excluded directly, or have not mentioned at all any provision regarding the interim measures, the arbitration rules entitle the arbiters to discuss the relevant application if submitted any.<sup>5</sup> The current international arbitrations, for example, such as arbitrations of London, Paris or Stockholm, do not include the detailed regulation with regard to the interim measure, but give a rather general definition underlining that the parties’ agreement has a decisive role in the introduction of the provisional measures and gives just a general overview of the types of measures that can be applied. A comparatively detailed regulation of the issue is provided by the arbitration rules of UNCITRAL<sup>6</sup>. It is important to distinguish the UNCITRAL Model Law from UNCITRAL arbitral rules. Despite the fact that both are developed by the same commission and revised almost in the same period<sup>7</sup>, and both documents refer to the arbitration of disputes, the difference between them is quite obvious, especially with regard to the interim measures.

The Model Law is dedicated to the countries and includes the norms that will be harmonized after reflecting them in the national legislations; consequently, different jurisdictions will impose fewer prob-

---

<sup>1</sup> *Ibid*, 175.

<sup>2</sup> ICC Arbitration Rules 28.1.

*(a) the parties of the agreement indicated in Clause 2, in accordance with the legislation in force, were incapable, or the arbitral award is null according to the law to which the parties have subordinated the agreement and whenever such reference is absent - according to the law of the country where the arbitral awards has been rendered<sup>2</sup>;*

The arbitral award is a mutual agreement and, therefore, its effectiveness is in the same way the subject to the established rules as other types of agreements. For example, Clause 81 of Georgian Civil Proceedings Code establishes the grounds for annulment of the agreement if it was conducted falsely. Arbitration is the alternative – not the primary means of dispute resolution. If the party wishes to use it, s/he should express his/her wish, accordingly, and only after this the arbiter will be entitled to examine the dispute between the parties. If there is no desire expressed by the parties, or it has been expressed incorrectly, then the arbitral award, if any, will not have legal power.

*(b) the party against which the arbitral award is rendered was not fully informed about the designation of an arbiter or about the arbitral proceedings or could not present his position due to some other reasons;*

The arbitral proceedings, alike to the court proceedings, are built upon the principles of equality and competitiveness of the parties. Therefore, it is unacceptable that the arbiter issues the award without listening to the positions of both parties fully and objectively and assessing the circumstances. Otherwise, the party in absence of which the award was rendered is entitled not to obey the order and the claimant party will not hold any mechanism of enforcement. This fact proves once again the problematic character of the awards rendered “ex parte”, if the party manages to get satisfaction of his own request of the interim measure from the arbiter, s/he will not be able to grant a legal power to it anyway.

*(c) the arbitral award is rendered regarding the dispute that was not considered by the arbitral award, or concerned the issue that exceeds the borders of the arbitral agreement, provided that, if possible, the awards regarding the issues subjected to arbitration could be separated from the issues that had not been subjected; the part of the arbitral award that includes the resolutions regarding the issues considered by the arbitral agreement can be subjected to the recognition and enforcement;*

As we have already mentioned several times before, in order to enable the arbiter to grant the interim measure, the parties shall not exclude such a right of an arbiter from their arbitral agreement. If the parties limit or exclude the arbiter’s right of granting an interim measure, and the arbiter will issue it anyway, the decision will not enter into legal force until the opponent party gives its consent.

*(d) composition of the arbitration or the arbitral proceedings did not correspond to the agreement of the parties, or if such agreement does not exist – to the law of the country where the arbitral proceedings took place;*

This criterion refers to the circumstances when there are the violations of the procedural norms of formation of arbitration or of rendering the award by the arbitration. For example, the arbitration was entitled to issue an interim measure, but it was limited to the inspection criteria that had to be considered in the decision making process, however, they had been ignored. We discussed above the cases when the arbitration was not formed by the parties, however, based on the urgency of the importance of the interim measures, the sufficient decision was made by the person appointed by the arbitration secretariat. It is interesting

---

<sup>1</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration Article 17 - Grounds for refusing recognition or enforcement.

<sup>2</sup> Text of the Convention in English available at: <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/XXII\\_1\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/XXII_1_e.pdf)>.

whether the decision made by such a person can be annulled based on the reasons described in the above clause. The ICC regulations provide a direct indication that such a decision is valid if the parties have not excluded it from their agreement. If the parties consider that the dispute arising between them shall be transferred to the ICC arbitration, then it is deemed that they agree with all the aspects and conditions provided in the arbitration rules at the moment of conducting the agreement; therefore, it will be regarded that the procedures of interim measures have not been breached. Otherwise, not every award rendered by the arbitration can be settled.

*(e) the arbitral award has not yet entered into its legal force, or has been suspended or annulled by the authority of the country where the decision was made or according to the legislation of which the award was rendered.*

Besides, the NY Convention considers two more conditions that shall be inspected by the court before satisfying the application of the party regarding the recognition/enforcement of the award. Specifically these conditions include the cases when:

*(a) according to the legislation of the given country, the dispute cannot be the subject of arbitration;*

The arbitration law directly provides the issues upon which the arbiter can be competent. In the Georgian reality it refers to: “the private property dispute based on the equality principles that the parties can solve among each other.”<sup>1</sup> Consequently, in Georgia, the awards related to administrative disputes cannot be recognized or enforced, and if the arbitration has requested suspension of the administrative act, it cannot be satisfied either.

*(b) the recognition and enforcement of the arbitral award contravenes with the public order of the given country.*

The notion of public order is very important for the international private law. It should be mentioned that the order itself does not have anything in common with the “public” or the “public order”. The “public order” covers the legal principles on which the country’s legislation is built. “According to the dominating idea, the subject of the public order is not to determine whether the imperative legal norms considered by the arbitral award conflicted with the arbitral award, but to assure that the given act satisfies the minimum standards of the justly process in the country.”<sup>2</sup> If the court starts inspecting to what extent the arbitral award contravenes with each imperative norm, then it will be deemed that this institution of justice is not only used for recognition and enforcement, but also in a capacity of the upper instance. This would be an insufficient action. Therefore, the court shall inspect only to what extent the arbitral award contravenes with the key principles of the national legislation and not with each regulative norm.<sup>3</sup>

The public order can be of the material law as well as of the procedural law. The latter includes the elementary, basic principles of conducting the process,<sup>4</sup> such as, for example, the principle of equality. With regard to the provisional measures, we can repeat that it is important that the principles of equality are kept, or there should not be requested an exaggerated measure that would aim to harm the opponent party rather than to protect the claimant’s interest. If the court finds that the above mentioned contraventions are so serious that they conflict with the key principles of the Georgian Law, it will refuse the recognition and enforcement of the award.

The Model Law amended in 2006 also includes certain conditions based on which the decisions regarding interim measures can be refused from recognition/enforcement. The main principles of Model Law are directly transferred from the NY Convention of 1958 referring to the grounds for annulment of the arbitral award, failing to notify the party about the process and other above discussed grounds. Besides, the Model Law adds extra grounds for recognition/enforcement of the award, they are:

---

<sup>1</sup> Georgian Law on Arbitration, clause 1, <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=-docView&id=89284&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=-docView&id=89284&lang=ge)>.

<sup>2</sup> Gotua, L., “Enforcement of Foreign Arbitral Awards and Foreign Court Verdicts”, Doctorate Thesis, TSU, Tb., 2010, <[http://www.law.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf](http://www.law.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf)>.

<sup>3</sup> Alfons C., Recognition and Enforcement of Annulled Foreign Arbitral Awards, Frankfurt am Main, 2010, 37.

<sup>4</sup> Tsertsvadze, G., International Arbitration, Tb., 2009, 532.

*1. If the defendant party establishes to the satisfaction of the court that concerning the provisional measure the party has not fulfilled the arbitration order with regard to the presentation of the due security amount.*

As already discussed above, before granting the interim measure, the arbiter can activate certain mechanisms in order to protect the interests of the defendant party. One of such “mechanisms” was the submission of due security by the claimant party. If the arbiter imposes such a requirement to the party, the latter shall fulfill it immediately, and only after it s/he can get the opportunity to use the measure. Otherwise, it seems that the court will not assist the claimant party to achieve the desirable result. The Model Law<sup>1</sup> also grants the authority to the court, if it considers proper, to order the requesting party to provide appropriate security. Such cases, presumably, are rather rare. As mentioned above, the priority of arbitration compared to the court with regard to the interim measure was that the latter is not aware of the essentials of the case. If the arbiter, who does not know every detail of the case, has not ordered the requesting party to provide security, then the court will also lack the grounds to act so. This rule shall be allocated to the circumstance when the arbiter has not discussed this issue at all and at the stage of recognition and enforcement the defendant party assumed that his interests can be significantly damaged by the granted measures.

*2. The enforcement of the provisional measures exceeds the authority of the court, unless the court issues a decision on changing its form within the frame required by the legislation in order to make the provisional measure enforceable, without making a substantial change to the measure.*

In order to use the provisional measure, the court shall be enabled so by the legislation; if, for example, the Georgian legislation does not consider the issue of sequestration, and the arbitration has the decision upon granting this particular measure, naturally, the judge will be bounded by the legislation and will not be able to act beyond the authority granted to him.

Besides the discussed two issues mainly related to the specifics of interim measures, the differences between the Model Law and the NY Conventions are not observed concerning the grounds for refusal.

### **3.5 Peculiarities of the International Center for the Settlement of Investment Disputes (ICSID)**

ICSID is an autonomous international institute established by the World Bank in 1966 by means of adopting the relevant convention.<sup>2</sup> The main goal of ICSID according to the convention<sup>3</sup> is the resolution of disputes between the signatory states and the foreign individuals (investors). As a rule, international arbitrations examine the disputes arising between two subjects of private law; for example, the dispute arising from the contractual relations between Georgian and German entrepreneurs. Therefore, the state to which the arbitral award is transferred is furnished with sufficient mechanisms to support the enforcement of the award. In case of ICSID, the state is the party of the dispute. Therefore, there could be a mandatory mechanism that would oblige it to fulfill the decision upon the interim measure. Consequently, the term “mandatory” is not considered by the convention in relation with an interim measure, instead it provides the term “recommend”<sup>4</sup>. There were long arguments upon this issue during the elaboration of the convention, namely, what formulation should have been used regarding the provisional measures, i.e. whether it would be of mandatory or recommendation character. A Chinese delegate protested against the use of the mandatory nature as he believed that the signatory state could face problems because of the collision between the en-

---

<sup>1</sup> UNCITRAL Model Law, Article 17H, 3.

<sup>2</sup> International Centre for Settlement of Investment Disputes (hereinafter, ICSID), <<https://icsid.worldbank.org/ICSID/Index.jsp>>.

<sup>3</sup> Convention on the Settlement of Investment Disputes Between States and Nationals of other States, <[https://icsid.worldbank.org/ICSID/StaticFiles/basicdoc/CRR\\_English-final.pdf](https://icsid.worldbank.org/ICSID/StaticFiles/basicdoc/CRR_English-final.pdf)>.

<sup>4</sup> Article 47: “Except as the parties otherwise agree, the Tribunal may, if it considers that the circumstances so require, recommend any provisional measures which should be taken to preserve the respective rights of either party.”

enforcement of the measure and the internal policy of the country. It seems that the Chinese delegate managed to defend his point; however, despite the formulation, the arbiters' decision has the mandatory character anyway<sup>1</sup>; this has been observed in practice, for example, in the arbitral award regarding the case of *Emilio Agustín Maffezini v. Kingdom of Spain*<sup>2</sup> we read the following argumentation: "While there is a significant difference between the word "recommend" – as used in Clause 39, and the word "order" – as used in all other clauses underlining the authority of the arbitration to oblige the party to fulfill certain actions, the difference between these two words is rather conceptual than real. Furthermore, the Spanish version of the convention uses the word "dictación" (to establish, legalize). The arbitration believes that the signatories of the convention did not mean that there were essential dissensions between these words. The authority of arbitration to issue an interim measure is not less obligatory than the final award regarding the essential circumstances of the case. Therefore, for the purposes of this decision, the arbitration assumes that the word "recommend" has the same power as the word "order"<sup>3</sup>.

However, the order/recommendation would be the meaningless use of words if the arbitration renders an award and the party will refuse to fulfill it, and there will not be any mechanism to oblige the party. The ICSID does not have any such mechanism; however, it is the country's interest to care for the arbitral award and make an effective response to it. Otherwise, this fact will be negatively reflected upon the relations between the country and the World Bank, especially if the country is a beneficiary of the projects implemented by the World Bank.<sup>4</sup>

Consequently, the disobedience of the defendant party to the decision issued by one of the prestigious arbitration institutions may significantly affect the image of the country itself that will be further reflected in worsened economic relations. Therefore, the countries do not pay attention whether there is an enforcement mechanism or not, and voluntarily fulfill the arbitral orders. Still, we should mention that this does not always happen. For example, in the case of *AGID v. Congo*<sup>5</sup> the claimant party requested an access to certain documents in order to study and analyze them and use them as evidences. The arbitration satisfied the party's request, but the country refused to fulfill it.

Another peculiarity of the ICSID is reflected in the types of provisional measures. This arbitration can influence the state authorities and oblige them to implement/cancel certain administrative acts. For example, in the case of *Pey Casado v. Chile*<sup>6</sup> the arbitration required from the country not to grant a legal force to one of the orders issued by the Minister, because it would be negatively reflected upon the arbitral proceedings and its presumable results.

#### 4. Regulation of Provisional Measures by the Georgian Legislation

##### 4.1 Granting the Provisional Measure by the Arbitration

What authority does the Georgian legislation grant to the arbitration and, consequently, what procedure will apply if the parties refer to the Georgian legislation to be used in the proceedings ("lex arbitri"). Since January 1, 2010 the new law "about arbitration" entered into its legal force establishing the rules of formation of arbitration, arbitral proceedings, arbitral awards as well as the recognition and enforcement of

---

<sup>1</sup> Schreuer C., Malintoppi L., Reinisch A., Sinclair A., *The ICSID Convention: A Commentary*, 2<sup>nd</sup> ed., Cambridge, 2009, 764.

<sup>2</sup> *Emilio Agustín Maffezini v. Kingdom of Spain*, ICSID Case No. ARB/97/7, <[https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC564\\_En&caseId=C163](https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC564_En&caseId=C163)>.

<sup>3</sup> ICSID Case No. ARB/97/7, <[https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC564\\_En&caseId=C163](https://icsid.worldbank.org/ICSID/FrontServlet?requestType=CasesRH&actionVal=showDoc&docId=DC564_En&caseId=C163)>.

<sup>4</sup> *Tsertsvadze, G.*, *International Arbitration*, Tb., 2009, 450.

<sup>5</sup> *AGID v. Congo*, ICSID case N. ARB /77/1.

<sup>6</sup> *Pey Casado v. Chile*, ICSID case N. ARB 98/2.



the awards rendered outside Georgia.<sup>1</sup> Unlike the preceding<sup>2</sup> law, the new law gives a more detailed regulation of the issues related to the Georgian, local and international arbitration procedures, among them of the interim measures too.

The clauses from 17 to 23 of the new law regulate the issues of granting the interim measure and the procedures of recognition/enforcement. This chapter of the present paper will discuss the procedures of granting the interim measure and their relevance to the internationally established standards, especially, to the Model Law of 2006.

Clause 17 of the law furnishes arbitration with the right to grant the interim measure at the same time giving preference to the agreement between the parties with regard to this rule. Consequently, if the parties have not excluded such a right of an arbiter, one of them can address the arbiter with the request of the interim measure. As for the types of interim measures, the second part of the Clause 17 provides a similar listing as indicated in the Model Law.<sup>3</sup> In particular, whenever the due application is made, the arbitration can order the opponent party to:

- a) *Maintain or restore the status quo pending determination of the dispute;*
- b) *Take action that would prevent, or refrain from taking action that is likely to cause, current or imminent harm or prejudice to the arbitral process itself;*
- c) *Provide a means of preserving assets out of which a subsequent award may be satisfied; or*
- d) *Preserve evidence that may be relevant and material to the resolution of the dispute.*

Such approach is welcomed because the interim measures offered by the Model Law are so general and have such a wide scope that in case of issuing any of the specific measures, it will not have the enforcement problem in Georgia. This is just because Georgian legislation does not consider the use of such measures by the arbitration.

A similar situation is observed with the protective measures of the defendant party and the preconditions of the interim measures. The Georgian law is the direct translation of the clauses of UNCITRAL Model Law that regulate the mentioned issues. The topics related to the liability of compensation of losses, amendment, suspension or termination of the interim measure granted by the arbitration, etc. As mentioned above, the Model Law of 2006 most effectively regulates the provisional measures. These regulations were elaborated by the working group that spent significant time on investigating the established practices and problems regarding the issue and tried to find the ways of solution. Hence, it is important that the Georgian law is analogical to the most effective regulation to-date.

A specific jurisdiction exists in the Georgian reality too and the claimant party can decide whether to address the court with the request of the interim measure or entrust it to the arbitration. The first way will not be understood in Georgia as the refusal of the arbitral agreement and therefore the key aspects of the dispute will be examined by arbitration. If the party requests so, the court will refer to the norms of Georgian Civil Proceedings Code and, namely, to the rules (of interim measures) considered by its XXIII clause.<sup>4</sup>

Despite the conformity with the Model Law, we should mention that the problem of the Georgian law the lack of the possibilities and procedures of “ex parte” awards and granting the interim measure before the arbitration is formed. Due to the above mentioned reasons, these issues constitute the problem in arbitral proceedings, because the parties forget to consider them in their arbitral agreement. Therefore, it is important to consider them in the Georgian legislation and to incorporate the regulations as considered by the Model Law with regard to the “preliminary orders” in order to avoid the unforeseen problems.

---

<sup>1</sup> Georgian Law about Arbitration, clause 1.1.

<sup>2</sup> Georgian Law about Private Arbitration, in force in 1997-2010, <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=docView&id=29830&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=29830&lang=ge)>.

<sup>3</sup> List of interim measures provided above.

<sup>4</sup> According to the arbitration nature, except for the two circumstances considered by Clause 198 of the Georgian Civil Procedures Code:

f) Suspension of the disputable act of state authority, local self-government, organization or authority;

g) Suspension of the enforcement document regarding the cases sued in compliance with the Georgian law about “relations arising from the use of habitation”, or that are sued to renew the case.

## 4.2 Procedures of Recognition and Enforcement of Arbitral Awards regarding the Interim Measures in Georgia

Georgian Law about Arbitration, and namely its Clauses 44 and 45, and regarding the interim measures Clauses 22 and 23 regulate the preconditions of recognition and enforcement of the arbitral awards.

The above listed clauses are directly translated from the UNCITRAL Model Law. Consequently, the innovations with regard to the preconditions for the recognition and enforcement of the awards are not met in the Georgian legislation.

According to the NY convention,<sup>1</sup> the party seeking the recognition and enforcement of the award, shall submit the original of the document or the sufficiently endorsed copy of it. As the language of litigation in Georgia is Georgian<sup>2</sup>, the applicant shall also provide a sufficiently endorsed translation of the document to the court.

As for the court itself, in Georgia the recognition and enforcement of foreign arbitral awards, and among them the decisions regarding the interim measures, are performed by the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia. The Chamber consists of three persons; so far, no need has been determined regarding the involvement of the Grand Chamber into the cases of recognition and enforcement, however, a theoretical possibility only exists for complicated cases, for example, with regard to the public order.<sup>3</sup> Still, it is less expected that such a need will occur at all. Moreover, the issues regarding the interim measures, are fully harmonized by means of the Model Law and do not cause significant problems between the jurisdiction of the countries.

The examination of such issues by the Supreme Court has other advantages too. For example, its significant experience in the examination of the disputes subject to the international private law, the legal library, technical equipment, etc. compared to the other, lower instance courts.<sup>4</sup> Here we should consider the level of overload of the courts. According to the statistical data of 2011, the court of the first instance was addressed by 22,018 persons, whereas the Supreme Court of cassation was addressed by less than 1,500 persons<sup>5</sup>. Certainly, the extent of the load will not allow the judges if the first instant will not be able to evaluate the foreign arbitral awards timely and effectively. Consequently, it is more reasonable that such issues were subjected to the Supreme Court.

## 5. Conclusion

Within the scope of the present paper we discussed the issuance of the interim measures by international arbitrations as well as the enforcement procedures in the country of destination.

Concluding from the above described, we outlined several specific issues that shall be considered by the parties when conducting the arbitral agreements.

First of all, the parties shall pay attention to the procedural law used by the arbitration (“lex arbitri”). When making the choice regarding the latter, and if the parties do not subordinate the case to the law according to the territorial principle of arbitration, they shall consider the extent at which the legislation allows the issuing of the interim measure by the arbitration, and whether the imperative norms of that country prohibit such measures.

Besides, the parties shall consider the procedures of granting the interim measure before forming the arbitration. We have already discussed the regulations provided by the International Chamber of Commerce

---

<sup>1</sup> Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, Article IV.

<sup>2</sup> Constitution of Georgia, clause 85, <[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_idmssearch&view=doc-View&id=30346&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=doc-View&id=30346&lang=ge)>.

<sup>3</sup> *Gotua, L.*, “Enforcement of Foreign Arbitral Awards and Foreign Court Verdicts”, Doctorate Thesis, TSU, Tb., 2010, 48, <[http://www.law.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf](http://www.law.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/levan%20gotua.pdf)>.

<sup>4</sup> *Ibid*, 44.

<sup>5</sup> Statistics of Supreme Court available at: <<http://statistic.supremecourt.ge/module/>>.

regarding the issue; however, if the parties transfer their dispute to the other arbitration they might face serious problems. If the claimant party seeks the interim measure and there is nobody to examine the application and make a decision with the legal force, of course, the defendant party will not assist it and, consequently, nobody can force them to act so, because the desire was not expressed in advance. Hence, the parties shall regulate the issue in advance, in their arbitral agreement in order to avoid the stalemate later on.

The issue regarding the enforcement is also noteworthy. Although the NY Convention has simplified the procedures for the parties and this does not constitute the problem in a number of countries, however, it should also be mentioned that the Convention is not ratified by all countries and even in some of them particular reservations have have made.

Besides, we should also consider where the party prefers to apply for the interim measure: to the court or to the arbitration. Any of the parties can address the court requesting the issuance of the interim measure against the opponent party. If the court is located in the country of the defendant party, then the enforcement procedures will start without problems immediately as soon as the decision is made, and there will not be the need for extra recognition and enforcement procedures. However, on the other hand, we should also consider the competence of arbitration compared to the court. The arbiters know the essentials of the case better and they hold several other privileges as well, because of which the parties generally prefer to address the arbitration (confidentiality, a wider competence with regard to certain issues, etc.). Consequently, it is impossible to make a general recommendation regarding which institute the party shall address when such a need occurs. This shall be done after the individual assessment, when all the circumstances (e.g. time) are analyzed and prioritized in detail.

## მედიაციის უპირატესობანი არბიტრაჟთან შედარებით

### 1. შესავალი

ამ სამყაროში ძნელია სამართლიანობის დამკვიდრება, მაგრამ კაცობრიობა არსებობის დღიდან ეძებს, ქმნის, აყალიბებს სამართლიანობის მისაღწევად ახალ-ახალ სისტემებს, ფორმებს, კანონებს, რომლებიც, თუ მთლიანად არა, მაქსიმალური სიზუსტით მაინც უახლოვდება ამ სიტყვის აბსოლუტურ მნიშვნელობას.

დავის განხილვის ალტერნატიული საშუალებები – არბიტრაჟი და მედიაცია, დიდი წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ სამართლებრივ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. არბიტრაჟი, ქართულ კანონმდებლობაშიც უკვე დამკვიდრებული ინსტიტუტია, არსებობს სპეციალური კანონიც „არბიტრაჟის შესახებ“,<sup>1</sup> რაც შეეხება მედიაციას, ის ჯერ სიახლეა და ჯერჯერობით მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა შემუშავების პროცესშია, შესაბამისად, ცალკე ნორმატიული აქტი მის შესახებ არ არის.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟს მხარეები ხშირად მიმართავენ მათ შორის წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად, ის არც ისე სწრაფი და ხელმისაწვდომია, სასამართლოს გზით დავის განხილვასთან შედარებით, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. „უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით, დებულება არბიტრაჟის არაფორმალურობის, კონფიდენციალურობისა და ხელმისაწვდომობის შესახებ მოძველებულად ითვლება“.<sup>3</sup> „არბიტრაჟი ნამდვილად არის საკმაოდ ძვირი სიამოვნება, რომელიც ყოველთვის ვერ ამართლებს მოლოდინს“.<sup>4</sup> აქედან გამომდინარე დავის განხილვის ახალი საშუალების დამკვიდრებას, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც უშუალოდ მხარეებისთვის, ისე სასამართლოსთვისაც, რადგან „ის დიდ როლს შეასრულებს სასამართლოების განტვირთვაში, რაც მისი ამოქმედების ერთ-ერთი მიზანია“.<sup>5</sup>

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს სწორედ ის ფაქტი, რომ მედიაციის ინსტიტუტი ახლა მკვიდრდება ქართულ კანონმდებლობაში და, შესაბამისად, მის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესიც მაღალია, გარდა ამისა, მასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ყველა საკითხს სისტემურად მოაწესრიგებს. ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით, არ არის ბევრი სამეცნიერო ნაშრომი.

ნაშრომის მიზანია, ცხადი გახადოს მედიაციის ინსტიტუტის მნიშვნელობა და მისი უპირატესობა არბიტრაჟთან შედარებით, თითოეული მათგანის

ნაშრომში დაწვრილებით იქნება განხილული სასამართლო მედიაცია, მისი თავისებურებანი და პრაქტიკული მნიშვნელობა, რათა გამოიკვეთოს რამდენად ეფექტური იქნება ის ქართულ სინამდვილეში. ასევე, ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია, ხაზი გაუსვას არასასამართლო მედიაციის მნიშვნელობას, რომელიც სასამართლო მედიაციაზე არანაკლებ ეფექტურია. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სწორედ არასასამართლო მედიაცია დამკვიდრდა, მისი წარმატებით გამოყენების შემდეგ კი მოხდა სასამართლო სისტემაში ჩართვა.

<sup>1</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, 2009.

<sup>2</sup> მედიაციის შესახებ ნორმა არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIX თავში. გარდა ამისა, საქართველოში მოქმედებს სანოტარო, საგადასახადო და სამედიცინო მედიაცია, ასევე მედიაცია სისხლის სამართლის პროცესში.

<sup>3</sup> *ჯერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), 2008, 22.

<sup>4</sup> *ჯერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), 2008, 82.

<sup>5</sup> *კუბლაშვილი კ.*, მორიგება დავის ნაცვლად, ჟურნალი „ლიბერალი“, თბ., 2012, <<http://www.liberali-ge/liberali/articles/110271/>>.

თემაში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი მეთოდი. გაანალიზებულია არა მხოლოდ ორი განსხვავებული დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება, არამედ მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებით, განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და დიდი ბრიტანეთის შესაბამისი კანონმდებლობიდან ცალკეული ნორმები, რომლებიც ამ ინსტიტუტის დასახასიათებლად და მისი უპირატესობების წარმოსაჩენადაა აუცილებელი.

ნაშრომის სტრუქტურა აგებულია შემდეგნაირად: შესავლის შემდეგ, მე-2 თავი ეთმობა არბიტრაჟისა და მედიაციის ინსტიტუტის ზოგად დახასიათებას და ინფორმაციული ხასიათისა. კერძოდ, მოიცავს ამ ორი ინსტიტუტის ცნებას, წარმოშობას, სახეებს, მათი მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგად მიმოხილვას, რომელშიც განხილულია როგორც მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ ქართული კანონმდებლობა, ასევე ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და ხელშეკრულებები. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროგაერთიანების დირექტივა „კომერციულ და სამოქალაქო საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“,<sup>1</sup> რომელიც აწესრიგებს მედიაციასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედებს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ამ სფეროში არსებული იმ აქტების ზოგადი მიმოხილვა, რომლებიც ბევრად ადრე იქნა შემუშავებული.<sup>2</sup> მე-3 თავი ეთმობა პროცედურულ საკითხებს, რის გარეშეც მათი დახასიათება და, მითუმეტეს, რომელიმე მათგანის უპირატესობაზე მსჯელობა შეუძლებელი იქნებოდა. მე-4 თავში მოცემულია მედიაციისა და არბიტრაჟის შედარების შედეგად მიღებული მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. დასკვნაში ასახულია კვლევის შედეგები.

## 2. არბიტრაჟის დამახასიათებელი ნიშნები

### 2.1. არბიტრაჟის ცნება წარმოშობა და სახეები

#### 2.1.1. არბიტრაჟის ცნება და წარმოშობა

არსებობს მოსაზრება, რომ არბიტრაჟი სასამართლოს პირველსახეა. არბიტრაჟის ისტორია ლიტერატურაში ნაკლებ გამოკვლევულად ითვლება, თუმცა აღიარებულია, რომ მისი წარმოშობა წინ უსწრებდა სასამართლოს წარმოშობას.<sup>3</sup> არბიტრაჟი, როგორც დავის განხილვის საშუალება, უძველესი წარმოშობისაა. იგი მოხსენიებულია ბერძნულ მითოლოგიასა და ბიბლიაში.<sup>4</sup> არბიტრაჟის ისტორია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწყება, როდესაც არსებობდა მომრიგებელი სასამართლო ძველ ბერძნებს შორის. არბიტრაჟი გავრცელებული იყო ძველი რომის იმპერიაშიც. რომაელები მას თვლიდნენ საშუალებად, „რათა ნერტილი დასმოდა სამართალწარმოებას“. რომაელი მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ სამართალწარმოებასთან ერთად, არბიტრაჟიც იყო დავის განხილვის საშუალება. სახელგანთქმული „თორმეტი ტაბულა“, რომელიც მიღებული იყო უძველეს რომის იმპერიაში, მკაფიოდ აღიარებდა არბიტრაჟს, როგორც დავის გადაწყვეტის მეთოდს, ისეთი დავების შემთხვევაში, რომლებიც ეხებოდა საზღვრებს, მიწებსა და ნაგებობებს და ითვალისწინებდა, რომ თუ მეზობელი მესაკუთრეები ვერ თანხმდებოდნენ საზღვრებთან დაკავშირებით, დავა განსახილველად უნდა გადასცემოდა სამ არბიტრს.<sup>5</sup>

<sup>1</sup> European Directive on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 2008, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:136:0003:0008:EN:PDF>>.

<sup>2</sup> ნიუ იორკის კონვენცია, მიღებულია 1958 წელს, ძალაში შევიდა 1959 წლის 7 ივნისს. UNCITRAL მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, მიღებულია 1985 წელს.

<sup>3</sup> *კერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 14.

<sup>4</sup> *Bennett S.B.*, Arbitration: Essential Concepts, ALM Publishing, A Division of American Lawyer Media inc, 2002, 9.

<sup>5</sup> *Wei – Jen Chen*, Separate but Equal in Arbitration? - An Analysis on Ad Hoc Arbitration of Taiwan and East Asia, *Contemp. Asia Arb. J.*, 2012, 112.

არბიტრაჟი იყო დავის განხილვის დამკვიდრებული მეთოდი ინგლისში, სადაც ის გამოიყენებოდა სავაჭრო და საზღვაო ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების გადასაწყვეტად. ინგლისიდან ის გავრცელდა ამერიკის კოლონიებში, სადაც, რევოლუციამდე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დავების გადაწყვეტაში. არბიტრაჟი მიიჩნეოდა იაფ, სწრაფ და კერძო დავის განხილვის საშუალებად. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება იყო ნებაყოფლობითი, თუმცა, მოსახლეობის ზრდასა და მიგრაციასთან ერთად, არბიტრაჟი, რომლის გადაწყვეტილებაც არ იყო სავალდებულო ნაკლებეფექტური გახდა. 1768 წელს ნიუ-იორკის სავაჭრო პალატამ დააარსა პირველი მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დანესებულება ამერიკის შეერთებულ შტატებში.<sup>1</sup> თუმცა ამერიკაში არბიტრაჟის ჩამოყალიბებასა და მისი, როგორც დავის განხილვის ალტერნატიული საშუალების პოპულარიზაციაში დიდი წვლილი შეიტანა ფედერალურმა საარბიტრაჟო აქტმა.<sup>2</sup> ამავე პერიოდში დაიწყო საერთაშორისო არბიტრაჟის სამართლებრივი რეგულირება (მიღებულ იქნა ჟენევის ოქმი – 1923 წელს და ჟენევის კონვენცია – 1927 წელს). ხოლო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა სტაბილური სამართლებრივი ბაზა, რომელმაც არბიტრაჟის საყოველთაო აღიარება და პოპულარობა განაპირობა.<sup>3</sup>

იქიდან გამომდინარე, რომ არბიტრაჟი ეფუძნება მხარეთა შეთანხმებას, რომ დავა განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს, სასამართლოს ნაცვლად, არბიტრაჟს ხშირად ახასიათებენ, როგორც „კერძო სასამართლო პროცესს“.<sup>4</sup> არბიტრაჟის ჩამოყალიბებული ერთიანი ცნება არ არსებობს. პარადოქსულია, მაგრამ არბიტრაჟის მარეგულირებელი სხვადასხვა კანონმდებლობა არ განსაზღვრავს არბიტრაჟის ცნებას როგორც ასეთს, არამედ ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მის საერთაშორისო ხასიათზე. როგორც იაროსონი აღნიშნავს, არ არსებობს არბიტრაჟის სამართლებრივი განმარტება, ხოლო ვედერის მიხედვით კი, დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა შეგნებულად არ ჩაწერა ცნება 1996 წელს მიღებულ არბიტრაჟის შესახებ აქტში. ინგლისელი იურისტები, პრაგმატულად ამჯობინებენ, რომ ჩამოთვალონ მიზეზები, რის გამოც დავის განხილვის ეს ალტერნატიული საშუალება მისაღებია და მისი ძირითადი მახასიათებლები, რაც მას განასხვავებს მისი მსგავსი ინსტიტუტებისგან. განსაკუთრებით კი გამოყოფენ მიღებული გადაწყვეტილების სავალდებულობას. ძირითადად ცნებასთან დაკავშირებით, დასკვნას აკეთებენ საარბიტრაჟო შეთანხმების ცნებიდან გამომდინარე, რომელსაც მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა.<sup>5</sup> იაროსონმა თავის სადოქტორო ნაშრომში, პრეცედენტული სამართლისა და დოქტრინის დეტალური ანალიზის შემდეგ, ჩამოაყალიბა შემდეგი ფორმულირება: „არბიტრაჟი არის ინსტიტუტი, სადაც მესამე პირი წყვეტს დავას, ორ ან მეტ მხარეს შორის, მისთვის სამართლებრივად მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ვან დენ ბერგი კი შემდეგნაირად განსაზღვრავს არბიტრაჟის ცნებას: „დავის გადაწყვეტა ორ ან მეტ მხარეს შორის, მესამე პირის მიერ, რომლის უფლებამოსილებაც ეფუძნება მხარეთა შეთანხმებას (საარბიტრაჟო შეთანხმებას) და ვისი გადაწყვეტილებაც სავალდებულოა მათთვის.“<sup>6</sup> აღსანიშნავია, რომ დავის კომერციული ხასიათი, არ არის საერთაშორისო არბიტრაჟის ცნების ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო არბიტრაჟი, როგორც წესი, ყველაზე მეტად მოიცავს საერთაშორისო სავაჭრო საკითხებს, მისი მოქმედების არეალი ამით არ შემოიფარგლება. თუმცა, კომერციული არბიტრაჟის ძირითადი მახასიათებლები, მჭიდრო კავშირშია არბიტრაჟის ცნებასთან.

კომერციულ არბიტრაჟს აქვს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

<sup>1</sup> Bennett S.B., Arbitration: Essential Concepts, ALM Publishing, A Division of American Lawyer Media Inc, 2002, 10.

<sup>2</sup> Federal Arbitration Act (FAA) მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1925 წელს.

<sup>3</sup> *კერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 16.

<sup>4</sup> Lorcher T., Mavrogordato Z., CMS Guide to Arbitration, Frankfurt, Germany, 2009, 20.

<sup>5</sup> Poudret J-F., Besson S., Comparative Law of International Arbitration, Sweet & Maxwell Ltd, London, 2007, 1.

<sup>6</sup> იქვე, 2.

პირველ რიგში, არბიტრაჟი ზოგადად შეთანხმებაზეა დამოკიდებული – უმრავლეს შემთხვევაში მხარეები თავად თანხმდებიან, რომ არბიტრაჟს გადასცემენ დავას, მეორე – გადანყვეტილების მიღება ხდება დამოუკიდებელი არბიტრის მიერ, რომელიც არ არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ან მოსამართლე, არამედ ჩვეულებრივი კერძო პირი, შერჩეული მხარეთა მიერ, მესამე – არბიტრაჟის დასრულებისას გამოდის სავალდებულო გადანყვეტილება, რომელიც აღსრულებადია ნაციონალურ სასამართლოებში, ხოლო საარბიტრაჟო პროცედურები არის ბევრად მოქნილი სასამართლო პროცედურებთან შედარებით.<sup>1</sup>

## 2.1.2. არბიტრაჟის სახეები

### 2.1.2.1. მუდმივმოქმედი და დროებითი

საარბიტრაჟო სასამართლოს მხარეები ასახელებენ თვითონ, ხოლო რაც შეეხება საარბიტრაჟო განხილვის ჩატარებას, ის შეიძლება წარმართოს როგორც მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს ხელშეკრულებაში, ისე დროებითი არბიტრაჟის საშუალებით.<sup>2</sup> მუდმივმოქმედი და დროებითი არბიტრაჟები, ცნობილი არიან განსხვავებული უპირატესობებით. თუმცა ორივე მათგანი, როგორც საარბიტრაჟო განხილვის სახე, აღიარებულია მთელს მსოფლიოში და მათ მიერ მიღებული გადანყვეტილებები თანაბრად აღსრულებადია მრავალ ქვეყანაში.<sup>3</sup> მუდმივმოქმედაა არბიტრაჟი, რომელიც ტარდება შესაბამისი საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. მას აქვს მუდმივი ხასიათი და ორგანიზებულია მუდმივ საარბიტრაჟო ცენტრებში. მისი არსებობა არ არის დამოკიდებული კონკრეტული დავის ხანგრძლივობაზე.<sup>4</sup> უმრავლეს შემთხვევებში, მუდმივმოქმედი არბიტრაჟები იქმნებიან სავაჭრო პალატებთან, ბირჟებთან და ასოციაციებთან და მოქმედებენ საქმეთა წარმოებისათვის დადგენილი საკუთარი წესებით.<sup>5</sup>

მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ძირითადი დადებითი მახასიათებლებია:

მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულებები რეგულარულად აახლებენ და ხვეწენ წესებს და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მხარეები, რომლებიც აირჩივენ მათ საარბიტრაჟო სასამართლოს დარჩნენ მაქსიმალურად კმაყოფილნი როგორც პროცედურების წარმართვით, ისე საბოლოო გადანყვეტილებით.<sup>6</sup> მათ მიერ ხდება გადანყვეტილების გადახედვა, მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო პალატა ამონებს საარბიტრაჟო გადანყვეტილების პროექტს, სანამ ის გადაეგზავნება მხარეებს, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა საკითხი რაც დასმული იყო საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე გადანყვეტილია. ასეთი ქმედებები აუცილებელია ხარისხის კონტროლისთვის.<sup>7</sup> მყარი რეპუტაციის მქონე საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ გადანყვეტილების დეტალურ განხილვას, რათა დარწმუნდეს, რამდენად შეესაბამება ის დადგენილ სტანდარტებს, არსებითი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით მაშინ, თუ მხარეს სურს გადანყვეტილების აღსრულება.<sup>8</sup> მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებაში დავის განხილვა ნიშნავს, რომ ყველაფერი იქნება პროფესიულ დონეზე უზრუნველყოფილი, რათა მოხდეს პროცედურების ადმინისტრირება და ზედამხედველობა და უზრუნველყოფილ იქნას პრო-

<sup>1</sup> *Born G.*, International Commercial Arbitration: Commentary and Materials, 2<sup>nd</sup> ed., Transnational Publishers, Kluwer Law International, 2001, 1.

<sup>2</sup> *Jenkins J., Stabbings S.*, International Construction Arbitration law, Kluwer Law International, 2006, 81.

<sup>3</sup> *Wei – Jen Chen*, Separate but Equal in Arbitration? An Analysis on Ad Hoc Arbitration of Taiwan and East Asia, *Contemp. Asia Arb. J.*, 2012, 109.

<sup>4</sup> *Palacean C.*, Forms of Arbitration in International Trade, 2009, 119.

<sup>5</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 33.

<sup>6</sup> *Lorcher T., Mavrogordato Z.*, CMS Guide to Arbitration, Frankfurt, Germany, 2009, 17.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> *Maclhwrath M., Savage J.*, International Arbitration and Mediation: A Practical Guide, Kluwer law International, 2010, 66.

ცესის შეუფერხებლად წარმართვა. რა თქმა უნდა, საარბიტრაჟო დაწესებულება მხარეებისგან მოითხოვს, რომ გადაიხადონ ასეთი დამატებითი მომსახურების საფასური. ხშირად მათ აქვთ სპეციალური ფასები, რომლითაც განსაზღვრულია საარბიტრაჟო სასამართლოს თითოეული წევრისათვის გადასახდელი თანხები, ICC<sup>1</sup> გამოყოფს ადმინისტრაციულ ხარჯებს და არბიტრებისათვის გადასახდელ თანხებს, ასევე ფიქსირებული ნუსხა აქვს მოსაკრებლებისა და ფასების შესახებ LCIA<sup>2</sup>-ს.<sup>3</sup> ფიქსირებულ გადასახადს აქვს თავისი უპირატესობები, რადგან მხარეებს არ წარმოეშობათ დამატებითი ხარჯები და განხილვის დასაწყისშივე ეცოდინებათ რა ხარჯებთანაა დაკავშირებული აღნიშნული პროცედურები.

ასევე მნიშვნელოვანია, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ დადგენილი წესების ინკორპორირება საარბიტრაჟო ხელშეკრულებაში. სანამ მხარეები გაითვალისწინებენ ამა თუ იმ საარბიტრაჟო დაწესებულების წესებს, კარგად უნდა გაეცნონ მას, რათა დარწმუნდნენ, რომ წესები, რომლებიც გათვალისწინებულია, მათთვის მისაღებია და შესაბამისია დავის არსისთვის, რომელიც მათ შორის წარმოიშვა ან მომავალში წარმოიშვება. ხანდახან მხარეებს აქვთ სურვილი, რომ ცვლილება შეიტანონ საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ დადგენილ პროცედურულ წესებში. LCIA და ICC ითვალისწინებს, რომ ზოგიერთი წესი შესაძლოა შეიცვალოს მხარეთა მიერ. მაგალითად, სამშენებლო ბიზნესთან დაკავშირებულ დავებში, ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის (AAA)-ს მიერ გამოქვეყნებული წესები ითვალისწინებს, რომ მხარეებს შეუძლიათ ცვლილებები შეიტანონ დადგენილ პროცედურულ წესებში, და შესათავაზონ საარბიტრაჟო სასამართლოს საკუთარი წესები, მაგრამ მხოლოდ არბიტრის (არბიტრების) თანხმობის შემთხვევაში, თუ ასეთი ცვლილება მათი დანიშნვის შემდეგ განხორციელდა.<sup>4</sup> დროებითი არბიტრაჟი იქმნება კონკრეტული დავის გადასაწყვეტად. არ არის აუცილებელი, რომ ის ემყარებოდეს, ამა თუ იმ საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ დადგენილ წესებს. შესაბამისად, პროცედურები ბევრად მოქნილია. მხარეებს საშუალება აქვთ აირჩიონ ის წესები, რომლებიც დავის არსისთვის ყველაზე შესაფერისია. ასევე, დროებითი არბიტრაჟის შემთხვევაში ხარჯები ნაკლებია, ვიდრე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შემთხვევაში, რადგან არ შედის ის თანხები, რომელიც საარბიტრაჟო

ინსტიტუტის ადმინისტრაციული მომსახურებისთვისაა განკუთვნილი. პროცედურები უფრო სწრაფია – რადგან პირდაპირი კომუნიკაცია ხდება მხარეებსა და არბიტრს (არბიტრებს) შორის, ყოველგვარი ზედამხედველობისა და ჩარევის გარეშე. დროებით არბიტრაჟს ხშირად აკრიტიკებენ პროფესიონალი არბიტრების ნაკლებობის გამო, ასევე უარყოფით მხარედ განიხილავენ იმასაც, რომ რადგან დროებით არბიტრაჟს არ აქვს დადგენილი წესები, ამან შეიძლება გამოიწვიოს დავის განხილვის გაჭიანურება, სანამ მხარეები და საარბიტრაჟო სასამართლო გამოსაყენებელ პროცედურებზე შეთანხმდებიან.<sup>5</sup>

აქედან გამომდინარე, დროებითი არბიტრაჟის ეფექტურობა, დამოკიდებულია მხარეთა სურვილზე, და იმაზე, მიაღწევენ თუ არა ისინი შეთანხმებას, დაასახელონ საარბიტრაჟო სასამართლო და ჩაატარონ განხილვა.<sup>6</sup> თუმცა, მეორე მხრივ, დროებითი არბიტრაჟის უპირატესობას შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ არ არის შეზღუდვები გამოსაყენებელ პროცედურებზე. დროებითი არბიტრაჟის დროს მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა, არბიტრთა რაოდენობა, მოთხოვნები, რაც მათ წაეყენებათ, და მათი დანიშნვის პროცედურა.<sup>7</sup> ასევე, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, თუ რა სახის მტკიცებულებები უნდა წარადგინონ და რა ფორმით, რა სახით უნდა ჩატარდეს საარბიტრაჟო პროცე-

<sup>1</sup> ICC - საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

<sup>2</sup> LCIA ლონდონის არბიტრაჟი.

<sup>3</sup> *Jenkins J., Stabbings S.*, International Construction Arbitration Law, Kluwer Law International, 2006, 82.

<sup>4</sup> *Jenkins J., Stabbings S.*, International Construction Arbitration Law, Kluwer Law International, 2006, 82.

<sup>5</sup> *Wei-Jen Chen*, Separate but Equal in Arbitration? – An Analysis on Ad Hoc Arbitration of Taiwan and East Asia, *Contemp. Asia Arb. J.*, 2012, 109.

<sup>6</sup> *Jenkins J., Stabbings S.*, International Construction Arbitration Law, Kluwer Law International, 2006, 81.

<sup>7</sup> *Gaillard E., Goldman G., John F. Savage*, International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 1999, 535.



დურები და გაითვალისწინონ ის კონკრეტული მოთხოვნები რაც შესაბამისობაშია სადავო ხელშეკრულების სპეციფიკასთან,<sup>1</sup> ასევე მიიჩნევა, რომ დროებითი არბიტრაჟი უფრო კონფიდენციალურია.<sup>2</sup> რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უფრო ნაკლები ადამიანია პროცესში ჩართული, ასევე არ ხდება მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადახედვა, შესაბამისად, დაცულობის ხარისხი ამ შემთხვევაში ბევრად მაღალია.

### 2.1.2.2. ზოგადი და სპეციალიზებული

მატერიალური კომპეტენციის მიხედვით განასხვავებენ ზოგად და სპეციალიზებულ არბიტრაჟებს.<sup>3</sup> არბიტრაჟების დაყოფას ზოგად და სპეციალიზებულ არბიტრაჟებად, თავისი ობიექტური საფუძველი გააჩნია, თუმცა ასეთი კლასიფიკაცია მაინც პირობითია.<sup>4</sup> ზოგადი კომპეტენციის არბიტრაჟები განიხილავენ ყველა სახის კომერციულ დავებს, რაც საარბიტრაჟო განხილვის საგანი შეიძლება იყოს. სპეციალიზებული კი მხოლოდ ცალკეული კატეგორიების დავებს. ბოლოდროინდელი მონაცემებით, სპეციალიზებულმა არბიტრაჟებმა გადააჭარბეს არასპეციალიზებულ კომერციულ არბიტრაჟებს გავრცელების მასშტაბით. საზღვაო, სადაზღვევო და სასაქონლო სავაჭრო არბიტრაჟები ტარდება ათასობით ქალაქში, როგორებიცაა ლონდონი და ნიუ-იორკი. ისინი, ძირითადად, მიმდინარეობს დროებითი არბიტრაჟის სტილით და კონკრეტული სავაჭრო ასოციაციის ან სასაქონლო ბირჟის მხარდაჭერით, სპეციალიზებული არბიტრაჟის წესების შესაბამისად.<sup>5</sup> სპეციალურ არბიტრაჟებს აქვთ საკუთარი რეგლამენტები, არბიტრები, რომლებიც წარმართავენ განხილვას სპეციალიზებულ დანესებულებში, არიან უფრო კომპეტენტურები, რადგან იმ კატეგორიის საქმეების გადაწყვეტის უფრო დიდი გამოცდილება აქვთ, რაც უფრო მეტად ერკვევიან დავის საგნის სპეციფიკაში, ეს კი, თავის მხრივ, დავის სწორად და დროულად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

## 2.2. კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

### 2.2.1. საქართველოს კანონმდებლობა

არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში მოიცავს 2009 წლის 19 ივნისს მიღებულ კანონს „არბიტრაჟის შესახებ“, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე კარს, რომელიც არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმის განხილვის თავისებურებებს ეხება. ამ სფეროში მიღებულ პირველ საკანონმდებლო აქტთან შედარებით<sup>6</sup>, ახალი კანონი ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვან საკითხს და შეესაბამება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს „საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ“.<sup>7</sup> კანონი აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟის შემადგენლობა, საარბიტრაჟო განხილვა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა და საქმის განხილვის შეწყვეტა, გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების შესაძლებლობა და გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, „არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განხილვას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წე-

<sup>1</sup> Lew J. D.M, Loukas A., Mistelis, Kröll S.M., Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, 34.

<sup>2</sup> Born G., International Commercial Arbitration, Volume 1, Kluwer Law International, 2009, 150.

<sup>3</sup> Palacean C., Forms of Arbitration in International Trade, 2009, 119.

<sup>4</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 36.

<sup>5</sup> Bühring-Uhle CH., Kirchhof G.I., Scherer G., Arbitration and Mediation in International Business, Kluwer law International, 2006, 34.

<sup>6</sup> 1997 წლის კანონი „საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის შესახებ“.

<sup>7</sup> UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration 1985 (with amendments as adopted in 2006), <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998\\_Ebook.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf)>.

სებით და მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეებია:

- ა) არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
- ბ) არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ;
- გ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;
- დ) მტკიცებულებათა მოპოვებისა და მონმის დასწრების უზრუნველყოფაში სასამართლოს დახმარების შესახებ;
- ე) არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობის, აღსრულებისა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ;
- ვ) სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ;
- ზ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების შესახებ;
- თ) საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ;
- ი) „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 2.2.2. ნიუ-იორკის კონვენცია

ნიუ-იორკის კონვენციის<sup>1</sup> თავდაპირველი ვარიანტი 1953 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატამ პარიზში შეიმუშავა. საბოლოო ვარიანტი კი მიღებულ იქნა 1958 წელს, რომელიც ძალაში 1959 წლის 7 ივნისს მესამე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის მომენტიდან შევიდა. ეს იყო არბიტრაჟის ისტორიაში ახალი და უმნიშვნელოვანესი ეტაპის დასაწყისი.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღებიდან სააკმაოდ დიდი ხანი გავიდა, ის დღემდე რჩება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტი ამ სფეროში და სწორედ ის არეგულირებს უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საკითხს. აღნიშნული კონვენცია საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით.

პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მისი მოქმედება ვრცელდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, რომელიც მიღებული არ არის იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც უნდა მოხდეს მისი ცნობა და აღსრულება. იგი, ასევე, გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც არ მიიჩნევა შიდა გადაწყვეტილებად, იმ სახელმწიფოში, სადაც უნდა მოხდეს მისი ცნობა და აღსრულება. მეორე

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა ცნოს წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, რომლის ფარგლებშიც, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ

არბიტრაჟს გადასცემენ განსახილველად მათ შორის არსებულ ნებისმიერ დავას, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის, განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა სახელმწიფოებოა ეს დავა თუ არა, მთავარია მიეკუთვნებოდეს იმ საკითხებს, რომლებიც არბიტრაჟის მიერ განიხილება. პირველი მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების ან მიერთების შემდეგ, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე განაცხადოს, რომ იგი გამოიყენებს აღნიშნულ კონვენციას მხოლოდ იმ გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისთვის, რომელიც გამოტანილია კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში, ასევე, სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ ის გამოიყენებს ამ კონვენციას მხოლოდ იმ დავების მიმართ, რომელიც შიდა კანონმდებლობით მიიჩნევა, როგორც სავაჭრო. კონვენცია-

<sup>1</sup> Convention on Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards - United Nations (1958), <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/XXII\\_1\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/NY-conv/XXII_1_e.pdf)>.

<sup>2</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 50.

ში განმარტებულია ტერმინები „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ და „საარბიტრაჟო შეთანხმება წერილობითი ფორმით“. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოიცავს არა მხოლოდ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ამ კონკრეტულ საქმეზე დანიშნული არბიტრების მიერ, ასევე მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც, რომელიც მხარეთა მიერ იქნება დასახელებული. ტერმინი „შეთანხმება წერილობითი ფორმით“ მოიცავს საარბიტრაჟო პუნქტს ხელშეკრულებაში ან საარბიტრაჟო შეთანხმებაში, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები ან შეიცავს ურთიერთგაცვლილი წერილები ან გზავნილები. კონვენციის მეოთხე მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების აღსასრულებლად საჭირო დოკუმენტებს. ყველაზე მნიშვნელოვანი მეხუთე მუხლია, რომელიც ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს მოიცავს.

### 2.2.3. UNCITRAL-ის მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ

მოდელური კანონი „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტია ამ სფეროში. ის მიღებულია 1985 წლის 21 ივნისს, საერთაშორისო სავაჭრო კომისიის მიერ, ხოლო განახლდა საერთაშორისო სავაჭრო კომისიის მიერ 2006 წლის 7 ივლისს. „მოდელური კანონი აღიარებს საერთაშორისო არბიტრაჟის სფეროში საერთაშორისო შეთანხმების პრიმატს, კანონის მოქმედება დასაშვებია მხოლოდ იმ სფეროში არსებული ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმების დაცვის პირობით“.<sup>1</sup>

რაც შეეხება უშუალოდ კანონის სტრუქტურას, იგი აგებულია შემდეგნაირად: პირველი თავში მოცემულია ძირითადი დებულებები, რითაც განსაზღვრულია ცნება და ზოგადი პრინციპები. მეორე თავი ეთმობა საარბიტრაჟო შეთანხმებას, მის ფორმასა და, ასევე, სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას. მესამე თავი ეხება საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობას, არბიტრთა რაოდენობას, მათ დანიშვნასა და აცილებას, შემცვლელი არბიტრის დანიშვნას. მეოთხე თავში განხილულია არბიტრაჟის იურისდიქციასთან დაკავშირებული საკითხები. სწორედ აღნიშნულ თავში შევიდა ცვლილება და დაემატა მეოთხე (ა) თავი,<sup>2</sup> რომელიც ეხება სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიებებისა და წინასწარი ბრძანებების გამოცემის შესაძლებლობას, ადგენს ამისთვის საჭირო პირობებს და სპეციალურ რეჟიმს, წინასწარი ბრძანებების მოდიფიცირების, შეჩერებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას, ხარჯებისა და შესაძლო ზიანის ანაზღაურების ასევე დროებითი ზომების აღიარებისა და აღსრულების, და მასზე უარის თქმის საფუძვლებს. მეხუთე თავი საარბიტრაჟო სამართალწარმოების ჩატარებას ეთმობა და დეტალურად განსაზღვრავს ისეთ პროცედურულ საკითხებს, როგორებიცაა საქმის განხილვის ადგილი, საარბიტრაჟო სამართალწარმოების დაწყება, საქმის განხილვის ენა, სარჩელისა და შესაგებლის წარდგენისა და ექსპერტის დანიშვნის შესაძლებლობა, ასევე, ითვალისწინებს სასამართლოს დახმარებას მტკიცებულებათა მისაღებად. მეექვსე თავი, რომელიც ეხება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასა და საქმის წარმოების შეწყვეტას, კიდევ ერთხელ მიჯნავს დავის განხილვის დასრულების 2 შესაძლებლობას – საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასა და საქმის წარმოების შეწყვეტას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია გადაწყვეტილების შესწორებისა და ინტერპრეტირების, ასევე, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. მეშვიდე თავი ეხება გარემოებებს, რომელთა გამოც არ უნდა მოხდეს გადაწყვეტილების გამოტანა, მერვე თავი – გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აღნიშნული მოდელური კანონის მაგალითზე, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება საარბიტრაჟო განხილვის და სასამართლო პროცედურების მსგავსება, რომ არბიტრაჟიც თითქმის ისე-

<sup>1</sup> *კერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 63.

<sup>2</sup> Chapter IV A. Interim Measures and Preliminary Orders (as Adopted by the Commission at its thirty-ninth session, in 2006).

თივე ფორმალურია, როგორც სასამართლო და მხარეებს რეალურად განსხვავებულს ბევრს ვერაფერს სთავაზობს.

## 2.3. დავის განხილვის საგანი და პროცედურები

### 2.3.1. საარბიტრაჟო განხილვის საგანი

საარბიტრაჟო განხილვის საგნის რეგულირება შესაძლებელია ორგვარად: ერთი მხრივ, კანონში იმის ჩანერა, რა შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი და, მეორე მხრივ, რა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი. ზოგიერთი მართლმცოდნეობითი საარბიტრაჟო განხილვის საგნად არ მიიჩნევენ დავას, რომელიც მოიცავს საჯაროსამართლებრივ ელემენტებს, ან დაკავშირებულია კონკურენციის, შრომისა და ინტელექტუალური საკუთრების სამართალთან.<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. ანალოგიური ფორმულირებაა მოცემული „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტშიც. რეალურად ეს ფორმულირება არ არის სწორი, რადგან, ერთი მხრივ, დაზუსტებული არ არის და ძალიან ფართოდაა განმარტებული, თუ რა არის საარბიტრაჟო განხილვის საგანი, მეორე მხრივ, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კონკრეტულ ჩამონათვალს, თუ რა არ შეიძლება იყოს განხილვის საგანი. შესაბამისად, ეს ნორმები ცვლილებას საჭიროებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ისეთი მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე ქვეყნები, როგორებიცაა მაგალითად გერმანია და შვედეთი, ამჟობინებენ განხილვის საგნის აბსტრაქტულ ფორმულირებას. ასევე მოდელური კანონიც „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ საკმაოდ აფართოებს საარბიტრაჟო განხილვის საგნის სფეროს. კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კანონის მოქმედება ვრცელდება საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟზე, ხოლო ტერმინი „კომერციული“ – საკმაოდ ფართოდაა განმარტებული.<sup>2</sup>

იქიდან გამომდინარე, რომ თუ დავა არ აღმოჩნდება საარბიტრაჟო განხილვის საგანი ეს არის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი,<sup>3</sup> აუცილებელია მოხდეს საარბიტრაჟო განხილვის საგნის ზუსტად განსაზღვრა, მოხდება ეს კანონში პირდაპირ ჩანერის თუ ნეგატიური ფორმულირების გზით.

### 2.3.2. საარბიტრაჟო განხილვის ვადები და ფორმა

არბიტრაჟის ერთ-ერთ მთავარ დადებით მახასიათებლად ყოველთვის საქმის განხილვის შემჭიდროვებული ვადები ითვლებოდა, თუმცა დღესდღეობით ეს ვადები არც ისე მცირეა. საარბიტრაჟო განხილვები სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, არანაკ-

<sup>1</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 194.

<sup>2</sup> ტერმინი „კომერციული“ უნდა მიეცეს ფართო განმარტება, რათა მოიცავს ყველა საკითხი, რომელსაც აქვს კომერციული ხასიათი, მიუხედავად იმისა, სახელშეკრულებოა თუ არა. კომერციული სახის ურთიერთობები მოიცავს, მაგრამ არ შემდეგი საკითხებით: ნებისმიერი სავაჭრო ოპერაცია, საქონლის ან მომსახურების მინოდების ან გაცვლის შესახებ, კომერციული შუამავლობა ანაწარმოადგენლობა, ფაქტორინგი (საკუთარი ვალების დაფარვის მიზნით არსებული გრძელვადიანი ვალდებულებების გაყიდვა), ლიზინგი, სამშენებლო სამუშაოები, საკონსულტაციო, საინჟინრო, სალიცენზიო, საინვესტიციო, ფინანსური, საბანკო, სადაზღვევო შეთანხმებები ან კონცესიები, ერთობლივი სანარმოს ან სხვა ფორმის ინდუსტრიული ან ბიზნეს კორპორაცია, გადაყვანა მგზავრების ან საქონლის საჰაერო, საზღვაო ან სარკინიგზო გზით – (პირველი მუხლი, სქ. 2).

<sup>3</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტი; მოდელური კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) (ი) ქვეპუნქტი, ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი.

ლებ დროს მოითხოვენ, ვიდრე სასამართლო პროცესებისთვის არის საჭირო.<sup>1</sup> არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნას საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არაუმეტეს 180 დღით.

UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები ითვალისწინებს 45-დღიან ვადას, რათა მხარეებმა წარმოადგინონ მტკიცებულებები და სხვა სახის წერილობითი დოკუმენტები, მათ შორის, საარბიტრაჟო სარჩელი და შესაგებელი.<sup>2</sup> საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია, მას შემდეგ რაც მოისმენს ორივე მხარის პოზიციებს საქმესთან დაკავშირებით, გააგრძელოს ან შეამოკლოს ვადა, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო განხილვის ვადები შესაძლებელია საარბიტრაჟო შეთანხმებითაც იყოს განსაზღვრული ან კანონით სულ არ იყოს დადგენილი. თუმცა განხილვის ვადების დადგენა, ისევე, როგორც საარბიტრაჟო განხილვის ადგილის და საარბიტრაჟო წარმოების ენის განსაზღვრა საარბიტრაჟო შეთანხმებით რეკომენდებულად ითვლება. თუ არ არის მხარეთა მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის ენა, არბიტრმა ის შეიძლება განსაზღვროს იმის მიხედვით, თუ რა ენაზეა სადავო ხელშეკრულება შედგენილი.<sup>4</sup> მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები. ამგვარი შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო წარმოების ენას ან ენებს ადგენს არბიტრაჟი ყველა შესაბამისი გარემოების, მათ შორის, ხელშეკრულების ენის ჯეროვანი გათვალისწინებით. საარბიტრაჟო ინსტიტუტების უმრავლესობა იძლევა რეკომენდაციას, რომ განისაზღვროს შეთანხმებით საარბიტრაჟო განხილვის ადგილი, თუმცა ამაზე შეთანხმების მიღწევა ყოველთვის ვერ ხერხდება და საკითხს წყვეტს საქმის განმხილველი საარბიტრაჟო სასამართლო.<sup>5</sup>

საარბიტრაჟო განხილვის ფორმას მხარეები განსაზღვრავენ კანონის მოთხოვნათა დაცვით. თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დავა განიხილება კანონის მოთხოვნათა დაცვით. თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არ არის საარბიტრაჟო განხილვის ფორმა, არბიტრაჟი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა მხოლოდ საბუთებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის ანალოგიურ ფორმულირებას ითვალისწინებს UNCITRAL-ის მოდელური კანონი,<sup>6</sup> UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები კი დამატებით ადგენს, რომ მხარეთა შორის თანახმობა უნდა იყოს დაცული, თავიდან იქნას აცილებული საქმის განხილვის გაჭიანურება და ზედმეტი ხარჯები და მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაიჭრას სამართლიანად და ეფექტურად.<sup>7</sup> მოდელური კანონი სრულ თავისუფლებას ანიჭებს მხარეებს - შეთანხმდნენ გამოსაყენებელ პროცედურებზე, განსაზღვრონ საქმის განხილვის ენა და ადგილი. ასევე ადგენს, რომ თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, არბიტრაჟი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა მხოლოდ საბუთებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე.

ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 306.

<sup>2</sup> Article 25.

<sup>3</sup> Article 17, Paragraph 2.

<sup>4</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 309.

<sup>5</sup> World Intellectual Property Organization, Worldwide Forum of the Arbitration of Intellectual Property Disputes.

<sup>6</sup> Article 24, Paragraph 1

<sup>7</sup> Article 17, Paragraph 1.

თავად განაცხადეს უარი ზეპირ მოსმენაზე.<sup>1</sup> UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების მიხედვით კი რომელიმე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, საარბიტრაჟო სასამართლო დანიშნავს ზეპირ მოსმენას, სადაც როგორც მხარეებს, ასევე მოწმეებსა და ექსპერტებს ექნებათ შესაძლებლობა წარადგინონ პროცესზე თავისი არგუმენტები და მტკიცებულებები, ასეთი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო სასამართლო თვითონ წყვეტს, ჩაატაროს ზეპირი მოსმენა თუ საქმე განიხილოს დოკუმენტებისა თუ სხვა სახის მასალების საფუძველზე.<sup>2</sup>

საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება ითქვას, სასამართლო განხილვის მსგავსად, საკმაოდ ფორმალური ხასიათისაა, თუმცა არა ყოველმხრივ. საარბიტრაჟო განხილვის წესს განსაზღვრავენ მხარეები, ასევე მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები, ასევე, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეს შეუძლია შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები ან შესაგებელი, ან წარმოადგინოს დამატებითი მოთხოვნები, თუ ეს არბიტრაჟმა არ მიიჩნია განხილვის გაჭიანურებად.<sup>3</sup>

### 2.3.3. დავის განხილვის დასრულება

საარბიტრაჟო განხილვა სრულდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ან საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის გზით.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის დასრულების ყველაზე ლოგიკური და გავრცელებული ფორმაა. იგი წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვის დასრულების რეზულტატს და იმ გადამწყვეტ სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის მიღებაც მხარეთა უმთავრესი მიზანია.<sup>4</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. იგი გამოტანილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით და მას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრმა (არბიტრებმა). იგი ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან, თუ მხარეთა მიერ ან კანონით, სხვა რამ არ არის დადგენილი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერილი ასლები უნდა გადაეცეთ მხარეებს. აღსანიშნავია, რომ მოდელურ კანონში და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულია იდენტური ნორმები დავის განხილვის დასრულებასთან დაკავშირებით.

UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები ითვალისწინებს, ასევე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საჯაროობის შესაძლებლობას და განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილება შესაძლოა გახდეს საჯარო, ყველა მხარის თანხმობის შემთხვევაში, თუ მხარეს აქვს კანონიერი ინტერესი მოითხოვოს გადაწყვეტილების გამჟღავნება, რათა დაიცვას ან განახორციელოს თავისი სამართლებრივი უფლება, ან თუ ეს დაკავშირებულია სამართალწარმოების პროცედურებთან, იქნება ეს სასამართლო თუ სხვა შესაბამისი ოფიციალური ორგანო.<sup>5</sup>

საარბიტრაჟო განხილვა წყდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერისა და მხარეთათვის გადაცემის შემდეგ, ან არბიტრაჟის დადგენილების საფუძველზე. საარბიტრაჟო განხილვა შესაძლოა შეწყდეს რამდენიმე საფუძველით: ერთ-ერთი შემთხვევაა მხარეთა მორიგება. არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეთა თხოვნის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცოს მხარეთა მორიგება შეთანხმებული პირობებით. ასევე, არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

<sup>1</sup> Article 24, Paragraph 1.

<sup>2</sup> Article 17; Paragraph 2, 3.

<sup>3</sup> არბიტრაჟის შესახებ კანონის მ. 29 პ. 1; მ. 30 პ. 8.

<sup>4</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 462.

<sup>5</sup> Article 32, Paragraph 5.

ა) თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და არბიტრაჟი მიიჩნევა, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი;

ბ) თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე;

გ) თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე მიზეზით არ არის აუცილებელი ან შეუძლებელია.<sup>1</sup>

მორიგების შედეგად გამოტანილ გადაწყვეტილებას მიეთითება, რომ ეს არის გადაწყვეტილება და მას აქვს ისეთივე იურიდიული სტატუსი და ძალა, როგორც არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილ გადაწყვეტილებას. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, ასევე, დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა. საარბიტრაჟო სასამართლო ასევე უფლებამოსილია მიიღოს საქმის განხილვის პროცესში გადაწყვეტილებები სხვადასხვა საკითხზე, გაატაროს დროებითი ღონისძიებები და გამოსცეს წინასწარი ბრძანებები, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა.

### 2.3.4. გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

ერთ-ერთი უპირატესობა, რის გამოც მხარეები ირჩევენ არბიტრაჟს, მათ

მორის წარმომოხილი დავის გადასაჭრელად, არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, მიუხედავად იმისა ადგილობრივია თუ უცხოური, შიდა თუ საერთაშორისო არის საყოველთაოდ აღიარებული და ექვემდებარებიან აღსრულებას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც არეგულირებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამით ხელს უწყობს მის ცნობას და აღსრულებას.<sup>2</sup>

საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პროცედურაა. კონკრეტული სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგი მხარეებისთვის მხოლოდ აღსრულების შემდეგ შეიძლება დადგეს.<sup>3</sup> ამასთან დაკავშირებით ყველზე მნიშვნელოვანია ნიუ-იორკის კონვენცია. ნიუ-იორკის კონვენციას მისი მიღებიდან 35 წლის განმავლობაში 100-ზე მეტი სახელმწიფო მიუერთდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის სრულყოფილია და გადახედვას არ საჭიროებს, თუმცა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ის შეიქმნა აბსოლუტურად შესაბამისია. ის სამართლიანად ითვლება საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვან ხელშეკრულებად. ვან დენ ბერგის მიხედვით, მას შემდეგ რაც ეს კონვენცია შეიქმნა, მხოლოდ 2%-ს უთხრეს უარი აღსრულებაზე ამერიკის სასამართლოებმა 500 საქმიდან.<sup>4</sup> კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, როგორც სავალდებულოს და აღსრულებს ამ კონვენციის შესაბამისი მუხლების გათვალისწინებით და იმ ქვეყნის საპროცესო ნორმების შესაბამისად, სადაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უნდა მოხდეს. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის, რომელთა მიმართაც გამოიყენება აღნიშნული კონვენცია, არ შეიძლება დაწესებულ იქნას არსებითად უფრო მძიმე პირობები, ან უფრო მაღალი ბაჟი, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის.

საქართველოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული ნორმები მოცემულია, როგორც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში,

<sup>1</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მ. 40, პ. 2; Model Law, article 32, paragraph 2.

<sup>2</sup> Wei – Jen Chen, Separate but Equal in Arbitration? – An Analysis on Ad Hoc Arbitration of Taiwan and East Asia, Contemp. Asia Arb. J., 2012, 109.

<sup>3</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ, 2008, 516.

<sup>4</sup> World Intellectual Property Organization, Worldwide Forum of the Arbitration of Intellectual Property Disputes, Geneva, March 3 and 4, WIPO Publication, N. 728 (E), 1999, 235.

ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV<sup>4</sup> თავში. მოდელური კანონის 35-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იმისდა მიუხედავად, რომელ ქვეყანაშია გამოტანილი, ცნობილ უნდა იქნას როგორც სავალდებულო და სასამართლოში მხარეთა წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში, უნდა აღსრულდეს.

მხარემ, რომელიც ეყრდნობა ამ გადაწყვეტილებას და შუამდგომლობს მის აღსრულებაზე, უნდა წარმოადგინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ორიგინალი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონისა და ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით, მხარემ ასევე უნდა წარადგინოს საარბიტრაჟო შეთანხმების ორიგინალი ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი. თუ გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი ამ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, სასამართლოს შეუძლია მოსთხოვს მხარეს, რომ წარმოადგინოს თარგმანი შესაბამის ენაზე. ნიუ-იორკის კონვენცია კი დამატებით ადგენს, რომ თარგმანი შესრულებულ უნდა იქნას ოფიციალური თარჯიმნის, ან დიპლომატიური ან საკონსულო დანესტრულების წარმომადგენლის მიერ.

მნიშვნელოვანია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები, რომლებიც ზუსტადაა განსაზღვრული და მხოლოდ ამ პირობების არსებობისას დაიშვება აღსრულებაზე უარის თქმა. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლში არსებული ჩამონათვალი, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს, შეესაბამება იმ საფუძვლებს, რაც დადგენილია მოდელური კანონით და ნიუ-იორკის კონვენციით.

### 3. მედიაციის დამახასიათებელი ნიშნები

#### 3.1. მედიაციის არსი და განვითარების ეტაპები

##### 3.1.1. მედიაციის ცნება და დანიშნულება

აშშ-ში დავების ალტერნატიული გადაწყვეტა (ADR – Alternative Dispute Resolution) მოიცავს ნებისმიერ ფორმას სასამართლო პროცესის გარდა. ზოგიერთი ავტორი ADR-ს უფრო ფართო შინაარსს ანიჭებს და მიიჩნევს, რომ ის მოიცავს მოლაპარაკების წარმოებას (Negotiation), მედიაციას (Mediation) და არბიტრაჟს (Arbitration).<sup>1</sup> ზოგიერთი ავტორი კი განასხვავებს არბიტრაჟისგან, იმ საფუძვლით, რომ გულისხმობს შეთანხმებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას, არბიტრაჟის შემდეგი კი მხარეებისთვის სავალდებულოა და ისინი მის ფორმირებაზე გავლენას ვერ ახდენენ.<sup>2</sup>

მედიაცია გულისხმობს პროცესს, სადაც დამოუკიდებელი მესამე პირი, ხელს უწყობს ორ ან მეტ დაპირისპირებულ მხარეს შორის მოლაპარაკებას.<sup>3</sup> ევროკავშირის დირექტივის თანახმად, „კომერციულ და სამოქალაქო საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“,<sup>4</sup> მედიაცია არის სტრუქტურირებული პროცესი, სადაც ორი ან მეტი მხარე ცდილობს დავის თავად გადაწყვეტას, ნებაყოფლობით საფუძველზე, რომ მიაღწიონ შეთანხმებას და აღმოფხვრან დავის მიზეზი მედიატორის დახმარებით. პროცესი შეიძლება დაიწყოს თავად მხარეების ინიციატივით, შეთავაზებული ან დავალებული იქნას სასამართლოს მიერ, ან დადგენილ იქნას წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით. ეს დებულება ანალოგიურია საყოველთაოდ დამკვიდრებული მედიაციის დეფინიციის. Uniform Mediation Act<sup>5</sup>-ის მეორე მუხლის მიხედვით, მედიაცია ნიშნავს პროცესს, სადაც მედიატორი ხელს უწყობს მხარეთა შორის კომუნიკაციას და მოლაპარაკებას, რათა ნებაყოფლობით მიაღწიონ შეთანხმებას დავის გადასაჭრელად. განსხვავებით სამართალწარმოებისგან და არ-

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 35.

<sup>2</sup> *Alexander N.M.*, International and Comparative Mediation, Legal Perspectives, Kluwer law International, 2009, 9.

<sup>3</sup> *Alexander N.M.*, Global Trends in Mediation, Kluwer law International 2003, 2.

<sup>4</sup> European Directive on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters.

<sup>5</sup> Uniform Mediation Act, Last Revised or Amended in 2003, Drafted by National Conference of Commissioners of Uniform State Law, <<http://www.mediate.com/articles/umafinalstyled.cfm>>.



ბიტრაჟისგან, სადაც გამოიყენება კანონები, მედიაცია ეყრდნობა მთლიანად მხარეებს, რომ დავის გადაწყვეტის საშუალებები იპოვონ. ეს საშუალებას აძლევს მათ, რომ მიიღონ მაღალკვალიფიციური და ინდივიდუალური გადაწყვეტილება.<sup>1</sup> მედიაცია საშუალებას აძლევს მხარეებს იმუშაონ ერთად, რადგან სხვაგვარად წარმოუდგენელია ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება.<sup>2</sup> როგორც არბიტრაჟის შემთხვევაში, შვეიცარულ დოქტრინასა და პრაქტიკაში მიღებულია მედიაციის საყოველთაოდ აღიარებული ნიშნებისა და პრინციპების ჩამოთვლა: კონფიდენციალურობა, ნეიტრალურობა, ნებაყოფლობითობა, მხარეების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.<sup>3</sup>

### 3.2.1. მედიაციის წარმოშობა და განვითარების ეტაპები

ისტორიული ცნობები, მედიაციასა და მოლაპარაკების შესახებ, მოიპოვება უძველესი ცივილიზაციებისა და ტრადიციულ თემზე დაფუძნებული საზოგადოების შესახებ ლიტერატურაში, რომლებსაც არ ჰქონდათ არანაირი ოფიციალური პოლიტიკური ან სამართლებრივი სისტემა. მედიატორი სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდებოდა რომის სამართალშიც.<sup>4</sup>

ანტაკი განასხვავებს, ორ ძირითად მსოფლიო ტენდენციას მედიაციაში: კერძოდ, ინსტიტუციურ ანუ არაფორმალურ მედიაციას და, მეორე მხრივ, შემეცნებით, სამეცნიერო ან დასავლურს. პირველი ჩამოყალიბდა და განვითარდა არაბეთსა და სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში, ძირითადად, აზიასა და აფრიკაში. დასავლური მედიაცია კი წარმოიშვა ამერიკაში და, ავტორის თქმით, იქიდან გავრცელდა მსოფლიოში.<sup>5</sup> ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხრეთ კაროლინის შტატი პირველი ჩაერთო სასამართლოს მიერ სანქცირებულ მედიაციაში 1986 წელს, როცა ფედერალური რაიონული სასამართლოს მოსამართლეებმა აამოქმედეს სასამართლო მედიაციის პროგრამა. პროგრამამ ოფიციალური სახე მიიღო სახელმწიფოს მამულებით 1996 წელს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იყო 1998 წელი, როცა ძალაში შევიდა კონგრესის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც სასამართლოებს ავალდებულებდა ამოქმედებინათ დავის განხილვის ალტერნატიული საშუალებების პროგრამა.<sup>6</sup>

## 3.2. მედიაციის სახეები

### 3.2.1. სასამართლო მედიაცია, როგორც სავალდებულო მედიაციის სახე და მისი თავისებურებანი

ბოლო ათი წლის განმავლობაში თანდათან იზრდება სავალდებულო მედიაციის გამოყენების მაჩვენებელი. საზოგადოების უმრავლესობა ცდილობს დავის გადაწყვიტა ჯერ მედიაციის გზით სცადონ, სანამ სასამართლოს მიმართავენ. სასამართლო სთავაზობს მხარეებს მედიაციის გამოყენებას სასამართლოს შიგნითვე, მხარეებს ევალუბათ მხოლოდ განხილვაზე დასწრება, პროცესის წარუმატებლობის შემთხვევაში კი დავა გადაინაცვლებს სასამართლოში.<sup>7</sup> მედიაციის განვითარების სტანდარტები განსაკუთრებით მაღალია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში. ყველაზე მეტად კი სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტი კანადაშია განვითარებული.

<sup>1</sup> Lodge J.A., Legislation Protecting Confidentiality in Mediation: Armor of Steel or Eggshells?, Santa Clara Law Review Vol. 41, 2000 – 2001, 1097.

<sup>2</sup> ცერცვაძე გ., მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 35.

<sup>3</sup> Alexander N.M., International and Comparative Mediation, Legal Perspectives, Kluwer law International, 2009, 5.

<sup>4</sup> In Roman Law were known by a number of names including internuncios, medius, intercessor, philanthropus, interpolator, conciliator, interlocutor and finally mediator.

<sup>5</sup> Alexander N.M., Global Trends in Mediation, Kluwer law International, 2003, 51.

<sup>6</sup> A look at Court Mandated Civil Mediation, Drake Law Review, 2000 - 2001, 372.

<sup>7</sup> Lodge J.A., Legislation Protecting Confidentiality in Mediation: Armor of Steel or Eggshells?, Santa Clara Law Review Vol. 41, 2000 – 2001, 1106.

სასამართლოზე დაფუძნებული მედიაციის პროგრამა შემუშავებულია იმ მიზნით, რომ სასამართლო პროცესი მხარეებისთვის გახადოს უფრო ეფექტური და, ამავდროულად, დაზოგოს სასამართლოს რესურსი. შეფასების გეგმა, ონტარიოს სავალდებულო მედიაციის საპილოტე პროექტის, გვიქმნის წარმოდგენას პროგრამის მიზნების შესახებ. 4 ძირითადი ელემენტი, რომელიც უნდა შესრულდეს:

1. დავების განხილვის სისწრაფის გაზრდა;
2. სასამართლო განხილვის ხარჯების შემცირება;
3. დავის განხილვის ალტერნატიული საშუალებების სამსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
4. სავალდებულო მედიაციის დანერგვა და მოქმედება იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს დავების ეფექტიან მოგვარებას.<sup>1</sup>

სავალდებულო მედიაციის შემთხვევაში, ძირითადი ნიშანი რომელიც შენარჩუნებულია, არის მოქნილობა, რაც გამოიხატება დავის უფრო სწრაფად, შედეგიანად და ნაკლები დანახარჯებით გადაწყვეტის შესაძლებლობაში. აღსანიშნავია, რომ სასამართლოსთან არსებული მედიაციის სისტემა, აერთიანებს როგორც ნებაყოფლობით, ისე სავალდებულო მედიაციას. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის აღმოსავლეთ რაიონის სასამართლოში, მოსამართლეები უფლებამოსილი არიან დანიშნონ განსაზღვრულ საქმეებზე სავალდებულო მედიაცია ან მხარეებს შესთავაზონ გამოთქვან სურვილი სასამართლოსთან არსებული მედიაციის სამსახურის გზით გადაწყვიტონ დავა. ამ შემთხვევაში, მათ აქვთ მედიატორის არჩევის უფლებაც როგორც სასამართლოს მიერ არჩეული მედიატორებიდან, ისე დავის განხილვის ალტერნატიული საშუალებების ორგანიზაციიდან (ADR).<sup>2</sup> სასამართლო სისტემის ფარგლებში არსებული ნებაყოფლობით მედიაციას, სავალდებულო მედიაციასთან შედარებით, ის უპირატესობა აქვს, რომ მედიაციის მთავარი ნიშანი – ნებაყოფლობითობა შენარჩუნებულია. როცა მხარეებს თავად სურთ, რომ მათ შორის წარმოშობილი დავა მშვიდობიანად გადაწყდეს, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ნეიტრალური მესამე პირის მედიატორის დახმარებით, უფრო მაღალია დავის წარმატებით მოგვარების ალბათობა. მაგრამ როცა მხოლოდ იძულებულნი არიან ჩაერთონ პროცესში, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას არ მოჰყვება სასამართლოს მხრიდან რაიმე სანქცია,<sup>3</sup> უფრო ნაკლებია დავის მოგვარების ალბათობაც.

### 3.2.2 არასასამართლო მედიაცია

არასასამართლო მედიაცია არის მედიაციის პირველსახე. თავდაპირველად სწორედ არასავალდებულო მედიაცია ჩამოყალიბდა და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან როგორც დავის განხილვის ალტერნატიულმა საშუალებამ პოპულარობა მოიპოვა, მოხდა სასამართლო სისტემაში მისი ჩართვა. არასასამართლო მედიაცია საუკეთესო გამოსავალია მხარეებისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც მათ არ სურთ სასამართლო გზით დავის განხილვა სხვადასხვა მიზეზის გამო. მხარეები არასასამართლო მედიაციას მათ შორის წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად დამოუკიდებლად ირჩევენ. სასამართლო მედიაციისგან განსხვავებით, პროცესი მთლიანად არაფორმალურია და ეფუძნება ნებაყოფლობითობას, დაწყებული იმით, რომ მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, იმის შესახებ, რომ მათ შორის წარმოშობილი დავა განსახილველად გადაეცეს მედიატორს და დამთავრებული იმით, რომ შეუძლიათ შეწყვიტონ განხილვის პრო-

<sup>1</sup> Hughes P., Mandatory Mediation: Opportunity or Subversion?, Windsor Yearbook of Access to Justice Vol.19, 2001, 176.

<sup>2</sup> Hughes P., Mandatory Mediation: Opportunity or Subversion?, Windsor Yearbook of Access to Justice Vol.19, 2001, 179.

<sup>3</sup> მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>b</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მედიატორის მიერ დანიშნულ შეხვედრაზე, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება სასამართლო ხარჯების სრულად დაფარვა, მიუხედავად იმისა, რა შედეგით დასრულდება სასამართლოში საქმის განხილვა. ჯარიმა 150 ლარის ოდენობით განისაზღვრება.

ცესი ნებისმიერ დროს. ამ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით, დავა შესაძლოა განსახილველად წარედგინოს სასამართლოს ან არბიტრაჟს, რის უფლებასაც მათ კანონმდებლობა აძლევთ.

### 3.3 კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

#### 3.3.1. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საქართველოში მკვიდრდება სავალდებულო მედიაცია. მედიაციის შესახებ ნორმა<sup>1</sup> განსაზღვრავს იმ ძირითად საკითხებს, რომელიც საწყის ეტაპზე საკმარისია, რომ კოდექსის აღნიშნული ნორმები ამოქმედდეს და იფუნქციონიროს. აღნიშნულ თავში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა, მედიატორისადმი საქმის გადაცემის შესაძლებლობა, მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა ჩამონათვალი, პროცესის ვადა, პროცესში მონაწილე მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები, პროცესის დასრულება, კონფიდენციალურობა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმება, ასევე, მედიატორის აცილების შესაძლებლობა.

სავალდებულო მედიაციაზე ადრე, ჯერ კიდევ 2008 წელს სამედიცინო მედიაციის ინსტიტუტი ამოქმედდა, თუმცა 2012 წელს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებების შემდგომ მან ერთგვარი მოდიფიცირება განიცადა და სულ სხვა სახით დამკვიდრდა, კერძოდ გაფართოვდა მისი მოქმედების არეალი.

კანონის მე-3 მუხლის (3<sup>6</sup>) პუნქტის თანახმად, სამედიცინო მედიაციის სამსახურის ფუნქციაა, პაციენტსა და სადაზღვევო ორგანიზაციას შორის, სადაზღვევო ორგანიზაციასა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის, ასევე პაციენტსა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს შორის წარმოშობილი დავების განხილვა. აღნიშნული კანონის გარდა, სამედიცინო მედიაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ანესრიგებს მთავრობის დადგენილებები.<sup>2</sup> სამედიცინო მედიაციის გარდა, საქართველოში მოქმედებს სანოტარო მედიაცია, რომელიც ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38<sup>1</sup> მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ მედიაცია ნოტარიუსის მონაწილეობით შესაძლებელია განხორციელდეს მოდავე მხარეთა თანხმობით. სანოტარო მედიაციის განხორციელების წესი განსაზღვრულია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. რაც შეეხება განსახილველ საქმეებს სსკ-ის ნორმები და „ნოტარიატის შესახებ“ კანონის ნორმები აბსოლუტურად ერთნაირია.

რაც შეეხება საგადასახდო მედიაციას, რომელიც მოქმედებს შემოსავლების სამსახურში, ეს არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, რომლის დროსაც სადავო საკითხები წყდება საწყის ეტაპზე, სანამ შედგენილი იქნება შემოწმების აქტი და გამოიციემა საგადასახდო მოთხოვნა. მედიაციის მხარეებს წარმოადგენენ აუდიტორი და გადასახადის გადამხდელი. ეს ინსტიტუტი საქართველოში ჩამოყალიბდა 2010-2011 წლებში. იგი საინტერესოა იმით, რომ არცერთი ქვეყნის მოდელზე არ არის დაფუძნებული.<sup>3</sup> მედიაცია, ასევე, მოქმედებს სისხლის სამართალშიც და გულისხმობს იმ არასრულწლოვნის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. არასრულწლოვნის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უფლება აქვთ პროკურორს და მოსამართლეს. მედიაციას სისხლის სამართალში ანესრიგებს

<sup>1</sup> მედიაციის შესახებ ნორმა, (თავი XXI1.სასამართლო მედიაცია) 20.12.2012.

<sup>2</sup> საქართველოს მთავრობის 2009 წლის 80 დადგენილება, რომელიც მედიაციის პროცესის წარმოებას ეხება და, ასევე, საქართველოს მთავრობის 117 დადგენილება.

<sup>3</sup> თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტილების ნაციონალური ცენტრი, ცერცვაძე გ. (რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013, 95, <<http://www.ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და მინისტრთა ბრძანებები.<sup>1</sup> ჯერჯერობით, საქართველოში არ არის მიღებული ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოაწესრიგებდა მედიაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კი არ მოიცავს მედიაციასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომლებიც კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. თუმცა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ არის სპეციალური კანონი, შეუძლებელია მან დეტალურად მოაწესრიგოს ყველაფერი, შესაბამისად, იმისთვის რომ ამ ინსტიტუტმა ეფექტურად იმუშაოს საქართველოში, აუცილებელია ცალკე მისი რეგულირება, ისევე, როგორც ეს სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშია.

### 3.3.2. ევროგაერთიანების დირექტივა „კომერციულ და სამოქალაქო საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“

2008 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივა „კომერციულ და სამოქალაქო საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“ არის ძალიან მნიშვნელოვანი აქტი ამ სფეროში. აღნიშნული დირექტივა ეხება მხოლოდ ტრანსნაციონალურ დავებს,<sup>2</sup> თუმცა წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, რომ ის საერთაშორისო<sup>3</sup> მედიაციის შემთხვევაშიც გამოიყენონ.

მასში მოცემულია დებულებები, რომლებიც წარმოაჩენენ მედიაციის, როგორც ინსტიტუტის ძირითად მახასიათებლებს და იმ უპირატესობებს, რომლებიც დავის მედიაციის გზით განხილვისთვისაა დამახასიათებელი. გარდა ამისა, დირექტივა ითვალისწინებს, რომ შესაძლებელია მისი დებულებების გამოყენება შიდა მედიაციის პროცესების დროსაც, თუ წევრ სახელმწიფოებს ექნებათ ამის სურვილი. დირექტივა განსაზღვრავს მედიატორისა და მედიაციის დეფინიციას, ასევე ადგენს მოთხოვნებს, რომელიც მედიატორს წაეყენება. ასევე, ერთგვარად მიჯნავს სასამართლო და არასამართლო მედიაციას. დირექტივის მე-5 მუხლი განსაზღვრავს სასამართლო მედიაციის შემთხვევებს. კერძოდ, პირველი პუნქტის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, სანამ საქმის განხილვა დაიწყება, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, შესთავაზოს მხარეებს გამოიყენონ მედიაცია, იმისთვის, რომ გადაჭრან დავა. ასევე, შესთავაზოს მხარეებს, რომ დაესწრონ საინფორმაციო სესიებს მედიაციის გამოყენების შესახებ, თუ ასეთი სესიები ტარდება და შესაძლებელია დასწრება. ეს დებულება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ხშირად მხარეებს წარმოადგენდაც არ აქვთ რა არის მედიაცია, რა უპირატესობები აქვს ამ გზით დავის განხილვას და როდესაც მათ ეს განემარტებათ ან ესწრებიან საინფორმაციო შეხვედრებს, საშუალება ეძლევათ გააკეთონ არჩევანი, ხომ არ სურთ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების გამოყენება. დირექტივა ასევე ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირება, თუ როგორ უნდა დაუკავშირდნენ მედიატორს და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სამედიატორო მომსახურებას ახორციელებენ, ასევე, წაახალისონ პრაქტიკოსი იურისტები, რომ გააცნონ თავიანთ კლიენტებს მედიაციის შესაძლებლობები. ეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებშია მნიშვნელოვანი, სადაც მედიაცია ახალი ინსტიტუტია და საზოგადოების ფართო ნაწილისთვის უცნობია ის მთელი რიგი უპირატესობები, რაც ამ გზით დავის გადაწყვეტისთვის არის დამახასიათებელი.

<sup>1</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის 216 ბრძანება; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის 94 ბრძანება; საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის 29 ბრძანება.

<sup>2</sup> ტერმინი „ტრანსნაციონალური“ გამოყენებულია იმ დავების აღსანიშნად, რომლებიც კერძო ხასიათს ატარებენ და, ამავე დროს, სცდებიან ერთი სახელმწიფოს ფარგლებს. იხ. თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტილების ნაციონალური ცენტრი, ცერცვა|ქე გ. (რედ.), მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013, 25, სქ. 28, <<http://www.ncadr-tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>.

<sup>3</sup> იქვე: „საერთაშორისო“ უფრო მეტად ნიშნავს ისეთ დავას, როდესაც წინა პლანზე საჯაროსამართლებრივი ელემენტი გადმოდის.

დირექტივაში განსაზღვრულია მედიაციის პროცესთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- 1) მედიაციისა და მედიატორის დეფინიცია, მედიატორისადმი წაყენებული ისეთი მოთხოვნა, როგორებიცაა: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და კვალიფიციურობა. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება ჩამოაყალიბონ ქცევის კოდექსი მედიატორთათვის, სადაც შეეძლება დეტალურად მოაწესრიგონ ყველა საკითხი;
- 2) ხაზგასმულია მედიაციის პროცესის ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებლებზე როგორებიცაა, ნებაყოფლობითობა, მხარეების მიერ პროცესის თავად წარმართვის შესაძლებლობა (უფლება ნებისმიერ დროს უარი თქვან საქმის განხილვაზე), კონფიდენციალურობა, ეფექტიანობა, რაც დავის უფრო სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით გადაწყვეტის შესაძლებლობას გულისხმობს;
- 3) სამედიატორო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს მხარეების უფლებას გააფორმონ შეთანხმება, რომლითაც მათ შორის წარმოშობილი დავის განხილვა მოხდება მედიაციის გზით. ასევე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების შესაძლებლობას;
- 4) მედიაციის გავლენა ხანდაზმულობის ვადებზე. მედიაციის პროცესის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში სასამართლოს ან არბიტრაჟისადმი მიმართვის შესაძლებლობა;
- 5) საზოგადოების ინფორმირების უზრუნველყოფა;
- 6) თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მედიაციის პროცესში. მართალია, დირექტივაში დაკონკრეტებული არ არის, თუმცა, სავარაუდოდ, აქ იგულისხმება ონლაინ მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა, რაც უკვე არაერთ ქვეყანაშია დაწინაურებული;
- 7) სასამართლო და არასამართლო მედიაციის განსხვავება.

აღნიშნულმა დირექტივამ, იქედან გამომდინარე, რომ მოაწესრიგა მედიაციასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები, ამით წევრ სახელმწიფოებს მიუთითა, თუ რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ამ სფეროში შიდა კანონმდებლობის შემუშავების დროს. ხოლო ის საკითხები, რომლებიც ამომწურავად არ არის განხილული ან კორექტირებას საჭიროებს, თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ დაარეგულიროს, აღნიშნული დირექტივით დადგენილი სავალდებულო დებულებების გათვალისწინებით.

### 3.4. დავის განხილვის საგანი და პროცედურები

#### 3.4.1. მედიაციის გზით განსახილველი საქმეები

ამ ეტაპზე მედიაციის გამოყენება რეკომენდებულია შემდეგ სფეროებში: საოჯახო დავები, ბიზნესი, საჯარო ხელისუფლების სფერო, სამეზობლო დავები, სკოლები და სოციალური საქმიანობა, სისხლის სამართალი, საერთაშორისო პოლიტიკა, მემკვიდრეობითი სამართალი, შრომის სამართალი, კერძო სამშენებლო სამართალი, კონფლიქტების მენეჯმენტი შიდაკორპორაციულ ურთიერთობებში, ინჰოლვენციის

(გაკოტრების) სამართალი, სადაზღვევო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, ბუნების დაცვის სამართალი, სამედიცინო სამართალი.<sup>1</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>3</sup> მუხლის თანახმად სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს:

ა) საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, „მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა;

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 146.

- ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე;
- გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე;
- დ) ნებისმიერ დავაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

ნოტარიატის შესახებ კანონის 38<sup>1</sup> მუხლიც ანალოგიურად განსაზღვრავს მედიაციის გზით განსახილველ საქმეებს, მხოლოდ დამატებით ადგენს, რომ მედიაცია შესაძლოა გავრცელდეს ნებისმიერ სხვა დავაზე, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის ასეთ დავაზე მედიაციის განხორციელების სპეციალური წესი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველაზე ხშირად მედიაცია გამოიყენება საოჯახო სამართლებრივი დავების დროს, იქიდან გამომდინარე, რომ ამერიკაში განქორწინების რიცხვი მკვეთრად იზრდება, იზრდება მეურვეობასთან დაკავშირებით მედიაციის გამოყენების შემთხვევებიც. მედიაცია საშუალებას აძლევს მშობლებს ითანამშრომლონ და წავიდნენ კომპრომისზე, რათა მიაღწიონ შეთანხმებას.<sup>1</sup>

ტეხასის შტატში, მედიაციის გზით განიხილება განქორწინებასთან დაკავშირებული ყველა დავა. კვლევებმა ცხადყო, რომ 70-80% მხარეების, რომლებიც იყენებდნენ სასამართლო მედიაციას, კმაყოფილნი იყვნენ განხილვითაც და მიღწეული შედეგითაც. მედიაციის გამოყენება ყველა შემთხვევაში არ არის საუკეთესო გამოსავალი, მაგალითად, ის არ შეიძლება გამოიყენონ ისეთი განქორწინებისას, რომელიც ხდება ალკოჰოლიზმის, ძალადობის ან ფსიქიკური მოშლილობის გამო. განქორწინებასთან დაკავშირებულ გარკვეული სახის დავებზე ზოგიერთი სახელმწიფო პირდაპირ კრძალავს სავალდებულო მედიაციის გამოყენებას. ასევე, სავალდებულო მედიაციით განიხილება შემდეგი სახის სამოქალაქო დავები:

1. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის კონფლიქტი (შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავის შემთხვევაში);
2. დასაქმებულის კომპენსაცია;
3. გაკოტრების საქმეები;
4. მცდარი სამედიცინო ქმედებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული საქმეები.<sup>2</sup>

### 3.4.2. დავის განხილვის ფორმა და ვადები

მედიაციის პროცესის დაწყებას შესაძლოა საფუძვლად ედოს მხარეთა წინასწარი შეთანხმება, რომ მათ შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში მედიაციას მიმართავენ მის გადასაწყვეტად, ან შესაძლოა დაიწყოს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, სადაც მოკლედ უნდა იყოს აღწერილი დავის საგანი.<sup>3</sup>

პროცედურები იწყება მას შემდეგ, რაც მეორე მხარე დათანხმდება მოლაპარაკების პროცედურების დაწყებას. მედიატორი, მას შემდეგ რაც დაასახელებენ, სთხოვს ორივე მხარეს, რომ წარუდგინონ მას წერილობითი დოკუმენტი, დავის არსის ზოგადი აღწერით. თითოეული მხარე უგზავნის ამ წერილობითი დოკუმენტის ასლს მეორე მხარეს. მას ასევე შეუძლია მოსთხოვოს თითოეულ მხარეს, რომ წარუდგინონ დამატებითი წერილობითი დოკუმენტი, სადაც გამოხატული იქნება მათი პოზიცია და ფაქტები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან, ასევე, მხარეს შეუძლია დაამატოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი და მტკიცებულება, რასაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ. მხარემ ყველა აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა გაუგზავნოს მეორე მხარესაც. მედიატორმა უნდა იხელმძღვანელოს ობიექტურობის, სამართლიანობის და კეთილსინდისიერების პრინციპით, უნდა განუმარტოს მხარეებს თავიანთი უფლებები და მოვალეობები და დეტალურად გაერკვიოს საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებში. მედიატორი წარმართავს პროცედურებს იმ სახით, როგორც თვითონ ჩათვლის საჭიროდ, მხედველობაში

<sup>1</sup> A Look at Court Mandated Civil Mediation, Drake Law Review, 2000- 2001, 387.

<sup>2</sup> იქვე, 380.

<sup>3</sup> UNCITRAL Conciliation Rules, 1980, Article 2, <<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/conc-rules/conc-rules-e.pdf>>.

იღებს საქმის გარემოებებს და მხარეთა სურვილს, რომელიც შესაძლოა გამოთქვან, ასევე, მხარეთა ნებისმიერ მოთხოვნას, რომელსაც ისინი ზეპირ მოსმენაზე დააყენებენ, და რომელიც საჭიროა

იმისთვის, რომ დავა უფრო სწრაფად გადაწყდეს. მედიატორს შეუძლია შესათავაზოს მხარეებს, რომ მათ შორის კომუნიკაცია მოხდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ასევე შეუძლია შეხვედეს თითოეულ მხარეს ცალ-ცალკე.

რაც შეეხება დავის განხილვის ადგილს, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მას ადგენს მედიატორი მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ და საქმის განხილვის პროცედურების თავისებურებების გათვალისწინებით. საქმის განხილვისას, როდესაც მედიატორი ერთი მხარისგან იღებს საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, მან ამ ინფორმაციის შინაარსი უნდა აცნობოს მეორე მხარეს, რათა მას განმარტების საშუალება მიეცეს, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს. მეორე მხრივ, თუ ინფორმაციის გამჟღავნებისას, მხარე მოითხოვს რომ ის დარჩეს საიდუმლოდ, მედიატორი ვალდებულია არ გაუმჟღავნოს აღნიშნული ინფორმაცია მეორე მხარეს. მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული მედიაციის შესახებ ანალოგიურად აწესრიგებს საქმის განხილვის ფორმას. რაც შეეხება მედიაციის პროცესის ხანგრძლივობას, ის დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის, საქმის სირთულეზე, თუ როგორ არიან მხარეები მომზადებულნი მედიაციისათვის, როგორ ვითარდება მხარეთა შორის მოლაპარაკების პროცესი. კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ არის UNCITRAL-ის მოდელური კანონით და ევროსაბჭოს დირექტივით. თუმცა, არის მითითება, რომ ვადა უნდა იყოს გონივრული და დავის განხილვა უნდა დასრულდეს სწრაფად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>5</sup> მუხლის მიხედვით, სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს, მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა. ვადა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით. ონტარიოს შტატის სავალდებულო მედიაციის წესების მიხედვით, მხარეებს მხოლოდ სამ შეხვედრაზე დასწრების ვალდებულება აქვთ, მედიატორს შეუძლია შეწყვიტოს პროცედურები, თუ აშკარაა, რომ პროცესი მხარეებისთვის კონსტრუქციული არ არის.<sup>1</sup> მონტანას შტატის მედიაციის შესახებ საკანონმდებლო აქტის მიხედვით კი მხარეებს და მედიატორს აქვთ 75 დღე, რათა დაასრულონ დავა.<sup>2</sup>

### 3.4.3. დავის განხილვის დასრულება

UNCITRAL- ის მოდელური კანონის და UNCITRAL Conciliation Rules-ის მიხედვით მედიაციის პროცესი სრულდება:

1) მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, შეთანხმების მიღწევის მომენტიდან;

2) მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, მედიატორის მიერ წერილობითი განცხადებით, რომ პროცედურების შემდგომ გაგრძელება არ არის მიზანშეწონილი და არ გაამართლებს;

3) მხარეთა მიერ მედიატორისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომ მედიაციის პროცესი შეწყდა;

4) მედიაციის პროცესის შეწყვეტის შესახებ, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის ან მედიატორისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

როდესაც მედიატორი ხვდება, რომ არსებობს საკითხები, რომლებიც მხარეთათვის მისაღებია, ის აყალიბებს მორიგების შესაძლო პირობებს და მას შენიშვნებისათვის უგზავნის მხარეებს. მას შემდეგ რაც მხარეთა შენიშვნებს მიიღებს, ის შენიშვნების გათვალისწინებით ხელახლა აყალიბებს მორიგების პირობებს. თუ მხარეები საბოლოოდ შეთანხმდებიან, ისინი აფორმებენ წერილობით შეთანხმებას და ხელს აწერენ მას.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მედიაციის წესების მიხედვით დავის განხილვა წყდება:

<sup>1</sup> Mandatory Mediation Program, Under rule 24.1 and 75.1 of the Rules of Civil Procedure.

<sup>2</sup> A look at Court Mandated Civil Mediation, Drake Law Review, 2000- 2001, 377.

- 1) მხარეთა მიერ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან;
- 2) მედიატორისადმი ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომ შეწყდეს მედიაციის პროცედურები;
- 3) მედიატორის მიერ მხარეთათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომ მისი აზრით მოლაპარაკების პროცედურებს არ შეუძლია მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაჭრა;
- 4) მოლაპარაკების პროცედურებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ არ მოხდება ვადის გაგრძელება. ამის შესახებ მედიატორმა წერილობით უნდა აცნობოს მხარეებს;
- 5) წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მედიატორისა და მხარეებისთვის, არა უადრეს 15 დღისა ნებისმიერი გადასახადის გადახდის ვადის ამოწურვიდან, თუ მხარეებმა დადგენილი წესით არ გადაიხადეს გადასახდი;
- 6) წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მხარეთათვის, რომ ვერ მოხერხდა შესაბამისი მედიატორის დანიშვნა.

### 3.4.4. გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება

ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი საკითხი, როგორცაა მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმების დაცვა და აღსრულება. დირექტივა ადგენს, რომ მედიაცია არ უნდა ჩაითვალოს, სასამართლო განხილვასთან შედარებით, ცუდ ალტერნატივად იმის გამო, რომ მედიაციის დროს მიღებული შეთანხმების შესრულება მხოლოდ მხარეთა კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, წერილობითი შეთანხმების გაფორმებისას გაითვალისწინონ, რომ მათი შეთანხმება იყოს აღსრულებადი. შესაძლებელია ამგვარი დათქმის გაკეთებაზე უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების შინაარსი ეწინააღმდეგება წევრი სახელმწიფოების სამართალს, მათ შორის, საერთაშორისო კერძო სამართალს ან თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამ კონკრეტული სახის შეთანხმებისთვის აღსრულებას. აქვეა დაკონკრეტება, რომ ეს არის ისეთი შემთხვევა, როცა ვალდებულება, რომელიც შეთანხმებაშია მითითებული თავისი ბუნებით არის შესასრულებლად შეუძლებელი. აღნიშნული შეთანხმების სავალდებულოობას, ასევე ითვალისწინებს დირექტივის მე-6 მუხლი, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მხარეების უფლებას, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა მედიაციის გზით მიღებულმა შეთანხმებამ შეიძინოს სავალდებულო ძალა. მედიაციის შედეგის სავალდებულოობის და აღსრულების შესაძლებლობის გათვალისწინება არის კიდევ ერთი ფაქტორი მედიაციის სასარგებლოდ აღსრულების მექანიზმის არარსებობა, მისი როგორც ინსტიტუტის დანიშნულებას შეასუსტებდა. შესაძლებელია მხარეთა შორის დავა ისე დასრულდეს, რომ ამგვარი დათქმის გაკეთება სავალდებულო არ გახდეს და თვითონ შეთანხმების შინაარსიდან მისი აუცილებლობა არ იკვეთებოდეს, მაგრამ დამცავი მექანიზმის არსებობა აუცილებელია, მხარეებს კი თვითონ შეუძლიათ განსაზღვრონ მისი საჭიროება.

მოდელური კანონის მე-14 მუხლის თანახმად, თუ მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას, მათ შორის წარმოშობილი დავის გადასაჭრელად, ასეთი შეთანხმება არის აღსრულებადი და შესასრულებლად სავალდებულო. აქვეა დათქმა, რომ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აღსრულების მეთოდი თავად დაადგინონ ან გამოიყენონ ამგვარი აღსრულებისთვის დადგენილი წესები.

## 4. არბიტრაჟისა და მედიაციის საერთო ნიშნები

### 4.1. პროცესის კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურობის პრინციპი დაცულია როგორც მედიაციის, ისე არბიტრაჟის შემთხვევაში. მართალია, აღნიშნული პრინციპი აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს და არის დადგენილი წესიდან გამონაკლისებიც, თუმცა, სასამართლო განხილვასთან შედარებით, რომელიც მთლიანად საჯაროა, გაცილებით მეტადაა დაცული მხარეთა ინტერესები ამ კუთხით. სა-



ერთაშორისო არბიტრაჟში, სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია. ეს წესი ვრცელდება არბიტრაჟში საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე, მათ შორის, დავის არსებობის შესახებ ცნობებზე, დავაში მონაწილე/ჩართული მხარეების იდენტიფიცირებაზე, გადანყვეტილების შინაარსზე და ა.შ.<sup>1</sup> არბიტრაჟის შესახებ კანონის, 32-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა საარბიტრაჟო განხილვა უნდა იყოს დახურული. წარმოდგენილი საბუთი, მტკიცებულება, წერილობითი თუ ზეპირი განცხადება, არ უნდა იქნას საჯაროდ გამოქვეყნებული ან გადაცემული და გამოყენებული სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში. საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის წესების მიხედვით, თუ მხარეები მკაფიოდ არ შეთანხმდებიან სხვაგვარად, ვალდებულნი არიან კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამომდინარე, არ გამჟღავნონ საარბიტრაჟო სამართალწარმოებისას მიღებული გადანყვეტილებები, ასევე, იმ დოკუმენტების შინაარსი, რაც განხილვის პროცესში იქნა გამოყენებული, ასევე, ყველა სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელიც წარდგენილ იქნა სხვა პირის მიერ საარბიტრაჟო განხილვისას და რომელიც არ არის განკუთვნილი საჯარო გაცნობისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ გამჟღავნება აუცილებელია, რათა მხარემ დაიცვას ან განახორციელოს თავისი სამართლებრივი უფლება. თუ მხარეს აქვს გამჟღავნების კანონიერი ინტერესი, ეს აუცილებელია გადანყვეტილების აღსასრულებლად ან იმისთვის, რომ გადანყვეტილება გამოტანილ იქნას სხვა სახის სამართალწარმოებაში, რომელიც უფრო ადრე მიმდინარეობდა, სასამართლოში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში.<sup>2</sup>

კონფიდენციალურობიდან გამონაკლისს ითვალისწინებს UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებიც, რომლის მიხედვითაც, საარბიტრაჟო გადანყვეტილება შესაძლოა გახდეს საჯარო, მხოლოდ ყველა მხარის თანხმობის შემთხვევაში, ან თუ მხარეს აქვს კანონიერი ინტერესი მოითხოვოს გადანყვეტილების გამჟღავნება, რათა დაიცვას ან განახორციელოს თავისი კანონიერი უფლება, ან თუ გადანყვეტილება მას სჭირდება სასამართლოში ან სხვა კომპეტენტურ ორგანოში წარსადგენად. დირექტივის მე-7 მუხლი ეხება კონფიდენციალურობის დაცვას. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციის პროცესი წარმოებს იმ ფორმით, რომელიც აღიარებს კონფიდენციალურობას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, არც მედიატორს და არც სხვა პირს, რომელიც სამსახურებრივად დაკავშირებულია მედიაციის პროცესთან არ შეიძლება აიძულონ, ჩვენება მისცენ სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვისას, იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაც მათ შეიტყვეს მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას გარდა:

1) როდესაც ეს აუცილებელია წევრი სახელმწიფოს საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა, რომ დაცულ იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ან თავიდან იქნას აცილებული პირისთვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი;

2) სადაც მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმების შინაარსის გამჟღავნება აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს შეთანხმების განმარტება ან აღსრულება. ასევე, დირექტივის შესავალ ნაწილში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ კონფიდენციალურობის დაცვა აუცილებელია სასამართლო ან საარბიტრაჟო წესით საქმის განხილვისას.

ეს არ შეიძლება ჩაითვალოს კონფიდენციალურობის ამომწურავ და სრულყოფილ ფორმულრებად. პირველ რიგში იმის გამო, რომ დადგენილია მხოლოდ მედიატორთა და მედიაციის პროცესში სამსახურებრივად მონაწილე პირების მიერ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, მაშინ როცა საერთოდ არ არის ნახსენები რომ მხარეებიც უნდა იყვნენ ვალდებულნი დაიცვან კონფიდენციალურობა. ერთი მხრივ, ორივე მხარე დაცული ჩანს, რადგან მედიატორს არ შეუძლია ინფორმაციის გამჟღავნება, მაგრამ მეორე მხრივ, მხარეებს შეუძლიათ

<sup>1</sup> *სარაჯიშვილი გ.*, არბიტრაჟი - საერთაშორისო კომერციული დავების გადანყვეტისოპტიმალური გზა, ჟურნალი „ადვოკატი“, თბ., 2011, 33.

<sup>2</sup> LCIA Arbitration Rules, Effective 1 January 1998, Article 10.3, <[http://www.lcia.org/Dispute\\_Resolution\\_Services/LCIA\\_Arbitration\\_Rules.aspx](http://www.lcia.org/Dispute_Resolution_Services/LCIA_Arbitration_Rules.aspx)>.

ერთმანეთის წინააღმდეგ გამოიყენონ ის ინფორმაცია, რომელიც მედიაციის პროცესში ერთმანეთს გაუმჟღავნეს, იმ მოლოდინით, რომ მედიაცია წარმატებით დასრულდებოდა. შესაძლებელია მხარეები მორიგდნენ კიდევ, მაგრამ მაინც აუცილებელია, დაწესდეს აკრძალვა, რომ არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია მომავალში, რომელსაც ერთმანეთის შესახებ შეიტყობენ მედიაციის პროცესში. მედიაციის წარმატებით დასრულებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ის, რომ მხარეები იყვენ გულახდილნი, რათა გაირკვეს და აღმოიფხვრას დავის მიზეზი, შესაბამისად, მათ თავი დაცულად უნდა იგრძნონ, რომ ყველანაირი სახის ინფორმაცია გაამჟღავნონ.

კონფიდენციალურობის პრინციპს, დირექტივის მსგავსად, აწესრიგებს ევროპული ქცევის კოდექსი მედიატორთათვის,<sup>1</sup> რომლის მიხედვითაც მედიატორმა საიდუმლოდ უნდა შეინახოს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მედიაციის პროცესთან, ისიც კი რომ მედიაციის გზით იხილება ესა თუ ის დავა, თუ გამჟღავნების აუცილებლობა არ იქნება საჯარო ინტერესიდან ან კანონიდან გამომდინარე. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ერთი მხარე გაუმჟღავნებს მედიატორს ნდობის საფუძველზე, არ უნდა გახდეს ცნობილი მეორე მხარისთვის, თვითონ ამ მხარის ნებართვის გარეშე. კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, თუ გამჟღავნება აუცილებელია გადანყვეტილების განმარტებისა და აღსრულებისათვის.<sup>2</sup> გარდა ამისა, კონფიდენციალურობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ რადგან მედიაციის პროცესი დახურულია, თითოეულმა მხარემ უნდა გადაუფგზავნოს მეორე მხარეს და მედიატორს იმ პირების ვინაობა და რაოდენობა, რომლებიც დაესწრებიან მედიაციის პროცესს.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ მხარეები და მედიატორი, იღებენ ვალდებულებას, რომ მედიატორი არ მიიღებს მონაწილეობას, როგორც არბიტრი, როგორც მხარის წარმომადგენელი ან როგორც დამცველი საარბიტრაჟო ან სასამართლო განხილვაში, იმ საქმესთან დაკავშირებით, რაც იყო მედიაციის პროცედურების საგანი. მხარეები ასევე იღებენ ვალდებულებას, რომ ისინი არ დაასახელებენ მედიატორს, როგორც მოწმეს სხვა სახის სამართალწარმოებაში.<sup>4</sup> სსკ-ის 187<sup>8</sup> მუხლი, რომელიც ეხება მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობას, ადგენს როგორც მედიატორის, ისე მხარეთა და მათი წარმომადგენლების ვალდებულებას არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მართალია, არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აწესრიგებს კონფიდენციალურობას ამომწურავად, მაგრამ ვინაიდან ის არ არის ცალკე კანონი მედიაციაზე, ყველა საკითხი ვერ იქნება მოწესრიგებული, რაც მედიაციის პროცესისთვისაა დამახასიათებელი. ვინაიდან მედიაცია ჯერ ახლა ინერგება ქართულ კანონმდებლობაში და ჩამოყალიბების პროცესშია, სამომავლოდ ალბათ მიღებული იქნება ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ყველა საკითხს მოაწესრიგებს.

## 4.2. ნეიტრალური მესამე პირი (მედიატორი, არბიტრი)

ნეიტრალურობა გულისხმობს, რომ არბიტრს და მედიატორს არ უნდა ჰქონდეთ რაიმე სახის ფულადი ან სამართლებრივი ინტერესი განხილვის შედეგისადმი, არ უნდა მიანიჭონ რომელიმე მხარეს უპირატესობა საქმის განხილვისას და უნდა იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები, ასევე, უნდა უზრუნველყონ პროცესში მონაწილე მხარეთა თანასწორობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნეიტრალური იყოს არბიტრი, რადგან ის მხარეთათვის სავალდებულო გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდე-

<sup>1</sup> European Code of Conduct for Mediators, 2004, Article 4, <[http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr\\_ec\\_code\\_conduct\\_en.pdf](http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf)>.

<sup>2</sup> UNCITRAL Conciliation Rules, Article 14.

<sup>3</sup> LCIA Mediation Rules, Effective 1 July 2012, Article 5.4, <[http://www.lcia.org/Dispute\\_Resolution\\_Services/LCIA\\_Mediation\\_Rules.aspx](http://www.lcia.org/Dispute_Resolution_Services/LCIA_Mediation_Rules.aspx)>.

<sup>4</sup> UNCITRAL Conciliation Rules, Article 19.

ბელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით, კანონის მოთხოვნათა დაცვით. ასევე, კანონით გათვალისწინებული არბიტრის აცილების პროცედურა და შემთხვევები, როდესაც დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა.<sup>1</sup> რაც შეეხება მედიაციას, დირექტივაში არაფერია ნათქვამი მედიატორის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. მხოლოდ ზოგადი ფორმულირებაა მე-3 მუხლში და შესავალში მე-17 ნაწილში მოცემული, რომ მედიატორი უნდა იყოს მიუკერძოებელი, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის. დირექტივის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი აძლევს წევრ სახელმწიფოებს შესაძლებლობას შეიმუშაონ ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსები მედიატორებისა და იმ ორგანიზაციების დახმარებით, რომლებიც ახორციელებენ სამედიატორო მომსახურებას. შესაძლებელია სწორედ ამგვარი ქცევის კოდექსებით მოაწესრიგონ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული საკითხები, რადგან დირექტივა თავისთავად ყველა საკითხს ამომწურავად ვერ მოაწესრიგებს.

ევროპული ქცევის კოდექსი მედიატორთათვის მე-2 თავში აწესრიგებს ამ საკითხებს. თუ არსებობს გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მედიატორის დამოუკიდებლობაზე, ან როდესაც შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი, მედიატორმა უნდა გაუმჟღავნოს მხარეებს ეს გარემოებები, სანამ დაიწყებს ან გააგრძელებს სამედიატორო უფლება-მოვალეობათა განხორციელებას.

ასეთი გარემოებებია:

- 1) რაიმე სახის პირადი ან საქმიანი ურთიერთობა ერთ ან რამოდენიმე მხარესთან;
- 2) ნებისმიერი ფინანსური ან სხვა სახის ინტერესი, პირდაპირი ან არაპირდაპირი, დაკავშირებული მედიაციის შედეგთან;
- 3) მედიატორი ან მისი ფირმის წევრი, ახორციელებენ რაიმე სახის საქმიანობას ერთი ან რამოდენიმე მხარის სასარგებლოდ გარდა მედიაციისა.

ინტერესთა კონფლიქტს ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის დადგენილება,<sup>2</sup> რომელიც ეხება სამედიაციის მედიაციას. 5.2 მუხლი განსაზღვრავს თუ რისი უფლება არ აქვს მედიატორს და ასევე ადგენს,

რომ ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას მიღებული გადაწყვეტილება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

#### 4.3 მოქნილობა – მხარეთა შეთანხმება გამოსაყენებელ პროცედურებზე

ორივე შემთხვევაში, მხარეებს საშუალება აქვთ თავად შეთანხმდნენ განხილვის წესზე, თუ რა ფორმით სურთ დავის განხილვა, რათა ის არ იყოს სასამართლო განხილვის მსგავსად მკაცრად პროცედურული ხასიათის. მხარეებს შესაძლებლობა აქვთ თავად გადაწყვიტონ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: არბიტრისა და მედიატორის არჩევა, მათი რაოდენობის განსაზღვრა, კვალიფიკაციის კრიტერიუმები, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მათთვის მისაღები მედიატორი/ არბიტრი, რომელსაც მეტი გამოცდილება აქვს შესაბამისი სახის დავების განხილვაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ შემთხვევაში დავის განხილვა და გადაწყვეტაც უფრო სწრაფად მოხდება და ალბათობაც დიდია, რომ უფრო სწორი გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი. გარდა ამისა, როდესაც მხარეები თავად ირჩევენ ნეიტრალურ მესამე პირს/პირებს, ეს ნიშნავს რომ მას ენდობიან და მისდამი დადებითად არიან განწყობილი, რაც მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მომენტიცაა. აღსანიშნავია, რომ პროცედურული თავისუფლების ხარისხი, როგორც წესი, დროებითი არბიტრაჟების შემთხვევაში, ბევრად მაღალია, რადგან მუდმივმოქმედი არბიტრაჟები, საბოლოოდ, მაინც საკუთარ წესებს ეყრდნობიან და იყენებენ და მხარეებს შესაძლოა ბევრი არაფრის შეცვლის შესაძლებლობა არ მიეცეთ. მხარეებს, ასევე, საშუალება აქვთ აირჩიონ საარბიტრაჟო განხილვის ენა და ადგილი, შეუძლიათ შე-

<sup>1</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი და მე-12 მუხლი.

<sup>2</sup> 2012 წლის 29 თებერვალს მიღებული საქართველოს მთავრობის №80 დადგენილება.

თანხმდნენ რა სახის მტკიცებულებები უნდა წარადგინონ და რა ფორმით, ასევე პროცედურების ჩატარების მათთვის სასურველ განრიგზე, სხვადასხვა საკითხებზე, რაც შეიძლება წამოიჭრას დავის განხილვის პროცესში და რაზეც შეიძლება, რომ მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას.

## 5. ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, რომლებშიც მედიაციის უპირატესობა ვლინდება

### 5.1. საქმის განხილვის სისწრაფე და ნაკლები ხარჯები

როდესაც საქმე ეხება პროცესის ხარჯებს, ეს შეფასების საკითხია და ყოველ კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით განსხვავებულია. შესაძლებელია, რომ სასამართლო განხილვასთან შედარებით, არბიტრაჟის მეშვეობით დავის განხილვისას, მხარეებს უფრო ნაკლები ხარჯები წარმოეშვათ, ვიდრე სასამართლოში, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება. საარბიტრაჟო სამართალწარმოების ხარჯებსა და საფასურს მთლიანად იხდიან მხარეები, საარბიტრაჟო სამართალწარმოებისას, ასევე, აუცილებელია მხარეებმა გადაიხადონ სასამართლოს ადმინისტრაციის შიდა ხარჯები და საფასური. კონკრეტულ შემთხვევაში, არბიტრების საფასური შეიძლება იყოს საკმაოდ სოლიდური, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არბიტრების ანაზღაურება დავის საგნის ღირებულების მიხედვით განისაზღვრება. ასევე ნაგებულ მხარეს შესაძლოა დაეკისროს პროცესის ხარჯების გადახდა, მთლიანად ან ნაწილობრივ.<sup>1</sup> დღესდღეობით, არბიტრაჟი მრავალი მიმართულებითაა კრიზისულ მდგომარეობაში. აშშ-ში პრაქტიკოსი იურისტები ჩივიან, რომ არბიტრაჟის გამოყენება ბიზნესთან დაკავშირებულ დავებში არის ისეთივე ნელი და ძვირადღირებული, როგორც სამართალწარმოება. სტეფანოვიჩი ახასიათებს ამჟამინდელ არბიტრაჟს, როგორც ახალ სამართალწარმოებას, ხოლო მედიაციას კი მოიხსენიებს, როგორც დავის გადაწყვეტის ყველაზე პოპულარულ და მოქნილ მეთოდს, რომელიც მხარეებს სთავაზობს იმ ღირებულებებს, რაც ტრადიციულად არბიტრაჟთან ასოცირდებოდა.<sup>2</sup> ერთადერთი რაც ხარჯების სიმცირესთანაა დაკავშირებული არბიტრაჟის შემთხვევაში და რაც უდავოდ მის დადებით მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ეს არის ის, რომ რადგან გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება, შესაბამისად, მხარეებს აღარ დაეკისრებათ ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია საქმის ზედა ინსტანციებში განხილვასთან.

რაც შეეხება სასამართლო მედიაციის ხარჯებს საქართველოში, ის ნამდვილად გაცილებით მცირეა, რადგან მედიაციის გამოყენების შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ბაჟი 3%-ის ნაცვლად 1%-ია. გარდა ამისა, 70% მხარეს უკან უბრუნდება, თუ დავა შეთანხმებით დასრულდება. „მედიაციის პროცესი შედარებით ნაკლებ ხარჯებს უკავშირდება, სასამართლო პროცესი კი სახელმწიფო ბაჟის, ექსპერტიზის გადასახადის, ადვოკატის ჰონორარის და სხვა სასამართლოსგარეშე ხარჯების დაფარვას გულისხმობს“.<sup>3</sup> რაც შეეხება განხილვის ვადების შედარებას მედიაციისა და არბიტრაჟის შემთხვევაში, ხარჯებისგან განსხვავებით, ის პირდაპირაა დადგენილი და სხვაობა აშკარაა. მაშინ როცა საარბიტრაჟო განხილვა შესაძლოა თვეების განმავლობაში გაგრძელდეს, მედიაციის პროცესი შესაძლოა ორ შეხვედრაში დასრულდეს. საარბიტრაჟო განხილვას ნამდვილად აქვს პოტენციალი, რომ იყოს უფრო სწრაფი, ვიდრე სასამართლო სამართალწარმოება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლო სისტემა ძალიან გადატვირთულია საქმეებით, თუმცა არ არსებობს გარანტია იმისა, რომ არბიტრაჟით განხილვისას უფრო შეიძლება დროის დაზოგვა, ვიდრე სამართალწარმოებისას.<sup>4</sup> გარდა იმისა, რომ მედიაცია ბევრად ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული ვიდრე არბიტრა-

<sup>1</sup> Lorcher T., Mavrogordato Z., CMS Guide to Arbitration, Frankfurt, Germany, 2009, 25.

<sup>2</sup> Nolan-Haley J., Mediation- the New Arbitration, Harvard Negotiation Law Review, Vol. 17:61, 2012, 66-67.

<sup>3</sup> ზამბახიძე თ., მორიგება დავის ნაცვლად, ჟურ. „ლიბერალი“, თბ., 2012, <<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/110271/>>.

<sup>4</sup> Lorcher T., Mavrogordato Z., CMS Guide to Arbitration, Frankfurt, Germany, 2009, 25.

ჟი, დავის განხილვაც სწრაფად ხდება, რადგან მხარეები ყველა სახის პროცედურას თავად განსაზღვრავენ პროცესის მიმდინარეობისას და შეუძლიათ შეთანხმდნენ მათთვის სასურველ ვადაზე, თუ რა დროშია მათთვის მისაღები განხილვის დასრულება. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო მედიაციის შემთხვევაში ვადა კანონმდებლობითაა დადგენილი, ეს მედიაციის პროცესის სისწრაფეს ხელს არ უშლის, რადგან სწორედ იმისთვისაა მედიაცია, რომ დავა უფრო სწრაფად გადაწყდეს, შესაბამისად, კანონმდებელივე ადგენს დავის განხილვის დასრულების საკმაოდ ოპტიმალურ და მცირე ვადებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>5</sup> მუხლით საქმის განხილვის ვადა არ აღემატება 45 დღეს, მხარეთა შეთანხმებით ის შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით, მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის დროს ვადა 180 დღეა და მისი გაგრძელებაც შეიძლება. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის პროექტით, დაწესებული იყო საარბიტრაჟო განხილვისთვის 90-დღიანი ვადა, რომელიც აითვლებოდა მოპასუხის მიერ დავის არბიტრაჟში გადაცემის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში პრობლემას ქმნიდა ის ფაქტი, რომ „თანამედროვე საარბიტრაჟო განხილვის ვადები არ იძლევა შესაბამისი პროცედურის ასე სწრაფად განხორციელების შესაძლებლობას“.<sup>2</sup>

საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის წესების მიხედვით, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.<sup>3</sup> გარდა ამისა, როდესაც მედიაციის პროცესის შემჭიდროვებულ ვადებზეა საუბარი, ეს არა მხოლოდ მხარეების დროს ზოგავს, არამედ მოსამართლეებისასაც, რადგან მათ აღარ უნევთ ყველა კატეგორიის დავის თავად განხილვა და, ძირითადად, მნიშვნელოვან და პრობლემურ საქმეებს უთმობენ ყურადღებას, რაც პირდაპირ კავშირშია სასამართლო სისტემაში დავის განხილვის პროცედურების უფრო მეტად დაჩქარებასთან.

## 5.2. მხარეების მიერ შედეგის განსაზღვრის უფლებამოსილება

ეთიკის კოდექსები და პრაქტიკული სტანდარტების უმრავლესობა მედიაციას განსაზღვრავენ, როგორც ნებაყოფლობით პროცესს, რომელიც ეფუძნება მხარეთა თვითგამორკვევას, სადაც მხარეები თვითონ განსაზღვრავენ შედეგს. სწორედ ეს განასხვავებს მედიაციას არბიტრაჟისგან, სადაც გადაწყვეტილება გამოაქვს ნეიტრალურ მესამე პირს. მედიაციის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ნებაყოფლობითობა და მხარეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა საკუთარი პასუხისმგებლობით. სწორედ მხარეთა მიერ შედეგის განსაზღვრის შესაძლებლობაა მედიაციის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი, რაც მას განასხვავებს სასამართლოსა და არბიტრაჟისგან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავად მხარეებს აქვთ სურვილი მოილაპარაკონ და შეთანხმების გზით მივიდნენ ორივე მხარისთვის სასურველ შედეგამდე. მედიაციის პროცესის ძირითადი არსიც ეს არის – ამ შემთხვევაში არ არსებობს გამარჯვებული ან დამარცხებული – ორივე მხარე მოგებულა, რადგან ისინი ერთმანეთში თანხმდებიან, და არ არიან იძულებულნი დაემორჩილონ არბიტრის ან მოსამართლის გადაწყვეტილებას, რომელიც ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთი მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტს დავას. იმისთვის, რომ შედეგი იქნას მიღწეული, აუცილებელია, რომ მხარეები იყვნენ კეთილსინდისიერნი ერთმანეთის მიმართ, გაიგონ ერთმანეთის პოზიცია სადავო საკითხებთან დაკავშირებით და, შეძლებისდაგვარად, მხედველობაში მიიღონ მეორე მხარის ინტერესიც.

<sup>1</sup> კანონპროექტის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>2</sup> ბინდერი პ. მ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-2/3, 196.

<sup>3</sup> ICC Rules of Arbitration, The Current Rules are in Force as From 1 January 2012, Article 24.1., <<http://www.iccwbo.org/Products-and-Services/Arbitration-and-ADR/Arbitration/ICC-Rules-of-Arbitration/>>.

### 5.3. გადაწყვეტილების არასავალდებულო ხასიათი და იძულებითი აღსრულების საფრთხის არარსებობა

არბიტრაჟის შემხვევაში მიღებული გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში სავალდებულოა მხარეთათვის. გარდა ამისა, დაუშვებელია მისი სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება. თუმცა ის ფაქტი, რომ ზედა ინსტანციაში აღარ ხდება გადაწყვეტილების გასაჩივრება, არ ნიშნავს გადაწყვეტილების აბსოლუტურობას, რადგან „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების საფუძვლებს.<sup>1</sup> მედიაციის ერთ-ერთ დადებით მახასიათებლად, სწორედ ეს შეიძლება იქნას მიჩნეული, რომ სასამართლოსა და არბიტრაჟისგან განსხვავებით, მედიაციის შედეგად მიღებული შეთანხმება არ ექვემდებარება სავალდებულო წესით აღსრულებას. თუმცა მხარეებს თავად შეუძლიათ განსაზღვრონ, რომ დავის დასრულების შემდგომ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება აუცილებლად უნდა აღსრულდეს. ვინაიდან მედიაციის შედეგად მიღებული შეთანხმების აღსრულება შესაძლებელია მხარეთა სურვილის შემთხვევაში, არ არის აუცილებელი, რომ თავიდანვე მოხდეს ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირება და არბიტრაჟის მსგავსად, პირდაპირ ჩაინეროს კანონში, რომ სავალდებულო წესით ექვემდებარება გადაწყვეტილება აღსრულებას. რადგან შეთანხმება მხარეთა მორიგების შედეგია, ივარაუდება, რომ ისინი მას ნებაყოფლობითაც შეასრულებენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ერთ-ერთი მხარე ჩათვლის რომ არსებობს მედიაციის გზით მიღებული შეთანხმების შეუსრულებლობის საფრთხე, ისინი გაითვალისწინებენ აღნიშნულ შეთანხმებაში პირდაპირ მისი სავალდებულო აღსრულების შესაძლებლობას. ევროსაბჭოს დირექტივის კანონმდებლობაში იმპლემენტირების შემდეგ, მედიაციის შესახებ აქტში შევიდა ცვლილება და მე-18 მუხლში ჩაინერა, რომ მედიაციის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულო ძალა სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსად და ექვემდებარება დამონმებას სასამართლოს მხრიდან. დამონმება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ ორივე მხარე გამოთქვამს თანხმობას და, ასევე, თუ გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ან ზნეობრივ ნორმებს.<sup>2</sup> ვინაიდან მედიაცია მთლიანად შეთანხმებაზე დამყარებული პროცესია, ლოგიკურია რომ აღსრულების საკითხიც მხარეთა შორის უნდა მოგვარდეს.

### 5.4. მედიატორი – როგორც მომრიგებელი

მედიატორი, როგორც მომრიგებელი სრულიად საპირისპიროა არბიტრის, რომელიც მხარეთათვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. მედიატორის როლი დავის განხილვისას უმნიშვნელოვანესია. „მედიატორები არიან ადამიანები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება. ვინც ეხმარება მხარეებს დავის განხილვისას, რომ მიაღწიონ ორმხრივ შეთანხმებას კონფლიქტის მოსაგვარებლად. მედიატორის დანიშნულებაა, რომ დაეხმაროს მხარეებს, განსაზღვრონ სადავო საკითხები, შეამციროს გაუგებრობა, გამოკვეთოს რა საკითხებზეა შესაძლებელი კომპრომისის მიღწევა, გამოკვეთოს შესათანხმებელი პუნქტები. შეთანხმება მიღებული მხარეების მიერ ემყარება მხარეების გადაწყვეტილებას და არა მედიატორისას.“<sup>3</sup> მედიაცია, რომ უფრო ღირებულად მიიჩნევა დავის განხილვის სხვა ალტერნატიულ საშუალებებთან შედარებით შემთხვევითი არ არის. ის ეფუძნება განსაკუთრებით აქტიურ კავშირს, მხარეების სურვილს, რომ დავა მედიაციის გზით გადაწყვიტონ და მედიატორთა და მათ შორის ურთიერთობას.<sup>4</sup> იმისთვის, რომ განხილვის პროცესი სწორად წარიმართოს და შესაძლებელი გახდეს მხარეთა შორის წარმოშობილი კონფლიქტის მორიგებით დასრულება, აუცილებელია მედიატორი იყოს კვალიფიციური. ამ მხრივ სასამარ-

<sup>1</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი.

<sup>2</sup> PAMB IM and GEMM on Occasion of EuroNetMed, Mediation Act, Analysis of EU Legislation, 8.

<sup>3</sup> Rule 902(b) Under the Kansas Dispute Resolution Act.

<sup>4</sup> Hughes P., Mandatory Mediation: Opportunity or Subversion?, Windsor Yearbook of Access to Justice Vol.19, 175.

თლო სისტემაში არსებულ მედიაციას უდავო უპირატესობა აქვს – უფრო კვალიფიციური მედიატორები. „მას შემდეგ, რაც მოხდა სავალდებულო მედიაციის დამკვიდრება როგორც პრაქტიკოსი მედიატორები, ისე სხვებიც, რომლებიც ჩართულნი არიან სავალდებულო მედიაციაში, ვალდებულნი არიან დაემორჩილონ იმ სტანდარტებს, რომლებიც დადგენილია მედიატორთა ქცევის კოდექსით“.<sup>1</sup> კვალიფიციური მედიატორები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიური პრობლემების ან სხვა მიზეზთა გამო მხარეებს არ ჰყავთ ადვოკატები. სასამართლო სისტემა უფრო მეტად უზრუნველყოფს მედიატორების სათანადო მომზადებას, მათთვის კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც მთლიანობაში დავის სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. შესაძლებელია სწორედ კვალიფიციური მედიატორების დამსახურებაცაა რომ „კვლევა მიუთითებს, რომ გაცილებით უფრო მაღალია, სავალდებულო მედიაციაში მხარეთა მონაწილეობის ხარისხი, ვიდრე ნებაყოფლობითი მედიაციისას“.<sup>2</sup> გარდა ამისა, აუცილებელია მედიატორებს გაცნობიერებული ჰქონდეთ, რომ ისინი არ არიან ადვოკატები, მრჩეველები ან მოსამართლეები. კარგმა მედიატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებს თავად შეეძლოთ თავის დაცვა, მხარეებმა თავი ზენოლის ქვეშ არ უნდა იგრძნონ, თუ დრო სჭირდებათ, გადაწყვეტილების მისაღებად, მათ ეს დრო უნდა მიეცეთ, თუ კონსულტაციების გავლა სჭირდებათ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ამის დროც უნდა ჰქონდეთ.<sup>3</sup>

## 5.5. პროცესის არაფორმალურობა

სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესისგან განსხვავებით, მედიაციას არა აქვს რაიმე ზოგადი და სავალდებულო წესი და პროცედურა.<sup>4</sup> საარბიტრაჟო განხილვა, რა თქმა უნდა, უდავოდ არაფორმალურია, სასამართლო განხილვასთან შედარებით, თუმცა, როცა მას მედიაციას ვადარებთ გასათვალისწინებელია ის გარემოებები, რომლებიც არბიტრაჟის გზით დავის განხილვას ფორმალურ სახეს სძენს და მას ნაწილობრივ სასამართლო განხილვას ამსგავსებს. აღნიშნული გარემოებებია:

1) საარბიტრაჟო განხილვისას არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება, რომლებსაც აქვს სავალდებულო ძალა და ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას;

2) თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

3) მხარეთა მიერ შეთანხმებულ ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადაში საარბიტრაჟო მოსარჩელემ წერილობითი ფორმით უნდა წარმოადგინოს აარბიტრაჟო სარჩელი. საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმის დაუცველად წარდგენის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა არ დაიწყება;

4) ექსპერტის დანიშვნის შესაძლებლობა – თავისთავად ექსპერტის დანიშვნა მნიშვნელოვანია, როცა ამას საქმის გარემოებები მოითხოვს და არბიტრს არ გააჩნია სპეციალური ცოდნა, თუმცა, ამ შემთხვევაში, არბიტრი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეებს, წარუდგინონ ექსპერტს საქმესთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, გადასცენ ექსპერტს დათვალთვლებისთვის ან მისცენ შესაძლებლობა, დაათვალიეროს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან სხვა ნივთი.

<sup>1</sup> Hughes P., Mandatory Mediation : Opportunity or Subversion?, Windsor Yearbook of Access to Justice Vol.19, 170.

<sup>2</sup> Radford M.F., An Introduction to the Uses of Mediation and other Forms of Dispute Resolution in Probate, Trust and Guardianship Matters, Real Prop. Prob. and Tr. J., 1999-2000, 618.

<sup>3</sup> Valerie F. B., Mediation: Essentials And Expectations, Doraance Publishing co., Inc. Pittsburgh, Pennsylvania, 2004, 3.

<sup>4</sup> ცერცვაძე გ., მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 334.

## 5.6. შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს ან არბიტრაჟისადმი მიმართვის საშუალება

დირექტივა ითვალისწინებს, რომ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, თუ მედიაციის პროცესი წარუმატებლად დასრულდება, მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს.<sup>1</sup> UNCITRAL Conciliation Rules – მე-13 მუხლი ითვალისწინებს, რომ მხარეებმა შესაძლოა გაითვალისწინონ, რომ არბიტრაჟს გადაეცეს განსახილველად მათ შორის მედიაციის გზით მიღწეულ შეთანხმებასთან დაკავშირებული დავა, ხოლო მე-16 მუხლის მიხედვით კი მხარეები ვალდებულია იღებენ, რომ არ დაიწყებენ მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას საარბიტრაჟო ან სასამართლო განხილვას, იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მედიაციის განხილვის საგანს წარმოადგენს, გამონაკლისია, თუ მხარე მიიჩნევს, რომ ასეთი პროცედურების დაწყება აუცილებელია, რათა დაცულ იქნას მისი კანონიერი ინტერესი. შესაბამისად, ეს განამტკიცებს მხარეთა უფლებას კიდევ ერთხელ, რომ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ რაც ვერ მიაღწევენ შეთანხმებას. სსკ-ის 187<sup>7</sup>-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თუ სასამართლო მედიაციისათვის კანონით დადგენილ ვადაში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, მოსარჩელეს შეუძლია წარადგინოს სარჩელი საერთო წესების დაცვით. ამის საპირისპიროდ, „თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან მიუხედავად მედიაციის პროცედურების წარმოებისა, მხარებს შეუძლიათ დაიწყონ ან გააგრძელონ ნებისმიერი საარბიტრაჟო ან სასამართლო პროცესი, იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მედიაციის განხილვის საგანია.“<sup>2</sup> სასამართლოს ან არბიტრაჟისადმი მიმართვის საშუალება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ დაზარალდეს და საკუთარი უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი დარჩეს. ამ შემთხვევაში, ერთადერთი უარყოფითი მოვლენაა ის, რომ მხარეებმა დაკარგეს დრო მედიაციის პროცედურებში მონაწილეობით, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მედიაციის ვადების სიმცირეს, ეს განსაკუთრებული დანაკარგი მხარეებისთვის არ იქნება.

## 6. დასკვნა

არბიტრაჟი, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, წარმატებით გამოიყენებოდა, როგორც დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება, რაც განპირობებული იყო იმ უპირატესობებით, რომლებიც მას სასამართლოსთან შედარებით გააჩნდა, „რადგან არბიტრაჟი მიიჩნეოდა იაფ, სწრაფ და კერძო დავის განხილვის ალტერნატიულ საშუალებად“.<sup>3</sup> იმ გარემოებამ, რომ თავდაპირველად არბიტრაჟის გადაწყვეტილება სავალდებულო არ იყო, იგი ნაკლებეფექტური გახდა.<sup>4</sup> თუმცა შემდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებამ სავალდებულო ძალა შეიძინა და უკვე „მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა სტაბილური სამართლებრივი ბაზა, რომელმაც არბიტრაჟის საყოველთაო აღიარება და პოპულარობა განაპირობა“.<sup>5</sup> საარბიტრაჟო პროცედურების მოქნილობას ხელი შეუწყო მისმა დაყოფამაც მუდმივმოქმედ და დროებით არბიტრაჟებად. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის გზით დავის განხილვისას, მხარეები შებოჭილნი არიან მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დანესებულების მიერ დადგენილი წესებით, მისგან განსხვავებით კი დროებითი არბიტრაჟი მხარეებს უფრო მეტ პროცედურულ თავისუფლებას სთავაზობს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგადი და სპეციალიზებული არბიტრაჟები, რომლებიც იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტული სახის დავებზე არიან ორიენტირებულნი და დიდი

<sup>1</sup> European Directive on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, Article 24.

<sup>2</sup> LSIA Mediation Rules, Article 9.

<sup>3</sup> Steven C. B., Arbitration : Essential Concepts, ALM Publishing, a Division of American Lawyer media inc, 2002, 10.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), თბ., 2008, 16.



პრაქტიკული გამოცდილება აქვთ იმ სფეროში, დავის უფრო დროულად და სწორად გადაწყვეტას უწყობენ ხელს.

სასამართლოსთან ერთად დავის განხილვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მედიაცი-ა, რადგან „მედიაცი-ა მართმსაჯულების დანამატია და არა მისი ალტერნატივა“.<sup>1</sup> ნებაყოფლობითი მედიაცი-ა დავის განხილვის სასამართლომდელი საფეხურია, რომელიც მხარეებს საშუალებას აძლევს, შეთანხმების გზით მოაგვარონ დავა, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებენ, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს.

დღესდღეობით საქართველოში მკვიდრდება სასამართლო მედიაცი-ა, შესაბამისად, ნაშრომში ეს ინსტიტუტი უფრო დეტალურადაა განხილული. სავალდებულო მედიაცი-ა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივი – ნებაყოფლობითი მედიაცი-ისგან განსხვავებით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, მაინც ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუტია და არა მხოლოდ სასამართლოების განტვირთვის ფუნქცია აქვს, არამედ მხარეებსაც მთელ რიგ უპირატესობებს სთავაზობს სასამართლო განხილვასთან შედარებით. კერძოდ: სასამართლო მედიაცი-ის დროს გაცილებით ნაკლებია ხარჯები, დავა ნყდება უფრო სწრაფად, მხარეთა მორიგების და მათ შორის კონფლიქტის აღმოფხვრის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ პირადი ხასიათის ურთიერთობები შენარჩუნებულ იქნას, მედიატორი – როგორც მომრიგებელი, რომელიც მოსამართლისგან განსხვავებით არ არის შებოჭილი მხოლოდ კანონის დებულებებით და შეუძლია სიღრმისეულად ჩასწვდეს პრობლემის არსს და დავა მშვიდობიანად გადაწყვიტოს ისე, რომ მედიაცი-ის კიდევ ერთი პრინციპი „ყველა გამარჯვებული“ დაცული იქნას. მართალია, სასამართლოში განხილვის დროსაც არის მხარეთა მორიგების შემთხვევები, როცა საბოლოოდ ორივე მხარე მოგებული რჩება, მაგრამ მედიაცი-ის გამოყენება ამის შესაძლებლობას გაცილებით მეტად ზრდის. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს მედიაცი-ის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული პრინციპი – კონფიდენციალურობა, მხარეები არაფერს კარგავენ, რადგან მათ არ ეკისრებათ მორიგების ვალდებულება, არამედ მხოლოდ პროცესში მონაწილეობა, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო. ასევე „ეს არის არაფორმალური პროცესი, არსად არაა განერილი ისეთი პროცედურები, რომლებიც მხარეებმა აუცილებლად უნდა დაიცვან, ასეთ სიტუაციაში მხარეები შეიძლება ისეთ დათმობაზე წავიდნენ, რასაც სასამართლოში საქმის განხილვისას არ დათანხმდებოდნენ“.<sup>2</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ „სასამართლო მედიაცი-ა პოზიტიური მოვლენაა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს, რომ საქმეები რომლებიც მივა სასამართლო პროცესამდე, ნამდვილად იყოს სასამართლოს განსახილველი. ეს გააუმჯობესებს მართმსაჯულების ხარისხს, იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს იურისტები და მოსამართლეები თავიანთი შესაძლებლობების კონცენტრირებას მოახდენენ რთულ დავებზე, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებენ“.<sup>3</sup> ხაზგასასმელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სწორედ იმ სახის დავებზე ავრცელებს მედიაცი-ას, სადაც უფრო მაღალია ალბათობა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილ კონფლიქტს პირადი ხასიათი აქვს და მოლაპარაკება უფრო ეფექტური იქნება.

იმ უპირატესობების გათვალისწინებით, რაც მას გააჩნია, მედიაცი-ის დამკვიდრება ქართულ სამართლებრივ სისტემაში სწორედ რომ დროულია და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მთავარია, მედიაცი-ასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, დახვეწა და აქტიურად გამოყენება, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმირებულობაზე, რათა საზოგადოებას გაუჩნდეს ნდობა მედიაცი-ის მიმართ, შეექმნათ სრული წარმოდგენა მის მთელ რიგ დადებით მხარეებზე და თვეობით სასამართლო და საარბიტრაჟო განხილვებზე არ დაკარგონ დრო, თუ მათ შორის წარმოშობილი დავა მე-დიაცი-ის გზით განსახილველ საქმეს მიეკუთვნება.

<sup>1</sup> *კერცვაძე გ.*, მედიაცი-ა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 56.

<sup>2</sup> *ზამბახიძე თ.*, მორიგება დავის ნაცვლად, ჟურ, „ლიბერალი“, №8, თბ., 2012, <<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/110271/>>.

<sup>3</sup> *Hughes P.*, Mandatory Mediation : Opportunity or Subversion?, Windsor Yearbook of Access to Justice Vol.19, 2001, 176.

## ADVANTAGES OF MEDIATION COMPARED TO ARBITRATION

### 1. Foreword

Generally, it is hard to achieve justice in this world; however, from the very first days the mankind has been striving to establish new systems, forms, and rules to achieve justice, so that they would fit the absolute meaning of the word “justice” at the maximum extent.

Alternative dispute resolution means – arbitration and mediation – are successfully implemented in many countries around the world holding an important position in their judicial systems. Arbitrage is an established institute in the Georgian legislation too. There is a special law “about Arbitrage”<sup>1</sup>; while mediation is a novelty and therefore the legislation referring to it is still in a process of its development. Consequently, we do not have a separate normative act related to mediation.<sup>2</sup> Despite the fact that the parties often address the arbitrage to solve their disputes, it is not as fast and affordable process compared to the court proceedings as it might seem at a glance. “Considering the newest trends, the tenets related to the arbitrage’s informality, confidentiality and affordability are regarded as outdated”<sup>3</sup>. “Indeed, arbitration is quite a costly experience not always meeting the expectations.”<sup>4</sup> Hence, the establishment of the new means of dispute resolution is of vital importance for both: the immediate parties of the dispute and for the judiciary system, as “it will significantly relieve the courts; and this is one of the particular goals for its establishment”.<sup>5</sup>

The newsworthiness of this paper is determined by the fact that the mediation institute is on the way of its establishment in the Georgian legislation and, therefore, it exercises higher interest from the public side. Besides, there is no entire rule systematically regulating all aspects related to it. Yet, there is a gap in terms of studies and papers concerning the issue.

The present paper aims to manifest the meaning of the mediation institute and its advantages compared to arbitration, outlining the *pros and cons* of each institute. At the same time, the paper will refer in detail to the court mediation, its features and practical meaning, in order to figure out how effectively it will fit into the Georgian reality. Besides, one of the goals of the present paper is to highlight the meaning of non-forensic mediation which is not less important than the forensic mediation. It should be mentioned that non-forensic mediation was established first; and its successful practices led to its integration into the forensic system.

The present paper uses the comparative-judiciary methodology. It analyses not only the two completely different alternative dispute resolution means, but also refers to separate regulations from the corresponding legislations of the USA, UK and Canada, which are deemed to be helpful to characterize the institute and recognize its advantages.

The present paper is structured as follows: after the Foreword, the second chapter refers to the general characteristics of the institutes of arbitration and mediation and, therefore, has a rather informative character. Namely, it encompasses the concepts of these two institutes, their origination, types and general overview of the regulations ruling them; the latter will refer to the Georgian legislation regulating mediation and arbitration as well as to the key international legal acts and treaties. With this regard, we should mention the European Directive on “Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters”<sup>6</sup> regu-

---

<sup>1</sup> *Georgian Law about Arbitrage*, 2009.

<sup>2</sup> *The Civil Code* contains (chapt. XX18) a norm about mediation; besides, notary, tax and medical mediation are already practiced in Georgia as well as the mediation in criminal proceedings.

<sup>3</sup> *Tsertsvadze G.*, Preconditions of International Arbitrate (comparative analysis), 2008, 22 (In Georgian).

<sup>4</sup> *Tsertsvadze G.*, Preconditions of International Arbitrate (comparative analysis), 2008, 82 (In Georgian).

<sup>5</sup> *Kublashvili K.*, Conciliation instead of Dispute, *Liberal Magazine*, Tbilisi, 2012 (In Georgian), <<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/110271/>>.

<sup>6</sup> European Directive on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, 2008, <<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:136:0003:0008:EN:PDF>>.

lating key points of mediation. Notwithstanding the fact that the Law “about Arbitration” is in its legal force in Georgia, we foresee important to review the general acts referring to the field that had been developed at a rather earlier stage.<sup>1</sup> The third chapter provides the procedural issues that are significant to characterize and outline advantages of the referred institutes. The fourth chapter gives the similarities and differences of mediation and arbitration. The summary section concludes the outcomes of the present study.

## 2. Characteristics of Arbitration

### 2.1 Notion of Arbitration, its Origination and Types

#### 2.1.1. Notion and Origin of Arbitration

There is a view that arbitration is a prototype of a court. The history of arbitration is rather less investigated in the relevant literature, however, it is widely accepted that it appeared earlier before the court was originated.<sup>2</sup> Arbitration - a way of dispute resolution - has an ancient origin. It is mentioned in Greek mythology and in the Bible.<sup>3</sup> The History of arbitration starts in BC when the reconciliatory court dealt with the disputes between the ancient Greeks. Arbitration was practiced in Ancient Roman Empire too. The Romans believed it was “a means to complete the legal proceedings”. Roman scientists thought that arbitration was also a dispute resolution tool together with the legal proceedings. The well known “Twelve Tabulae” adopted in the ancient Roman Empire distinctly recognized arbitration as a dispute resolution method with regard to the disputes related to borders, lands and buildings; i.e. when the neighboring owners had disagreement regarding their land borders, the dispute would be passed on to three arbiters.<sup>4</sup>

Arbitration was an established method of dispute resolution in England, where trade and maritime commercial cases had been dealt. It spread out from England to American colonies and played a significant role in dispute resolution till the revolution. Arbitration was understood as a cheap and fast means for private dispute resolution. Initially, the enforcement of arbitration decisions was rather voluntary; however, together, with the growth of population and migration rates, arbitration became a less effective body due to the non-compulsory nature of its decision enforcement. In 1768 New York Chamber of Commerce launched the first permanent arbitration body in the USA.<sup>5</sup> Yet, the Federal Arbitration Act (FAA)<sup>6</sup> significantly contributed to the establishment of arbitration and its promotion as a means of alternative dispute resolution. Meantime, a legal regulation of international arbitration was started (Geneva Protocol –adopted in 1923, and Geneva Convention – adopted in 1927). More stable legal base for such regulation emerged in the second half of the 20<sup>th</sup> century, which conditioned the general recognition of arbitration and its popularity.<sup>7</sup>

As arbitration is built upon mutual agreement of the parties to address arbitration for dispute resolution instead of court, it is often referred to as a “private trial”.<sup>8</sup> There is no overall notion established about arbitration. It may seem paradoxical, but none of the various laws regulating arbitration provide the notion of arbitration as such. Instead, they focus only on its international nature. As Jarrosson mentions, there is no legal definition of arbitration; whereas, according to Veeder the Parliament of GB intentionally missed the notion of arbitration from the Act about Arbitration – adopted in 1996. English lawyers pragmatically prefer to list

---

<sup>1</sup> NY Convention, adopted in 1958, in force from 07/06/1959; UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitrage, adopted in 1985.

<sup>2</sup> *Tsertsvadze G.*, Preconditions of International Arbitrate (comparative analysis), 2008, 14 (In Georgian).

<sup>3</sup> *Bennett S.C.*, Arbitration: Essential Concepts, ALM Publishing, A division of American Lawyer Media inc 2002, 9.

<sup>4</sup> *Wei – Jen Chen*, Separate but Equal in Arbitration? - An Analysis on Ad Hoc Arbitration of Taiwan and East Asia, *Contemp. Asia Arb. J.*, 2012, 112.

<sup>5</sup> *Bennett S.C.*, Arbitration : Essential Concepts, , 2002, 10.

<sup>6</sup> Federal Arbitration Act (FAA) adopted by USA Congress in 1925.

<sup>7</sup> *Tsertsvadze G.*, Preconditions of International Arbitrate (comparative analysis), 2008, 16, (In Georgian).

<sup>8</sup> *Lorcher T.,Mavrogordato Z.*, CMS Guide to Arbitration, Frankfurt, Germany, 2009, 20.

the reasons why this alternative dispute resolution method is acceptable and what kind of key features distinguish it from similar institutions. More specifically, they highlight a compulsory nature of its decision enforcement. With regard to the main notion, they make a conclusion out of the notion of arbitration agreement covered by legislations of different countries.<sup>1</sup> In his doctorate thesis, based on the detailed analysis of precedent law and doctrine, Jarrosson provides the following formulation: “Arbitration is an institute where the dispute between two or more parties is solved by the third person acting within the authority granted to him/her legally”. Albert Jan Van Den Berg provides the following definition of arbitration notion: “Dispute resolution between two or more parties, done by the third person whose authority is based upon the agreement of arbitrating parties (arbitration agreement) and whose decision is compulsory for the parties.”<sup>2</sup> It should be mentioned that the commercial nature of a dispute is not a part of international arbitration notion. Notwithstanding the fact that international arbitration mostly deals with the cases related to the international trade, the sphere of its performance is not limited to it. However, the key characteristics of commercial arbitration are closely related to the notion of arbitration. Commercial arbitration has the following key features: first of all, arbitration is generally based upon an agreement – in most cases the parties agree to address arbitration for dispute resolution. Secondly, a decision is made by an independent arbiter, who does not represent a court or a state body; and who, on a contrary, is a regular natural person, chosen by the parties. Thirdly, a compulsory decision is issued at the end of arbitration process that is enforceable through the national courts; meanwhile, the arbitration procedures are rather flexible compared to the court procedures.<sup>3</sup>

## 2.1.2. Types of Arbitration

### 2.1.2.1. Permanent and Temporary Arbitration

The arbitration court is named by the parties themselves, however, as for the arbitration listening, it can be carried out through the established rules by the permanent arbitration office considered by the parties in their agreement, or through the temporary arbitration.<sup>4</sup> Permanent and temporary arbitrations have different advantages, however, both are internationally recognized as a type of arbitration and the decisions made by both are equally enforceable in many countries.<sup>5</sup> Arbitration is permanent if: it is performed in line with the rules established by the relevant arbitration institution; has a permanent character and is organized in the permanent arbitration centers; its life-cycle does not depend upon the length of a specific dispute.<sup>6</sup> In most cases the permanent arbitrations are located within the Chambers of Commerce, Stock Exchange Markets and Associations, and pursue their own rules of conduct.<sup>7</sup> The key positive characteristics of permanent arbitration are as follows: permanent arbitration institutions regularly update and improve their rules and do their best to achieve the satisfaction of the parties addressing their arbitration with procedures and the final decision. They also use to review the decision, for example, International Chamber of Commerce reviews the draft arbitration decisions before sending them to the parties, in order to confirm that all issues raised during arbitration have been settled. Such behavior is necessary for quality control. A detailed discussion of an arbitration decision by a reputable arbitration institution in order to determine how the decision complies with the identified standards is a very important act, especially when a party expresses readiness for enforcement.<sup>8</sup> Dispute examination in the permanent arbitration institution means that everything will be done in a professional manner to en-

---

<sup>1</sup> Poudret J-F, Besson S., *Comparative Law of International Arbitration*, Sweet & Maxwell Ltd London, 2007, 1.

<sup>2</sup> *Ibid*, 2.

<sup>3</sup> Born G., *International Commercial Arbitration: Commentary and Materials*, 2<sup>nd</sup> ed., 2001, 1.

<sup>4</sup> Jenkins J., Stabbings S., *International Construction Arbitration Law*, Kluwer law International, 2006, 81.

<sup>5</sup> Wei – Jen Chen, *Separate but Equal in Arbitration? – an Analysis on Ad Hoc Arbitration of Taiwan and East Asia*, *Contemp. Asia Arb. J.*, 2012, 109.

<sup>6</sup> Palacean C., *Forms of Arbitration in International Trade*, *Law Annals Titu Maiorescu U.*, 2009, 119.

სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები სასკოლო მედიაციის პროგრამებს ნერგავენ იმ იმედით, რომ შემცირდეს ძალადობა სკოლაში, მოსწავლეებში უფრო მეტად ამაღლდეს მორალის შეგნება, ხოლო მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, რომ კონცენტრირებული იყვნენ უფრო მეტად სწავლებაზე და არა დისციპლინაზე. პროგრამის დანერგვა უფრო ფართომასშტაბიან მიზნებსაც ისახავს, მაგალითად, როგორცაა მოსწავლეებში კონფლიქტის არაძალადობრივი გზებით გადაწყვეტის უნარების განვითარება.<sup>5</sup>

1985 წელს *ალბი დევისმა* და *კიტ პორტმა* თანაავტორობით გამოსცეს სტატია, რომელიც ეფუძნებოდა მათ კვლევას უკვე არსებული პროგრამების შესახებ. სტატიაში გამოაქვეყნეს 10 მიზეზი სასკოლო მედიაციის პროგრამის სკოლებში დანერგვის მიზანშეწონილობის დასადასტურებლად. სიაში მოცემულია კონკრეტული მიზნები, როგორცაა ძალადობისა და ვანდალიზმის შემცირება, მასწავლებლების მიერ არასასწავლო ხასიათის გაკვეთილებზე დახარჯული დროის შემცირება. ამასთან მათ დაასახელეს შედარებით უფრო ზოგადი მიზნები მაგ., კონფლიქტის მენეჯმენტის უნარების განვითარება და, ზოგადად, სკოლაში „კლიმატის“ გაუმჯობესება. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნები დღესაც აქტუალურია სასკოლო მედიაციისთვის.<sup>6</sup>

1991 წელს დავის გადაწყვეტის და კონფლიქტების მართვის კომისიამ<sup>7</sup> გამოაქვეყნა ოჰაიოს 17 სკოლაში არსებული მედიაციის პროგრამის შეფასება. სადაც გამოყოფილია 3 ძირითადი პრინციპული მნიშვნელობის მქონე მიზანი:

1. „უშუალო სარგებლის მოტანა ბავშვებისთვის, რომელიც გულისხმობს როგორც ინდივიდუალური და ინტერპერსონალური თვისებების, ასევე კონფლიქტურ სიტუაციებში სათანადო ქცევის უნარების განვითარებას;

2. სკოლაში კლიმატის გაუმჯობესება ხელშემწყობი ფაქტორების მაქსიმალურად შემცირებით იმდენად, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს მშვიდ გარემოში;

3. მოსწავლეების ნახალისება, რომ გამოიყენონ სკოლებში შექმნილი უნარ-ჩვევები საოჯახო და სამეზობლო კონფლიქტების გადაწყვეტაში, რაც შედეგად სასკოლო მედიაციის პროგრამას ხელმისაწვდომს ხდის მოსახლეობისთვისაც.“<sup>8</sup>

<sup>1</sup> Kaplan N., M., Khuk E. (ed.), *Mediation in the School System: Facilitating the development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 250.

<sup>2</sup> *National Association for Mediation in Education (NAME)*.

<sup>3</sup> *National Institute for Dispute Resolution (NIDR)*.

<sup>4</sup> Kaplan N., M., Khuk E. (ed.), *Mediation in the School System: Facilitating the development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 250.

<sup>5</sup> იხ. <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>6</sup> იხ. <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>7</sup> Ohio Commission Dispute Resolution and Conflict Management (OCDRCM).

<sup>8</sup> იხ. <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

მიზნების იდენტიფიცირება რამდენიმე მიზეზის გამო არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, საჭიროა გამოიკვეთოს სასკოლო მედიაციის განვითარების გზა, კერძოდ, თუ როგორი იყო მისი სანყისი ეტაპი და რა ცვლილებები შეინიშნებოდა შემდგომ. რიჩარდ კოჰენის მიხედვით მნიშვნელოვანია სასკოლო მედიაცია დაინერგოს ისეთ სკოლებში, სადაც ამის საჭიროებაა და შესაბამის პირებს გააჩნიათ ცოდნა და კვალიფიკაცია მოცემულ საკითხში.<sup>1</sup>

## 2. სასკოლო მედიაციის დამკვიდრება სკოლებში

სკოლებში პროგრამის წარმატებულად დასაწერად უმთავრესი როლი სკოლის რიგით თანამშრომლებსა და ადმინისტრაციას ენიჭება. ამ პროგრამის წარმატებისთვის ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების, კერძოდ, მშობლების მხარდაჭერა. ამასთან, პროგრამის წარმატებულად განსახორციელებლად სასურველია სასწავლო პროგრამაში კონკრეტული კურსების შეტანა.<sup>2</sup>

### 2.1. სასკოლო მედიაციის პროცესის საფეხურები

მაღალ კლასებში სასკოლო მედიაცია 3 საფეხურს მოიცავს: შესავალი, პრობლემის გამოკვლევა და პრობლემის გადაწყვეტა შეთანხმების მიღწევით. შესავალი ნაწილი გულისხმობს ძირითადი წესების ჩამოყალიბებას თუ რის მიხედვით უნდა წარიმართოს პროცესი და ზოგადად ხდება განსახილველ საკითხთა იდენტიფიცირება. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონფიდენციალურობას. თუ კონფიდენციალურობა დაცული არ არის მედიაციის პროცესს შეიძლება საფრთხე დაემუქროს. კონფიდენციალურობის ვალდებულების საკითხიც აუცილებლად უნდა იქნეს განხილული.<sup>3</sup>

მოსწავლეები ხშირად არჩევანის წინაშე დგანან აირჩიონ *Peer* მედიაცია, თუ დაექვემდებარონ დისციპლინურ პასუხისმგებლობას. იმდენად რამდენადაც ისინი *Peer* მედიაციას უფრო მეტად მსუბუქ პროცესად აღიქვამენ და არჩევანს მასზე აკეთებენ ხშირად მედიაციის პროცესში ერთგებიან მოჩვენებითად, რაც თვითონ პროცესს არასრულფასოვანს ხდის. ამიტომ მედიატორი მოსწავლეებისათვის ეს არის ერთგვარი გამოწვევა, მათ უნდა შეძლონ დაამყარონ ჯანსაღი კომუნიკაცია მოდავე მხარეებთან და მიიღონ მაქსიმალური ინფორმაცია მათგან.<sup>4</sup>

მედიაციის პროცესი იწყება მედიატორების მიერ საკუთარი თავის წარდგენით და, ზოგადად, მედიაციის პროცესის განმარტებით. ასევე ხდება მოსწავლეებისთვის ძირითადი წესების ახსნა, რომლებიც შეეხება კონფიდენციალურობის და კეთილსინდისიერების ვალდებულების დაცვას. ამასთან, მხარეებს აფრთხილებენ, რომ დაუშვებელია ჩხუბი, ჭორაობა და სხვ.<sup>5</sup> და რომ აუცილებელია ერთმანეთის მოსმენა და პატივისცემა.<sup>6</sup> ძირითად წესებზე შეთანხმების შემდეგ ორივე მოდავე მხარე აყალიბებს პრობლემას, ხოლო მედიატორები ინიშნავენ მათ და, შესაბამისად, ადგენენ განსახილველ საკითხთა ნუსხას. ამის შემდეგ იწყება მედიაციის მეორე ეტაპი.<sup>7</sup>

მეორე ფაზის ძირითადი მიზანი არის პრობლემის გამოკვლევა. მედიატორები ცდილობენ დაეხმარონ მხარეებს ერთმანეთთან კომუნიკაციაში და ერთმანეთის პოზიციების გაგებაში. ისინი ცდილობენ ერთ მხარეს დაანახონ მეორე მხარის პოზიცია, რათა ხისტი და პოზიციაზე დამყარებული მიდგომა შეიცვალოს შედარებით უფრო რბილი, ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომით.<sup>8</sup>

როდესაც მხარეები სრულად განიხილავენ პრობლემას იწყება მესამე ეტაპი, რაც მოიცავს გამოსავლის პოვნას და საბოლოო შეთანხმებას. მედიატორებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მხა-

<sup>1</sup> იხ. <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Kaplan N. M., Khuk E. (ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 256.

<sup>4</sup> იქვე, 256-257.

<sup>5</sup> იქვე, 257.

<sup>6</sup> იხ. <<http://www.studygs.net/peermed.htm>>, [03.12.2012];

<sup>7</sup> Kaplan N. M., Khuk E. (ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers Chicago, 1997, 257.

<sup>8</sup> იქვე.

რეებს დაეხმარონ ისეთი შეთანხმების მიღწევაში, რომელიც იქნება სამართლიანი და მოდავეები თავს კომფორტულად იგრძნობენ. თუ ასეთი გამოსავლის პოვნა შეუძლებელია, იწყება ე.წ. *"Brain Storming"*. კერძოდ, მხარეები თავის სასურველ შედეგებს აყალიბებენ, საიდანაც მედიატორები ირჩევენ საუკეთესო ვარიანტს და სთავაზობენ მხარეებს. მოსწავლე მედიატორებმა გადანყვეტის 2 გზა მაინც უნდა ურჩიონ მხარეებს, რათა, პირველ რიგში, მათი არჩევანის თავისუფლება არ იქნეს შეზღუდული და ისინი არ დაეჭვდნენ მედიატორის მიუკერძოებლობაში. როცა მხარეები შეთანხმდებიან, ხელს აწერენ მედიატორი მოსწავლეების მიერ მომზადებულ მედიაციის კონტრაქტს, რომელიც ინახება ფაკულტეტის კოორდინატორთან არსებულ პირად საქმეებში.<sup>1</sup>

## 2.2. მედიატორები

მედიატორების შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- მედიატორის დამოკიდებულება უნდა იყოს ნეიტრალური სკოლაში არსებული კულტურული, ასაკობრივი, სოციალური, გენდერული, რასობრივი თუ რელიგიური მრავალფეროვნებისადმი;
- მედიატორის შერჩევის პროცედურა უნდა იყოს გამოქვეყნებული და უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს
- მედიატორი ვალდებულია უნდა იღებდეს, რომ მუდმივად იზრუნებს თავისი უნარების განვითარებაზე და მის ცოდნას გაუზიარებს ახალბედა მედიატორებს;
- მედიატორად არჩევაზე უარის თქმის მიზეზები ნათლად უნდა იყოს ახსნილი და განმარტებული.<sup>2</sup>

სასკოლო მედიატორები მუდმივად უნდა გადიოდნენ ტრენინგებს და მათი კონტროლის მიზნით უნდა ხორციელდებოდეს მონიტორინგი, რადგანაც მათ არ აქვთ კონფლიქტების მენეჯმენტის დიდი გამოცდილება. ასევე, საჭიროა ჩაუტარდეთ სხვადასხვა კურსი, როლური თამაშები, ე.წ. "workshop"-ები, და ა. შ.<sup>3</sup>

## 3. დასკვნა

აშშ-ის სასკოლო სისტემაში სასკოლო მედიაცია კონფლიქტების მოგვარების წარმატებულ მეთოდად არის მიჩნეული. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროგრამის საქართველოს საჯარო სკოლებში დანერგვასაც დადებითი შედეგები ექნება. სასურველია თუ განათლების სამინისტროს შესაბამისი სამსახურები გაითვალისწინებენ აშშ-ის გამოცდილებას და ქართულ სინამდვილესა და რეალობაზე მორგებით შემუშავებული იქნება სპეციალური საპილოტო პროგრამა, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე დაინერგება მხოლოდ რამდენიმე სკოლაში. ამის შემდეგ აუცილებელია განხორციელდეს მონიტორინგი, დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა და პროგრამის სრულყოფილი სახით ჩამოყალიბება.

<sup>1</sup> Kaplan N. M., Khuk E. (ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 257-258.

<sup>2</sup> იხ. <<http://www.studygs.net/peermed.htm>>, [03.12.2012].

<sup>3</sup> იხ. <<http://www.studygs.net/peermed.htm>>, [03.12.2012].

## PEER MEDIATION IN EDUCATION

### 1. Introduction

According to the data of the Ministry of Education and Science of Georgia from 2010, since the institute of rescue officers has been established, the facts of violence have diminished significantly; namely, the statistics as of April 4, 2012 reflect the following:

- The facts of conflicts between the students decreased by 80%;
- The facts of extortion of money decreased by 95%;
- The facts of public vandalism (damaging the school property) decreased by 90%;
- The facts of lateness decreased by 80%;
- The facts of escaping from the lessons decreased by 75%.<sup>1</sup>

Despite the above illustrated data, the introduction of innovative approaches to the schools is vital, because it is important that the students themselves were involved in problem settlement processes. It would be essential if such temporary statistical data relied not upon the control attributed to the external persons (rescue officers) or any other compulsory mechanisms, but upon the involvement of the students and the teachers, where the role of the parents is also outstanding. It is necessary to solve not only the existing conflicts but also to take certain preventive measures to avoid them in the future. This would generally improve the self-consciousness of the students and contribute to the entire educational environment. The facts of violence should be diminished at schools not by the virtue of compulsion or permanent control, but by means of interesting lessons and other mechanisms. It might appear to be reasonable to implement an institute in public schools that would improve the existing situation. Therefore, the present paper refers to the Peer Mediation Institute already successfully practiced in the educational system of the USA for more than 30 years, namely, in the schools of different States and, presumably, as the named institute aims for a rather longer-term perspectives of problem resolution, the introduction of a similar institute to the Georgian educational system would have only a positive impact on the educational process.

### 2. What is Peer Mediation

Peer Mediation is one of the forms for settling conflicts between students at school. More precisely, students acquire a special knowledge on how to act as a third neutral person in order to settle the conflict between the other students by means of a certain methodology.<sup>2</sup>

Thus, such form of conflict resolution at school is known as *Peer Mediation*, which primarily means mediation between peers. Such type of mediation is introduced in thousands of schools of the USA aiming to minimize the violence and improve the general climate at the educational institutions.<sup>3</sup> This program of mediation considers the involvement of students not only in the resolution of the existing conflicts, but also at the initial stage of problems and reducing the risks of conflicts.<sup>4</sup>

Peer Mediation entails participation of the already trained student in the resolution of disputes such as:

- jangle between the youngsters;
- quarrel in the yards;

---

<sup>1</sup> See <<http://www.mes.gov.ge/content.php?id=3946&lang=geo>>, [03.12.2012].

<sup>2</sup> Kaplan N. M., in Khuk E. (Ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 249.

<sup>3</sup> See <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>4</sup> See <<http://esrnational.org/professional-services/middle-school/prevention/peer-mediation/>>, [03.12.2012].

- petty thefts;
- Boyfriend – Girlfriend conflicts.<sup>1</sup>

In the USA the Peer mediation model standard is adapted to the specifics of the schools. For example, in elementary schools (which is the analogue for the classes from 1 to 4 in Georgia) the educational programs include general principles of conflict resolution. In some schools parents are also actively involved in such programs where they pass special trainings or perform as trainers in order to give a larger scale to the program and make it available to each family. Besides, teachers have an essential role as they directly use the conflict resolution methods in their teaching process. As for the Middle and High Schools (Which is the analogue for the classes from 5 to 12 in Georgia) there are various peer mediation programs integrated in them. For example, in some schools students of higher classes are involved in conflict resolution not only in their schools but also in the resolution of conflicts taking place in other schools, as well as in the resolution of misunderstandings between teachers and students, or between parents and children.<sup>2</sup>

There is no principal difference between peer mediation and other programs of conflict resolution. A substantial difference is that peer mediation is a structured system where students have a chance to practice their skills of conflict management.<sup>3</sup>

### 3. Historical Background of Peer Mediation

One of the first peer mediation programs was launched by Honolulu Neighborhood Justice Center in 1981 in the USA. The results showed that the conflicts have been eliminated by means of peer mediation in the schools where the conflict rate was quite high. In 1892 the CBSI (Community Board School Initiatives) in San Francisco elaborated the peer mediation program for elementary, middle and high schools. The mentioned program is widely used to-date, especially in North America. In 1983 SMART (School Mediators Alternative Resolution Team) program was launched in New York, organized by the Victim Services Agency and was financed by New York City Youth Bureau. The positive character of the program was reflected in the improvement of academic progress of the students, the student-mediators became more confident, and the behavior of the conflicting youngsters has reformed generally.<sup>4</sup>

In 1984 the NAME (National Association for Mediation in Education) was established consisting of 50 people working for the educational system in 15 states; they aimed to discuss peer mediation at schools. Initially the Association aimed to create an information center that would coordinate school mediation programs, distribute quarterly newsletters (The Fourth R) and finance the annual conferences. As for the plans for the future, the Association aimed to conduct the research and implement new programs. Later on, the NAME merged with NIDR (National Institute for Dispute Resolution) and currently represents one of the leader organizations in the field of school mediation.<sup>5</sup>

### 4. Goals of Peer Mediation

The school administration and the teachers implement the peer mediation programs in order to minimize the acts of violence at schools, to increase the moral consciousness of the students, and to enable the teachers to be more focused on teaching than on discipline. The implementation of the named program has rather wider goals, for example, to develop the skills of dispute resolution by nonviolence.<sup>6</sup>

<sup>1</sup> See <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>2</sup> See <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>3</sup> Kaplan N. M., in Khuk E.(Ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 248-249.

<sup>4</sup> Kaplan N. M., in Khuk E.(Ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 250.

<sup>5</sup> Kaplan N. M., in Khuk E.(Ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 250.

<sup>6</sup> See <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

In 1985 Albie Davis and Kit Porte jointly published an article based on the results of their research regarding the existing programs. In their article they listed ten reasons that testify the reasonability of implementing peer mediation programs at schools. The list provides specific objectives, such as diminishing violence and vandalism, or the time spent by the teachers on non-educational topics during their lessons. Besides, they also indicated the comparatively general goals, such as, for example: development of conflict management skills and improvement of general climate at schools. The above listed goals are still urgent for peer mediation.<sup>1</sup>

In 1991, the OCDRCM (Ohio Commission Dispute Resolution and Conflict Management) published the assessment of the peer mediation programs operating in 17 schools of the State of Ohio. In the named assessment three key goals were highlighted:

4. The direct benefit to students, i.e. development of individual and interpersonal skills and proper behavior in conflict situations;
5. Improvement of the climate at school by means of minimizing the hampering factors in order to enable the smooth and peaceful pass of the educational process;
6. Encouragement of the students to use their conflict management skills that they acquire at school in the resolution of domestic or neighbor conflicts, in order to make the peer mediation program available to the public.<sup>2</sup>

Identification of the goals is important for several reasons. For example, it is necessary to outline the course of development of peer mediation; namely, to describe its initial stage and what changes were observed later on. According to Richard Cohen, it is important to implement peer mediation in the schools where there is a need for such program and where certain people have sufficient knowledge and experience in the field.<sup>3</sup>

## 5. Implementation of Peer Mediation in the School System

In the successful implementation of the program at schools, the key role is played by an ordinary staff and administration of schools. The success of the program similarly depends upon the support from the society and, in particular, from parents. Besides, specific courses should be incorporated in the educational programs.<sup>4</sup>

## 6. Stages of the Peer Mediation Process

In higher classes peer mediation consists of three stages, they are: introduction, problem investigation and problem resolution through achieving an agreement. The introduction sets forth the main rules of how to perform the process and identify the topics of concern. Besides, greater attention is paid to confidentiality. Without keeping the principles of confidentiality, the mediation process can be subject to failure. The issue of confidentiality should be discussed inevitably.<sup>5</sup>

Students often have to make a choice, either to choose peer mediation or be subject to a disciplinary responsibility. As far as they understand peer mediation as rather an easy process and therefore make their choice in favor of peer mediation, in most cases students ostentatiously participate in peer mediation processes, thus decreasing the value of the process itself. Hence, for the students who act as mediators, it is a challenge to establish an effective communication with the disputing parties and gain maximum information from them.<sup>6</sup>

When the mediation process starts, at the beginning, the mediators introduce themselves and explain the mediation process. They also describe the main rules of mediation to students, with regard to the obligations of

---

<sup>1</sup> See <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>2</sup> See<<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>3</sup> See<<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>4</sup> See <<http://www.hnlr.org/print/wp-content/uploads/2008/09/hnlr3-3.pdf>>, [03.12.2012].

<sup>5</sup> *Kaplan N. M.*, in *Khuk E. (Ed.)*, *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 256.

<sup>6</sup> *Kaplan N. M.*, in *Khuk E. (Ed.)*, *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall PublishersChicago, 1997, 256-257.



confidentiality and conscientiousness. At the same time, the parties are warned that quarrel, gossiping, etc. are inadmissible.<sup>1</sup> The parties are also warned that they should listen to each other and respect each other.<sup>2</sup> After the main rules are agreed, both parties state their problems, and the mediators make consequent notes in order to draw up a list of the topics for discussion; afterwards, the second phase of mediation begins.<sup>3</sup>

The main purpose of the second phase is to investigate the problem itself. The mediators try to help the parties in communicating with each other and in understanding each other's positions. They try to help one party to understand the other party's position in order to replace the intransigent approach with a rather mild approach focused on interests.<sup>4</sup>

When the parties complete reviewing the problem, the third phase starts. It considers finding the way out and making the final agreement. It is important for the mediators to help the parties to reach a fair agreement that would be acceptable and comfortable for both parties. Whenever such way out cannot be found, the so-called "brainstorming" takes place. Namely, the parties list their desirable results and the mediators choose the best option out of the list and offer it to the parties. The student mediators shall suggest at least two options to the parties in order not to confine the parties' freedom of choice or not to make them have doubts about the mediator's impartiality. When the parties reach an agreement, they sign the mediation contract prepared by the student mediators that shall be kept by the faculty coordinator in the personal files.<sup>5</sup>

## 7. Mediators

The process of selection of mediators consists of the following elements:

- The mediator should have a neutral attitude toward the cultural, age, social, gender, race or religious diversity existing in the school.
- The process of selection of mediators should be published and should include the recommendations.
- The mediator shall be responsible for continuous development of self skills and sharing his/her own experience with the starting mediators.
- The reasons why somebody was refused to be selected as a mediator should be clearly defined and stated.<sup>6</sup>

Peer Mediators should be progressively trained and monitored as they do not have considerable experience in conflict management. They should attend different courses, take part in role plays and workshops, etc.<sup>7</sup>

## 8. Conclusion

Peer mediation is recognized as a successful method of conflict resolution in the school system of the USA. The implementation of this program in Georgian public schools would also yield positive results. It is advisable for the relevant authorities of the Ministry of Education to take into account the experience of the USA and by customizing it to the Georgian reality develop a special pilot program that will be firstly implemented in some schools. Afterwards, the monitoring of the pilot program shall outline positive and negative experiences in order to amend the program and improve it for the final establishment.

---

<sup>1</sup> Kaplan N. M., in Khuk E.(Ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 257.

<sup>2</sup> see, <<http://www.studygs.net/peermed.htm>>, [03.12.2012].

<sup>3</sup> Kaplan N. M., in Khuk E.(Ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 257.

<sup>4</sup> Kaplan N. M., in Khuk E.(Ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 257.

<sup>5</sup> Kaplan N. M., in Khuk E.(Ed.), *Mediation in the School System: Facilitating the Development of Peer Mediation Programs*, Nelson-Hall Publishers, Chicago, 1997, 257-258.

<sup>6</sup> See <<http://www.studygs.net/peermed.htm>>, [03.12.2012].

<sup>7</sup> See <<http://www.studygs.net/peermed.htm>>, [03.12.2012].

## საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართება

### 1. შესავალი

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესმა და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებამ გავლენა მოახდინა კერძოსამართლებრივი დავების განხილვის ფორმებისა და საშუალებების ჩამოყალიბებაზე. თავისუფალი საერთაშორისო ბაზარი, რომელსაც ცვლილებების მზარდი და სწრაფი ტენდენციით ხასიათდება, მოითხოვს მოქნილი სამართლებრივი ბაზის, სისტემისა და მექანიზმების არსებობას.

როგორც წესი, მსხვილი ეკონომიკური პროექტები ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებენ. ასეთ დროს ყოველთვის იკვეთება სამართლებრივი ურთიერთობებისა და პოტენციური დავების კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი რეჟიმისადმი დაქვემდებარების თავის არიდების ტენდენცია. ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის შეიქმნა დავების გადაწყვეტის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მისაღები იყო სხვადასხვა სამართლის სისტემის სუბიექტებისათვის და დღეისთვის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბიზნესი უპირატესობას დავების ალტერნატიული გზით გადაწყვეტას ანიჭებს.

საქართველოშიც, არბიტრაჟის, როგორც მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების როლი და მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის მიერ მიღებული ახალი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, რომელმაც საქართველოს საარბიტრაჟო კანონმდებლობა, ფაქტობრივად, გახადა ამ სფეროში არსებულ უნიფიცირებულ საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისი. ამდენად, მოხდა 2010 წლამდე არსებული „კერძო მართლმსაჯულების“ მსგავსი ინსტიტუტის ტრანსფორმირება, საერთაშორისოდ აღიარებული ფორმით სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ, დავის განმხილველ მექანიზმად.

არბიტრაჟი, თავისი არსით, მხარეთა შეთანხმების ნაყოფია. იგი განიხილავს დავას, რომელიც, უმრავლეს შემთხვევაში, სრულდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებს გამოტანით. სახელმწიფო ახდენს ამ გადაწყვეტილების ლეგიტიმაციას და იურიდიულ ძალას ანიჭებს მას, რითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ხდება სასამართლო გადაწყვეტილების ტოლფასი. თავად ეს ფაქტი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უტოლდება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, საჩუქარია, რომელიც მხარეებს ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლის ხარჯზე ეძლევათ.

„საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა და გადაწყვეტილების გაუქმება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კონტროლის ფორმებია, რომლებიც ძირითადად ერთ მიზანს ემსახურებიან – გამორიცხონ საარბიტრაჟო განხილვის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგის დადგომა, როგორც არ უნდა იყოს ეს შედეგი.“<sup>1</sup> მათი საფუძვლები ემთხვევა ერთმანეთს, ამგვარად ისინი ერთგვაროვანი შინაარსით და განსხვავებული ფორმით ხასიათდებიან.

კვლევის მიზანია განვიხილოთ საარბიტრაჟო კონტროლის დასახელებული მექანიზმები, შევადაროთ საქართველოს კანონმდებლობით გაწერილი რეგულაციები საერთაშორისო ხელშეკრულებებს და საარბიტრაჟო სამართლის დიდი ისტორიის მქონე ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობების საარბიტრაჟო აქტებს. ნაშრომი ეფუძნება მოქმედი კანონმდებლობისა და

<sup>1</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 624.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს, რომლის გაცნობაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარება უკეთ იქნას გაანალიზებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართების საკითხი, კერძოდ, რა განასხვავებს მათ ერთმანეთისგან და როგორ არეგულირებს კანონმდებელი, ერთი მხრივ, გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისა და, მეორე მხრივ, აღსრულებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას.

კვლევის აქტუალურობა განაპირობა, პირველ რიგში, საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომელიც დაკავშირებული იყო საარბიტრაჟო კონტროლის რეგულირების ახლებურად ჩამოყალიბებასთან. ასევე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულმა პრაქტიკულმა პრობლემებმა, სასამართლოების მიერ საკითხისადმი არაერთგვაროვანმა მიდგომამ, რომლებსაც მხარეები აწყდებიან სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებების გაუქმებისა და ცნობისა და აღსრულებისას.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს როგორც ზოგადმეცნიერული, ასევე შედარებით-სამართლებრივი და სხვა მეთოდები. ნაშრომში, ძირითადად, გამოყენებულია ლოგიკური ანალიზი, წარმოდგენილია ინფორმაციულ-შემეცნებითი და შედარებით-სამართლებრივი ასპექტები. ამასთან, კვლევა ხორციელდება ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. რამდენადაც ამას მოითხოვს მსჯელობის საგანი.

შედარებითი ანალიზისთვის გამოყენებულია იმ სახელმწიფოთა კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებსაც არბიტრაჟებთან დაკავშირებით დიდი ტრადიციები და გამოცდილება გააჩნიათ.

სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით ქართული სასამართლოს პრაქტიკა მწირია, რაც სავსებით ლოგიკურია, საარბიტრაჟო სამართლის მოკლე ისტორიიდან გამომდინარე. თუმცა კვლევის საგანი მნიშვნელოვნად აქტუალურია იმ ქვეყნისთვის, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთის სახელმწიფოებთან ეკონომიკურ, სამართლებრივ ინტეგრაციასა და ევროპის კავშირში გაწევრიანებას. ამასთან, ქვეყნისთვის რომელსაც აქვს დიდი პოტენციალი იქცეს საარბიტრაჟო განხილვის სასურველ ადგილად გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე.

წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავლისა და VI თავისა და დასკვნისგან. პირველ თავში მოცემული იქნება საარბიტრაჟო განხილვის საფუძვლები საქართველოში, წარსულში და დღეს, სადაც შედარებულია „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულების ინსტიტუტების ალტერნატივები დღეს არსებულ მექანიზმებთან.

მეორე თავი მიეძღვნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაციონალიზმის დადგენას. დღეს მოქმედი საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ განასხვავებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებს და მათ განსხვავებულ სასამართლო ინსტანციებს უქვემდებარებს. შესაბამისად, აღნიშნულ თავში მიმოხილული იქნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „შიდა“, „საერთაშორისო“ და „უცხოურ“ გადაწყვეტილებებად კლასიფიკაციის ასპექტები და ამ დიფერენცირების სამართლებრივი შედეგები.

მესამე თავი დაეთმობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ინსტიტუტის კვლევას. განხილული იქნება გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების არსი, გასაჩივრების პროცედურა, სასამართლოს კომპეტენციისა და გასაჩივრების ვადის საკითხი, ასევე, შევხებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შედეგებსა და გაუქმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის საკითხებს.

მეოთხე თავი კი მიეძღვნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ინსტიტუტის შესწავლას. რასაკვირველია, გავეცნობით ცნობისა და აღსრულების არსს, მათ მნიშვნელობას. განვიხილავთ პროცედურულ საკითხებს და ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოების შედეგებს.

მეხუთე თავში მიმოხილული იქნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის მოდელური კანონით, ნიუ იორკის კონვენციითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ თითოეულ საფუძველს. გამიჯნული იქნება ის საფუძვლები, რომელთა არსებობის დადასტურება წარმოადგენს მხარის მტკიცების

ტვირთს. ასევე წარმოდგენილია მსჯელობა იმ საფუძვლების შესახებ, რომელთა გამოკვლევა წარმოადგენს სასამართლოს ვალდებულებას.

მეექვსე თავი დაეთმობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართების კვლევას, უცხოური პრაქტიკისა და თეორიის საფუძველზე განვიხილავთ თუ როგორია მოსფლიოში არსებული მიდგომები გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის კუთხით. ასევე ვნახავთ რამდენად დასაშვებია ცნობილი და აღსრულებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, შევეხებით ქართულ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს და შევადარებთ აღნიშნულ საკითხს გერმანიის სამართალში არსებულ რეგულაციას.

ნაშრომის ბოლოს მოცემულ საკითხთა განზოგადებითა და შეფასებით გაკეთდება დასკვნა, რომელშიც მიეთითება კონკრეტული პრობლემური საკითხების აღმოფხვრის საშუალებები (რეკომენდაციები).

## 2. არბიტრაჟის რეგულირების საფუძვლები საქართველოში

### 2.1. ზოგადი მიმოხილვა

1997 წლის 26 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში დაიწყო კერძო სამართლებრივი ინსტიტუტების დახვეწა და განვითარება. 1997 წელსვე გაუქმდა საქართველოს სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლოები, რაც სამართლიანად იქნა შეფასებული, როგორც საბჭოთა არბიტრაჟების დასასრული ქართულ სამართალში.<sup>1</sup> გამოიკვეთა მსოფლიოსთვის მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ან უკვე ცნობილი სტანდარტების შესწავლისა და დანერგვის ტენდენცია და 1997 წლის 17 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ. აღნიშნული კანონი, პოსტსაბჭოთა სივრცისგან თვისობრივად ახალი, ქვეყანაში დავის ალტერნატიული განხილვის მექანიზმის შემოღების პირველ ცდას წარმოადგენდა.

საქართველოს კონსტიტუცია ეფუძნება ხელისუფლების დაყოფის პრინციპს, შესაბამისად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების გვერდით, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სასამართლოს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელ, მესამე შტოს, რომელიც საქართველოს სახელით ახორციელებს მართლმსაჯულებას და უზრუნველყოფს კანონის უზენაესობისა და საჯარო წესრიგის დაცვას.<sup>2</sup> სწორედ სასამართლო ხელისუფლების პარალელურად, ასპარეზზე გამოდის საარბიტრაჟო განხილვის მექანიზმი, როგორც მხარეთა შორის წარმოშობილი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება. კერძო სამართლის სუბიექტებს უფლება მიეცათ გარანტირებული ჰქონოდათ არა მარტო თავის შეხედულებისამებრ გადაწყვიტათ კონკრეტულ პირებთან კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისა და უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის საკითხი, არამედ ასეთი უფლება-მოვალეობების დარღვევის შემთხვევაშიც, თვითონ აერჩიათ დავის გადაწყვეტის სპეციალური ფორმები და საშუალებები. ცნობილია, რომ დარღვეული და სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა, მაგრამ სასამართლო უკვე არ განიხილებოდა უფლების დაცვის ერთადერთ საშუალებად, რადგან სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც დაინერგა უფლების დაცვის ალტერნატიული ფორმების გამოყენების შესაძლებლობა, არბიტრაჟის სახით.

საქართველოში პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებდა არბიტრაჟთან დაკავშირებულ ურთიერთობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიღებული იქნა 1997 წელს. თუმცა, ამ სფეროში წარმატებული რეფორმისთვის, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართვე-

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2008, 97.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია 1995, 82-ე მუხლი.

ლოს კანონის მიღების პოლიტიკური გადაწყვეტილება საკმარისი არ აღმოჩნდა.<sup>1</sup> უმთავრესი კონცეპტუალური შეცდომა, რომელიც ქართველმა კანონმდებელმა დაუშვა, იყო მსოფლიოში აღიარებული და უკვე წარმატებული, *UNCITRAL*-ის მოდელური კანონის<sup>2</sup> ამოქმედებაზე უარის თქმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა 90-იანი წლების ბოლოს ევროპის ქვეყნების იმ დიდმა ნაწილმა, რომელთა შიდა საარბიტრაჟო კანონმდებლობა მოდელური კანონის მიხედვით იყო შექმნილი და რომლებიც საარბიტრაჟო განხილვის „საუკეთესო“ ადგილად მიიჩნევიან, დაასრულეს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის, განსაკუთრებით კი არბიტრაჟის როლის გაზრდისკენ მიმართული ძირეული რეფორმები,<sup>3</sup> ინგლისის და შვედეთის საარბიტრაჟო აქტების სწორედ ამ პერიოდში იქნა მიღებული<sup>4</sup>. საქართველოს ჰქონდა კარგი შესაძლებლობა გამოეყენებინა ამ დარგში მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, გაეთვალისწინებინა რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ა.შ. მაგრამ პირიქით, ამ და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებლობამ გამოიწვია ხარვეზებით აღსავსე კანონის მიღება, რომელმაც, თავის მხრივ, მთელი ათწლეულით უკან დახია და დააკნინა არბიტრაჟის როლი საქართველოში.

1997 წლის კერძო არბიტრაჟის კანონის ხარვეზები და საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომებისგან განსხვავებული რეგულაციები ბევრ ასპექტში გამოიხატებოდა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში მსურს განვიხილო აღნიშნული კანონის კონკრეტული პრობლემები, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების გაუქმების ინსტიტუტისა და მეორე მხრივ, შიდა და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების კუთხით.

## 2.2. კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიმართება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, ცნობასა და აღსრულებასთან

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც არბიტრაჟის შესახებ ნაციონალური კანონმდებლობით აუცილებლად წესრიგდება, არბიტრაჟის საქმიანობაში სახელმწიფო სასამართლოს ჩარევის სამართლებრივ რეგულირებას გულისხმობს. აღნიშნულ საკითხში საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ ძირითადად, შეესაბამებოდა მოდელურ კანონსა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ან სასამართლოს მიერ მისი გაუქმების მარეგულირებელ ნორმებზე.<sup>5</sup>

კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს და უფლებამოსილებას განეხილა მხარის სარჩელი და შეეცვალა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. ეს ნორმა საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით. პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს ის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდებოდა ჩვეულებრივ სასარჩელო წარმოების გზით, რაც განსხვავდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების დღეს უკვე არსებული და მოდელური კანონით გათვალისწინებული ფორმისგან.<sup>6</sup> ამასთან, ეს წარმოება მიმართული იყო საარბიტრაჟო გა-

<sup>1</sup> *Tsertsvadze G.*, Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tb., 2011, 15.

<sup>2</sup> საარბიტრაჟო სამართლის უნიფიცირების მიზნით, გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (*UNCITRAL*) მიერ, 1985 წლის 21 ივნისს მე-18 ყოველწლიურ სესიაზე მიღებულ იქნა მოდელური კანონი საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ. ამ ფორმით, სახელმწიფოებს მიეცათ შესაძლებლობა თითოეული მათგანის სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, საარბიტრაჟო კანონმდებლობა შესაბამისობაში მოეყვანათ მოდელური კანონის ძირითად პრინციპებთან. იხ. *Beiker u Makenzi*, *Международный Коммерческий Арбитраж*, М., 2001, 27. ასევე, *UNCITRAL*-ის მოდელური კანონის ქვეყნების სრული სია, <[http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral\\_texts/arbitration/1985Model\\_arbitration\\_status.html](http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration_status.html)>.

<sup>3</sup> *Tsertsvadze G.*, Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tb., 2011, 16-17.

<sup>4</sup> United Kingdom Arbitration Act 1996, [June 17, 1996].

<sup>5</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 139.

<sup>6</sup> დანვრილებით იხ. ნაშრომის თავი მე-4.

დანყვეტილების „შეცვლისკენ“, თუმცა სრულიად ბუნდოვანია როგორ. კანონი არ განსაზღვრავდა სასამართლოს კომპეტენციას, რომელ ინსტანციას უნდა განეხილა აღნიშნული სარჩელი და რა სახით უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების შეცვლა, ამ გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმებით, გადასინჯვით თუ უბრალოდ მისი გაუქმებით.

43-ე მუხლი ასახელებდა იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელი იყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეცვლა. მხარის სარჩელის საფუძველზე მოსამართლე უფლებამოსილი იყო შეეცვალა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, როცა იგი:

ა) ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას;

ბ) დარღვეული იყო არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან ამ კანონით დადგენილი წესები;

გ) საქმესთან დაკავშირებით არბიტრაჟის წევრმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას ზეგავლენა არ მოუხდენია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე.

ამკარაა, რომ აღნიშნულ საფუძველებს არაფერი აქვთ საერთო ნიუ-იორკის კონვენციისა და მოდელური კანონის შესაბამის ნორმებთან, რის გამოც მათი ეფექტურობა საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე სასამართლო კონტროლის განხორციელების პროცესში საეჭვო იყო.<sup>1</sup>

რას მოიაზრებს კანონმდებელი, ამ მუხლში გამოყენებულ ტერმინ „სასამართლოში“? ამაზე პასუხს გვაძლევს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი: ამ კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარის სარჩელის ან არბიტრაჟის თხოვნას განიხილავს ის რაიონული საქალაქო სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობს საარბიტრაჟო განხილვა. ამგვარად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ საკითხებს ერთპიროვნულად განიხილავდა სამოქალაქო საქმეებზე პასუხისმგებელი მოსამართლე რაიონულ სასამართლოში და, შესაბამისად, ერთ-ერთი უფლებამოსილი მოსამართლე საქალაქო სასამართლოში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ივარაუდება, რომ შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „შეცვლა“, და აღნიშნული არ ეხებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებს.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „შეცვლის“ კანონისმიერი დანაწესი იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ სასამართლო პრაქტიკაში, სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მოსამართლეები, რომლებიც ძირითადად არ არიან დაკავებული ნორმათა განმარტებისა და ინტერპრეტაციის გზით დანერგონ პრეცედენტები და ახლებური ხედვა, რიგ გადაწყვეტილებებში განმარტებისთვის ეყრდნობოდნენ მოდელური კანონის ნორმებს. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში მოდელური კანონი არ მოქმედებდა, მისი გამოყენების უფლებამოსილების საკითხი ღიად რჩება, თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეთა მისწრაფება და მცდელობა, რომ საკანონმდებლო ხარვეზები სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნორმათა განმარტებით შეეცვლინათ, პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.<sup>2</sup>

ფაქტია, რომ კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი დამახინჯებული ფორმით შეიცავდა გადაწყვეტილების გაუქმების ელემენტს და საკმაოდ შორს იყო მოდელური კანონით გათვალისწინებული პროცედურისგან. ამასთან, სრულიად განსხვავდება გადაწყვეტილების „შეცვლის“ საფუძველები დღეს არსებული გადაწყვეტილების გაუქმების მსოფლიოში აღიარებული სტანდარტებისგან, რომელთაც დეტალურად შემდგომ თავებში განვიხილავთ.

ასევე, ძალზედ საინტერესოა ზემოაღნიშნული კანონის დამოკიდებულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ცნებასა და პროცედურასთან. პარადოქსი გახლავთ ის, რომ თავად კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი, თავისი ფორმითა და შინაარსით მხოლოდ საქართველოში არსებული არბიტრაჟის მარეგულირებელ აქტს წარმო-

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 700.

<sup>2</sup> *Tsertsvadze G.*, Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tb., 2011, 17.

ადგენდა და მისი გამოყენება თითქმის შეუძლებელი იყო საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტებთან მიმართებაში, განსაკუთრებით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების წესის არარსებობის პირობებში. სწორედ აღნიშნული გარემოება მიიჩნეოდა კანონის ძირითად ნაკლად და მას სამართლიანად აკრიტიკებდნენ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.<sup>1</sup>

აქვე საინტერესოა, რომ საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდა უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციას. ამავე დადგენილებით დაევალა მინისტრთა კაბინეტს, ნორმატიული აქტების აღნიშნულ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა,<sup>2</sup> მაგრამ ფაქტია, რომ 3 წლის შემდგომ მიღებულ კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონში სრულიად იგნორირებულია აღნიშნული კონვენციით დადგენილი, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების უნიფიცირებული სტანდარტები.

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხი 2010 წლამდე მოქმედ ქართულ სამართალში, ფაქტობრივად, სამართლებრივი რეგულირების მიღმა რჩებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოში მაინც არსებობს ასეთი გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პრეცედენტები. არბიტრაჟის შესახებ ახალი კანონის მიღებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას ახორციელებდა საერთაშორისო კერძო სამართლის კანონისა და მინსკის კონვენციის მიხედვით, რომელიც არ ეხება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს და უზრუნველყოფს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულების რეგულირებას.<sup>3</sup> ღიად რჩება კითხვა, რატომ არ იყენებდა საქართველოს უზენაესი სასამართლო პირდაპირ უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციას<sup>4</sup>, როცა ამის შესაძლებლობას პირდაპირ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „ცნობას“ როგორც ცნებას და ინსტიტუტს, კერძო არბიტრაჟის შესახებ 1997 წლის კანონი არ ითვალისწინებდა. ეს კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნული კანონის მოქმედებას უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, ვინაიდან უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების „აღიარებასა“ და მისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე იურიდიული ძალის მინიჭებასთან, ანუ სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე ხორციელდება უცხოური აქტის, ჩვენ შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მოქმედების ლეგიტიმაცია ქვეყნის შიგნით, რითაც ხდება ტერიტორიულობის პრინციპის გარკვეული შეზღუდვა, შესაბამისად, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის გარეშე, მისი აღსასრულებლად მიქცევა სახელმწიფოს სუვერენულ უფლებასთან მოდის წინააღმდეგობაში.

შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებითაც ბევრი პრობლემა წარმოშვა გადაწყვეტილებების ცნობის არარსებობამ. დაინერგა მახინჯი პრაქტიკა და არბიტრაჟი მხარეთა უფლებების არათუ დაცვის, არამედ შელახვის ასპარეზად იქცა. ზემოაღნიშნული კანონის 42-ე მუხლის მიხედვით „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, აღსრულდება იძულებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე“. ცალსახაა, არ ხდებოდა გადაწყვეტილების ცნობა და აქ საუბარი არც იყო სახელმწი-

<sup>1</sup> შეად: *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 140; *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 45-49.

<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან მიერთების თაობაზე“, თბ., 1994, <codex.net2007>.

<sup>3</sup> *Tsertsvadze G.*, Brief Commentary to the Georgian Arbitration Law, 2009, Tb., 2011, 19.

<sup>4</sup> საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 20, პუნქტი II.

ფო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებადად მიქცევაზე. კანონი თავად არბიტრაჟის თავმჯდომარეს აღჭურვადა უფლებამოსილებით, გაეცა სააღსრულებო წარწერა. „ალოგიკურია, სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილება კომერციულ იურიდიულ პირს ჰქონდეს. არბიტრაჟის კომპეტენცია გადაწყვეტილების გამოტანით შემოიფარგლება, ამ გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად მიქცევის უფლება სასამართლოს უნდა მიენიჭოს.“<sup>1</sup>

კანონის იგივე მუხლი შემდგომში ითვალისწინებდა ამ საარბიტრაჟო წარწერის საფუძველზე წარმოებას კანონმდებლობის შესაბამისი სამოქალაქო საპროცესო ნორმების მიხედვით. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება საქართველოს 1999 წლის კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ. აღსანიშნავია, რომ მისი შესაბამისი ნორმა (მე-2 მუხლი) აღსრულების ქვემდებარე აქტების ჩამონათვალში ასახელებს როგორც კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, ასევე იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. აქ აშკარად იგულისხმება უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, ვინაიდან ზოგადად მათი სამართლებრივი რეგულირება კანონში არ იყო გათვალისწინებული და ამ ხარვეზის ერთგვარი შევსება ხდებოდა ზემოთ ხსენებული დებულების ხარჯზე.<sup>2</sup>

როგორც ვნახეთ, სასამართლოს კონტროლი არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე პრაქტიკულად არ არსებობდა. ხორციელდებოდა „კერძო მართლმსაჯულება“ და გამოტანილი გადაწყვეტილება, ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლის გარეშე ხდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების „ტოლფასი“. „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონი ვერ პასუხობდა საერთაშორისო კონვენციების მიერ დადგენილ მოთხოვნებს. კანონმდებლის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა ისეთი სამართლებრივი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მხარეთა ინტერესების დაცვას. მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ფაქტორებიც კი ცხადყოფს, რომ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი უდავოდ საჭიროებდა ძირეული ცვლილებების განხორციელებას და აუცილებელი იყო მისი მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.

### 2.3. ახალი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“

2009 წელს მიღებული იქნა ახალი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა ევროპული ქვეყნებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. ახალმა კანონმა დაადგინა სრულიად ახალი წესები, რომელიც დაკავშირებული იყო „საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხებთან.“<sup>3</sup> „არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მონესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.“ „არბიტრაჟის შესახებ“ ახალმა კანონმა კიდევ უფრო განამტკიცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დამოუკიდებლობა, თვითონ აირჩიონ არა მარტო უფლების დაცვის ესა თუ ის ფორმა, არამედ არბიტრაჟის მეშვეობით დავის გადაწყვეტის თაობაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ თვითონვე განსაზღვრონ ის კონკრეტული არბიტრაჟი, რომელსაც მიანდობენ დავის გადაწყვეტას.

ახალი კანონის მიღებისას, კანონმდებელი გარკვეული კონცეპტუალური ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა. სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით უნდა აერჩიათ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების რეგულირე-

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2008, 100.

<sup>2</sup> *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009, 45.

<sup>3</sup> საქართველოს კანონი, „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი II.



ბისთვის ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი კანონებით ან ერთიანი საკანონმდებლო აქტით მოწესრიგების საკითხი. აღნიშნული პრობლემა, უფრო პროცესუალურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე შინაარსობრივს. საქართველომ არჩევანი უნიფიცირებული აქტის მიღებაზე შეაჩერა და ამით გაიზიარა არბიტრაჟის სფეროში განვითარებული ბოლო ტენდენციები.<sup>1</sup> მაგალითისთვის, 1999 წელს შვედეთში განხორციელდა საარბიტრაჟო კანონმდებლობის რეფორმა. ამავე წლის 1 აპრილს ძალში შევიდა კანონი „არბიტრაჟის შესახებ“. კანონპროექტზე მომუშავე კომისიის მიზანი არ ყოფილა სრულყოფილი ფორმულირებების ჩამოყალიბება, მათი მიზანი იყო, რომ კანონი ყოფილიყო მარტივი ლაკონური და მოქნილი.<sup>2</sup> რეფორმამდე შვედეთში არსებობდა ორი კანონი: „არბიტრაჟის შესახებ“ და „საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების შესახებ“. ახალმა კანონმა ორივე მათგანის რეგულირების სფერო მოიცვა.<sup>3</sup> შვედეთის „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მოქმედება ვრცელდება შვედეთში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვის პროცესზე, მიუხედავად დავის საერთაშორისო კავშირებისა.<sup>4</sup>

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიც უნიფიცირებული აქტია, რომლის მოქმედებაც ვრცელდება როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე. ამ კანონით განისაზღვრა არბიტრაჟის დამოუკიდებლობის და მის საქმიანობაში სასამართლოს ჩარევის ფარგლები. შემოღებული იქნა საქართველოს რეალობისთვის სრულიად ახალი ინსტიტუტი – არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა სასამართლოს მიერ. ამით საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სასამართლოს კონტროლს დაექვემდებარა და კითხვა – უნდა განხორციელოს თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე კონტროლი სასამართლომ, შეიცვალა კითხვით – როგორ და რა ფარგლებში უნდა განხორციელოს ეს?

### 3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „ნაციონალობა“

ცნობილია, რომ საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია სამმა ძირითადმა დოკუმენტმა უზრუნველყო: 1. 1958 წლის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (ნიუ-იორკის კონვენცია), 2. 1976 წლის UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები, რომელიც საბოლოოდ იქცა 3. 1985 წლის UNCITRAL-ის მოდელურ კანონად, ძალიან ამბიციური მიზნით: ჰარმონიზაციაში დახმარებოდა არსებულ ნაციონალურ საარბიტრაჟო კანონებს და შემზღვევლი თავისებურებები მინიმუმამდე შეემცირებინა.<sup>5</sup>

მოდელური კანონის მნიშვნელობა შეუფასებელია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თანამედროვე კონსესუსის საგანი გახდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების კონტროლის განხორციელება იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ სადაც არის საარბიტრაჟო *situs* (განხილვის ადგილი).<sup>6</sup> კონტროლის პრინციპები, რომლებიც მოდელურ კანონში ჩაიდო წარმოადგენს გლობალური შეთანხმების ნაწილს სასურველ ბალანსზე – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფინან-

<sup>1</sup> Tsertsvadze G., Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tb., 2011, 21.

<sup>2</sup> Madsen F., Commercial Arbitration in Sweden, A commentary on the Arbitration Act (1999:116) and the Rules of the Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce; “Jure Förlag AB“, 1<sup>st</sup> ed., Stockholm, 2004, 40.

<sup>3</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, (შედარებითი ანალიზი) სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2008, 74.

<sup>4</sup> Madsen F., Commercial Arbitration in Sweden, A commentary to the arbitration Act and the Rules of the Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce, 3<sup>rd</sup> ed., New-York, 2007, 343.

<sup>5</sup> Pavic V., Annulment of Arbitral Awards in International Commercial Arbitration, 2010, 132, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1615333](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1615333)>.

<sup>6</sup> Zeiler G., Steindl B., The New Austrian Arbitration Law 5 (2006). – მოდელური კანონი შეადარეს: “great flattener [...]. However, not the entire world has been flattened. There are great plains as well as rocky mountains. The plains exist where the Model Law has been introduced – steep mountains remain where it is not the case.”

ლურობასა და სრულყოფილს შორის.<sup>1</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მის საბოლოო აღსრულებამდე გადის გარკვეულ ტესტს, რომელიც მის ფორმალურ შემომწმებას გულისხმობს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა, სწორედ გადაწყვეტილების კონტროლის ისეთი ფორმებია, რომელსაც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიც ითვალისწინებს. კანონმდებელი გაუქმებას უქვემდებარებს საქართველოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, ხოლო ცნობისა და აღსრულების „ტესტის“ გავლა ერთნაირად ეხება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს რა იგულისხმება მათ მიღმა.

როგორც უკვე არაერთხელ ვახსენეთ, 2010 წლამდე მოქმედი კანონი არ იცნობდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დიფერენციაციას მათი სახელმწიფო კუთვნილების მიხედვით. სხვა ვითარებაა ამ მხრივ ახალ კანონში „არბიტრაჟის შესახებ“, რომლის დებულებები ბევრად ახლოა საერთაშორისო სტანდარტებთან. ახალი კანონი არ განასხვავებს საერთაშორისო და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, მეტიც, იგი არ იცნობს ამ ცნებათაგან არც ერთს. 2009 წლის კანონი, კონკრეტული საკითხებიდან გამომდინარე, მიჰნავს „საქართველოში გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს“ ახალი სამართლებრივი კატეგორიისგან: „იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“. შესაბამისად, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი უარს ამბობს უცხოური თუ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცალკე რეგულირებაზე და ცნობისა და აღსრულების საკითხებს განზოგადებულად აწესრიგებს.

ინგლისურ სამართალში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ითვლება შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად თუ ის გამოტანილია ინგლისში ან მის საზღვრებს გარეთ, მაგრამ საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წესრიგდება ინგლისური სამართლით. ამ დეფინიციიდან გამომდინარეობს ის, რომ გადაწყვეტილება გამოტანილი ინგლისში, არბიტრანტებს შორის, რომელთაგან არცერთი არ არის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე ან რეზიდენტი პირი, მაინც ითვლება შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად. ასევე, გადაწყვეტილება, რომელიც ინგლისს გარეთ იქნა გამოტანილი არბიტრანტებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი ჩვეულებრივ არის ინგლისის რეზიდენტი, ასევე ითვლება შიდა გადაწყვეტილებად, საარბიტრაჟო შეთანხმების ინგლისური სამართლით მონესრიგებიდან გამომდინარე.<sup>2</sup>

ზოგადად დეფინიციებთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ პოზიტიური სახით მათი განმარტება მისაღები არ არის და ასეთი ცნება ყოვლისმომცველი ვერ იქნება.<sup>3</sup> სამართალმცოდნეობაში არ არსებობდა ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რა ნიშან-თვისებები უნდა ახასიათებდეს უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რა არის ნაციონალური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისგან მისი გამიჯვნის კრიტერიუმი. საბოლოო ჯამში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარმოშობის განსაზღვრისთვის, გამოიკვეთა ორი კრიტერიუმი. პირველი **პროცესუალური კრიტერიუმი**, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „ნაციონალობა“ დგინდება იმ საპროცესო გარემოს მიხედვით, რომელზე დაყრდნობითაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. ჩვეულებრივ *lex loci arbitri* განსაზღვრავდა პროცედურულ საკითხებს. აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიკუთვნება ხდება საარბიტრაჟო განხილვაში გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით.

მეორე – **ტერიტორიული კრიტერიუმი**,<sup>4</sup> რომელისთვისაც მთავარია გადაწყვეტილების მიღების ლოკაცია, ადგილი. ამ კონცეფციის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახელმწიფოსადმი მიკუთვნების საკითხი განისაზღვრება საარბიტრაჟო სასამართლოს გეოგ-

<sup>1</sup> Pavic V., Annulment of Arbitral Awards in International Commercial Arbitration, 2010, 133, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1615333](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1615333)>.

<sup>2</sup> Lew J.D.M., The Recognition and Enforcement of Arbitration Awards in England, The International Lawyer, Vol. 10, No. 3, 425-437, <http://www.jstor.org/stable/40705300>, [11/05/2013].

<sup>3</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 606.

<sup>4</sup> ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მოხსენიებულია, როგორც „ადგილმდებარეობის კრიტერიუმი“ იხ. გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009, 37.

რაფიული მდებარეობით ანუ პროცესის ჩატარების (დავის განმხილველი ტრიბუნალის იურუდიული ადგილსამყოფელი) ადგილით. ნიუ-იორკის კონვენცია არ შეიცავს არცერთ მითითებულ კრიტერიუმს, მოდელური კანონი კი ტერიტორიულობის თეორიულ „ფილოსოფიას“ ეფუძნება.<sup>1</sup> მისმა გავრცელებამ, პროცედურული კრიტერიუმის მარგინალიზაცია გამოიწვია.<sup>2</sup>

თუმცა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ტერიტორიულობის თეორიის მიმდევარ სახელმწიფოებს შორისაც არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა იმ საკითხთან მიმართებაში, თუ როგორ უნდა დადგინდეს საარბიტრაჟო სასამართლოს ადგილი. ეს თეორია, პრაქტიკული თვალსაზრისით, უფრო ხელსაყრელი გამოდგა და ნელ-ნელა დამკვიდრდა მსოფლიოს მასშტაბითაც. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამაც, რომელიც დიდი ხნის მანძილზე იყო საპროცესო თეორიის მიმდევარი, 1996 წლის საარბიტრაჟო სამართლის რეფორმით შეცვალა თავისი მიდგომა და ტერიტორიულობის კონცეფცია დაამკვიდრა. ამის მიზეზი, როგორც ვთქვით, საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ გაეროს მოდელურ კანონში მდგომარეობს, რომელიც ცალსახად ტერიტორიულობის თეორიას ემყარება. ამდენად, იმ სახელმწიფოებმაც, რომლებიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კუთვნილებას საპროცესო კონცეფციის მიხედვით ახდენდნენ, მიიღეს რა გაეროს მოდელურ კანონზე დაფუძნებული ნორმატიული აქტები, ავტომატურად მხარი დაუჭირეს ტერიტორიულობის დოქტრინას. აქედან გამომდინარე, ამ ორი კონცეფციის მომხრეებს შორის დავამ აზრი დაკარგა და ტერიტორიულობის თეორიის გამოყენებით დღესდღეობით თვით მხარეები განსაზღვრავენ არის თუ არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოსთან მიმართებაში უცხოური თუ ნაციონალური.<sup>3</sup>

არსებობს სახელმწიფოები, სადაც ორი ცნება – უცხოური და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, ერთმანეთისგან გამიჯნულია. რიგ ქვეყნებში, ჩვეული ტერმინები – „შიდა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები“ ნაკლებად იხმარება და გამოიყენება სამართლებრივი კატეგორიები – „შიდა და საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები“. შვეიცარიაში საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სახეზეა მაშინ, როდესაც საქმე განიხილა საარბიტრაჟო სასამართლომ შვეიცარიის ტერიტორიაზე და მხარეთაგან ერთ-ერთს მაინც თავისი საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული მისამართი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი შვეიცარიის კონფედერაციის ფარგლებს გარეთ აქვს.

ტერმინების დონეზე განსხვავება იგრძნობა საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც. მაგალითად, ნიუ-იორკის კონვენცია, როგორც ამას მისი დასახელებიდან ნათლად ვხედავთ, აწესრიგებს უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ხოლო UNICITRAL-ის მოდელური კანონი ვრცელდება საერთაშორისო საარბიტრაჟო შეთანხმებებზე.

კანონზე მომუშავე ჯგუფმა უარყო საფრანგეთის კანონმდებლობის მიდგომა „საერთაშორისოობის“ კრიტერიუმის მიმართ, რომელიც თვლის, რომ არბიტრაჟი საერთაშორისოა, როცა საარბიტრაჟო განხილვა შეეხება საერთაშორისო ვაჭრობის ინტერესებს. ეს მიდგომა უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ „ინტერესის“ აბსტრაქტული კატეგორია შესაძლოა გამხდარიყო აბსოლუტურად თავისუფალი, შესაძლოა ურთიერთგამომრიცხავი ინტერპერეტაციის საგანი იმ სახელმწიფოების სასამართლოებისთვის, რომლებიც გაიზიარებდნენ მოდელურ კანონს.<sup>4</sup>

ზოგადად, არბიტრაჟის საერთაშორისოდ მიჩნევისთვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რამდენიმე კრიტერიუმი, როგორც ცალკე აღებული - ინდივიდუალურად ან კომბინირებულად. პირველი, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია ქვეყნებში, არის ტერიტორიული კრიტერიუმი, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის ტერიტორიის გარეთ განხორციელებული საარბიტ-

<sup>1</sup> იხ. ნიუ-იორკის კონვენციის მუხლი V(1)(e), მოდელური კანონის მუხლი 1(2).

<sup>2</sup> *Pavic V.*, Annulment of Arbitral Awards in International Commercial Arbitration 2010, 133, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1615333](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1615333)>.

<sup>3</sup> *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009, 42.

<sup>4</sup> *Sanders P.*, The Work of UNICITRAL on Arbitration and Conciliation, second expanded edition, 58. ციტი: *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 610.

რაყო წარმოება ითვლება საერთაშორისოდ.<sup>1</sup> მეორე კრიტერიუმი მოითხოვს დავის ბუნების, ხასიათის შემოწმებას, შესაბამისად, არბიტრაჟი საერთაშორისოა, თუ საქმის ინტერესი საერთაშორისო ვაჭრობას უკავშირდება. შემდგომი კრიტერიუმი აქცენტს აკეთებს მხარეზე, კერძოდ აუცილებელია დადგინდეს მხარის მოქალაქეობა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი უცხოეთში (party's nationality or domicile abroad), რათა არბიტრაჟი ჩაითვალოს საერთაშორისოდ. ასევე, არბიტრაჟის საერთაშორისოდ მიჩნევის ერთ-ერთი საფუძველია სამართალი, რომელიც არჩეულია საარბიტრაჟო განხილვისთვის. მაგალითად, სასამართლოები ინდოეთში, მიიჩნევენ, რომ გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილ იქნა საზღვარგარეთ, შესაძლებელია ჩაითვალოს ინდოეთის გადაწყვეტილებად, თუ მხარეთა შეთანხმებით დავის განხილვა დაექვემდებარება ინდოეთის საარბიტრაჟო აქტით დადგენილ ნორმებს.<sup>2</sup>

მოდელური კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტი გვთავაზობს ობიექტური (დავის საერთაშორისო ხასიათი) და სუბიექტური (უცხოეთის მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის) კრიტერიუმების კომბინაციას. ეჭვგარეშეა, რომ მოდელური კანონის სისტემა მოქნილი და ეფექტურია დავის საერთაშორისო ხასიათის განსაზღვრისთვის, ამასთან, იგი შეიცავს კოლიზიურ ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლის სუბიექტების კონკრეტული სისტემისადმი კავშირის განსაზღვრის შესაძლებლობას.<sup>3</sup> გლობალურად თუ შევხედავთ, საერთაშორისო და შიდა არბიტრაჟები, ძირითადად, გაიმიჯნება იმით, რომ პირველი შეიცავს სახელმწიფოს საზღვრის კვეთის ელემენტს.<sup>4</sup>

ამდენად, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ერთგვარ შუალედურ ცნებად გვევლინება ნაციონალურ და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს შორის. ის გულისხმობს როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე უცხოური ელემენტის მონაწილეობას. ცნობისა და აღსრულების სტადიაზე საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების სამართლებრივად გათანაბრება იმავე ხასიათის უცხოურ აქტებთან არ ნიშნავს მათ სრულ დენაციონალიზაციას.

აქედან გამომდინარე, *UNCITRAL*-ის მოდელური კანონის ნორმების მიხედვით გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებიც ცნობასა და აღსრულებადად მიქცევას ექვემდებარება. ეს მოვლენა რიგი სპეციალისტების მიერ უარყოფით და რეგრესულ ნაბიჯად ფასდება<sup>5</sup>, თუ ადრე მხოლოდ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები საჭიროებდნენ ცნობას, დღესდღეობით საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 ნაწილი მოდელური კანონის ნორმების შესაბამისად ითხოვს, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე გამოტანილი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ცნობის პროცედურას დაექვემდებარონ, რათა ამ ქვეყანაში სამართლებრივი შედეგები გამოიწვიონ<sup>6</sup>.

საქართველოს ახლმა კანონმა „არბიტრაჟის შესახებ“ უარი თქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის დაკონკრეტებაზე. რთული საკითხია, საჭიროა თუ არა „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის ტექსტში საერთაშორისო და უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს შორის განსხვავების დაფიქსირება. საკითხის გადაჭარბებულ სამართლებრივ რეგლამენტაციამ მეტწილად თეორიული დატვირთვა მიიღო და, შესაძლოა, დამატებითი სირთულეები შექმნას.

<sup>1</sup> Brazilian Arbitration Act of 1996, 34. ასევე, UK Arbitration Act of 1996, 2(1), 3.

<sup>2</sup> *Oil and Natural Gas Commission v. Western Co of North America*, in *Tweeddale A., Tweeddale K.*, *Arbitration of Commercial Disputes*, 2007, 49.

<sup>3</sup> *Lew J., Mistelis L., Kröll S.*, *Comparative International Commercial Arbitration*, Kluwer Law International, 2003, 61.

<sup>4</sup> *Blackaby N., Partasides C., Redfern A., Hunter M.*, *Redfern and Hunter on International Arbitration*, 5<sup>th</sup> ed., 2009, 8.

<sup>5</sup> *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009 41.

<sup>6</sup> შეად. *Calavros*, *das UNCITRAL – Modellgesetz über die internationale Handelsschiedsgerichtsbarkeit*, 1988, 173. ციტირებულია: *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009, 41.

კანონმდებლის მართებულ მიდგომად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ იგი იდენტურ სამართლებრივ რეჟიმს აწესებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ ცნობისა და აღსრულების თვალსაზრისით. ამით იზიარებს ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვით, იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომელებისთვისაც გამოიყენება კონვენცია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებითად უფრო მძიმე პირობები ან უფრო მაღალი გადასახადები, ვიდრე დაწესებულია შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისთვის. მაგალითისთვის, კანადის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, არცერთ კანადის პროვინციას არ შეუძლია საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის იმაზე მოკლევადიანი დროის ლიმიტის დაწესება, ვიდრე შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის დაწესებული უდიდესი დროის ლიმიტია კანადის მთელს ტერიტორიაზე.<sup>1</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით, სახეზე გვაქვს საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კრიტერიუმები. აღნიშნული დაყოფის შედეგად საარბიტრაჟო გადაწყვეტილები სხვადასხვა ინსტანციის სასამართლო კონტროლის განსხვავებული მექანიზმების ობიექტად იქცევიან.

## 4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და გაუქმება

### 4.1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების და გაუქმების არსი

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა.<sup>2</sup> ყველას შეუძლია მოითხოვოს მისი საქმის განხილვა სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.<sup>3</sup> ამავე დროს, არბიტრაჟის მიერ დავის განხილვა და გადაწყვეტა გამორიცხავს სასამართლოს მიერ ამავე დავაზე გადაწყვეტილების მიღებას. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეები თავად ახდენენ მათთვის მინიჭებული უფლების შეზღუდვას და დავის განმხილველ ორგანოდ ირჩევენ არბიტრაჟს, საარბიტრაჟო წარმოებაც მთლიანად მხარეთა ავტონომიურობის პრინციპს ეფუძნება. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მიხედვით „საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე“. იგი გულისხმობს მხარეთა მიერ გამოხატული ნების საფუძველზე, დავის არსებითად გადაწყვეტის კომპეტენციის არბიტრაჟისთვის გადაცემას. სწორედ იმ ფაქტორის გამო, რომ დავის საარბიტრაჟო განხილვისადმი დაქვემდებარება განაპირობებულია მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობით, დავის არბიტრაჟის მიერ განხილვა არ შეიძლება მიჩნეული იქნას მხარის კონსტიტუციური უფლების - სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვად.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Supreme Court of Canada, 20 May 2010 (Yugraneft Corporation v. Rexx Management Corporation) Yearbook Commercial Arbitration XXXV, 2010, 343- 345 (Canada no. 31) cit. *Sanders P.*, ICCA'S Guide To The Interpretation of the 1958 New York Convention: A Handbook For Judges, Published by the International Council for Commercial Arbitration, Hague, 2011, 70, <[www.arbitration-icca.org](http://www.arbitration-icca.org)>.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, თავი II მუხლი 42; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 6.

<sup>3</sup> *კუბლაშვილი კ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები (ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები) *იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.*, თბ., 2005, 363.

<sup>4</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: 1962 წელს არ დაკმაყოფილდა გერმანელი მასწავლებლის მოთხოვნა, საქმე განიხილა სასამართლოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება შეიცავდა საარ-

დავის არბიტრაჟისათვის გადაცემით სასამართლო კარგავს იურისდიქციას არსებულ დავაზე,<sup>1</sup> თუმცა ეს არ ნიშნავს საარბიტრაჟო განხილვის სწორად წარმართვაში სასამართლოს როლის სრულ უარყოფას.<sup>2</sup> „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად „დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული“.

კანონით პირდაპირ გათვალისწინებული, სასამართლოს ჩარევის ნათელი მაგალითია აღნიშნული კანონის 42-ე მუხლი, რომელიც მოდელური კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, მხარეს აძლევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას და კანონით ზუსტად გაწერილი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს აღჭურავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების უფლებამოსილებით.

ერთი მხრივ, არბიტრაჟის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები ხელშეკრულებით თანხმდებიან მათ შორის წარმოშობილი დავა განსახილველად გადასცენ მესამე მხარეს – არბიტრაჟს, რაც მათ თავიდან აარიდებს სახელმწიფოს სისტემაში არსებულ სასამართლო განხილვებსა და პროცედურებს.<sup>3</sup> მეორე მხრივ, იურიდიულ დოქტრინაში, ზოგადი პრინციპების მიხედვით, სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრება გულისხმობს გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმებას, სახელმწიფოს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა, თუ საარბიტრაჟო განხილვის უმთავრეს ხიბლს სასამართლოსადმი მიმართვისგან თავის არიდება, დავის სწრაფი, ეფექტური და დროში ნაკლებად განელილი პროცესი წარმოადგენს, რატომ უშვებს კანონმდებლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას? რა იგულისხმება გასაჩივრების ცნებაში და რა სახით ერევა სასამართლო ხელისუფლება უკვე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმალურ და შინაარსობრივ მხარეში?

მოდელური კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი ცალსახად განსაზღვრავს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ მისი გაუქმების მოთხოვნის შესახებ შუამდგომლობის შეტანის გზით. ამ დროს სასამართლოს არ აქვს უფლება იმსჯელოს საარბიტრაჟო განხილვის საგანთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, არ შეუძლია შეცვალოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება ან გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.<sup>4</sup> შესაბამისად, ცალსახაა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ინსტიტუტი არ შეიცავს „გასაჩივრების“ ცნებით მოცულ – კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების ელემენტებს, ამდენად არ წარმოადგენს გასაჩივრებას მისი კლასიკური გაგებით და მხოლოდ და მხოლოდ გულისხმობს გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას, კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში<sup>5</sup>.

---

ბიტრაჟო შეთანხმებას. სასამართლომ განმარტა, რომ საარბიტრაჟო განხილვა და საარბიტრაჟო შეთანხმების დადებაზე ვალდებული არავინ არ არის. შესაბამისად, საარბიტრაჟო შეთანხმების დადებასას სახელმწიფო სასამართლოების კომპეტენციის გამორიცხვით არავის უფლება არ იზღუდება მისი ნების საწინააღმდეგოდ. (*Distler W., Private Schiedsgerichtbarkeit und Verfassung, Eine rechtsvergleichende Untersuchung zum deutschen und englischen Recht, Frankfurt am Main, 2000, 90-91.* – ციტირებულია: *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 63).

2. *Suovaniemi vs. Finland* საქმეზე 1999 წელს მიუთითა „არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად სასამართლო განხილვაზე საკუთარი სურვილით უარის თქმა პრინციპში დასაშვებია. ამავე დროს, ასეთი უარი არ უნდა იქნეს განხილული, როგორც ყველა იმ უფლებაზე აბსოლუტური უარის თქმა, რომელსაც ითვალისწინებს ეს მუხლი. ასეთი უარის თქმა შეიძლება, როცა ეს „დასაშვებად“ შეიძლება იქნეს მიჩნეული. გარკვეულ უფლებებთან მიმართებაში ეს შეიძლება დასაშვები იყოს ან სხვა უფლებებთან მიმართებაში არც იყოს დასაშვები, *ASA Bulletin, Volume 23, No 1, Kluwer Law International, 2005, 214.*

<sup>1</sup> *Wallgren C., ADR and Business, ICC Publication No. 963, 2006, 30.*

<sup>2</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 231.

<sup>3</sup> *Heuman L., Arbitration Law of Sweden: Practice and Procedure, Juris Publishing, Inc, 2003, 1.*

<sup>4</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 23.

<sup>5</sup> შენიშვნა: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები ზუსტად ემთხვევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს და თითოეული მათგანი განხილული იქნება შემდგომ თავებში.

მოდელური კანონის მსგავსად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მხოლოდ გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას. ქართული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ცალკე რეგულირებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, ანუღირების და ა.შ. ინსტიტუტებისთვის. განსხვავებით შვედეთისგან, სადაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ბათილობა გამიჯნულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისგან. მათ განსხვავებული საფუძვლები აქვთ და სხვადასხვა სამართლებრივ შედეგთან არიან დაკავშირებული.<sup>1</sup>

როგორც აღინიშნა, საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, შესაბამისობაშია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ UNICITRAL-ის მოდელურ კანონთან. ამდენად, ლოგიკურია, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე და 43-ე მუხლებში განერილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გაუქმების არსი და საფუძვლები ემთხვევა მოდელური კანონის 34-ე მუხლის შინაარსს. ამასთან, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ, 2009 წლის 19 ივნისს ამ კოდექსს დაემატა მეშვიდე პრიმა კარი „სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში“. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით განსაზღვრულია სასამართლოს (როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების) უფლებამოსილებები საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაზეც დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

## 4.2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების პროცედურა

### 4.2.1 სასამართლოს კომპეტენცია

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან. თუმცა, არბიტრების მიერ საბოლოო და მხარეთათვის სავალდებულო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანა „ამბის დასასრული“ ჯერ კიდევ არ არის. შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მხარეს<sup>2</sup> აქვს უფლება მოიხოვოს, ამ გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა ან მისი გაუქმება, „იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელშიც ან რომლის სამართლითაც გამოტანილ იქნა ეს გადაწყვეტილება.“<sup>3</sup>

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს სასამართლოს უფლებამოსილებას (აღსანიშნავია, რომ არა ვალდებულებას)<sup>4</sup>, გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ამავე კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აღნიშნული უფლებამოსილება შედის სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციაში,<sup>5</sup> ამდენად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების განსჯადობაზე უფლებამოსილ ორგანოებს თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები წარმოადგენენ.

მოდელური კანონის თანახმად (34-ე მუხლის I პუნქტი), საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში შესაძლებელია მხოლოდ მისი გაუქმების შესახებ შუამდგომლო-

<sup>1</sup> შეად. *Madsen F.*, Commercial Arbitration in Sweden, A commentary on the Arbitration Act, 1999, 116. and the Rules of Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce, Stockholm, 2004, 237, 238, 251, 244, ციტირებულია: *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012, 626.

<sup>2</sup> გადაწყვეტილების გაუქმება შესაძლოა მოითხოვოს მხოლოდ მხარემ. მესამე პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ საარბიტრაჟო განხილვაში ვერ მიმართავენ ამ საშუალებას. იხ. Setting Aside an Arbitral Award (with a reference of recent judgments of the Italian Court of Cassation); Italian Court of cassation, section I, 28-05-2003 n8545, <[http://www.arbitration-icca.org/media/0/12571318617080/bermini\\_setting\\_aside.pdf](http://www.arbitration-icca.org/media/0/12571318617080/bermini_setting_aside.pdf)>.

<sup>3</sup> New York Convention 1958, article V (1)(e).

<sup>4</sup> შეად. *Paulsson J.*, May or Must Under the New York Convention: An Exercise in Syntax and Linguistics, 1998.

<sup>5</sup> შეად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 356<sup>13</sup>, „ზ“ ქვეპუნქტი.

ბის შეტანის გზით. აღსანიშნავია, რომ კანონი იძლევა მხოლოდ შუამდგომლობის და არა სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას, რაც მიგვანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში საქმე არ შეიძლება გვექონდეს ჩვეულებრივ სასარჩელო წარმოებასთან.<sup>1</sup> აღნიშნული მინიშნება, 1997 წლის კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონისგან განსხვავებით, გათვალისწინებულია დღეს მოქმედ კანონმდებლობაშიც. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სააპელაციო სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით და განხილვა ექვემდებარება განსაკუთრებულ წარმოებას.<sup>2</sup>

სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებზე საუბრისას, საინტერესოა გერმანული ZPO-ს 1062(2) მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვითაც გერმანიის სასამართლოებს აქვთ კომპეტენცია გააუქმონ გადაწყვეტილება მაშინაც კი, როცა ის არ არის გამოტანილი გერმანიაში. ამ შემთხვევაში კომპეტენცია ემყარება მოპასუხე მხარის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ან ქონების ადგილსამყოფელს.<sup>3</sup> მსგავს გამოწვევებს საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ არ შეიცავს, ის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას.

#### 4.2.2. დროის ლიმიტი

დროის მოკლე მონაკვეთში მხარისთვის საბოლოო შედეგის დადგომა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ერთ-ერთი დადებითი მახასიათებელი ნიშანია. ვფიქრობთ, ამიტომ, მხარის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა აუცილებლად დროში შეზღუდული პროცესია. თუ მხარე დადგინდეს ვადას გაუშვებს, მას ერთმევა გასაჩივრების და, შესაბამისად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა. გასაჩივრების ვადის დენა ყოველთვის იწყება განსაზღვრული ობიექტური მომენტიდან, მაგალითად, როგორც არის გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარების დრო. ვადა საშუალოდ მერყეობს 28 დღიდან (ბრიტანეთში) ექვს თვემდე (ჩინეთში).<sup>4</sup> მოდელური კანონი და ნაციონალური კანონმდებლობების უმრავლესობა სადღაც შუაშია, გადაწყვეტილების გასაჩივრების სამთვიანი ვადით, რომლის დენაც იწყება მხარეებისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების დღიდან.<sup>5</sup>

საქართველოს კანონიც აწესებს გასაჩივრების ვადას. სააპელაციო სასამართლოს მხარემ საჩივარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით უნდა წარუდგინოს მხარეთათვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 90 დღის განმავლობაში.<sup>6</sup> თავის მხრივ, სასამართლო ვალდებულია საჩივარი განიხილოს და გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში. მას უფლება აქვს შეაჩეროს გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა, არა უმეტეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადით, რათა არბიტრაჟს მიეცეს საშუალება, განაახლოს განხილვა, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოსაფხვრელად.<sup>7</sup>

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 623.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1246-1175-2012.

<sup>3</sup> “If the place of arbitration in the cases referred to in subsection 1, no. 2, first alternative, nos. 3 and 4 is not in Germany, competence lies with the Higher Regional Court) where the party opposing the application has his place of business or place of habitual residence, or where assets of that party or the property in dispute or affected by the measure is located, failing which the Berlin Higher Regional Court (Kammergericht) shall be competent.”

<sup>4</sup> Chinese Arbitration Law, 59, <[http://eguides.cmslegal.com/pdf/arbitration\\_volume\\_I/CMS%20GtA\\_Vol%20I\\_-CHINA.pdf](http://eguides.cmslegal.com/pdf/arbitration_volume_I/CMS%20GtA_Vol%20I_-CHINA.pdf)>.

<sup>5</sup> იხ. მოდელური კანონი, 34(3). სხვადასხვა ნაციონალური სამართალი განსხვავებულ მომენტს განსაზღვრავს ვადის დენის დასაწყისად, მაგ., ინგლისში ასეთად მიჩნეულია ბოლო ხელმოწერის დაფიქსირების დრო.

<sup>6</sup> საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, 42(2).

<sup>7</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 356<sup>24</sup>.



### 4.3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების განხილვის შედეგი

როგორც აღვნიშნეთ, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მხარის საჩივრის საფუძველზე, გაუქმებას ექვემდებარება საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

ზოგადი მოსაზრებით, კომპეტენტური სასამართლო, რომელშიც მხარე მოითხოვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას, შესაძლოა მივიდეს სხვადასხვა გადაწყვეტილებამდე: გააუქმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, უარი თქვას გადაწყვეტილების გაუქმებაზე და ძალაში დატოვოს იგი, გააუქმოს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ, ან შეაჩეროს გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა და ნება დართოს არბიტრებს მიიღონ ზომები, რომლებიც აღმოფხვრის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს.

გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის თქმა ნიშნავს, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას, იმ ქვეყანაში, რომელშიც გაუქმების შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, არ უნდა შეეძინას პრობლემა აღსრულების ეტაპზე. ასევე, ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების პერსპექტივა სხვა სამართლებრივ სივრცეშიც იზრდება, თუ მის გაუქმებაზე უარი თქვა მოდელური კანონის იურისდიქციის მქონე ქვეყნის სასამართლომ, ვინაიდან ნიუ-იორკის კონვენცია გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის იდენტურ საფუძვლებს აწესებს. ამდენად, თუ გადაწყვეტილება გაუქმებას არ დაექვემდებარა მოდელური კანონის შესაბამისი ქვეყნის შიდა სამართლით, იგი თითქოს ცნობადი და აღსრულებადი უნდა იყოს სხვა ქვეყანაშიც.

თუმცა, ყურადსაღებია შემდეგი ფაქტორი: გაუქმების განხილვისას სასამართლო გადაწყვეტილებას იკვლევს და იხილავს მისი ქვეყნის სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით, მაგალითად, საჯარო წესრიგთან მიმართებაში, მაშინ როცა უცხო ქვეყნის სასამართლო რომელმაც უნდა ცნოს ეს გადაწყვეტილება შესაძლოა ეყრდნობოდეს სრულიად სხვა სტანდარტებს. ამდენად, შესაძლებელია ერთი ქვეყნის სამართლისთვის მისაღები, მეორისთვის მიუღებელი და, შესაბამისად, ცნობაზე უარის თქმის საფუძველი აღმოჩნდეს. მდენად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარი, ვფიქრობ ავტომატურად მის ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში ცნობის გარანტიას არ იძლევა.<sup>1</sup>

გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მხარის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

გადაწყვეტილების გაუქმების შემდგომ, ნორმალურ ვითარებაში ორი ძირითადი საკითხი დგება დღის წესრიგში, პირველი: გადაწყვეტილების გაუქმება „აღადგენს“ სასამართლოს განსჯადობას საქმეზე თუ არბიტრაჟს აძლევს მეორე „შანსს“ გადაწყვიტოს მხარეებს შორის არსებული დავა? და მეორე – რა არის გადაწყვეტილების გაუქმების კონკრეტული შედეგი და რა მნიშვნელობა აქვს გაუქმებას ქვეყნის გარეთ, სხვა ქვეყნების იურისდიქციაში?

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება წარმოშობს დილემას: გულისხმობს თუ არა გაუქმება, საქმის კვლავ არბიტრებისათვის დაბრუნებას, თუ მათი მისია ამოიწურა მაშინ, როცა გამოიტანეს პირველი გადაწყვეტილება?

მიდგომა, რომ არბიტრების უფლებამოსილება მთავრდება გადაწყვეტილებაზე ხელმოწერის მომენტიდან, რამდენიმე პრაქტიკულ პრობლემას წარმოშობს, სახელდობრ: მრავალი ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ არბიტრებმა შესაძლოა *ex officio* ან სასამართლოს დავალებით გამოსწორონ გადაწყვეტილებაში არსებული შეცდომები ან გადახედონ მის კონკრეტულ ასპექტებს. თუ არბიტრები იქნებიან *functus officio*<sup>2</sup> გადაწყ-

<sup>1</sup> შენიშვნა: გაუქმებული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი განხილულია სტატიის 7.2 თავში.

<sup>2</sup> “Having fulfilled the function, discharged the office, or accomplished the purpose, and therefore of no further force or authority. Applied to an officer whose term has expired, and who has consequently no further official authority; and also to an instrument, power, agency, etc. which has fulfilled the purpose of its creation, and is therefore of no further virtue or effect”, The Law Dictionary Featuring *Black's Law Dictionary* Free Online Legal Dictionary 2<sup>nd</sup> ed., <<http://thelawdictionary.org/functus-officio/#ixzz2XuMYAoRv>>.

ვეტილების გამოტანის შემდგომ, მათ არ ექნებათ გადაწყვეტილებაში, ნახსენები შესწორებების შეტანის უფლება. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლი შესაძლებელს ხდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორებასა და დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებას თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასეთი ინტერვენციის დაშვების მთავარი მიზანი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების პრევენცია და პროცედურული ეფექტურობის უზრუნველყოფაა.<sup>1</sup>

ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით, არბიტრაჟს აქვს მხოლოდ ერთი „ცდა“ გამოიტანოს გადაწყვეტილება. თუ ეს გადაწყვეტილება გაუქმებას დაექვემდებარა, იურისდიქცია დავაზე გადადის სასამართლოს ხელში.<sup>2</sup> ამასთან, ზოგიერთი ქვეყნის სამართლით გაუქმებას ასეთი შედეგი არ მოსდევს, პირიქით, საქმე უკან უბრუნდება არბიტრაჟს, თუ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არის საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობა. ამას ნათლად მიუთითებს, მაგალითად, სერბეთის და ხორვატიის საარბიტრაჟო სამართალი და ერთადერთი გამონაკლისი ამ სიტუაციიდან არის მაშინ, როცა საარბიტრაჟო შეთანხმებაში ჩამოთვლილია არბიტრთა სახელეები, ასეთ შემთხვევაში გაუქმება აბრუნებს საქმეს სასამართლოში.<sup>3</sup>

გერმანული ZPO-ს თანახმად, გაუქმების შედეგი – საარბიტრაჟო განხილვის მეორე რაუნდის დაწყებას ნიშნავს.<sup>4</sup> არბიტრებისთვის საქმის უკან დაბრუნებას უზრუნველყოფს ასევე ავსტრიის ZPO-ს 611(5) მუხლი, თუმცა, ამბობს, რომ „გადაწყვეტილების გაუქმების პროცედურა გავლენას არ ახდენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იურიდიულ ძალაზე. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ერთსა და იმავე საგანზე ორჯერ იქნა გაუქმებული, სასამართლო, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, გამოაცხადებს საარბიტრაჟო შეთანხმებას ძალადაკარგულად ამ დავის საგანთან მიმართებით.“<sup>5</sup>

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ დუმს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისად, ღიად გვრჩება კითხვა გადაწყვეტილების გაუქმება „ალადგენს“ სასამართლოს განსჯადობას საქმეზე თუ არბიტრაჟს აძლევს მეორე „შანსს“ გადაწყვიტოს მხარეებს შორის არსებული დავა. საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს მოსაზრება, რომ ზემოაღნიშნული ქვეყნების მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობამაც მოაწესრიგოს აღნიშნული საკითხი, რათა თავიდან ავიცილოთ ქაოტური და ურთიერთგამომრიცხავი პრაქტიკა.

რაც შეეხება საკითხს თუ რა არის გადაწყვეტილების გაუქმების კონკრეტული შედეგი და რა მნიშვნელობა აქვს გაუქმებას ქვეყნის გარეთ, სხვა ქვეყნების იურისდიქციაში, განხილულ იქნება შემდგომ თავში, გაუქმებული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხთან მიმართებაში.

#### 4.4. გაუქმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება

ზოგადი მიდგომით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას საკასაციო საჩივრით მხარეების და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პი-

<sup>1</sup> *Pavic V.*, Annulment of Arbitral Awards in International Commercial Arbitration, 2010 149, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1615333](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1615333)>.

<sup>2</sup> Netherlands Code of Civil Procedure, 1067, “Unless the parties have agreed otherwise, as soon as a decision which has reversed the award has become final, the jurisdiction of the court shall revive“, <<http://www.dutch-civillaw.com/legislation/civilprocedure044.htm>>.

<sup>3</sup> Serbian Law on Arbitration, 63, <[http://www.lexadin.nl/wlg/legis/nofr/eur/lxweser.htm#Arbitration Law](http://www.lexadin.nl/wlg/legis/nofr/eur/lxweser.htm#Arbitration%20Law)>. Croatian Law on Arbitration, 37, <[http://www.vsrh.hr/CustomPages/Static/HRV/Files/Legislation\\_\\_Law-Arbitration-RC.pdf](http://www.vsrh.hr/CustomPages/Static/HRV/Files/Legislation__Law-Arbitration-RC.pdf)>.

<sup>4</sup> გერმანიის ZPO, 1059(5), <[http://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_zpo/englisch\\_zpo.html](http://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html)>.

<sup>5</sup> ავსტრიის ZPO, 611(5). “The setting aside of the arbitral award does not affect the validity of the underlying arbitration agreement. Where an arbitral award on the same subject-matter has been finally set aside twice and if a further arbitral award regarding that subject-matter is to be set aside, the court shall, upon request of a party, concurrently declare the arbitration agreement to be invalid with respect to that subject-matter”, <<http://arbitration-austria.at/dokumente/OfficialCommentAustrianArbitrationAct2006.pdf>>.

რების მიერ. საინტერესოა ვრცელდება თუ არა აღნიშნული ნორმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და დასაშვებია თუ არა მათი გასაჩივრება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ საქმეზე. განსახილველ შემთხვევაში მხარემ, საკასაციო საჩივრით მოსთხოვა შპს „რ. ქის“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი ვერ გახდება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, დაუშვებელია კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ანალოგიური შინაარსისაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, რომლის თანახმადაც არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ნებისმიერი სახით, თუნდაც საკასაციო წესით, განიხილოს ზემოთ მითითებული კატეგორიის საქმეები თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მითითებული ნორმატიული აქტებით. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას საკასაციო საჩივრით მხარეების და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების მიერ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ სასარჩელო წარმოების წესით განხილული საქმეების მიმართ. მოცემულ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს განსაკუთრებულ წარმოებასთან, რომლის მარეგულირებელი ნორმები სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობაზე მითითებას საერთოდ არ შეიცავს. შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კანონმდებელი მსგავსი კატეგორიის საქმეებში საკასაციო სასამართლოს ჩარევას დაუშვებლად მიიჩნევს.<sup>1</sup> შესაბამისად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## **5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის არსი და პროცედურა**

### **5.1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის და აღსრულების ზოგადი დახასიათება და ნორმატიული რეგულირება**

სასამართლო თუ საარბიტრაჟო წარმოებას როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, მხოლოდ ერთი მიზანი შეიძლება ჰქონდეს – საბოლოოდ გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა, მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანის გზით. მათთვის კონკრეტული სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგი მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ შეიძლება დადგეს, შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პროცედურაა, რომლის გარეშეც აზრს კარგავს როგორც მხარეთა, ასევე დავის განმხილველი ორგანოების ძალისხმევა დავის არსებითად გადაწყვეტისათვის.

საერთაშორისო არბიტრაჟის როლის გაზრდისა და მოქნილი, ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო აქტიური კამპანია

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1246-1175-2012.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების უნიფიცირებული სისტემის შემუშავებისთვის. აღნიშნული, ცნობისა და აღსრულების საკითხის რეგულირებასთან დაკავშირებული ერთიანი სტანდარტის დადგენას ისახავდა მიზნად.

შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში: გაერო) ეგიდით 1958 წელს ნიუ იორკში დაიდო უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ კონვენცია, რომელიც საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟში, მიჩნეულია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობის და აღსრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველად და დღემდე ურთიერთობების მონესრიგების „ცენტრალურ სამართლებრივ ინსტრუმენტს“<sup>1</sup> წარმოადგენს.

საქართველო, 1994 წლის 31 აგვისტოს, შეუერთდა ნიუ-იორკის კონვენციას<sup>2</sup>, თუმცა მან მრავალი წლის განმავლობაში შესაბამისი ასახვა ვერ ჰპოვა არბიტრაჟის შესახებ ქვეყნის კანონმდებლობაში. ამას ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ 2009 წლამდე ვერ მოხერხდა საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების რეგულირება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობა შემოიფარგლებოდა კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს 1997 წლის კანონით, რომელიც საერთოდ არ ეხებოდა საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვას, ასეთი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.<sup>3</sup> ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საუბრობდნენ აღნიშნული კანონის ხარვეზებზე და სავსებით სამართლიანად გამოთქვამდნენ მოსაზრებას ახალი, მოდელური კანონის შესაბამისი საარბიტრაჟო რეგულაციების მიღების აუცილებლობის შესახებ.<sup>4</sup>

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის, როგორც მოდელური კანონის მიხედვით შექმნილი ნორმატიული აქტის ერთ-ერთ ნოვაციას, სწორედ, ცნობის და აღსრულების დახვეწილი და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისი რეგულირების შემოტანა წარმოადგენს. აღნიშნული კანონის 44-ე მუხლი ადგენს, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს, თუ არ არსებობს მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველები. საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ცნობასა და აღსასრულებლად მიქცევაზე უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო.

## 5.2. გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების არსი

იურიდიულ ლიტერატურაში არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობას განმარტავენ, როგორც სასამართლოს დასტურს, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეებისათვის. ამის შემდომ მხარეებს უფლება ერთმევათ იმავე დავის საგანზე ხელახლა მიმართონ დავის განმხილველ ორგანოს, *res judicata*-ს პრინციპი.

სამართლის თეორიის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე<sup>5</sup>, სახელმწიფოს კანონების მოქმედება, შეზღუდულია ამ ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრებით, შესაბამისად, ვრცელდება იმ ტერიტორიაზე, რომელიც მისი, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის ფარგლებშია მოქცეუ-

<sup>1</sup> *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009, 28.

<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან მიერთების თაობაზე“, თბ., 3 თებერვალი, 1994, <codex.net2007>.

<sup>3</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის წინაპირობები, (შედარებითი ანალიზი) სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2008, 90.

<sup>4</sup> *ზამბახიძე თ.*, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი (პრობლემები და პერსპექტივა) პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2004, 80, 81.

<sup>5</sup> *ხუბუა გ.*, სამართლის თეორია, თბ., 2004, 147.

ლი. სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში, ჩვეულებრივ, გულისხმობს სახელმწიფოს უფლებას განახორციელოს უზენაესი ხელისუფლება (Supreme power) მის ტერიტორიაზე.<sup>1</sup>

ამდენად, საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებით, არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. სახელმწიფო თავის სუვერენული უფლებამოსილების ფარგლებში, ტერიტორიულობის პრინციპის დაცვით ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას და სასამართლო ხელისუფლების მეშვეობით ახდენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ლეგიტიმაციას. განვიხილოთ რა ხდება უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის შემთხვევაში.

როგორც აღინიშნა, უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს საჯარო ხელისუფლების განხორციელება, გამორიცხულია სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპიდან გამომდინარე. ამასთან, საქმე გვაქვს ე.წ. „ტერიტორიულობის პრინციპთან“, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს იძულებითი ძალაუფლების განხორციელების შესაძლებლობა აქვს მხოლოდ მისი გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, „რომელთან მიმართებაშიც ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს“. საერთაშორისო სამართალში ზოგადად არ არსებობს შესაბამისი დებულებები, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას ავალდებულებდნენ. ამრიგად, თვით სახელმწიფოს ნება-სურვილზეა დამოკიდებული, იმოქმედებენ თუ არა ზემოთ დასახელებული უცხოური აქტები მის ტერიტორიაზე. „ეს ასე რომ არ ყოფილიყო, თვით სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საკითხი ეჭვქვეშ დადგებოდა, რადგან უცხო არალეგიტიმური ბრძანებების იგნორირების უფლება წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სუვერენიტეტის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს“.<sup>2</sup>

ამდენად, უცხოური ან/და საერთაშორისო აქტის – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, მოქმედების ლეგიტიმაცია კონკრეტული ქვეყნის შიგნით ხორციელდება სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე, რითაც ხდება ტერიტორიულობის პრინციპის გარკვეული შეზღუდვა. ამ პრინციპის სასურველ ჩარჩოებში მოქცევა კი, თავის მხრივ, ეფუძნება ქვეყნის მიერ დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების ან უშუალოდ ქვეყნის შიდა სამართლის ნორმებს. სახელმწიფოს ამგვარი ნებართვა შესაძლებელს ხდის სხვადასხვა სახის აქტების საერთაშორისო მიმოქცევას, მაგრამ უცხოური გადაწყვეტილების მოქმედება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ავტომატურად არ ვრცელდება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დაქვემდებარება მეორე ქვეყნის სამართლებრივი სისტემისადმი სწორედ გადაწყვეტილების ცნობის მეშვეობით ხორციელდება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა, ხშირად, აღსრულებასთან ერთად გვხვდება. მათ შორის არსებობს მსგავსება, მაგრამ რეალურად ისინი სხვადასხვა ცნებებია და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობენ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძველები. ცნობით ხდება უცხოური აქტის შეყვანა, მეორე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში.<sup>3</sup> ცნობას, როგორც

<sup>1</sup> “The term “sovereignty” has been used in other contexts, of course, including as a description of a political subdivision’s autonomy on certain matters”, შეად. *Reisman M. W.*, Sovereignty and Human Rights in Contemporary International Law, in Democratic Governance and International Law 239 (*Fox G., Roth B.*, eds., 2000), exploring sovereignty of populations in contrast to that of rulers. ასევე, ix. *Krasner S.D.*, Globalization and Sovereignty, in States and Sovereignty in the Global Economy (*Smith D., Solinger D., Topik S.*, eds., 1999). ციტირებულია: Arbitration of Int'l Business (Ch. 2-E-1), The Challenge of Sovereignty.

<sup>2</sup> *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009, 12.

<sup>3</sup> *HaasLU.*, die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche, 1991, 128, ციტი.: *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009, 13.

განკერძოებულ აქტს, შეუძლია დაიცვას მხარე გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლებების დარღვევისგან. მაშინ, როცა აღსასრულებლად მიქცევა უფრო ღრმად მიდის და ავალდებულებს მხარეებს პატივი სცენ გადაწყვეტილების ბუნებას.<sup>1</sup> ამდენად, აღსასრულებლად მიქცევა ნიშნავს ამ აქტისთვის მოქმედების უფლების მინიჭებას. თავისთავად ცნობას მოვალისთვის ნაკლებად მოაქვს უშუალო სამართლებრივი შედეგები. ცნობა უფრო მეტად დეკლარატორული ხასიათისაა. აღსრულებლად მიქცევას კი პირიქით, ესაჭიროება საკუთარი პროცესი ე.წ. სააღსრულებო (ექსეკუტორული) პროცესი (ფრანგული ტერმინი *exequatur* აღსრულებას ნიშნავს და იგი ხშირად გამოიყენება არაფრანგულენოვან იურიდიულ ლიტერატურაშიც). სწორედ აღსრულებლად მიქცევის ამ პროცესს მოაქვს უშუალო სამართლებრივი შედეგები – კრედიტორის ინტერესების დასაკმაყოფილებლად შესაძლებელი ხდება მოვალის ქონებიდან იძულებითი აღსრულების განხორციელება.<sup>2</sup>

არბიტრაჟი შესაძლოა კრედიტორისთვის იყოს სათანადო ინსტანცია სარჩელის წარსადგენად, მაგრამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა და შემდგომ აღსრულება ხორციელდება მხოლოდ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ, ვის კომპეტენციასაც აღნიშნული ექვემდებარება.<sup>3</sup>

ამგვარად, „ცნობის ინსტიტუტი გულისხმობს, რომ სახელმწიფო აცხადებს თანხმობას მოცემულ სასამართლო აქტის მიერ მისი იურისდიქციის ფარგლებში იურიდიული შედეგების წარმოშობაზე“.<sup>4</sup> „უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა, ამ აქტების მოქმედების ფარგლების გაფართოების სახით, არის ხსენებული გადაწყვეტილებებისთვის მოქმედების უფლების მინიჭების უშუალო წინაპირობა, რაც, თავის მხრივ, მათ აღსრულებლად გამოცხადებაში გამოიხატება“.<sup>5</sup>

როგორც წესი, ცნობა ხდება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულებლად მიქცევასთან ერთად. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, ერთი მხრივ, რომ მეტად მჭიდროა ცნობისა და აღსრულების ინსტიტუტების შინაარსობრივი ურთიერთკავშირი, მეორე მხრივ კი, რომ შეუძლებელია აღსრულების დეტალურად შესწავლა ცნობის გვერდის ავლით.

ვთანხმდებით, რომ უცხოური აქტის მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედების დაშვება არ არის მიზანშეწონილი მისი საფუძვლიანი გადამონმების გარეშე და ვასკვნი, რომ ამ ამოცანის შესასრულებლად აღმოცენდა აღიარების ანუ ცნობის ინსტიტუტი. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ცნობის კონცეფცია: იგი, როგორც წესი, ხორციელდება ავტომატურად, ცნობის პროცედურის გარეშე, იმ მოსამართლის მიერ, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს დავის საგანი. სასამართლო ერთ გადაწყვეტილებაში ახდენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას. პრაქტიკაში, მხარეების გადაწყვეტილების აღსრულებას ითხოვენ, რაც თავისთავად მის ცნობასაც გულისხმობს, თუმცა გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების გარეშეც არის შესაძლებელი.<sup>6</sup>

სასამართლო ცნობს და აღსასრულებლად მიაქცევს გადაწყვეტილებას, თუ სახეზე არ არის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები. ამ დამაბრკოლებელი გარემოებების ჩამონათვალი გათვალისწინებულია 45-ე მუხლში, რომელიც ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის იდენტურ თარგმანს წარმოადგენს და, ამავდროულად, ემთხვევა მოდელური კანონის

<sup>1</sup> *Tsertsvadze G.*, Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tb., 2011, 174.

<sup>2</sup> *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009, 14.

<sup>3</sup> *ASA bulletin*, Volume 23, N1, Kluwer Law International 2005, 684, ციტ.: *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 48.

<sup>4</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 652.

<sup>5</sup> *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2009, 14.

<sup>6</sup> არსებობს გადაწყვეტილებათა კატეგორია, რომელსაც სჭირდება ცნობა, მაგრამ არ საჭიროებს აღსრულებას, ვინაიდან დეკლარაციული ხასიათისაა, იხ., Article IV, NYC in *Kronke H., Nicimento P., Otto D., Port N.C.*, Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New-York Convention, Kluwer Law International, 2010, 149.

34-ე მუხლში განვიხილავთ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. მათ დეტალურად განვიხილავთ შემდგომ თავში.

შეიძლება ითქვას, რომ ნიუ-იორკის კონვენცია, უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი მოქმედებების ერთგვარი სახელმძღვანელოა. იგი ახდენს, გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული ძირითადი იურიდიული ასპექტების რეგულირებას. მისი შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოეხდინა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების უნიფიცირება, საარბიტრაჟო შეთანხმებათა ნახალისება და საკითხის რეგულირებასთან დაკავშირებული ერთიანი სტანდარტის დადგენა.

### 5.3. გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის პროცედურა

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების განმავლობაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ირღვეოდა მხარეთა არა მხოლოდ საპროცესო, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი უფლებებიც. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საარბიტრაჟო რეგულაციების მიღების გზით ქვეყანაში საარბიტრაჟო გარემოს გაუმჯობესება და ნიუ-იორკის კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მექანიზმების გათვალისწინება<sup>1</sup>. შესაბამისად, „არბიტრაჟის შესახებ“ ახალმა კანონმა გააფართოვა სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები როგორც შიდა, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და დეტალურად გაიწერა სასამართლოს მონაწილეობის ფარგლები საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით ერთმანეთისგან გამიჯნულია პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების უფლებამოსილებები საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

„არბიტრაჟის შესახებ“ ახალი კანონი – მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და შემდგომში 44-ე და 45-ე მუხლები ზუსტად განსაზღვრავენ სასამართლო ხელისუფლების შესაბამისი რგოლების კომპეტენციას ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებაში. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეფარდებასთან დაკავშირებით უფლებამოსილება მინიჭებული აქვს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს. 44-ე მუხლის 1. პუნქტი კი ადგენს, რომ: „საქართველოში გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით – საქართველოს უზენაესი სასამართლო“. აქედან გამომდინარე, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის საშუალებით საქართველომ დაამკვიდრა არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეების განხილვის სასამართლო ხელისუფლების ყველა ინსტანციაზე განაწილების ახალი ტრადიცია.

ამრიგად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას ეკისრება. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება ერთი და იმავე სასამართლო ორგანოს განსჯადობის სფეროში შევა, რაც ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვირდებლას შეუწყობს ხელს.

სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის სტრუქტურა მოცემულია უზენაესი სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში. მისი მე-9 მუხლი ადგენს, რომ უზენაესი სასამართლოს პალატა საქმეებს განიხილავს სამი მოსამართლის მონაწილეობის

<sup>1</sup> შეად. Tsertsvadze G., Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tb., 2011, 19 .

ბით, თუ დავის განსაკუთრებული სირთულის, მნიშვნელობის ან შინაარსის გამო საჭირო არ გახდა დავის განხილვა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ.

აქსიომაა, რომ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას, თუ სასამართლო მოახდენს ცნობასა და მიაქცევს მას აღსასრულებლად. იმისთვის, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უფლებამოსილმა ორგანომ – საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოახდინოს გადაწყვეტილების აღსრულება მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს ა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი ან/და სათანადო ფორმით დამონმებული ასლი; ბ) ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება ან დადგენილი წესით დამონმებული ასლი. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ან გადაწყვეტილება შედგენილია არა სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, მაშინ მხარე ვალდებულია წარადგინოს სათანადო წესით დამონმებული ავთენტური თარგმანი.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების თანახმად, „საქართველოში გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება სააპელაციო სასამართლოები“. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ მხარე თავისი ნებით არ ასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, დაინტერესებული მხარე გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნით მიმართავს თბილისის ან ქუთაისის სასამართლოს, საქმის განსჯადობის მიხედვით.

ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო, განხილვის შედეგად, მიდის ერთ-ერთ გადაწყვეტილებამდე: ან ცნობს და აღსასრულებლად მიაქცევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რა შემთხვევაშიც, დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფილია მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, ან ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში გამოაქვს გადაწყვეტილება ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინების ფორმით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე, განჩინებასთან ერთად, მხარეს ეძლევა სააღსრულებო ფურცელი. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე საბოლოოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ განჩინებაზე საკასაციო ან/და კერძო საჩივარი არ დაიშვება. ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკაც ერთგვაროვანია.<sup>1</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისგან განსხვავებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შედეგთან დაკავშირებით, მსოფლიო მასშტაბით არსებობს კონსენსუსი. ცნობასა და აღსრულებაზე უარი ვრცელდება კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე. ამგვარი მოქმედება მხარეს უფლებას არ ართმევს ხელახლა მიმართოს არბიტრაჟს და განიხილოს დავა, სასამართლოს მიერ მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება შესაძლოა მოთხოვნილ იქნას სხვა ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში და დაექვემდებაროს კიდევ აღნიშნულ პროცედურას.

<sup>1</sup> მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის საქმე ას-1369-1291-2012. მხარემ მოითხოვა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის და აღსრულების თაობაზე განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება. აღნიშნულთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ კერძო საჩივარი დაუშვებელია, რადგან არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი გასაჩივრებულ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. მითითებული კი, კერძო საჩივრის დასაშვებობის აუცილებელი წინაპირობაა.



## 6. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

### 6.1. ზოგადი მიმოხილვა

მოდელურ კანონზე მომუშავე ჯგუფმა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების კატალოგი (მოდელური კანონის 34-ე მუხლი), მიზანმიმართულად შექმნა იმ საფუძვლების მიხედვით, რომლებიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის წინაპირობად დეკლარირებულია ნიუ-იორკის კონვენციის V მუხლში. ამასთან, მოდელური კანონის ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებიც, 36-ე მუხლში უცვლელად არის გადატანილი ნიუ-იორკის კონვენციიდან. შესაბამისად, იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებმაც მიიღეს კანონები მოდელური კანონის მიხედვით და არ არიან ნიუ-იორკის კონვენციის მონაწილენი, ფაქტობრივად, მიღწეულ იქნა ერთიანი მიდგომა გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. „ამით, ფაქტობრივად, შექმნილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლის ერთიანი, უნიფიცირებული სისტემა, რომელიც დამოკიდებული არ არის იმაზე, თუ სად მოითხოვება გადაწყვეტილების აღსრულება. ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა და გადაწყვეტილების გაუქმება ერთგვაროვანი შინაარსითა და განსხვავებული ფორმით ხასიათდება.“<sup>1</sup>

მოდელური კანონი და ნიუ-იორკის კონვენცია, შესაბამისად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს ორ ჯგუფად ყოფენ.

პირველი ჯგუფში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, როცა მხარეს ენიჭება გაუქმების/უარის თქმის საფუძველზე მითითებისა და მისი მტკიცების ტვირთი ანუ, ჩამოთვლილი პირობები სასამართლო განხილვისას მსჯელობის საგანი ხდება მხოლოდ „თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიმართავს სარჩელით და დამტკიცებს, რომ...“. ამ დროს სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას გადაწყვეტილების გაუქმებაზე ან მოახდინოს ცნობა და აღსრულება, თუ დამარცხებული მხარე ვერ ახდენს მითითებული საფუძვლის სათანადოდ დასაბუთებას და ფაქტობრივი გარემოებით მის დამტკიცებას.

მეორე ჯგუფში შემავალი საფუძვლების მითითება და გამოკვლევა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს (*ex officio*).<sup>2</sup> დარჩენილი ორი პუნქტის დისპოზიციის შემონმების ვალდებულებას საქართველოს სასამართლოს მიერ ადასტურებს შემდეგი ფრაზა: „...სასამართლო დაადგენს, რომ...“.

საქართველოს კანონიც „არბიტრაჟის შესახებ“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ისე ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმისათვის, იდენტურ სამართლებრივ საფუძვლებს აწესებს. სასამართლო ახდენს გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას, თუ არ არსებობს უარის თქმის საფუძველი. ასევე, აუქმებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. ამდენად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, მოდელური კანონის 36-ე მუხლისა და ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, „მხარეს შეიძლება უარი ეთქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე“, ხოლო მოდელური კანონის 34-ე მუხლისა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლების თანახმად, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლოა გაუქმდეს“ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 624.

<sup>2</sup> Sanders P., ICCA'S Guide To The Interpretation of the 1958 New York Convention: A Handbook For Judges, Published by the International Council for Commercial Arbitration, 2011, 79-80, <www.arbitration-icca.org>. Van den Berg A. J., New York Convention of 1958: Refusals of Enforcement, ICC International Court of Arbitration Bulletin – Vol. 18/No. 2 – 2007, 2.

<sup>3</sup> სასამართლოს დისკრეციის არსებობის განხილვას დაეთმობა შემდგომი თავი, გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის დასაშვებობა/არდასაშვებობის ქრილში.

ზემოაღნიშნული ნორმებით დადგენილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ერთგვაროვანი საფუძვლები, თუმცა, გადაწყვეტილების გაუქმება და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან, ინსტიტუციონალურად და დამდგარი სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, რაზეც ყურადღება გამახვილდა წინამდებარე თავებში.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი სულ 8 საფუძველს იცნობს, რაც, თავის მხრივ, გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის დებულებებიდან, კერძოდ მე-5 და მოდელური კანონის 34-ე და 36-ე მუხლებიდან გამომდინარეობს. ნიუ-იორკის კონვენცია მხოლოდ 7 გარემოებას ასახელებს, ქართული ნორმა ნიუ-იორკის კონვენციის V მუხლის ერთი ქვეპუნქტის შინაარსს (1, „ა“) ორ ცალკე ქვეპუნქტად გამოყოფს. („არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45.1 „ა.ა“ და „ა.ბ“). მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული საფუძველი.<sup>1</sup>

## 6.2. გაუქმება და უარი მხარის ინიციატივით

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების და საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ წარმოებისას სააპელაციო, ხოლო, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულების დროს, უზენაესი სასამართლოები, მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ადგენენ შემდეგი გარემოებების არსებობის საკითხს:

### 6.2.1 საარბიტრაჟო შეთანხმების მხარის ქმედუნარობა

ნიუ-იორკის კონვენციის V(1)(ა) მუხლის, ქართულ კანონში, ორ ნაწილად დაყოფის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. ნიუ-იორკის კონვენცია აკონკრეტებს, რომ ქმედუნარობა, ამ შემთხვევაში, განისაზღვრება იმ სამართლის მიხედვით, რომელსაც მხარეებმა თავად საარბიტრაჟო შეთანხმება დაუქვემდებარეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი ქმედუნარიანობის ცნებას განსაზღვრავს შემდეგნაირად: „ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები“ ქმედუნარიანობა წარმოიშობა სრულწლოვანების (თვრამეტი წლის ასაკს) მიღწევისთანავე. ასევე, ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე. ხოლო, შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუნარო. ქმედუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).

ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით.

### 6.2.2 საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილი ან ძალადაკარგულია

#### (45-ე მუხლის I პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი)

საარბიტრაჟო შეთანხმების კანონიერება დგინდება იმ სამართლის მიხედვით, რომელსაც იგი მხარეებმა დაუქვემდებარეს. ასეთი არჩევანის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება *lex arbitri* (*lex fori*). აღნიშნული ნორმის ნიუ-იორკის კონვენციისეული ფორმულირება შემ-

<sup>1</sup> ნიუ-იორკის კონვენციით V(1)(e) დადგენილი საფუძველი, „...თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმებულია...“, არ არის გათვალისწინებული მოდელური კანონის 34-ე მუხლში. მას განვიხილავთ შემდგომ თავში, გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართების კონტექსტში.

დეგნაირად ჟღერს: „...ცნობა არ მოხდება... თუ... ეს შეთანხმება სამართლებრივი ძალის არ-მქონეა იმ კანონით, რომელსაც მხარეებმა ეს შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთის მი-თითების არარსებობის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კანონით, სადაც გადაწყვეტილება მიიღეს.“

თუ არ არსებობს იურიდიული ძალის მქონე საარბიტრაჟო შეთანხმება, არაფერი შეიძ-ლება გამომდინარეობდეს მისგან – *ex nihilo nihil fit*. შემონებისა გარე საზღვრები არ არის ნა-თელი და ჩამოყალიბებული. ლოგიკურად, „სამართლებრივი ძალის არქონა“ (ნორმის ფორმუ-ლირებიდან გამომდინარე, ბათილობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება) ფარავს, მოიცავს „არარსებობას“ და იმ სიტუაციას, როცა შეთანხმება არ ბოჭავს საარბიტრაჟო განხილვის შემ-თხვევაში „მხარედ“ დასახელებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.<sup>1</sup>

აღნიშნულ საფუძველს პრაქტიკაში ხშირად ეყრდნობიან. უმრავლეს შემთხვევაში მხარე, მაგალითად, დავობს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არ არსებობს, ვინაიდან კონვენციის II(2) მუხლით სავალდებულო, საარბიტრაჟო შეთანხმების დადების წერილობითი ფორმა არ იყო დაცული და ა.შ.<sup>2</sup>

ეს საფუძველი უზრუნველყოფს თანაფარდობას, ბალანსს „კომპეტენციის კომპეტენცი-ასთან“<sup>3</sup>, რომლითაც აღჭურვილია საარბიტრაჟო ტრიბუნალი. „კომპეტენციის კომპეტენციის“ ყველაზე შორსგამიზნული ვარიანტია (ნეგატიური კომპეტენციის კომპეტენცია) კი მხოლოდ აღჭურვავს ტრიბუნალს უფლებით იყოს იურისდიქციის განმახორციელებელი პირველი ადგი-ლი.<sup>4</sup> ტრიბუნალს „საბოლოო სიტყვა“ მაინც არ ეთქმით, ის ყოველთვის სასამართლოების კუთვნილებაში იქნება.<sup>5</sup> მოდელური კანონის მე-16 მუხლის მსგავსად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16(1) მუხლიც განსაზღვრავს რომ არბიტრაჟი უფლებამოსილია მი-იღოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამასთან, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ მას შესაბამისი კომპეტენცია აქვს, მხარეებს შეუძლიათ ეს გა-დანყვეტილება 30 დღის ვადაში გაასაჩივრონ სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება, ე.ი თუ ტრიბუნალი დადებითად გა-დანყვეტს საკითხს და გამოიტანს დადგენილებას მისი იურისდიქციის შესახებ და განაგრძობს პროცესს, რომელიც საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დასრულდება, ასეთი დადგე-ნილების გასაჩივრების შემდგომ, სასამართლოს პოტენციურად ნეგატიური გადაწყვეტილება საბოლოოდ გადაწყვეტს იურისდიქციის საკითხს. ამდენად, „იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა გა-დანყვეტილება კომპეტენციის თაობაზე არბიტრაჟის მიერ მიიღება დავის არსებითად გადაწყ-ვეტასთან ერთად, მაშინ სასამართლოში კომპეტენციის საკითხის განხილვა შეიძლება საარ-ბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საკითხის დაყენებით ან ამ გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისას.“<sup>6</sup>

<sup>1</sup> *Pavic V.*, Annulment of Arbitral Awards in International Commercial Arbitration, 2010, 137, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1615333](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1615333)>.

<sup>2</sup> *Sanders P.*, ICCA'S Guide To The Interpretation of the 1958 New York Convention: A Handbook For Judges, Published by the International Council for Commercial Arbitration, 2011, 87.

<sup>3</sup> დაწვრილებით იხ. *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 545.

<sup>4</sup> *Gaillard E.*, The Negative Effect of Competence-Competence; Mealey's International Arbitration Report, 2002, 27.

<sup>5</sup> German ZPO, 1032(2), “a party may request an early ruling on “admissibility” of the dispute from the courts. This covers jurisdictional issues as well, including the issue of the validity of the arbitration agreement. *Kröll S.*, *Kraft P.*, Ten Years of UNCITRAL Model Law in Germany, 1 World Arbitration and Mediation Review, 2008, 439, 453.

<sup>6</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 545.

### 6.2.3 Due Process – მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში

#### (45-ე მუხლის I პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი)

სამართლიანი სასამართლოს უფლება, სამართლიანი გადაწყვეტილების ქვაკუთხედი. საყოველთაოდ აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს, შესაბამისად, მხარისთვის სასამართლო განხილვის მოსმენის უზრუნველყოფის უფლება. მიიჩნევა, რომ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს მიზეზობრივი კავშირი ასეთ საპროცესო ხარვეზსა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას შორის და როცა მხარეს სხვაგვარად არ შეეძლო თავისი უფლებების დაცვა.<sup>1</sup> საარბიტრაჟო განხილვის მხარეს, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიეცეს პროცესში მონაწილეობის და საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება.

ნიუ-იორკის კონვენციის ანალოგიური საფუძველი შემდეგნაირად ჯღერს: „მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო გარჩევის თაობაზე, ან სხვა მიზეზით ვერ შეძლო თავისი ახსნა-განმარტების წარდგენა“ (V(1)(ბ)).

ამ საკითხთან მიმართებით, მთავარია მხარის სათანადო წესით გაფრთხილების უზრუნველყოფა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს lex fori-ით დადგენილ მოთხოვნებს. ხშირად ძნელია ზუსტი მნიშვნელობა განსაზღვრო ტერმინისა “due process“ (ability to present a case, fair hearing, etc.). მაგრამ საფუძველები სადავო არ არის, სათანადო წესით გაფრთხილებასთან ერთად, მხარეებისთვის გარანტირებული უნდა იყოს, თანაბარი მოპყრობა (equal treatment) და მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა წარმოაჩინონ საკუთარი არგუმენტები.<sup>2</sup>

#### 6.2.4 იურისდიქცია დავაზე

მხარის ინიციატივით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ან გაუქმდეს გადაწყვეტილება, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით, ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ან გაუქმდეს გადაწყვეტილება, მთლიანად ან მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს (45-ე მუხლის I პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი).

„ამ ნორმით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ უფლებამოსილების გადამეტებას ყველაზე ხშირად აქვს ადგილი ისეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ფორმით, რომლის დავის საგანი საარბიტრაჟო შეთანხმებით არ არის მოწესრიგებული. მაგალითად, საარბიტრაჟო პრაქტიკაში გადაწყვეტილების გამოტანისას არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა გამოიყენება არა რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს სამართლის, არამედ სამართლიანობის პრინციპები. რა თქმა უნდა, ეს ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით არაა ნებადართული. შესაბამისად, საარბიტრაჟო სასამართლომ სამართლიანობის პრინციპებით რომ გამოიტანოს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ გამოსაყენებლი

<sup>1</sup> *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 77.

<sup>2</sup> *Sanders P.*, ICCA'S Guide To The Interpretation of the 1958 New York Convention: A Handbook For Judges, Published by the International Council for Commercial Arbitration, Hague, 2011, 92-93, <[www.arbitration-icca.org](http://www.arbitration-icca.org)>.

საპროცესო სამართალი ამას კრძალავს, საქმე გვექნება სწორედ ამ ნორმით გათვალისწინებულ დისპოზიციასთან.<sup>1</sup> ამ პუნქტის არსებობასთან გვაქვს ასევე საქმე თუ სახეზეა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ იმ სამართლის გამოყენება, რომელიც მხარეებს არ აურჩევიათ.

ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისი ნორმა (V(1)(c) უფრო ვრცელი ფორმულირებით გვხვდება: „...გადანყვეტილება მიღებულია დავაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ან არ ექვემდებარება საარბიტრაჟო შეთანხმებას ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებით შენიშვნას, ან შეიცავს დადგენილებას საკითხებზე, რომლებიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებითი შენიშვნის ფარგლებს, ხოლო თუ შესაძლებელია, რომ დადგენილებები ისეთ საკითხებზე, რომლებსაც მოიცავს საარბიტრაჟო შეთანხმება ან ხელშეკრულების დამატებითი შენიშვნა, ცალკე გამოიყოს იმ საკითხებიდან, რომლებსაც არ მოიცავს ასეთი შეთანხმება ან დამატებითი შენიშვნა, მაშინ საარბიტრაჟო გადანყვეტილების ის ნაწილი, რომელიც შეიცავს დადგენილებას საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ხელშეკრულების საარბიტრაჟო დამატებითი შენიშვნით გათვალისწინებულ საკითხებზე, ექვემდებარება ცნობასა და აღსრულებას“.

### 6.2.5 არბიტრაჟის შემადგენლობის ან საარბიტრაჟო წარმოების შეუსაბამობა

შემდეგი საფუძველი სახეზეა (45-ე მუხლის I პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი), როცა, „არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა“.<sup>2</sup>

საქართველოს შემთხვევაში, მარტივად რომ ვთქვათ, გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის აღნიშნული საფუძვლის გამოსარიცხად უნდა შემოწმდეს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის III, IV და V თავები, რომელიც მოიცავენ არბიტრაჟის შემადგენლობის უფლებამოსილების და საარბიტრაჟო განხილვის მარეგულირებელ ნორმებს.

საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადანყვეტილების აღსრულებადად მიქცევაც რასაკვირველია არ დაიშვება, თუ დასტურდება საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნისას ან საარბიტრაჟო პროცესის მსვლელობისას დაშვებული ხარვეზები. „ამავე დროს, არ არის სავსებით ნათელი, თუ რა ფარგლებში შეუძლიათ მხარეებს მათ შეთანხმებაში სახელმწიფოს იმპერატიული საპროცესო ნორმებისგან განსხვავებული დებულებების დადგენა.“<sup>3</sup>

### 6.3. გაუქმება და უარი, როგორც სასამართლოს ვალდებულება (ex officio)

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმო და გაკოტრების საქმეთა პალატის მოსამართლეები ვალდებული არიან საარბიტრაჟო გადანყვეტილება (გამოტანის ადგილის მიუხედავად) გადაამოწმონ შემდეგ ორ ნორმასთან შესაბამისობაში:

- 1) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;
- 2) საარბიტრაჟო გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს.

<sup>1</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადანყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 77.

<sup>2</sup> ასევე, იხ. მოდელური კანონი, 34(2)(a)(ii) r: “the composition of the arbitral tribunal or the arbitral procedure was not in accordance with the agreement of the parties, unless such agreement was in conflict with a provision of this Law from which the parties cannot derogate, or, failing such agreement, was not in accordance with this Law”.

<sup>3</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადანყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 77-78.

საჯარო წესრიგი საერთაშორისო არბიტრაჟის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ცნებაა. თუ სხვა საფუძვლები მეტნაკლებად ზუსტად არის ფორმულირებული, ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს, როდის ჩაითვლება საჯარო წესრიგი დარღვეულად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ქვეყნის სასამართლო ცდილობს თავი აარიდოს ფართე ინტერპრეტაციას, ის მაინც იძლევა ლოკალურ „საჯარო წესრიგზე“ მითითებით, გაუქმებას, ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას.<sup>1</sup>

„ვინაიდან ქართული კანონმდებლობა არ ასხვავებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს მათი სახელმწიფოებრივი კუთვნილების მიხედვით, მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს თუ როგორ მოეკიდებიან საჯარო წესრიგის ცნების ინტერპრეტაციას ქართველი მოსამართლეები, იქნება თუ არა პრაქტიკაშიც ერთნაირი მიდგომა ქართული და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ და სხვ. ამ შემთხვევაშიც მოსამართლემ ისე უნდა შეძლოს საქმის განხილვა, რომ არც *revision au fond*-ის აკრძალვა დაარღვიოს და არც ქართული სამართლის უმთავრესი პრინციპების ამკარა ხელყოფა დაუშვას. *ordre public*-ის დარღვევა, ფაქტობრივად, ერთადერთი შეზღუდვაა უცხოური გადაწყვეტილებების შინაარსობრივ გადამოწმებასთან მიმართებაში. ევროპულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ საჯარო წესრიგთან აქტის შესაბამისობის კონტროლის საგანი არის არა იმის დადგენა, ეწინააღმდეგება თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლის იმპერატიული ნორმები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, არამედ მართოდენ იმაში დარწმუნება, რომ ეს აქტი აკმაყოფილებს ქვეყანაში სამართლიანი პროცესისთვის არსებულ მინიმალურ სტანდარტებს“<sup>2</sup>

საჯარო წესრიგი შესაძლოა იყოს მატერიალურსამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი. ასევე, ერთმანეთისგან განასხვავებენ შიდა და საერთაშორისო საჯარო წესრიგს, გამოიყოფა ტრანსნაციონალური საჯარო წესრიგი და ა.შ. აღნიშნული იმდენად დიდი თემაა, ცალკე უამრავი კვლევა ეძღვნება, შესაბამისად, ამ ეტაპზე შემოვიფარგლოთ იმის აღიარებით, რომ „იურიდიულ მეცნიერებას არ შეუძლია და არ უნდა ეცადოს საჯარო წესრიგის ერთიანი ცნების ჩამოყალიბებას. მისი შინაარსის დაზუსტების საუკეთესო გზაა სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების კომენტირება, სადაც საქმის ყველა გარემოების დეტალური ანალიზის საფუძველზე შესაძლოა დადგინდეს, ეწინააღმდეგება თუ არა კონკრეტული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საჯარო წესრიგს“<sup>3</sup>, ან გაუქმების შემთხვევაში დადგინდეს ირღვევა თუ არა საჯარო წესრიგი კონკრეტული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით.

## 7. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მიმართება ცნობის და აღსრულების პროცედურასთან

### 7.1. ზოგადი მიმოხილვა

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ურთიერთმიმართების კვლევისას, არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართველი კანონმდებლის მიდგომას ერთი სახელმწიფოს მიერ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მეორე სახელმწიფოს მიერ ცნობასა და აღსრულებასთან მიმართებით. ანუ მოახდენს თუ არა საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, რომელიც გაუქმებულია იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც გამოტანილ იქნა ეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. მსოფლიოში განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა და, შესაბამისად, საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ქვემოთ შევხებით.

<sup>1</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 666.

<sup>2</sup> *გოთუა ლ.*, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 80.

<sup>3</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 667.

მეორე მხრივ, ძალზედ საინტერესოა, რა ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შემდგომ, დასაშვებია თუ არა საქართველოში ცნობილი და აღსრულებული გადაწყვეტილების გაუქმება.

## 7.2. ერთი სახელმწიფოს მიერ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მეორე სახელმწიფოს მიერ

ნიუ-იორკის კონვენციის შემდგენელები მიიჩნევდნენ, რომ „თუ გადაწყვეტილება გაუქმდა... გადაწყვეტილება აღარ არსებობს და არარსებულის აღსრულება იქნება შეუძლებელი ან წინააღმდეგობაში მოვა იმ ქვეყნის საჯარო წესრიგთან, რომელიც აღასრულებს ასეთ გადაწყვეტილებას.“<sup>1</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დიდწილად განაპირობებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იურიდიული ძალა მის გამომტან სახელმწიფოში. ძირითადად, არსებობს მოლოდინი, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ახდენს მისი აღსრულების პრევენციას<sup>2</sup>. წარმოადგენს თუ არა უცხო ქვეყანაში გადაწყვეტილების გაუქმება იმის საფუძველს, რომ გადაწყვეტილებამ ვერანაირი სამართლებრივი შედეგები ვერ იქონიოს მეორე სახელმწიფოში? ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლიდან ირკვევა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე შესაძლოა მხარეს უარი ეთქვას, თუ „გადაწყვეტილება... გაუქმებულ ან აღსრულებით შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, სადაც იგი მიიღეს ან იმ ქვეყნის ხელისუფლების მიერ, რომლის კანონიც იქნა გამოყენებული.“

მიუხედავად ამისა, გაეროს ნიუ-იორკის კონვენციის ამ ნორმის ფორმულირება სადავოა, ვინაიდან ამბობს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე შეიძლება უარი ითქვას... რას ნიშნავს შეიძლება?<sup>3</sup> გამოდის, რომ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის ინგლისურ ვარიანტში<sup>4</sup> ზემოხსენებულ დამაბრკოლებელ გარემოებასთან დაკავშირებით არ არსებობს იმპერატიული მოთხოვნა. დააკმაყოფილებს თუ არა მოსამართლე შუამადგომლო-

<sup>1</sup> "If the award has been set aside ... there does no longer exist an arbitral award and enforcing a non-existing arbitral award would be an impossibility or even go against the public policy of the country of enforcement." იხ. *Sanders P.*, New York Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, 1959, 55. ასევე, იხ., *Van den Berg A. J.*, Annulment of Awards in International Arbitration", წიგნში: *Lillichand R. B., Brower C. N.*, International Arbitration in the 21st Century: Towards "Judicialization" and Uniformity, 1992, 133, 161. *Haight G. W.*, Convention on Recognition and Enforcement of Foreign Awards: Summary Analysis of the Record of the UN Conference 1958, 42.

Cf. Commonwealth Secretariat, The New York Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards 1981, 24, <<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/Model-Law-Arbitration-Commonwealth.pdf>>.

<sup>2</sup> *Pavic V.*, Annulment of Arbitral Awards in International Commercial Arbitration. 2010, 149, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1615333](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1615333)>.

<sup>3</sup> *Paulsson J.*, May or Must Under the New York Convention: An Exercise in Syntax and Linguistics, 14 *Arb. Int'l* 227-30, "I examined all five official versions of the Convention and found that four of the five versions clearly used permissive rather than mandatory language, and thus came to the conclusion that the drafters wished to give the enforcement judge discretion on whether or not to enforce an annulled award. (1998). On the other hand, the French reading of the Convention as requiring non-enforcement of annulled awards may have conditioned the French approach to find a way out of that straight-jacket.

<sup>4</sup> *Nacimient K.*, Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New York Convention, 2010, 366. ნიუ-იორკის კონვენციის ოფიციალური ავთენტური თარგმანი არსებობს ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, ჩინურ და რუსულ ენებზე. თითოეული მათგანი თანაბარი ძალის მქონეა. ამ მუხლთან დაკავშირებული ჩანაწერი ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ და რუსულ ენებზე ერთგვაროვანია ხოლო ფრანგულ ენაზე არსებულ დოკუმენტში განსხვავდება. ინგლისური თარგმანი ითვალისწინებს დისკრეციულ ჩანაწერს, რომ მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, ხოლო ფრანგული ტექსტი გამორიცხავს ამგვარი დისკრეციას და სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას ყოველგვარი დისკრეციის გარეშე კონკრეტული საფუძვლის არსებობისას უარი ეთქვას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე (*seront refusées*”, i.e. shall be refused).

ბას უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ მის გამომტან ქვეყნაში გაუქმების შემთხვევაში, გადაწყდება მოსამართლის შეფასების საფუძველზე. ნორმის დისპოზიციურობას ისიც უსვამს ხაზს, რომ ამ გარემოების გათვალისწინება მხოლოდ მხარეთა ინიციატივით ხდება და მოსამართლისთვის მისი განხილვა სავალდებულო არ არის (არ შედის *ex officio* საფუძველზე).<sup>1</sup>

ამგვარი ინტერპრეტაციით, კონვენციის V(1)(e) მუხლი დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს და ნებას რთავს მას ცნოს და აღსასრულებლად მიაქციოს უცხოური გაუქმებული გადაწყვეტილება. თან, მიუხედავად იმის განხილვისა, რომელი საფუძველით მოხდა მისი გაუქმება. შედეგად გაუქმება ავტომატურად არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ იქნება აღსრულებული სხვა სახელმწიფოში. კონვენციის 1981 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში პროფესორი ალბერტ ვან დერ ბერგი<sup>2</sup> მიუთითებდა საშიშროებაზე, რომ კონვენციას საფუძველი გამოეცლებოდა (*Could be "undermined"*) თუ არბიტრაჟის ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონის ყველა თავისებურება გამოიწვევდა გადაწყვეტილების აღსრულების ფრუსტრაციას.<sup>3</sup> ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი გაუქმების სტანდარტები (*Local Annulment Standards; LAS*), როგორც იგულისხმობს არ უნდა იყოს ისინი, ზედმეტად მნიშვნელოვანი ხდებიან<sup>4</sup>.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ გაუქმებულ გადაწყვეტილებას აღსრულების მაინც ბევრად მცირე შანსი აქვს,<sup>5</sup> თუმცა, მაგალითად, საფრანგეთის სასამართლომ აღასრულა არაერთი გაუქმებული გადაწყვეტილება, (მაგ., ყველაზე ცნობილი *Hilmarton Ltd. v. Omnium de Traitement et de Valorisation* 1994 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება<sup>6</sup>; ასევე *Bechtel case* და *Putrabali case*, 29 ივნისი, 2007წელი<sup>7</sup>) ხოლო, აშშ-ის სასამართლომ აღასრულა ეგვიპტის სასამართლოს მიერ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება (*Chromalloy Aeroservices v. Arab Republic of Egypt, 1996*). ამ გადაწყვეტილებებმა გამოკვეთა, საფრანგეთის და ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკის ერთმანეთის მსგავსი მიმართულებით განვითარების ტენდენცია. ორივე საქმეში სასამართლოებმა აღასრულეს გადაწყვეტილებები, რომლებიც გაუქმებულ იქნა წარმოშობის ქვეყნის სასამართლოების მიერ, არა ნიუ-იორკის კონვენციის, არამედ შიდა სამართლის "*more favourable provisions*"<sup>8</sup>-ზე დაყრდნობით. მაგრამ, შემდეგ საფრანგეთისა და

<sup>1</sup> ამგვარი ინტერპრეტაციის სანინააღმდეგო არგუმენტები იხ. *Van den Berg A. J., Enforcement of annulled awards*, ICC International Court of Arbitration Bulletin, 1998, 15, <<http://www.hvdb.com/wp-content/uploads/1998-AJvdB-Enforcement-of-Annulled-Awards.pdf>>.

<sup>2</sup> *Van Der Berg A. J., the New York Arbitration Convention of 1958*, 1981, 355.

<sup>3</sup> *Paulsson J., Enforcing Arbitral Awards Notwithstanding A Local Standard of Annulment (LSA)*, The ICC international Court of arbitration Bulletin vol 9/#1, May 1998, 1, <<http://ciarb-europeanbranch.com/training/CourseMaterial/Geneva%20ARF%20Advance%20Materials/Advance%20File%20to%20participants/A16.%20Paulsson%20on%20Enforcing%20Awards%20after%20LSA.pdf>>.

<sup>4</sup> *Paulsson J., The case for disregarding local standard annulments under the New York Convention*, 7 Am. Rev. Int'l Arb., 1997, 99, <<http://ciarb-europeanbranch.com/training/CourseMaterial/Geneva%20ARF%20Advance%20Materials/Advance%20File%20to%20participants/A16.%20Paulsson%20on%20Enforcing%20Awards%20after%20LSA.pdf>>.

<sup>5</sup> *Redfern & Hunter*, For an overview of the practice and caselaw, supra note 22, 540.

<sup>6</sup> *Koch C., The Enforcement of Awards Annulled in their Place of Origin (The French and U.S. Experience)* Kluwer Law International, The Netherlands 2009, J. Int. Arb.2, 272.

<sup>7</sup> *Polkinhorne M., Enforcement of Annulled Awards in France: The Sting in the Tail*, January 2008, in 2007, the Putrabali case celebrated the culmination of the Doctrine Ancel. The French Supreme Court proclaimed that —an international award, which is not connected to any legal system, is an international judicial decision, whose legality is examined with regards to the applicable laws in the country where its recognition and enforcement are sought., <[www.whitecase.com/files/Publication/9519e3f5-1c7b-4531-8a62-a6ac59dc87de/Presentation/PublicationAttachment/153d6bd2-17f4-48a0-94b2-af4265abf8fc/article\\_Annulled\\_awards\\_v3.pdf](http://www.whitecase.com/files/Publication/9519e3f5-1c7b-4531-8a62-a6ac59dc87de/Presentation/PublicationAttachment/153d6bd2-17f4-48a0-94b2-af4265abf8fc/article_Annulled_awards_v3.pdf)>.

<sup>8</sup> *Tepes N., The More Favorable Right Provision of Art. VII of the New York Convention and its Application to the Form of the Arbitration Agreement*, 12 Croat. Arbit. Yearb., 2005, 125. "...application of the New York Convention cannot result in the situation where a party would be deprived of any rights it has according to more liberal provisions of the law of the country where enforcement procedures are taking place. This provision, also known as the more favorable right provision, basically ensures that the recognition and enforcement will take



აშშ-ის სასამართლოებმა დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებები განავითარეს. საფრანგეთის სასამართლოებმა განაგრძეს უცხოური გაუქმების ელემენტის იგნორირება, და ცნობენ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობს გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ამ გადაწყვეტილების იურიდიულ ძალასთან დაკავშირებით. ხოლო, აშშ-ის სასამართლოები უფრო და უფრო მზარდი რაოდენობით, უარს ამბობენ განხილვის ადგილას გაუქმებული გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე. შტატების სასამართლოები „უცხოურ“ გაუქმების გადაწყვეტილებას უგულბებლყოფენ მხოლოდ მაშინ, როცა გადაწყვეტილება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება და არღვევს აშშ-ის საჯარო წესრიგს.<sup>1</sup>

ცალსახად გამოჩნდა, რომ არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებისთვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის განსაზღვრაა. ის, ფაქტობრივად, წარმოადგენს კრიტერიუმს, რომელიც ადგენს თუ რომელი ქვეყნის საარბიტრაჟო კანონმდებლობა მოქმედებს დავის განხილვის პროცესში, აღნიშნულის მიხედვით ნყდება საერთაშორისო და შიდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზე კლასიფიკაციის საკითხი და ასევე, საარბიტრაჟო განხილვის დროს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისთვის კომპეტენტური სასამართლო, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მიხედვით ირჩევა.<sup>2</sup>

ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, რომელიც დიდხანს დომინირებდა და დღემდე აქტუალურია ინგლისში, საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის მუნიციპალური იურისდიქციის ეკვივალენტური. ამ შეხედულების მიხედვით, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სახელმწიფოს სამართალი აუცილებლად განაგებს საარბიტრაჟო შეთანხმებას პირდაპირ ან გამოსაყენებელი სამართლის მეშვეობით. ასევე, ითვლება, რომ ამ სამართალს ექვემდებარება საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირების და შემადგენლობის საკითხი ისევე, როგორც უშუალოდ პროცესი და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმა. სასამართლოები არბიტრაჟის ადგილსამყოფელ ქვეყანაში ახორციელებენ ზედამხედველობას არბიტრაჟის პროცედურული ასპექტების სათანადო ფუნქციონირებაზე და პროცესის ბოლოს ცნობენ ან აუქმებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მიდგომის მიხედვით ადგილსამყოფელი აბამს არბიტრაჟს იმ ქვეყნის მართლწესრიგს, რომელშიც ის ხორციელდება. არბიტრაჟის შესახებ მითითებული ფილოსოფია ედო საფუძვლად *EA. Mann*-ის ცნობილ ნაშრომს „*Lex Facit Arbitrum*.“ მრავალი მიმდინარეობა წარმოიშვა მისგან. მაშინაც კი როცა გამოიყენება საარბიტრაჟო წესები, რომლებიც არბიტრებს ანიჭებს ფართო დისკრეციას საქმეზე, ამ მიდგომის მიმდევარ არბიტრებს ექნებათ ტენდენცია პროცესის ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართლის ნორმებს დაუქვემდებარონ (გამოიყენონ როგორც *lex fori*).<sup>3</sup>

მეორე საარბიტრაჟო კონცეფცია, რომელიც გაბატონებულია საფრანგეთსა და სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნებში და სისტემატიზებულია *Berthold Goldman*-ისა და *Pierre Lalive*-ის მიერ, სხვაგვარად უყურებს საკითხს (*the seat of arbitration is chosen for little more than the sake of convenience*). საარბიტრაჟო ტრიბუნალები არ უნდა მოქმედებდნენ კონკრეტული სახელმწიფოების ნაციონალური სასამართლოების მსგავსად, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ადგილსამყოფელი მდებარეობს ამ ქვეყანაში. არბიტრების უფლებამოსილება მომდინარეობს არა სახელმწიფოსგან, არამედ მთელი სამართლის მიერ შექმნილი მართლწესრიგიდან, რომელიც განსაზღვრული პირობების არსებობისას აღიარებს საარბიტრაჟო შეთანხმების ვალიდურობას და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

---

place in ...”: <<https://litigation-essentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&crawlid=1&doctype=cite&docid=12+Croat.+Arbit.+Yearb.+125&srctype=smi&srcid=3B15&key=8258069176d781eeb4b-1a47037770754>>

<sup>1</sup> *Koch C.*, The Enforcement of Awards Annulled in their Place of Origin (The French and U.S. Experience) Kluwer Law International, The Netherlands, 2009, J. Int. Arb.2, 267.

<sup>2</sup> *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბ., 2012, 312.

<sup>3</sup> *Gaillard E.*, The Enforcement of Awards Set Aside in the Country of Origin; ICSID Review – Foreign Investment Law Journal, based on the report presented by the author to the ICCA Congress in Paris, May 1998, 17.

გადაუჭრელი აზრთა სხვადასხვაობა საარბიტრაჟო განხილვის ადგილის როლის შესახებ განსაკუთრებით კრიტიკული ხდება, როცა დღის წესრიგში დგება საარბიტრაჟო განხილვის ადგილის ქვეყნის სასამართლოს მიერ გაუქმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი.

